

# बहुवर्षीय एका



ნეტა, სადა აქვს ამ ზვავებს ბოდო,  
კინ ღახგო ეხთად ამღენი კაზი.  
სჯობს აღახ გქონდეს სყდაც სამშობლო,  
ანდა ახ იყოს ასე ღამაზი!



შემეცნებით-საზოგადოებრივი  
ჟურნალი ამერიკაში

მამული (74) მაისი,  
2014

მთავარი რედაქტორი **მანუჩარ კატახიძე**  
EDITOR&PUBLISHER **MANUCHAR KATCHAKHIDZE**

გარეკანზე  
**კემოს** კარიკატურა

ჩვენი პარტნიორია: **ანაჰადა-ანაჰადა**  
მომხმარებელი: **PO Box 13121, Jersey City, NJ 07303**  
ტელ.: **1-347-724-0770**; თბილისიდან: **2-420-320**  
ელფოსტა: **mamulusa@gmail.com; www.mamuli.com**

ჟურნალი აკრებილია, დაკაბადონებულია,  
დაბეჭდილია და აკინძულია შეერთებულ  
შტატებში და ამ ნომრის გამოცემის დროს  
წარმოადგენს ერთადერთ ემიგრანტულ,  
ქართულ გამოცემას ა.შ.შ.-ში.

დაბადების დღეს ცყროცავთ  
და მადლობას ცყხდით  
**გეგა შიდეტაშვილს,**  
ამ ნომრის გამოცემაში  
გაზეყრი დახმარებისათვის

- 4**      **შურნალის დაბმჟღვამღმ...**  
ულოცავენ „მამულს“...
- 5**      **სარმლაჟტორო**  
ჰავლეობიდან რუის-ურბნისს დაინახავ
- 12**     **შუჟინდესისა და უნმტარმის**  
სააღღომო ეჰისტოლე
- 17**     **მათ უნდა ვცნობღმთ!**  
გაიცანით, მარინა სანაჟე და რამაზ გოცირიჟე
- 18**     **ტიცინანი, კაოლო და იმთიმი**  
შეხვეღრა მგოსნებთან
- 22**     **საბასტროლოღ**  
თამრიკო გვერღწითელი კარნევი-ჰოლში
- 26**     **„ილუჟიონი“ კაბაღონებში**  
ჩვეულებრივი ფაშიზმი და „მეფისტო“
- 32**     **ფამუჟოგანია**  
მოგზაურობა ნისლში
- 36**     **მართალი სიტყვა**  
ყველა ემიგრანტის სათჟმელი
- 38**     **მსოფლიოს ქართული ბმსტმქმერი**  
ჰაპაშვილის „ყველაფერი შეიღლება მოხღეს“
- 46**     **ბიგა ლორთჟიფანიღმის მოგონება**  
მამამ ამჟუტირებულ ფეხზე მაკოცა
- 48**     **კველი ჟუთაისის მონატრება**  
ერთი ვერგატანილი გოლის ისტორია
- 50**     **ქართველი,**  
რომელსაც უნდა იცნობღმთ!
- 54**     **რეჟო ჟმიჟვიღი - 80**  
მწერალი საფირმო ნიშნით
- 60**     **ლევან ბერკენიჟვიღის**  
ლეისმანისი



# ულოცავინ «მაშულის»

ბატონო მანუჩარ, მაქვს პატივი მოგილოცოთ თქვენ და თქვენთან ერთად, ამერიკაში მცხოვრებ და მოღვაწე ყველა ქართველს ჟურნალ „მაშულის“ ათი წლის იუბილე.

არიან ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით საზღვარგარეთ ეროვნული თვითმყოფადობის, მშობლიური ენის, კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაში, დიასპორის ერთმანეთთან შეკავშირებაში. უცხო გარემოში, უზარმაზარი ქალაქების დაბაბულმა რიტმმა ვერ დაჩრდილა მათი სამშობლოსადმი სიყვარული, მათი გაუტყეხელი ეროვნული სულისკვეთება. პირიქით, უფრო მეტი პასუხისმგებლობით ემსახურებიან ქართულ საქმეს და მიუხედავად უამრავი სირთულეებისა, ახერხებენ ქართული საქმის კეთებას, მიაჩნიათ რა, რომ თუ კი იარსებებს ქართული სიტყვა, ქართული, ეროვნული სულიც გადაარჩება და მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ქართველებს მხნეობას, უტენ რწმენას შთაუწერგავს და შეუნარჩუნებს.

ათი წელია, რაც თქვენი ჟურნალი სამშობლოს მონატრებულ ამერიკის ქართველობას არ უკარგავს ქართულ სიტყვას - ერის მიერ შექმნილ ყველაზე ძვირფას განმს. ჟურნალი „მაშული“ ამკ-

ვიდრებს და აწვითარებს ეროვნულ და მხატვრულ ღირებულებებს და სულიერ საზრდოს აწვდის სამშობლოსგან მოშორებულ ქართველობას, სადაც სამშობლოს შესახებ ახალ ამბებს მოუთმენლად ელიან.

ჟურნალმა „მაშულმა“, თავისი განვითარების მანძილზე სხვადასხვა ეტაპები განვლო და აქტიურ კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზმად ჩამოყალიბდა. ის უდიდეს როლს თამაშობს სამშობლოდან დაშორებული თითოეული ქართველის ყოველდღიურ ყოფიერებაში.

ერის განუმეორებელი, თვითმყოფადი კულტურა, ისტორია და ტრადიციებიც სიტყვაში აირეკლება. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულად ვისურვებდი, ყველა ქვეყნის დიასპორას, შესაძლებლობის ფარგლებში, თქვენი მაგალითის საფუძველზე, მაქსიმუმ გაეკეთებინოს იმ ღიღებულ საქმეში, რასაც მშობლიური ენის პატივისცემა და შენარჩუნება ჰქვია.


საქართველოში, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების არანაშუად თავისუფალ გარემოში ჩატარებით გადადგა ნაბიჯი დემოკრატიული პრინციპების მყარი დაცვისაკენ, ქვეყნის შენებისაკენ. ვისურვებდი, უახლოეს მომავალში, ყველა სამშობლოში დაბრუნების მსურველ ქართველს საკუთარ ქვეყანაში ჰქონდეს ცხოვრებისა და



მოღვაწეობის ღირსეული პირობები. **მინდა იცოდეთ, რომ თქვენი მაშული აქ გელით.**

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ღირსესანიშნავ თარიღს, ვისურვებთ მხნეობას, უწყვეტ წარმატებას და კეთილდღეობას.

პატივისცემით  
**კონსტანტინე სურგულაძე,**  
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში



**დიანა ქლენტი,**  
გენერალური კონსული ნიუ-იორკში

მოხარული ვარ, რომ მეძღვევა ბრწვინვალე საშუალება, რომ მადლობა გითხრათ უღამაზესს საიუბილეო საღამოზე მოწვევისათვის და აქვე მოგილოცოთ ჭკმძარტად ქართული ჟურნალ „მაშულის“ ათი წლის იუბილე.

გულწრფელად მეამაყება, რომ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ არსებობენ ადამიანები, რომელთათვის სამშობლოს, მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემა უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს. სწორედ, ამის მაგალითი ბრძანდებით თქვენ და ყველა ის ადამიანი, ვინც თქვენთან ერთად ქმნის, აღვივებს და ინარჩუნებს ქართულ სულსა და სიტყვას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჟურნალი „მაშული“ - ეს არის სულიერი საზრდო და უწყვეტი ძაფი სამშობლოსთან ამერიკაში მცხოვრები ქართველთათვის, არათუ მარტო ძაფი, ალბათ მძლავრი სიდიც.

მიიღეთ ჩემი მოლოცვა, თანადგომისა და მუდმივი მხარდაჭერის სურვილთან ერთად. ჩვენ იქ ვართ, სადაც სამშობლოს ვჭირდებით.



„წმინდანებსაც ჰქონდათ წარსული და ცოდვილთაც აქეთ მომავალი“. გონივრული ანდაზა

# სხვოქობაჲს ჰუას-ჲსბნაის რაინსაჲს!

**არაერთხელ** ითქვა და დაიწერა, რომ ქართველები უცნაური ხალხი ვართ, რომ წინასწარ ვერ გათვლი მათ მოქმედებასა და აზროვნებას. ახლა მხოლოდ ერთ პიკანტურ თემას შევეხებით, რომელიც ესოდენ მტკივნეულია ნებისმიერი ქართველისათვის და, რა თქმა უნდა, ჩემთვისაც - ეს არის რელიგიური ცნობიერება და მისი ზეგავლენა თანამედროვეობაზე.

უდავო ფაქტია, ჩვენში ქრისტიანობამ ისე გაიშალა ფესვები, რომ ძირეულად შეცვალა ქართველთა ეროვნული ზნე, მისი მსოფმხედველობა. ქრისტიანობა, და მაინც მართლმადიდებლობა და ქართველობა განუყოფელი გახდა ჩვენი მარადი მოძრაობისა, ცხოვრების არსიც ამ ფუნდამენტურ ცნებებში ჩაისვეტა.

გვყავდა წმიდა მოწამეები, სასიქადულო მღვდელმთავრები, სანაქებო სამღვდლეობა, რომლითაც ნებისმიერი ერი სამართლიანად იამაყებდა. ამ მხრივ მართლაც საამაყო ბევრი გვაქვს და ჩვენც ოღონდ თავსაქებარი ივიპოვით და სათქმელს არ ვაკლებთ. ეს თვისება ტრადიციად ჩამოყალიბდა. ტრადიციის გაგება და აღქმა კი უცნაური ფორმით ვიცით - ჩვენი შემართებით ვუტოლდებით საშუალო საუკუნეების დროინდელ რელიგიური გრძობებით დაავადებულ ფანატიკოსებს. უამრავი მაგალითი გვაქვს საკაცობრიო ისტორიიდან, ქრისტეს სახელით თუ რა ანტიქრისტიანულ დანაშაულებებს სჩადიოდნენ ფანატიკოსი მორწმუნეები, ცოდვაში რომ ინთქმებოდა

მთელი ეპოქის მენტალიტეტი.

ომები ხომ თავისი არსით სასტიკი ფენომენია, მაგრამ ომთა შორის ყველაზე დაუნდობელი რელიგიური ომებია. თუ სახელმწიფოთშორის და შინაურ ომებში მებრძოლს რაღაც შინაგანი ზნეობა აკავებს, რელიგიურ ომებში ღმერთისთვის ღმერთის სახელით მოწინააღმდეგის, ანუ მტრის, იგივე ურწმუნოს განადგურება საღვთო საქმედ ითვლება და მეომარს ასეთი მტრის მოკვლისთვის გარანტირებული აქვს სამოთხე. იგი ყველანაირ ადამიანურ გრძობებს ახშობს საკუთარ თავში, რათა საწადელს მიაღწიოს. მის წინაშე დგას არა მტერი, ან მოწინააღმდეგე, არამედ ღვთის მემობელი, ეშმა, დემონი, ქრისტიანისთვის ქრისტეს სისხლის მსმელი, მუსლიმანისთვის მუჰამედის მცნებების უარყოფელი და შემარცხენელი.

რა თქმა უნდა ეს მაგალითები შორს წაგვიყვანს, ისტორიის ბნელ ჭაობში ჩავეფლობით და ძირითად სათქმელს ავცდებით. ჩვენში სადღეისოდ ჩამოყალიბდა სწორედ ჯვაროსან მეომართა ტიპაჟისმაგვარი „პომოსი“. მთავარია მოძღვარმა მიგვითითოს და, ყველანი თუ არა, მრველის აბსოლუტური უმრავლესობა მზადაა ჩაქოლოს ყველა და ყველაფერი განურჩევლად, გაუაზრებლად.

ასეთი მაგალითებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრია - თუნდაც ბასილი მკალავიშვილის სექტად ჩამოყალიბებული მრევლი ავიღოთ (სექტას ვამბობ და იმიტომ ვიხსენიებ მორწმუნეთა ამ მცირე ნაწილს

ამ სიტყვით, რომ ლოცვების დროს ისინი არ მოიხსენიებდნენ პატრიარქს. კარგია თუ ცუდი, დიდი სჯულის კანონის მიხედვით ეკლესიის მეთაური უნდა მოიხსენიო ლოცვაში, სხვაფრთვ ეკლესიას აყენებ უმართავ მღვდმარეობაში. ასეთი საქციელი კი მწვალებლური სექტის ტოლ-ფასი მოღვაწეობაა), თუნდაც მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ექსტრემისტული კასტა იყოს, რომლებმაც სწორედ რელიგიურ ნიადაგზე მოაწყვეს უამრავი რბევა და აუტო-დაფე. თან ახლახანს რუხი კარდინალივით „ამობრწყინდა“ პატრიარქის ქორეფისკოფოსი მეუფე იაკობი, რომელმაც თავისი აგრესიული ქდაგებითა და მუქარებით დაგვამახსოვრა თავი. საზოგადოების რაღაც ნაწილი შოკში ჩავარდა ამ ქდაგება-ანათემის მოსმენის შემდეგ და ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადახედეს და ჩახარეს თავები.

თუქცადა, არაერთი ღირსეული მღვდელმთმსახური ღიად და დაუფარავად ამხელდა საპატრიარქოში, წმიდა სინოდსა და სხვადასხვა ეპარქიებში ჩაბუდებულ მანკიერებას. ეკლესიის ავტორიტეტი ხალხში იმდენად დაიდა, რომ ეს მხილებანი ყოველთვის დარჩნენ „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა,“ ბევრი მათგანი განკვეთეს კიდეც.

შეგიძლია ებრძოლო იდეოლოგიებს, სექსუალურ უმცირესობებს, მკერებელობის დამწერ მწერლუკებს, მაგრამ ეს ბრძოლა არ უნდა გასცდეს სიტყვას. როდესაც ბასილი მკალავიშვილი ჯვარს იქნევდა აქეთ და იქით, თავი წმიდა ნიკოლოზ მირონლუკიის მთავარეპისკოპოსი ეგონა, თავის გასასამართლებლადაც ამას ამბობდა:

„წმიდა ნიკოლოზ-სასწაულმოქმედიც ხომ ასე აკეთებდაო!“

აი, ეს უკვე მკრეხელობაცაა და ამპარტავნობაც.

ამპარტავანი და მკრეხელი -

ვინც ეკლესიას უმთავროდ ტოვებს და თავის ლოცვებში არ იხსენიებს, რა შეიძლება ვუწოდოთ, თუ არა სექტა და სექტის მეთაური. ამის გამო საეკლესიო და საერო კანონმდებლობამაც სრულიად დამსახურებული სასჯელები გამოუტანა ბასილი მკალავიშვილს - ეკლესიამ განკვეთა, ხოლო სამართალდამცველებმა დაპატიმრეს და მიუსჯეს რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა.

კარგი, ებრძვი იდეოლოგიებს, ებრძოლე, მაგრამ რატომ ასეთივე თავგამოდებით არ ებრძვი (ან ვერ ებრძვი) სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებს, თუნდაც სხვა სექტების წარმომადგენლებს. იქნებ მხო-

ლოდ იმიტომ, რომ ამ თავიანთი ქმედებით იელოველთა და მხოლოდ იელოველთა რეკლამირება სურთ ეკლესიის მესვეურებს. განა სხვა სექტები მოსახლეობას „ჭეშმარიტ“ ღმერთზე არ ესაუბრებიან?! მაგრამ ისეთ გამძაფრებულ რეაქციას, როგორც იელოველთა მიმართ აქვთ, ამ სექტების მიმართ არ გამოხატავენ.

ორთაბრძოლის ორთავე მხარეს ერთნაირად აგრესიული ბრმა ძალა მოქმედებს - ერთი თუ ფარულად და შემოპარვით, მეორე ვიქტორ იწვევს მოძღვრის მიერ დასახული მოწინააღმდეგის მიმართ. ლოზუნგი კი კარგად ნაცნობი ძველი სიტყვათშეთანხმებაა: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია.“

მტერს კი როგორ უნდა გაუსწორდნენ, ყველამ კარგად იცის. თვით ამ ლოზუნგის შემქმნელ კომუნისტებს ეს ფრაზები ისე ცხოვლად არ განუზოცრიელბიათ ცხოვრებაში, როგორც ამას ჩვენი ეკლესიის მესვეურები აკეთებენ. არადა, გულზე მჯიღებს ვიცემთ, ეს როგორი ტოლერანტი ერი ვართო. სადღეგრძელო სადღეგრძელოზე სვამენ და ნასიმურზე ერთმანეთს ისე დაამტვრევენ ცხვირ-პირს, უკან არც კი მოიხედავენ. თუ ერთმანეთს ასე ექცევიან, გარეშეს და უცხოს რაღას უზამენ?! ამათი შემხედვარე ფოია-ფოია ქართველი ხელს ნაზად, ქალურად გაიწვევს და „სვეტური“ ტონით იტყვის: „ამათმა უნდა თქვან ევროპელები ვართო?“

ჰმ! არავის არაფერი შეეშალოს!..

რასაც ევროპელი იკადრებს, იმ სისადაგლეს ქართველი არც კი მოიფიქრებს („ვერ“ კი არა, „არ“), ამიტომ რაც მანიკერებაა, ის კი არ უნდა გავაქილოთ, თუ არ შევეცდებით გამოსწორებას, გულთ მანც უნდა გვატკინოს ამ გარემოებაში.

სადღეგრძელოზე გამახსენდა: ჩვენ ის უცნაური ერი ვართ, რომელსაც შეუძლია ერთ დღეს ქუჩაში გამოვიდეს პატრიარქის გადამჩანნილი და გვერდით დუდაევის უვნებელი სურათებით და მეორე დღეს იმავე ხალხმა გულზე მჯიღების კვრით ყოველი სუფრის დასაწყისში მეორე თუ არა მესამე სადღეგრძელოდ ამავე პატრიარქის სადილებელი თქვას და გაეჯიბროს თანამეინახეებს მჭევრმეტყველებაში, თუ ვინ უფრო უკეთ შესასამს ხობტას მღვდელმთავარს. სადღეგრძელოებიც რომ გვერდზე გადავდოთ, თვით ცხოვრებაშიც პატრიარქის პერსონის ტოტალური გაკულტება წარმოებს. ეს ხდება ყველა საშუალებებით - ტელევიზიით, პრესით, ყოველდღიურობაში, ურთიერთსაუბრებში, ლამისა ცოცხალ მითად აქციონ ადამიანი. ერთის მხრივ, პატრიარქის სიყვარული და პატივისცემა ძალიან კარგია, მისასალმებელი და მისაბადი ქმედება ყველა მორწმუნე ერისთვის. ამას ჩვენი მრავალსაუკუნეობრივი სარწმუნე

ნობრივი ფაქტორი განაპირობებს. რაღაც შემთხვევაში უცნაურიც არაფერი იქნებოდა ამაში, რომ არა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ნიუანსი ქართული ბუნებისა. მაგრამ ვიდრემდე ამ კითხვაზე გავკვებ ვასუსს, მსურს ერთ პატარა ლეტალზე გავამახვილო ყურადღება: ილია II-მდე ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა ეკავა შვიდ მღვდელმთავარს. არც ერთს არ დაუმსახურებია იმდენი სიყვარული, იმდენი თავგანისცემა, რამდენიც ეს მოქმედ პატრიარქსა აქვს. ვითომ ისინი არ იყვნენ სიყვარულითა და პატივისცემის ღირსნი, თუ მაშინ ნაკლებ მორწმუნენი ვიყავით, ან კიდევ სხვა რამ? ვიღაც იტყვის, არც მათ აკლდათ ერის პატივისცემაო,

კი, მაგრამ ასეთი ისტერიული?!

ისტერიული... თორემ სხვას ვერ დავარქმევ ერის სადღესო მღვდელმთავარს. სადღეგრძელოებს ადრეც სვამდნენ, მაგრამ აზრად არავის მოსვლია კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს, ან კირიონის, ან ამბროსის, თუნდაც ეფრემისა თუ ქრისტეფორეს სადღეგრძელოები ეთქვათ. ეკლესიებში მაშინაც დადიოდნენ, მაგრამ თვით ვიწრო წრეშიც კი არ სვამდნენ გარდასულთა პატრიარქთა სადილებებს.

გულმოდგინებით კი სვამდნენ სტალინის სადღეგრძელოებს.

როდესაც სტალინის ფაქტორი უკანა პლანზე გადავიდა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიკავა მისი ადგილი ილია მეორემ. ეს უკანასკნელი კი სტალინის გაზურბებული სადღეგრძელოების დროსაც პატრიარქობდა. ცხრა პრილს, როდესაც პატრიარქმა თმაგალითო გმირობა ჩაიდინა და საკუთარი თავი საფრთხის ქვეშ დააყენა, ხალხმა მისი მოწოდება ფაქტიურად უგულველვყო იმ ეგვიდით, რომ ალექსანდრე ვაქცის დადებული, მეორე მიხეზად აქციის მოთავეებმა ესეც დაასახელეს: „მოლაღატედ გამოგაცხადებენო!“...

და ამას ეუბნებიან პატრიარქს, რომლის სადღეგრძელოებსაც გულზე მჯიღის კვრით სვამენ და ვინც არ დაცლის სასმისს, ეკვის თვალთ შეხედავენ:

„შენ იელოველი ხომ არ ხარო?“

ეს კი ისეთივე იარლიყად აქციეს, როგორც „ხალხის მტერი“, „ერეტიკოსი“, „ტროცკისტი“, „როიალისტი“ და სხვა, რომელთა მინიჭება სიკვდილით დასჯის ტოლ-ფასი იყო. კარგია, რომ ჩვენთან სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, ან იმ ბნელ ეპოქებში არ ვცხოვრობთ, მაგრამ, დახეთ, გვაბნელებენ!!!

ნუთუ ეს საზოგადოების ნორმალური მღვდელმთავარია? ვვინებ რომ არა. პრობლემა პატრიარქში კი არა, საზოგადოებაშია, რომელიც მიჩვეულია ვიღაც დაისახოს კულტად, ერის დამატყვევარი სტალინი იქნება

ეს, თუ ერის სულიერი მწყემსთ-მთავარი. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ პატრიარქისადმი ასეთი სიყვარული მემკვიდრეობით არ გადაეცემა ილია II-ის შემცველს. რა თქმა უნდა, ეს უმეტესწილად განპირობებულია პირადი დამსახურებით, მაგრამ გადამწყვეტი ეს მანც არ იქნება. ხალხი დაიწყებს ახალი მხსნელის ძებნას, რადგან ჩვენში მესიანიზმი სისხლძარღვებშია გაბრჯენილი. დაზუსტებით ვერ ვიტყვი, ეკლესიაში დაუწყებენ ძებნას, პოლიტიკურ ბირჟაზე, თუ კიდევ სხვაგან. ერთი კი უდავოა და მეც ამას ვეთანხმები, ქართველი რომ ვარ, მითომ -

ჩვენ გვესაჭიროება ვიღაც, ვისაც სრულიად მივანდობთ ჩვენს ბედ-იბაღს, ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედებს, ჩვენს ოცნებებს, მერე შეგაჩერდებით მას და ვიქნებით კმაყოფილები იმის მოლოდინში, რომ ეს ერის რჩეული

ციდან მანანებს ჩამოყრის, დაგვირიგებს დოლარებს, გაგვამდიდრებს, მოგვიხნავს და მოგვითესავს, მოიმკის და პირში ჩაგვიდებს (ჩვენ ოლონდ პირის გაღება არ დაგვეზაროს), ივერიას გააბრწყინებს, გაავშლის ნიკოფსიდან დარუბანდამდის. საამისოდ ჩვენ მხოლოდ ლოლნი გვევლება და მესიიდან მესამდე ფერად-ფერადი სიზმრების სიზმრობა.

ილია II ამ მხრივ ტრაგიკული ფიგურაა... იგი მასის ახირების მსხვერპლია და სხვა არაფერი. მასა კი ჭრელაა ისეთივე, როგორც სქესლობზე უმცირესობათა დროშა. ქართულ საზოგადოებაში მრავლად მოიძებნება არასამთავრობო ორგანიზაციების სახით ათეისტური მისწრაფებების ადამიანები, რომლებიც გულმოდგინედ ებრძვიან არა მხოლოდ რელიგიას, არამედ თვით ეროვნულობასაც, და ამას შეფარვით აკეთებენ, დემოკრატიისა და გლობალიზაციის ნიღბით. ინსტრუქციებიც მრავლად მოსდით ევროპული და ამერიკული მსოფლიო ორგანიზაციებისაგან. მთავრობები კი ამის მიმართ ლოიალურნი არიან და ყოველთვის ერთ საზიანო პოლიტიკას ეწევიან. ამ მხრივ მათთვის არ არსებობს მწვადისა და შამფურის პრინციპი.

ითხოვენ,

ისინიც ბრმად ემორჩილებიან,

თუ ეს მათ პირად ინტერესებთან შეუთავსებელი არაა. სხვაფერად გადამწილებული აქვთ გავლენის სფეროები -

ერთმა იცის რეკომენდაციები რა სფეროში და რა ფარგლებში გასცეს, რათა შესრულებული იყოს უკლებლივ ყველაფერი, მეორემაც იცის რა სფეროებია მათ

სრულ განკარგვაში.

რელიგია და საეკლესიო პოლიტიკა ყოველთვის გადის მათ ინტერესთა სფეროს საზღვრად. აქამომდე საპატრიარქო მაინც ართმევს თავს ნებისმიერ მთავრობასთან კეთილ ურთიერთობას, მოგვწონს ეს ჩვენ თუ არა. ეს არის სწორედ ის ერთი საფუძველთაგანი ავტოკეფალურობისა და დაცულობისა გარეშე მტერთაგან. ვინ, თუ არა საბოლოო ჯამში მთავრობამ უნდა დაიცვას დედა ეკლესია. ეს პოლიტიკური ლავირებაა და ამაში სრულად ვემხრობი როგორც საეკლესიო, ასევე საერო იერარქიას.

საკმარისია რადიკალურად შეიცვალოს პოლიტიკური ამინდი ქვეყანაში, იცვლება ეკლესიის მამათა პოზიციები ხელისუფლებებთან მიმართებაში. ერთის სიტყვით, არა მარტო პატრიარქი, არამედ წმიდა სინოდიც და ეპარქიებიც აქტიურად არიან ჩართულნი ამ პოლიტიკურ თამაშებში, მაგრამ ამას აშკარად არ აჩენენ. ზვიადის დროს „ვილაცის“ არაოფიციალური ნებართვით ქაშვეთის ტაძრიდან ქვემეხები დასცხეს ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას და ქვეყანაში გაძეფდა სრული ქაოსი; შევარდნაძის გადაგდების წინა დღეს პარლამენტის გახსნას არ დაესწრო არც ერთი მღვდელმსახური, მაშინ, როცა პარლამენტში შევარდა „რევოლუცია“. შევარდნაძის გადადგომის მხოლოდ მეორე დღეს პატრიარქი ეწვია თავის ნათლულს და მოუწონა საქციელი გადადგომის შესახებ; 2012 წლის არჩევნებში კი სამღვდლოება აშკარად გამოდიოდა სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ და ლამის იყო აქტიურად უქადაგებდნენ მღვდლები მრევლს „ოცნებისტების“ სასარგებლოდ. ესე იგი ეკლესიისთვის არ არსებობს მარადი ღირებულებები. როცა ამქვეყნიურ ტკობათათვის „ძლიერნი ამა სოფლისანი“ პირადი ინტერესებისთვის იყენებენ ეკლესიის ავტორიტეტს და ამას სამღვდლოების ნაწილი უდრტვინველად ეგუება, რაში გამოიხატება მაშინ ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობა და თავისუფლება?

**სავლეს პავლედ  
ქცვიის დიღემა**

იძულება არ იყო პატრიარქ ამბროსიის დაპატიმრება და გასამართლება?!

იძულებას არ განიცდიდა პატრიარქი კალისტრატე მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში? მაგრამ მათ გამოაზარეს ეკლესია უვნებლად იმ უღმერთოების წლებში.

იძულებას და წნეხს არ განიცდიდა პატრიარქი ვერეში, როდესაც ეკლესიის წიაღში შეიფარა დისიდენტურად მოაზროვნე ახალგაზრდობა?!



**პატრიარქი ეფრემი და  
მიტროპოლიტი ილია**

რა თქმა უნდა, სუკის გარეშე, „დაუვერობაკებლად“ სამღვდლო პირი ვერ მოხვდებოდა საეკლესიო იერარქიის ზედა ეშელონებში. გახსოვთ, უკრაინის პატრიარქის გმირული აღიარება ზომ? ასე იყო თითქმის მთელი საბჭოეთის არსებობის განმავლობაში. ამ დოკუმენტებით ახლა სპეკულირება უხნეობა და სხვა არაფერი. მაგრამ...

როდესაც ჩვენ ვიცით ის, რომ სავლე პავლედ იქცა, ამით გვსურს და მოწადინებული ვართ ყველაში, ვინც სავლედ მიგვაჩნია, ვეძებთ პავლედ. ეს არის და ეს. უფაღმა სავლეს პავლედ გადაქცევის უბადლო მაგალითი მოგვცა, მართალია, მაგრამ ამით ღმერთმა ისიც დაგვანახა, რომ

თუ სავლეში თავდაპირველად პავლე არ იყო, თუ თესლი მყარ ნიადაგზე ვერ მოხვდა, სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს, ანუ სავლე პავლედ ვერ იქცევა.

„რად მღეენი, სავლეო?“ - ღვთის ეს

სიტყვა სიბრალულია სავლეს პირველადი კეთილშობილების წახდენის გამო. რომ არ ყოფილიყო სავლე თავდაპირველადვე პავლე, ქრისტე მას არ მიმართავდა ისევე, როგორც არ მიუმართავს კაიაფასთვის, ჰეროდესთვის, იმათში არასოდეს ყოფილა პავლე, და მიტომ.

ეს სტატია სულაც არ ისახავს მიზნად მხილებას და ამით თავმოწონებას, ესაოდა როგორი გამბედავი ვარო, ჩემი მიზანია სავლეში პავლეს ძიება, რათა შევიყვარო სავლე ღვთის მოწოდებამდეც და ღვთის მოწოდების შემდეგაც.

დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე დაგმო ქვაბ-ავაზაკები და განკვეთა ისინი ეკლესიიდან. დღეს იმასაც აზიზობენ, რომ საჭიროა ახალი რუის-ურბნისიო.

მე სხვანაირად დავსვამდი საკითხს: მასისთვის მისაღება ისეთი ყოფა, როცა ყოველი საერთო საცხოვრებლის ეზოში

ტადრებს აშენებენ (ეკლესიის შენება ცუდი როდია, მაგრამ ჩვენ ზომა-წონა არც ამ საქმეში ვიცით). ტაძარი ბიზნესის წყაროდ აქცია ბევრმა მღვდელმა, რაღაც ინდულგენციის მაგვარია მრევლისთვის ტოტალური ტაძართმშენებლობაში ჩართვა. ვიღაც ფულს აბანდებს ამ „საქმეში“, რათა აქლემი გააძვიროს ნემსის ყუნწში და თვითონ შეძვრეს სამოთხეში. ამის პირველი მაგალითები კანონიერმა ქურდებმა მოგვცეს, ახლა გაბიზნესმენებულმა თაღლითებმა აი-ცაცეს ესტაფეტა. აი, ესაა ანომალია, თორემ ზოგადად ტაძრის შენება კი არა.

ეკლესიები ყოველი ღობის ძირში არ შენდებოდა. დავაკვირდეთ და ვისწავლოთ ტაძართა შენების კულტურა და მერე მოვიკიდოთ ამ საქმეს ხელი. ვიდრემდე ახალ რუის-ურბნისს მოვითხოვთ, რათა განვაქიქოთ ჩვენი სამღვდლოება და ამით საკუთარი პატივმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ, „უი, ესენი ჩვენზე უარესები ყოფილანო,“ პირველყოვლისა ეს „რუის-ურბნისი“ საკუთარ თავს უნდა მოუწყოთ ყველამ ცალცალკე და ერთობლივად და მერე მოვითხოვოთ სხვათა განსჯა. დავით აღმაშენებელმა სუფთა ხელებითა და სპეტაკი გულით მოაწყო ეკლესიის წმენდა ქვაბ-ავაზაკითაგან. მას ეს კი არ უხაროდა, არამედ სული ეწვოდა გენას ცეცხლით, ამის შედეგი იყო სწორედ „გალობანი სინანულიანი.“ კარგად თუ წავიკითხავთ ან ნაწარმოებს,

გავიგებთ,  
კარგად გავიგებთ  
როდის,  
როგორ,  
რა ვითარებაში და  
რა მდგომარეობაში მყოფმა უნდა მოითხოვო ასეთი რამ.

ერი ჯერ არ არის მზად რუის-ურბნისისთვის. მან უნდა განაგდოს საკუთარ თავში მანკიერება პირველყოვლისა. იგი არ აძლევს საშუალებას სავლედ ქცეულ სამღვდლოებას საკუთარ თავში პავლე ეძებოს. გაშუღმებით ჰქმნის საეკლესიო პირთაგან კერპს. ამით არღვევს უფლის პირველ ორ მცნებას ერთდროულად და არღვევინებს ღვთის მსახურთაც („მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყენენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარემე“; „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუე-შე ქუეყანისა: არა თაყვანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ“). მერე მოდგებიან და დაიწყებენ ძვირების თქმას ამა თუ იმ მღვდელზე და საკუთარ დანაშაულს მათ წინაშე ვერ დაინახავენ, თუ ვინ აქცია ისინი ქვაბ-ავაზაკებად, ასერივად რომ მიისწრაფიან მათ განსაქიქებლად.

რუის-ურბნისისთვის დრო ყოველთვი-საა, მაგრამ პირველად თვითგვემით უნდა დავიწყოთ მორწმუნეებმა და არა სხვისი გამათრახებით. ამის შემდეგ ექნება ახალ რუის-ურბნისს ლეგიტიმაცია და სასურველი შედეგი.

ვიდრემდე ჩვენ არ დავანებებთ თავს წამხელური სადღეგრძელოების თქმას და ამით მავანთა თვალში ნაცრის შეყვას,

ვიდრემდე ჩვენ არ ვისწავლით ეკლესიათა შენების კულტურას და ადრე აშენებულთა დაცვას,

ვიდრემდე ჩვენ არ დავანებებთ თავს ცოდვილთა ჩაქოლვას მანამ, სანამ თავად არ გავხდებით უცოდველნი,

ივერია ვერ გაბრწყინდება.

აბა, შევხედოთ და ვთქვათ, ქუჩებში ტაბურეტკებით მორბენალი მღვდლები მი-აღწევენ ერის სულიერ განსპეტაკებას? ან ერი, რომელიც „იმ“ ქორეფისკოფოსის ქდაგებაზე არ შემოწუნდება და მასში ვერ დაინახავს მორწმუნე მრევლის ინდივიდუუმის შეურაცხყოფას, რუის-ურბნისის კრების სიმაღლემდე ვერასოდეს ამაღ-ლებოდა.

მე არ ვამბობ:  
ეს კარგია,  
ან ეს ცუდია,  
მე მსაჯული არა ვარ.

მე მხოლოდ არსებულ რეალობას ვაფა-სებ, არც არავის ვებრძვი და არც არავის ვიწვევ საბრძოლველად.

იმისათვის, რომ სავლედ პავლედ იქცეს, საჭიროა სიბრძნისაგან განკურნება - „ვი-საც თვალი აქვს, შეხედოს, ვისაც ყური აქვს, ისმინოს“... განკურნებული თავად ჩავარდება სინანულში, სინანული კი სხვა არაფერია, თუ არა რუის-ურბნისი. მერე ყველაფერი იოლი იქნება, დაინახო შენი თავიც და სხვაც. იმ სხვას განკითხვას კი არ მოუწყობ, არამედ ამხელ და ამხელ არა სინარულითა და გულზე მჯიდის კვრით, არამედ სინანულით, რადგან შენში მაშინ შემოვა უფალი და მისი ხმის ტონა-ლობით გათქმევენებს: „სავლე, რატომ მღვნი მეო?“ იმ „მე“-ში ღმერთთან თანაზიარი იქნები და აუხელ მოყვას თვალს, კი არ განაგდებ, ახლოს მიიზიდავ, რათა ეშმაკე-ულმა აღარაფერი ავნოს.

სწორედ ასეთი მოძღვრები მინდა იყოს ივერიის სამოციქულო მართლმადიდებ-ლურ ეკლესიაში.

ამის შემდეგ განსადგენიც არავინ იქნება, რადგან პურის თავთავებთან სარეველას ადგილი არ ექნება. გულიდან განავადებთ ექსტრემისტულ მისწრაფებებს საკუთარ რწმენაში და მრწამსის ეს მუხლი

„...და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდმო-ბილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათ-

ლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რო-მელი ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვე-ნისა ცხოვრებისათვის გარდამოხ-და ზეცით და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამი-საგან ქალწულისა, და განკაცნა. და ჯუარს ეცუა ჩუენთვის პონტო-ელისა პილატეს ზე, და ივნო, და დაეფლა, და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერებისა და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯუ-ენით მამისა. და კუალად მომავალ არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრული...“

გახდება არა დასაზებირებელი ტექ-სტი, არამედ მართლაც მრწამსი და ცხოვ-რების კრედი. ჩვენ ჯერ კიდევ ძველ აღ-თქმაში ვცხოვრობთ - „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“ - მაშინ, როცა განკაცებულმა უფალმა მოგვცა მაგა-ლითი მტრეთან ბრძოლისა და მოწინა-აღმდეგეთა შევრდომისა, როგორც ამას ითხოვს ღვთიური სათნოება და თუნდაც მებრძოლი ქრისტიანობა.

### ანომალიათა პასკალი

კიდევ ერთ ღეტალს მინდა შევეხო, რომელიც ოფიციალურად არ ხმაურდება, მაგრამ კულუარებდნან ჭორების დონეზე მაინც გამოდის სამზელოზე. თუმცადა, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ შეიქმნას

მცდარი,  
არასწორი,  
მრუდე  
საზოგადოებრივი აზრი -  
ესაა პატრიარქზე ზეწოლა,  
ვისგან,  
როგორ,  
რა ვითარებაში,

ამის შესახებ, ვისაც არ ეზარება, რა თქმა უნდა, გამოქუბულად საუბრობს ყველ-გან. ასახელებენ პიროვნებებსაც (ზოგი მათგანი უკვე პოლიტიკური ლეშია, ზოგიც პოლიტიკურ ლეშად გამზადებული) - თო-ფურიძეო, უგულავაო, ბოკერიაო და მისთა-ნანი. ვინ როგორ აფერადებს ამ ამბებს, მათ ნაშუსზე იყოს:

ესაო-და, ხელით შეეხენ პატრიარქსაო,  
არა, ხელით უნდოდათ შეხება, მაგრამ  
დაცვა გადაეფარაო,  
სულაც მოწამვლა სურდათ და ვერ  
კი მოახერხესო.

ამიტომ წაიყვანეს გერმანიაში სამკურ-ნალოდო, თორემ სამკურნალო არაფერი სჭირდა რაო.

დააუძლოურესო.

ამით უნდათ წარმოაჩინონ პოლიტი-



კური პორტრეტი მოძალადეთა, თუ როგორ ესწმინდა თავს, რომ არაფერი ვთქვათ კათალიკოს-პატრიარქზე, მოხუცებულზე, როგორ მიიწვევენ მისკენ ხელდახელ, რათა გამოხსნა მას საჭირო და სასურველი ქადაგება.

ამ სცენარის ავტორი, რბილად რომ ვთქვათ, უჭკუაო და ბეცია. ის, მართალია, ცდილობს დახატოს მეფისტოფელის სურათი, მაგრამ იგი მე მიჩვენებს ჩემს პატრიარქსაც ისეთს, როგორი პორტრეტიც არაა სასურველი არც ჩემთვის და არც ნებისმიერი გულშემოტყვივისთვის, რომელსაც უყვარს ჩვენი უწმინდესი; ქრისტეანი ერისთვის დიდი დარტყმაა, როცა ისმენს სიბინძურეს, ნებისმიერი ვიგინდარა თუ როგორ უბედავს ქვეყნის ყველაზე სათაყვანო და ავტორიტეტულ ადამიანს იმას, რასაც უნდა.

ერთი რამ უდავო და ჭეშმარიტია – იმ მოძალადეებს, თუ ასეთები არიან, „სამანტაჟე“ მასალას საუკეთესოდ იყენებენ. ამიტომაც ასე ანომალიურად რომ გაფუყეს პატრიარქის ავტორიტეტი - სიმალლიდან დაეცმა უფრო მტკივნეულია და დამანგრეველი, ვიდრე მიწასთან ახლოს მყოფისა.

ადრე განაწყნებულებს (უძთავრესად მხედველობაში მყავს ზვიადისტების და სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დევნილობაში აღმოჩენილი ადამიანები) მიაფიყეს ძველი წყნა, ქვეყანაში ერთგვარი რეიტინგებით მანიპულაცია და მასების ჰინოზირება წარმოებს. ყველას შეიძლება დაუვარდეს რეიტინგი, ილია მეორის გარდა და ეს მაშინ, როცა მასაც ჰყავს ალმაცერად მომზირალნი - როგორც სამღვდლო, ასევე საერო წარმომადგენლებში.

ამ ბოლო პერიოდში გამოჩნდა, უფრო სწორედ ჟურნალისტებმა გამოაჩინეს უტყვე ბერი, რომელიც დაღუპდა ილია II-ის აღსაყდრების დღიდან და დღემდე ხმას არ იღებს. ენები იმასაც ამბობენ, რომ პატრიარქად სწორედ ის უნდა ყოფილიყო;

ამბობენ, სადაც გაუჩინარდა პატრიარქ დავითის ანდერძით, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო პატრიარქის შემკვიდრეო. ერთის სიტყვით, კრიმინალური შეფერვილობა მიიღო ამ „აღმოჩენამ“, ლამის არის პატრიარქი დავითი მოკლულად, ან მოწამლულად გამოაცხადონ. ამ ამბის გაგრძელებაა ის, რომ თითქოს XII საეკლესიო კრების 1977 წლის 23 დეკემბრის არჩევნები გააყალბესო. ესე იგი ავის მსურველები ილია მეორესაც ჰყოლია. საქმეში ჩახედულები და სხვის თვალში ბეწვის მაძიებელნი ერთი ხანი ჩვენს პატრიარქს აყვედრიდნენ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტობას და ეს გაგრძელდა მანამ, სანამ ქართულმა ეკლესიამ უარი არ თქვა ეკუნიუმურ ეკლესიასთან შერწყმასზე. თუმცა ვიღაც-ვიღაცეები მაინც არ ისვენებდნენ:

მამხილებელი ეპისტოლეები იგზავნებო-

და საპატრიარქოში ილია II-ის სახელზე, ავტორები ამხელდნენ ეკლესიაში მოკალათებულ მამამთავლებს, მოჰყავდათ მრავალი მაგალითი როგორც სასულიერო სემინარიიდან, ასევე სხვადასხვა ეპარქიებიდან. ავტორები კი იყენებდნენ არც მუტი, არც ნაკლები ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები. სახელდებოდა ამ წერილებში კონკრეტული გვარები და თხოვდნენ კათალიკოს-პატრიარქს ისინი განეკვეთა ეკლესიიდან, ან სულაც მოეშორებინა საზოგადოების თვალსაწიერიდან.

მხილებულთაგან არც ერთი დასჯილა, არც ერთი მათგანი არ ჩამოქვეითებულა საეკლესიო იერარქიის საფეხურიდან და თუ ვინმე იმათგანი ცოცხალია, დღესაც განაგრძობს მიხრწნილებში სასულიერო მოღვაწეობას.

ანუ ქმედებითი ნაბიჯები – რეაგირება არ მოჰყოლია ამ მხილებებს.

პირიქით, მამხილებელთაგან ზოგი იმიერში გაისტუმრეს, ზოგიც კი განდევნეს ეკლესიიდან.

ასე იყო ნიკორწმინდელი მიტროპოლიტ ამბროსის (ქათამაძის) შემთხვევაშიც. მას ზვიადისტობის იარაღით აიძულეს დაეტოვებინა საქართველო, ხოლო პრეზიდენტის საქართველოში გადმოსვენებისას კურთხევა მისცეს დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც სულ მალე აღესრულა კიდევ. ასევე იყო ილორის წმინდა გიორგის ტაძრის მოძღვარი მამა მირიანი (ჩალაბაშვილი), რომელიც ქუთაისში საეკვო ვითარებაში საკუთარ სახლში გაზით გაგუდული იპოვეს, მისი შვილთან და რძალთან ერთად. მას ბევრი სიბინძურე დასწამეს, რომლის განმეორებაც კი სირცხვილია. ჩამოსათვლელი გამრუდებული ბიოგრაფია ბევრია. ღრმად დარწმუნებული ვარ ამ მამხილებელი წერილებიდან არცერთი მიუვიდოდა პატრიარქს, თორემ ახლა ჩვენ სხვა რეალობა გვექნებოდა.

ყველაფერთან ერთად ერთი ტრაგიკომიკური სიტუაცია მოხდა საქართველოში, რომლის შესახებაც ყველას რცხვენია საუბარი:

საეროსაც,  
სასულიეროსაც,  
მთავრობასაც და  
ოპოზიციასაც.

2008 წელი გუგუნებდა საქართველოში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. საჭირო იყო ხალხის დაოკება, ომი ზღურბლთან იდგა, მტერი კბილებს იღესავდა. ჰოდა, ამ აბობქრებულ მასას ქვეყანა რომ არ წაეღეკა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ერთი გასაოცარი გამოსავალი შესთავაზა: იგი გამოვიდა კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის იდეით.

ეს გავემბეზული ხალხი თითქოს ერთბაშად მოწყდა და მოითენთა. სკამების მაძი-

ებლებმა დაიწყეს მონარქიის რელსებზე გადასვლა, იქამდე, საპრეზიდენტო კანდიდატი მზად იყო რამდენიმე თვეში გადამდგარიყო თანამდებობიდან. კოვზი ჩაუვარდათ ნაცარში რესპუბლიკელებს, მაგრამ მათაც ნახეს სარგებელი პატრიარქის მოწოდებაში. მათ ფარად აიფარეს უწმინდესი პრეზიდენტობის ინსტიტუტის გასაუქმებლად. „აღდგენაო“, თქვა პატრიარქმა და ნებსით თუ უნებლიეთ დაუშვა შეცდომა:

რაც არასოდეს ყოფილა, იმისი აღდგენა შეუძლებელია. ქართველი მეფეები არასოდეს ყოფილან შეზღუდულნი რაიმითი, ან ვინმითი, არცერთ დროს, არცერთ ეპოქაში. ყველაზე სუსტი მეფეც კი უფლებრივად აბსოლუტური მონარქი იყო. თვით ევროპელ მონარქებსაც კი შემორდებოდათ ქართველი მეფეების თავისუფლება მოქმედებაში, არეალიც განუსაზღვრელი ჰქონდა თავ-თავიანთ ტერიტორიაზე. იყო რაღაც პარლამენტისმაგვარი - სამეფო დარბაზი იქნებოდა ეს, თუ კარი, თუ კიდევ რაღაც სხვა მისთანა, მაგრამ მათ ჰქონდათ არა საკანონმდებლო უფლებები, არამედ მრჩევის ჩარჩოებში იყვნენ მოქცეულნი, სამეფოს კი მეფე და უზუცესნი (სახლთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი, მოლარეთუხუცესი და მისთ. თუ მინისტრები) განაგებდნენ. და ეს დაიწყო ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებიდან, გაგრძელდა უწყვეტად ზაქაქაძის გიორგიმდე და დასრულდა რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოების გაუქმებით და ქვეყნის ეტაპობრივი ანექსიით.

ეს უფლებები მეტ-ნაკლებად იცვლებოდა დროებსა და შეფარდებაში, მაგრამ პრინციპი აბსოლუტიზმისა ოდნავადაც არ შეუსუსტებულა. ამას იცავდა დიდი და პატარაც. მხოლოდ ერთხელ შეეცადა ყუთლუ-არსლანის დასი შეესუსტებინა მეფის უფლებები და გაეძლიერებინა კარავი (ანუ პარლამენტი), მაგრამ ერმა მტკიცე უარი უთხრა ამ „რეფორმატორს“ და მეფედ და პატრიარქად ისევ თამარი დასახეს. ბაგრატიონთა სრული ჰეგემონია მხოლოდ რუსეთმა შეწყვიტა, რამაც გამოიწვია სამეფო გვარის დეგრადაცია. ტახტზე პრეტენზიის გამოსათქმელად მათი დიფერენციაცია რუსეთმა მარტივად მოახდინა, დაყო რა ეს გვარი სამ განშტოებად: ბაგრატიონ-გრუზინსკებად (ანუ ქართლ-კახეთის შტო), ბაგრატიონ-მუხრანსკებად (ანუ მუხრანული შტო) და ბაგრატიონ-იმერეტინსკებად (ანუ იმერეთის შტო). ამ დიფერენციაციის პარალელურად მათ შორის არარსებული ტახტისთვის ისეთი შუღლი ჩამოაგდეს, რომ დღემდე გაუთავებლად დავობენ - საბას ძალღების იგავისა არ იყოს.

ეს პატრიარქმაც კარგად იცის და იმისათვის რომ გამოვიდეს ახალი ჰიბრიდი ბაგრატიონებისა, მუხრანსკი და გრუზინსკი

ბაგრატიონები ერთმანეთში დააქორწინა. ვილაც იმასაც იტყვის, ეს ხომ სისხლის აღრევააო - ბაგრატიონთა ერთმანეთში ქორწინებაო. განა გარდასულ საუკუნეებში არ ქორწინდებოდნენ ქართლის, იმერეთის, კახეთის ბაგრატიონები ერთმანეთში? ენა-კვიმატი კაცი მოჭრის სიტყვას:

„ჰოდა, სწორედ მაგვითმ ვეჭონდა აწობილი საქმეო...“

მაშინდელ დროში ურთიერთშორის ქორწინება გამოუვალი მდგომარეობით იყონაკარნახევი სახელმწიფოს გაერთიანებისათვის. როცა ძლიერები ვიყავით და ერთი სკიპტრა და გვირგვინი ვკაპატრონობდა, რძლებად ერთმანეთი კი არა, შემახიის დელოფლები, მონღოლთა ყანების ასულები, ბიზანტიელი პრინცესები, შაჰ-არმენთა და ყივჩაღთა მთავრის ასულები, სომეხთა მეფეების დები და ქალიშვილები და ოვსთა უფლისწულები მოგვკავდა ცოლებად და სიძეებად.

ახლა რა პოლიტიკური აქტი კი იყო მექალთანე დავითის ქორწილი.

დიდი ძალისხმევა ჩადო და იმედები დასახა პატრიარქმა, მაგრამ ყველაფერი რომელიღაც ავბედითმა ტელე-მოუმ და სექს-სიმბოლოდ მონათლულმა შორენა ბეგაშვილმა ხელის ერთი მოსმით დაამსხვრინა. იქნებ, ყველაფერი ეს წინასწარ დაგეგმილი იყო ანტიმონარქიული ძალების მიერ, მაგრამ იყო კი ასე აქტუალური და საშიში საპრეზიდენტო ტანტისათვის ეს უღიმღამო და ხალხში რეიტინგწაზღვნილი ბაგრატიონების საკითხი იმად, რომ ჩემი უწმინდესის, ჩემი უნეტარესის ეს შორსგამიხნული წადილი ასე რიგად გათელილიყო ფეხთ-ქვეშ?! განა კონსტიტუციური მონარქიის შექმნის (და არა აღდგენის) ყველანაირი პირობები არ იყო შექმნილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე, - სოლომონ მეორის ნეშტის გადმოსვენებაც ხომ დასტური იყო ამ იდეის მომწიფებისა.

მაშინ ეროვნული ფორუმი შეიკრიბა, ამ ფორუმში სხვებთან ერთად მონარქისტული პარტიაც იყო წარმოდგენილი, რომელიც იმხანად გამსახურდიას ფრთას მოემხრო და ფორუმი დაიშალა. კათოლიკოს-პატრიარქი მაშინ კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის მომხრე არ ყოფილა და ჭანჭურთა-წერეთლის ფრთას მიემხრო. ეს კი, ის ბნელი ძალა იყო, რომელიც საბჭოთა იმპერიის აგენტებიდან იმართებოდა, რომელმაც შემდგომში მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება და ინიციატორი გახდა სამოქალაქო დაპირისპირების დასაგლეჯთ საქართველოში.

უწმინდესმა ყველაზე გვიან და ყველაზე არასაჭირო დროს იქადაგა ბრძნული იდეა მონარქიზმისა. ბევრმა საკუთარ გვარში დაუწყო ძიება ბაგრატიონთა კვალს, ერთი



ასეთი სააკაშვილიც იყო და პირდაპირ და დაუფარავად თქვა, ბებია მყავდა ბაგრატიონით. ეს იმას ჰგავს - ილფ-პეტროვის „ოქროს ხბოს“ გმირებს, გამალებით რომ ჩნდებოდნენ კაპიტან (თუ ლეიტენანტ) შმიტის შვილებად გაურკვეველი წარმომავლობისა და რეპუტაციის ტიპაჟები. საქართველოს უახლეს წარსულში ყველაფერ ამას დაემატა პოლიტიკური ელფერი, ყველაფრიდან კი გამოვიდა „აჯაფსან-დალი“.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ პატრიარქის მიზანს ნამდვილად არ წარმოადგენდა მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარება, მაგრამ მას ხელიდან სადავეები გამოაცალეს, მან ვერ გაითვალისწინა სწორედ შორენა ბეგაშვილის და მისთანა ავანტიურისტების ფაქტორი, ვერც დავით „უფლისწულის“ ფსიქოლოგიური გაუწონასწორებლობა, ყველა იმედები რომ მასზე დაამყარა.

მე თავს დავდებ ნებისმიერი დინასტიის წინაშე, რომელიც თვითონ იბრძოლებს ტახტისთვის. ნაპოლეონისთვის იმპერატორობის გვირგვინი არავის მიურთმევია, ამისთვის მან იბრძოლა და მიაღწია კიდეც და შექმნა ბონაპარტა დინასტია. ასევე თვითონ მიაღწია იმპერატორობის ტიტულამდე საფრანგეთის პირველმა პრეზიდენტმა ლუი ნაპოლეონ ბონაპარტემ, ნაპოლეონ III-ის სახელწოდებით რომ შევიდა მსოფლიო ისტორიაში, ხოლო როგორი პრეზიდენტი და შემდეგ იმპერატორი

იყო, ეს სხვა საკითხია.

მე არ მინდა საქართველოს ისეთი მეფე, რომელიც ჩირვებში ზის და მისი ტახტისთვის სხვა იბრძვის, თუნდაც ეს პატრიარქი იყოს. საკმარისი იყო მისი უწმიდესობის განცხადება, რომ სად იყო და სად არა, იტალიიდან, თუ ესპანეთიდან ჩამოვიდნენ საქართველოში ევროპული აქცენტებით მოლაპარაკე სამეფოე კანდიდატები და ქველმოქმედებას მოჰყვეს ხელი, ესაო-და ვინძლო გავეფედო. ჩემს თვალში ასეთ მეფეებს ნულოვანი ლეგიტიმაცია აქვთ, რაგინდ მრავალრიცხოვანი მხარდაჭერა ჰქონდეთ ერში...

და ფინალი: შემადრწუნებელი იყო - დიდიდან პატარამდე ყველა დაღუძდა სირცხვილისაგან და ამის შემდეგ (აღბათ ერთხელ და სამუდამოდ) შეწყდა პოლემიკა და მსჯელობა სახელმწიფოს მონარქიულ წყობაზე.

## ლოცვა და ანათემა

არაფერს ვიტყვი 2013 წლის 17 მაისის მოვლენებზე, მხოლოდ ერთ საკითხს შევეხები - პირადად ჩემთვის ჰომოსექსუალიზმი ისეთივე მიუღებელია, როგორც ყველა ნორმალური ადამიანისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ქვა და კონიტი გამოვედგნო სექსუალურ უმცირესობებს. მე, როგორც პიროვნებას და მოქალაქეს გამაჩნია თმენის ვალდებულება. ქუჩაში რომ გავალ,

დღეს შეიძლება ჰომოფობიასთან მებ-

რძოლთა აქცია იყოს,

ზვალ იქნებ სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული მიტინგი,

ზვალ სულაც შეიძლება პოლიტიკური აქცია ჩატარდეს.

თუ ეს აქციები კანონს არ არღვევს და კანონიერების ჩარჩოშია მოქცეული, ყველას აქვს თავისი უფლების გამოხატვისა და წარმოჩინების უფლება. შეიძლება სულაც არ მომწონდეს ესა თუ ის მიტინგი და აქცია, ამისათვის აქციის მონაწილეებს ტაბურეტით უნდა გავაკვიროდ მხოლოდ იმისათვის, რომ „როცა დავდებები სირბილისგან, ზედ დავისვენო.“

სამწუხაროდ, ამ სამარცხვინო რბევის განმზარხველად უგუნურმა და სულსწრაფმა მღვდლებმა პატრიარქი აქციეს, ამცნო რა მრევლს თავისი განცხადება, როცა მოუწოდა ქალაქის მესვეურებს, თავი შეეკავებინათ დაგეგმილი მანიფესტაციის სანქცირებისგან. ხოლო რა მოხდა მომდევნო დღეს, მთელმა მსოფლიომ იხილა – გავეშებული მღვდლები ჭინჭრებითა და ტაბურეტებით ხელში. რწმენით შეიძლება ჩვენ ახლო მომავალში რწმენა მოუვუკლათ ორი-ათასწლოვან მორწმუნე ერს. ამდენი ქება-დიდებათ ჩვენი სასულიერო პირები თანდათან ამპარტავნებაში ჩავარდნენ. კარგად უნდა დავაკვირდეთ იმ კადრებს თუ რა სახეებით არღვევდნენ მღვდლები პოლიციის კარდონებსა და ჯუბირებს ვითომ მხოლოდ იმისთვის, რომ ბრბოს აგრესიისაგან დაეცვა სექსუალური უმცირესობა?!

ეს არ იყო მორწმუნე ერი.

ნეტა მაცოდინა „ის“ ქორეფისკოფოსი როგორ დაემუქრებოდა, ან დაემუქრებოდა კი ვინმეს ქაშუეთის ეკლესიიდან რომ ზარბაზნებს უშენდნენ არათუ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, არამედ თვით საქართველოს.

მისი კეთილი აზრის გამო არ მინდა შევეხო პატრიარქის საშობაო ეპისტოლეისა, მხოლოდ ერთს დავსძენ - საქართველოში პრობლემატური არა სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვები, არამედ უწიგნური სამღვდლოება, რომელმაც არ იცის, ან არ უნდა გაიგოს რა არის მსოფლიო ტექნიკური რეკოლუცია. ღმერთმა ადამიანს გაუხსნა გონება და მისცა იმისი საშუალება, რომ გამოეკვლია ალტერნატიული გზებით ბავშვის ჩასახვის ფენომენი. აქამომდე უფალი ამის საჭიროებას არ ხედავდა, მსოფლიო ტექნიზაციამ კლიმატი შეცვალა, ღვერადაციის გზას დაადგა ღმერთის შექმნილი ბუნება (მთლიანობაში), მათ შორის ადამიანიც. შეიქმნა გენმოდითეციკრებული პროდუქტი, სინჯარაში სიმინდის გამოყვანა თუ შეძლეს, შეძლეს ადამიანთა გამრავლებაც. საღვთო წერილში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ტექნიკურ პროგრესს დაქვემდებარებული

საზოგადოება განწირულია გენის ცვლელში დასაწვავად. იქ სხვა რამ წერია: ადამიანის სულის სიფაქიზეზე, მიმტყვებლობაზე,

ბავშვებზე - ეს განსაკუთრებული ხაზგასმით.

უფალი იესო ქრისტე ბავშვებს ანგელოზებს ადარებს, თუ ბავშვებივით არ მოიქცევი და არ იცხოვრებ, სასუფეველში ვერ შეხვალთო. არავითარ სინჯარულ და ბუნებრივ შობაზე არაა საუბარი. ნუთუ მაცხოვარმა არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა ქვეყნიერებაზე სუროგაციის გზით ბავშვების დაბადება, იცოდა, მაგრამ არც აპოკალიპსში, არც თავისი მიწიერი ცხოვრებისას წარმოთქმულ წინასწარმეტყველებაში სულის წარწყმედად მოხსენიებული არაა შობადობის ალტერნატიული გზა.

ნიუტონამდე ხიდან ვაშლი მიწაზე ვარდებოდა და ვილაცას ან ზვდებოდა თავში, ან კალთაში უვარდებოდა, ასე გაგრძელდა ნიუტონის შემდეგაც;

ატომი აინშტაინამდეც არსებობდა და ის იშლებოდა პროტონებად და ნეიტრონებად და აინშტაინის შემდეგაც განაგრძობს ატომი დაშლას...

რაც ბუნებაშია,

ყველაფერი არსებობდა და იარსებებს ქვეყნიერების დასაწყისიდან მის დასასრულამდე.

ასევეა სუროგაციაც.

კაცობრიობა მივიდა განვითარების რაღაც კონდიციამდე და მან ესეც აღმოაჩინა.

თავდაპირველად ბორბალი იყო,

მერე ამ ბორბალზე განვითარდა მსოფლიო ცივილიზაცია.

სუროგაციის თემაც ერთ-ერთი ფილოსოფიური მსჯელობის საგანია, როგორც იყო ავიაციის გამოგონება, და მასთან დაკავშირებით ეშმაკეულ სულთა კვალის ძიება; მეტროს შექმნა და ამის გამო ატეხილი საეკლესიო სკანდალი, ესაო - და მოძრავი კიბეებით ჯოჯონეთში ჩაყვთ ადამიანები და არ ერწმუნოთ ამ ახალ აღმოჩენასაო;

მედიცინის სფეროში ტექნიკისა და საერთოდ ადამიანის გონების განვითარების ნათელი დასტური იყო ნარკოზის, როგორც ასეთი, აღმოჩენა. მაშინაც დიდი აყალ-მაყალი მოჰყვა საეკლესიო პირთაგან ამ პრეპარატის გამოყენებას და რომ არა მისი აღმოჩენის ენამოსწრებული თქმა, „პირველად ღმერთმა გამოიყენა ნარკოზი და ადამიანის დაძინება, როცა ადამს ლითარგიული ძილი მიჰკვარა და მეცამეტე ნეკნი ამოუღო და მისგან ქალი შექმნაო“, ვინ იცის რა ბედს შეამთხვევდნენ მას სასამართლო პროცესზე.

ვიცი, საღვთიდან მეცამეტე გოჭი გამომიხტება, ბიბლიაში არსად წერია მეცამეტე ნეკნიო, - დამამუ-



ნათებს... და არ ეცოდინება, რომ ყველაფერი ეს ლიტერატურული სახეა, კარგად გამოყენებული და ლიტერატურულ ნაწარმოებებში არაერთგზის და არაერთის ნახმარი ფრაზები ბერნარდ შოუსთან, მეტერლინთან, ელიოტთან და ვისთან არა. რა თქმა უნდა, მეცამეტე ნეკნის მალაზე არაფერია ნათქვამი ბიბლიაში, ეს მხოლოდ ხატოვანი თქმაა, რაც გულისხმობს ოდესღაც მთლიანს, მაგრამ არასრულყოფილს, არასრულფასოვანს. შემთხვევითი არაა 13 რომ რაღაც თვალსაზრისით თარსად ითვლება. ეს იმ მთლიანობის ხსოვნაა სწორედ, დაკარგული რომაა სამარადისოდ, შექმნილი ნოსტალგიური ტკივილი.

დღეს სუროგაცია საკამათო თემაა, ზვალ ეს საკითხი უფრო დაიხვეწება და სირცხვილიც იქნება ამაზე კამათი ისევე, როგორც გულის, ფილტვის და სხვა ორგანოების გადანერგვისას ხდება. მანამდე კი მოთმინებით უნდა ველოდოთ საზოგადოების განვითარებას და ევროპიზაციას, თუ მართლაც გვირდა ვინმე ქომაგი და გულშემატკივარი გვეყოლოს ერთხელ მაინც მსოფლიოში.

ერთსაც დავსძენ, რა თქმა უნდა უწმინდესს ჰქონდა უფლება, და მოვალეც იყო გამოეთქვა თავისი და ეკლესიის პოზიცია არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით. ჩვენში ეს ახალი ხილია, დავაკვირდეთ, იქნებ სამომავლოდ მართლაც პრობლემატური გახდნენ ასეთი ბავშვები, ან იქნებ არც... ღმერთია მოწყალე!!!

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მამანო და ღვდანი, დიაკონნო, ბერ-მონაზონ-ნო, სასულიერო და საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, ქრისტე აღდგა!

აღდგომის მადლითა და სიხარულით აღვსილი ვადიდებთ უფალს და თქვენ ყოველთა გულითადად გილოცავთ ამ ბრწყინვალე ღვდესაწაულს.

აღსრულდა!

აღსრულდა ის, რაც განჩინებული იყო უწინარეს საუკუნეთა!

„ვნებთა მით შენითა, ქრისტე, ვნებათა-გან განვთავისუფლდით და აღდგომითა შენითა ხრწნილებისაგან ვიხსენით, უფალო, დიდება შენდა!“

49 ღღე ემზადებოდნენ მორწმუნენი ამ ზეიმის შესახვედრად.

შვიდი კვირის განმავლობაში ყველანი ვცდილობდით სულიერი კიბით ზესვლას, რათა ძალისამებრ ჩვენისა მომზადებულნი ვზიარებოდით პასექის სიხარულს, რომლის სადიდებელად ენა ამაოდ დაშვრება, რადგან ადამიანური მეტყველება უძღურია, გადმოსცეს ღვთის სიყვარულის ის საოცარი გამოვლინება, რისი მომსწრე და მხილველიც კაცთა მოღვმა 1981 წლის წინ გახდა.

აღდგომა, ეს არის ნეტარ მარადისობასთან ზიარების, წარუვალი სიკეთისა და სიხარულის მაუწყებელი ღღე.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?

სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“.

ქრისტე აღდგა! გიხაროდეთ!

გარდა იმისა, რომ მაცხოვარმა ჩვენმა ბოროტება შემუსრა, თითოეულ ჩვენგანს უჩვენა გზა ხსნისა, უჩვენა მაგალითი ცხოვრებისა, ისეთი სიცოცხლისა, რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებასთანაა დაკავშირებული.

ბედნიერება, ეს არის ის ცნება, ის მღვდობარეობა, რომელსაც ესწრაფვის ყველა ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნისა და ერის წარმომადგენელია იგი. ოღონდ, რა თქმა უნდა, ბედნიერებას ესა თუ ის პიროვნება სხვადასხვანაირად აღიქვამს. მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ ზოგნი ამას ღმერთთან სიახლოვეში ხედავენ, ზოგნი კი, მის გარეშე მოიაზრებენ.

ამ გაორებას სათავე სამოთხეში დაედო.

ღმერთთან ერთობის პერიოდში ადამი და ევა აქ უზრუნველად ცხოვრობდნენ, მაგრამ, როდესაც მათ, საკუთარი თავის კიდევ უფრო მეტად განდიდების მიზნით, უფლის დარიგება უგულვებელყვეს, ქვენა მიღრეკილებებს გაუხსნეს კარი და თვითონაც და მათი შთამომავლობაც გაორდა:

კაენის სულის მქონეთ ღმერთს ზურგი აქციეს და დაემონნენ ეგოისტურ ზრახვებს, ამბიციას, ხორციელ და გრძნობად მოთხოვნილებებს: ისინი ცდილობენ აქ, ამ წუთისოფელში, მიიღონ შესაძლო პატივი,

## უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის 2014 წლის

# სააღდგომო ეპისტოლა



სიმდიდრე, სიამოვნება... იმქვეყნიური ცხოვრებისა კი ან არ სწამთ, ან ამ თემაზე საკუთარი წარმოდგენა აქვთ და ყველაფერს სათავისოდ განსჯიან.

აბელ-სეთის გზით მავალნი კი ბედნიერებას მხოლოდ უფლის წილს უკავშირებენ. მათთვის მიწიერი ცხოვრება, ეს არის სამოთხიდან განდევნილობა ადგილი, ის დრო და სივრცე, სადაც ადამიანმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს თავისი ხვედრი და შეამზადოს თავისი მარადიული მომავალი.

ასეთი პიროვნებებისათვის ადამიანური ნამდვილი ბედნიერების საიღუმლო შემოქმედის ამ სიტყვებშია გაცხადებული: „მეიყვარე უფალო, ღმერთი შენი, ყოვლითა გუ-ლითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა

და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორე არის: შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი შენი“ (მრ. 12, 30-31).

პირველი მცნება გულისხმობს ღვთისადმი ისეთ სიყვარულს, რომელიც ყველაზე ძლიერი უნდა იყოს ჩვენში.

- როგორ მივხვდეთ, ვართ თუ არა ამ განწყობით?

- შემოქმედზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავისი და არაფრის სიყვარული და ამასთან, ყოველივე ჩვენს თავზე მოწვეწული, - სიხარული თუ განსაცდელი, - უნდა მივიღოთ მადლიერებით.

- განა თუნდაც მშობლების ან შვილებისადმი გამორჩეული სიყვარული სწორი არ არის?

- ქრისტიანობა სიყვარულის სარწმუნოებაა, გულმხურვალი, თავგანწირული სიყვარულის რელიგია და, ბუნებრივია, ახლობლებისადმი დიდი სიბოძისა და მზრუნველობის გამოჩენა არა თუ კარგია, ჩვენი ვალდებულებაა. ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ ჩვენც, ჩვენს მშობლებსა და მათ წინაპართ, ისევე როგორც ჩვენს შვილებს და მათ შთამომავლებს, სიცოცხლეც და სხვა ყოველივე სიკეთეც უფლისაგან მოგვეცა. იგი არის ყველაზე დიდი მშობელი, ყველაზე დიდი ახლობელი ყველაასათვის, ყველაზე მართალი და გულწრფელი გულშემატკივარი, იმედი და ნუგეშისმცემელი ჩვენი.

ამიტომაც, როცა, თუნდაც, მიძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საჭიროა ჩვენთვის.

- მაგალითად, შვილის გარდაცვალება?

- რა თქმა უნდა, ეს უდიდესი ტკივილია და ბოლომდე ღვთის განგებულებას ვერაინ ჩაწვდება. თუმცა, ასეთ შემთხვევებში ვხედავ იმ აზრს, რომ უფალს ადამიანი თუნდაც ახალგაზრდა, გაყავს ამ ქვეყნიდან მისი ცნობისათვის საუკეთესო პერიოდში. და, ბუნებრივია, იგი ცათა შინაც შესაფერის ადვილს დაიმკვიდრებს; ხოლო ის ტკივილი, რაც მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს მიეყენებათ, კიდევ ერთხელ დააფიქრებთ მათ სიცოცხლის საზრისზე, მთავარ ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე, ზესათსოფელზე... ყოველივე ეს კი იწვევს ფერისცვალებასა და უკეთესობისაკენ მათ შეცვლას. ანუ, ფაქტობრივად, ეს ახალგაზრდები მიზეზნი ხდებიან თავისი ახლობლების სულიერი გადარჩენისაც, რაც უდიდესი მაგალია იმ ქვეყნად წასულთათვისაც და ამ მყოფთათვისაც;

ხოლო თუ ამ ხალხს ასეთმა განსაცდელმაც ვერ უშველა, ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ მათს გულებში უფლის ადგილი არც არასოდეს იქნება.

- და რაკი ადამიანი გამუდმებით სცოდავს, მითუმეტეს ჩვენს დროში, განსაცდლებით ამიტომ ვართ სავსენი?

- ეს, მართლაც ასეა. დემონი ყოველნაირად ცდილობს თითოეული ადამიანის სული მიიზიდოს და მიიტაცოს. სთესავს მასში ეჭვსა და ურწმუნობას, ყველაფრისადმი ზერელე დამოკიდებულებას, ბინდავს გონებას ათასგვარი სიამოვნებით და თვალსაწიერს მხოლოდ წუთისოფლით უფარვლავს, რათა იგი გონს არ მოეგოს და ხელიდან არ დაუსხლტეს.

ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც, თუმცა თანამედროვე ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასიურად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა. ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო. ადრე დევნიდნენ და აწამებდნენ მორწმუნეებს, ანგრევდნენ

ტაძრებს, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეთ, მაგრამ ზნობაზე სიტყვით მაინც უარს არ ამბობდნენ.

თანამედროვე ფსევდო-ლიბერალიზმს კი სურს, მოსპოს ცნება ცოდვა. მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად „ბოჭავს“ ადამიანს და „თავისუფლებას“ აკარგვინებს. ამიტომაც უნდათ, გააქონ მორალი და მასთან ერთად სინდისის ქენჯნაც. იეროში მიტანილი აქეთ ზნობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცენებთან, არამედ საყოველთაო, ზოგადადამიანურ ღირებულებებთანაც, ფაქტობრივად, ისინი ცხოვრებზე უფრო ადამიანი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისაკენ უბიძგებენ. აჩვენებენ საღიზიანთა და სექსოპათიით გაჯერებულ ფილმებს და თან „გართობის“ მიზნით სხვადასხვა „მოუსა“ და გადაცემებში ირონიით საუბრობენ ადამიანურ ღირსებებზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, რათა, მათი თქმით, ხალხი „განკურნონ ნევროზისა და ფობიებისაგან.“

ეს მეთოდთა ისეთი ფორმით ინერგება, რომ ზოგჯერ თვით ამ „სპექტაკლების“ მონაწილეთაც არ ესმით, სინამდვილეში რას ემსახურებიან და რატომ აქეთ ასეთი დაკვეთები. ვითომ ორიგინალობის და სიანხლის შემოტანის სურვილით აკეთებინებენ ამას, სინამდვილეში კი საყოველთაო ურწმუნობასა და ეშმაკულ ცნობიერებას ამკვიდრებინებენ, რითაც, რა თქმა უნდა, ღმერთს განარისხებენ:

„ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცლუნება. მისთვის უმჯობესი იქნებოდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ - ბრძანებს უფალი.“

ბუნებრივია, ადამიანის ისედაც სუსტ ბუნებას უჭირს გაუძლოს ბოროტის აძღენ მახეს. ამიტომაც, სახეზე გვაქვს საყოველთაო დაცემა და ამ ფონზე არც მართლმადიდებლები არიან განსხვავებულ მდგომარეობაში. მათ შორისაც გახშირდა სიცრუე და დალაღი, ეგოისტური მიდგომები, უარის თქმა ოჯახურ ვალდებულებებზე, გულგრილობა. ყოველივე ეს კი სულიერ სამყაროში იწვევს სერიოზულ რღვევებს, რასაც ზოგიერთი გრძობს, მაგრამ არ რეაგირებს, ზოგიერთი კი ვერც აცნობიერებს და აგრძელებს ცოდვასთან კავშირს.

მაგრამ თუ უფალს ეს ადამიანი უყვარს და არა ჰყავს მიტოვებული, მასზე ღვთისაგან დაეშვება განსაცდელი (ან განსაცდელები), რათა იგი გამოფხიზლდეს და დაფიქრდეს თავის მდგომარეობაზე.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება გაცნობიერება დანაშაულისა და მისი გამოსყიდვა.

მე პირადად არაერთი ადამიანი მინახავს გულწრფელი აღსარებითა და ზია-

რებით მიძიმე სენისაგან განკურნებულნი, ასევე რთული და, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობიდან თავდახსნილნი; ეს ხომ დასჯა არ არის! იგი უფსკრულიდან ჩვენი ამოყვანაა, ჭუჭყისაგან ჩვენი განთავისუფლება.

ამიტომაც განსაცდელი მადლიერებით უნდა მივიღოთ.

ამასთან, ჩვენს თავში უნდა გავაძლიეროთ მეტობილი სული, არ შევეგუოთ დაცემას, რამდენჯერაც არ უნდა შეგვემთხვას იგი, და ყოველთვის უნდა მოვებნოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, ასადგომად და გზის გასაგრძელებლად.

„სასუფეველი ცათაი იძულების, და რომელნი აიძულებდნენ, მათ მიიტაცონ იგი,“ (მთ. 11,12.). ანუ სასუფეველი ცათა საკუთარ თავთან ჭიდილით, - ცოდვითა დაძლეულით მოიპოვება და ვინც ამ ომში გაიმარჯვებს, ის დაიმკვიდრებს მას.

ვიძეორებ, ეს დაპირისპირება დღეს განსაკუთრებული სიმწვავეით მიმდინარეობს. ბოროტი თავგამოდებით იბრძვის და ჩვენც თავგამოდებით გემართებს დავიკვათ ჩვენი მუობა, ჩვენი სული, ჩვენი ღირებულებები.

მაცხოვარი ჭეშმარიტ ქრისტიანებს თავისიანებსა და რჩეულებს უწოდებს და ასე მოიხსენებს: „ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“ (ინ. 10,14).

როგორი დიდი წყალობაა, უფალს მიაჩნდე თავისიანად!

მე მინდა, მივმართო ჩვენს ხალხს, რომელმაც ბოლო პერიოდში მრავალი განსაცდელი გადაიტანა, - არ შედრკო! ეს ტკივილი, ეს მწუხარება სწორედაც ნიშანია იმისა, რომ უფალი ჩვენთანაა, რომ ღმერთს ვუყვარავართ და ამიტომაც გვეწვრთვინს შეცოდებათა გამო.

- მართალია, სხვათა მსგავსად ჩვენც რთულ დროში გვიწევს ცხოვრება და ეს გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მრავალი ტაძარი აიგო, ეკლესიები საესეა ხალხით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. სხვაგან ასეთი პროცესები არ არის, თუმცა ისინი ჩვენზე უკეთ არიან. ჩვენ რა დავაშავეთ, რომ გამოცდის და განსაცდელების პერიოდს ასეთი ხანგრძლივი და მიძიმე აღმოჩნდა?

- ჯერ ერთი, ვისაც ბევრი მიეცა, მეტიც მოეთხოვება. ჩვენს ხალხთან მიმართებაში სწორედ ეს ვითარებაა. ამასთან, მართალია, საზოგადოებაში დიდი დადებითი ძვრები მოხდა, მაგრამ მთავარი ნაკლოვანებები ჯერ კიდევ არ არის გამოსწორებული.

თითოეულმა ჩვენგანმა (ამჯერად ვგულისხმობ მხოლოდ მორწმუნეთ, მათ შორის სასულიერო პირებსაც) ჩავიხედოთ სულში და პირუთვნულად შევფასოთ ჩვენი განწყობები და დამოკიდებულებები.

ფიქრობ, ცოტანი არიან ისეთნი, რომელთა გულის ტასტზე უფალია დაბრძანებული. უმეტესი ნაწილი კი ძირითადად, სიტყვით და ნაწილობრივ კი, საქმიანობის მადიდებელია, მაგრამ ბოლომდე მინც არ არის მინდობილი ღმერთს.

ეს ჰკავს იმ პიროვნების მდგომარეობას, რომელმაც ცურვა არ იცის, ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ფეხს ისევლებს და ცურვის სიყვარულზე კი საუბრობს.

რა თქმა უნდა, ათეისტური აზროვნებისაგან ხალხი მალევე ვერ განთავისუფლდება და ზემოთქმული ამის შედეგიც არის, მაგრამ უკვე დადგა დრო, მთავარი სულიერი ორიენტაციების გასწორებისა; ხოლო თუ ეს ასე არ მოხდება, მთელი ჩვენი ძალისხმევა, ჩვენი ვედრება ამაო იქნება, რადგან არასწორად აღვლენილი ლოცვა ჰაერში განიბნევა და შედეგს ვერ გამოიღებს.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქმიანობა, აზრი და ფიქრიც კი, შესაძლებლობისამებრ, ღმერთით უნდა იყოს განმსჭვალული და სწორებას მუდამ მასზე უნდა ვახდენდეთ. ასეთი დამოკიდებულება სასიცოცხლოდ აუცილებელი არის თითოეული ჩვენგანისთვის.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ, თავი დავიცვათ ცოდვისაგან და მივუახლოვდებით იმ მდგომარეობას, რაც დაცემამდე იყო შემოქმედსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის, - შევცურავთ უფლის სიყვარულის ოკეანეში და აღვივებით მისი მადლითა და წყალობით.

ვინ არის მოყვასი და რატომ არის მისი სიყვარული ჩვენი გადარჩენისათვის, ასევე, აუცილებელი პირობა?

- მოყვასია ყველა, ვინც კი ცხოვრების გზაზე გვხვდება. დაწყებული შენი ოჯახის წევრებიდან, ახლობლებიდან და მეგობრებიდან და დამთავრებული უცნობი, მაგრამ შენთან შეხებაში მყოფი პიროვნებებით; რა თქმა უნდა, ამათ რიცხვში შედიან ის ადამიანებიც, რომელთაც ჩვენ მტრებს ვუწოდებთ.

ახლობლებისა და ჩვენი მოყვარული ადამიანების სიყვარული რომ აუცილებელია, გასაგებია. ეს ვრძნობა იმდენად ბუნებრივად მკვიდრობს ჩვენში, რომ აქ მოვალეობაზეც კი ლაპარაკი არ არის, ეს ჩვენი მოთხოვნაა.

ჩვენი ხალხის ხასიათის წარმოსაჩვენად ორ მომენტს ვავისახებ: თუკი ქვეყანამ გაუძლო ბოლო ოცი წლის დუხჭირ ცხოვრებას, ეს სწორედ მეგობრების, მეზობლების, ნათესავების ერთსულოვნებით მოხდა. უბრალო ადამიანები, თვითონაც არას-მქონენი, მასზე გაჭირვებულთ უმურველად უნაწილებდნენ თავის ლუკმას, რაც ბუნებრივად, დაუყვედრებლად ხდებოდა.

ეს ხომ გმირობის ტოლფასია! თქვენ იცით, მე ყოველთვის მოვუწოდებდი და მოვუწოდებ უცხოეთში წასულ

ქართველებს, დაბრუნდნენ სამშობლოში და აქ ეძიონ საშუალებები დასაქმებისა, თუნდაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მაგრამ არ შეიძლება არ დავაფასო ამ ადამიანების დიდი ნაწილის, განსაკუთრებით ქალბატონების, თავდადება, როგორც თავისი შვილების, ისე მუუღლებებისა და ახლობლების მიმართ.

მათ მიატოვეს ყველაფერი და უცხოეთში უძიმესი შრომა არ ითაკილეს, რომ როგორმე ფიზიკურად გადაერჩინათ თავისი საყვარელი პიროვნებები.

ეს მოყვასის მიმართ შეწირული მსახურებაა.

- ჩვენს ურთიერთობებში დიდი პრობლემები მაშინ იწყება, როდესაც ცოდვას ვეხებით და წყენა და გულისტკენა ჩნდება. როგორ მოვიქცეთ?

- ცოდვის პირველი უცილობელი წამალი სინანულია.

თუ შენ ხარ დამნაშავე, ბუნებრივია, ბოდიში უნდა მოიხადო, აღიარო დანაშაული, მიხვიდე მასთან, ვისაც გული ატკინე და სთხოვო პატიება. ეს შენი ვალდებულებაა. თუმცა ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა და პატივმოყვარეობის დაძლევა, რაც ფრიად სამწუხაროა.

- როგორ ვიგრძნოთ, გულით ვაპატიოთ, თუ არა სხვას დანაშაული?

- პატიება ნიშნავს არა მარტო იმას, რომ სამაგიეროს არ მიაგებ მას, არამედ იმასაც, რომ დაფარავ და არ განაცხადებ შენი შემცოდის ცოდვას. უფრო მაღალი საფეხური კი გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც ამ ადამიანს შენ სიკეთით უპასუხებ.

- შეიძლება ნაკლებად შემცოდეს შეუნდო, მითუმეტეს, თუ იგი შენლობას ითხოვს, მაგრამ როგორ შევეყვარო მტრები, ისინი, რომელნიც უსამართლოდ, საშინლად გვექცევიან?

- ცოდვა, რა თქმა უნდა, არ არის ის, თუ ასეთ დამნაშავეს სამართლებრივ ფარგლებში პასუხს მოთხოვ, მაგრამ ეს ურთიერთობის შედარებით დაბალი დონეა.

საერთოდ კი, შენ უნდა მოინდომო, მას აუხსნა საქმის რეალური ვითარება, რომ გაღიზიანება დაიძლიოს; მაგრამ თუ ეს ქმდება ამაო გამოდგა, იგივე ახლა სხვათა საშუალებით გააკეთე; ხოლო თუ შედეგი ამ შემთხვევაშიც ვერ მიიღე, ეცადე ღვთის სადიდებლად დაითმინო ცილისწამება, რითაც შენს სხვა მრავალ

ცოდვას აღზოცავ და სულიერადაც ამაღლები; მაშინ „მტრის“ შხამიანი ქმედებების მიღმა დაინახავ, რომ შენი შეურაცხყოფელი, ფაქტობრივად, თავისი ნებით წირავს თავს შენი განწმენდისათვის და ამასთან, უღირსი საქციელის გამო, საკუთარ თავს გაუცნობიერებლად, ღვთის რისხვას უმზადებს.

განა რა უნდა იყოს ამაზე მეტი სასჯელი მისთვის! შენ კი, თუ გონიერი ხარ, ასეთ პიროვნებაში დიდ კეთილსმყოფელს აღმოაჩენ, შეიბრალებ და შეიყვარებ მას.

ასე რომ, ჩვენი პირადი მტრის შეყვარება შესაძლებელია!

გავისწენოთ მამა გაბრიელი (ურგებაძე), - აღმსარებელი და სალოსი.

მოგესწენებათ, სალოსობის ინსტიტუტი, ძველი დროიდანვე იყო ცნობილი მართლმადიდებლობაში, მაგრამ ამ გზით მავალნი ძალიან ცოტანი იყვნენ;

ისინი ყველას დასანახად ისე იქცევიან, რომ თავის არარაობას გაუსვან ხაზი და სხვათა თვალში დამცირდნენ. ანუ სალოსები მარტო კი არ ითმენდნენ შეურაცხყოფას, არამედ საზოგადოებაში ხელს უწყობდნენ მათზე უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რათა ყველასაგან ფარული, დიდი ღვაწლი ლოცვისა ეტვირთათ არა მარტო ცალკეული პიროვნებისა და ერისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ასე იცხოვრა მამა გაბრიელმაც, - დაიმდაბლა თავი და ამიტომაც ამაღლდა.

არანაკლები მაღლმოსილება აქვთ ბეთანიელ ბერებსაც, - არქიმანდრიტებს: ვიორგი მხეიძესა და ვიორგი-იოანეს (მასისურაძეს) და XX ს-ში გაბრწყინებულ სხვა წმინდანებს (აღარაფერს ვამბობთ წინა საუკუნეებში მოღვაწე სხვა წმინდანებზე).

- გამოდის, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მტერი არ არსებობს?

- მტერი არსებობს და მისი სახელი არის ბოროტი სული, ეშმაკი, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს ცალკეულ პიროვნებებს, განსაკუთრებით ურწმუნოთ. აი, ვინ უნდა გვძულდეს და მოვიძაგოთ. მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები კი, - გვეყვარდეს და გვებრალებოდეს, როგორც სნეულნი და ვეცადოთ, ვუმკურნალოთ მათს წყალობით.

არსებობს ასეთი მოკლე ლოცვა:

ღმერთო, აცხოვნე (უნდა ითქვას მაჭირვებელთა სახელი) და მისი ლოცვით მეც მაცხოვნე, - ამ სიტყვებში დიდი სიბრძნეა.

მაგრამ, მოგესწენებათ, წამლობა ხშირად მწარეა, თუმცა მისი მიღება აუცილებელია ჩვენი გამოჯანმრთელებისთვის. ასეა ცხოვრებაშიც, სიყვარული არ ნიშნავს ყოველივეს პატიებას, დაუსჯელობას. უფალოც ხომ გვეწვრთნის დანაშაულთა გამო! ამიტომაც, ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ სიყვარული არ ნიშნავს უმოქმედობას, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ღირსების დაცვა და პატივმოყვარეობა, თავდაცვა და ძალადობა, სიმართლის თქმა და განკითხვა, მხილება და დაბეზლება, დათმენა და სისუსტე.

შეუძლებელია, შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავა-

ლი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც. შეუძლებელია, სიწმინდის ტოლოფასად ცოდვის აღიარებას გაიძულებდნენ და ეს დაუშვა.

შეუძლებელია, მეგობარს, ზოგადად ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებდნენ, ან თუნდაც... უსამართლოდ ეპყრობოდნენ და თანადგომა არ გაუწიო მას.

უკიდურესობები არაფერში არ ვარგა, მით უმეტეს, აზროვნებაში. ამ სფეროში უკიდურესობებს მივყავართ ან ფანატიზმამდე, ან ფსევდო-ლიბერალიზმამდე. ორივე გადახვევაა ჭეშმარიტებიდან და, ამდენად, მიუღებელიც.

პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო, სასწავლებელთან და ეკლესიასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში ბევრი რამ დამახინჯდა, გაუკუღმართდა, მათ შორის, შვილებისადმი სიყვარულიც. მშობლები თავისი გაგებით უფროთხილდებიან მათ და ცდილობენ, ჰქონდეთ საუკეთესო ჩასაცემელი, არაფერი ეტკინოთ, არ ეწყინოთ, არ დაიღალონ, არამედ გაერთონ და ისიამოვნონ... ანუ უქმნიან სასათბურე პირობებს და თავისდაუნებურად ბავშვებში ეგოისტურ სულს აღაზრდებენ.

ეს არის გაუცნობიერებელი მტრობა შვილების მიმართ!

ასეთი დამოკიდებულების შედეგად ახალგაზრდა უსუსური ხდება, არა აქვს შინაგანი სიმტკიცე, ხშირად იჩენს სიმხდალეს, მუდმივად ეძებს საყრდენს და სხვაზეა დამოკიდებული, დაქვეითებული აქვს აზროვნებაც და სიცოცხლისუნარიანობაც; ამასთან, არის ამბიციური და „მე“-ზე ორიენტირებული.

ეს ყველაფერი სხვადასხვა ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ფენაში სხვადასხვა სახით ვლინდება, თუმცა დიდ ნაწილში ერთი საერთო მდგომარეობა შეიმჩნევა, - არსებულით დაკმაყოფილება, უინიციატიურობა და მიშვებულობა.

ხშირია შემთხვევები, როცა მათ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ეზარებათ ვითარების გამოწვევისათვის ზრუნვა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფნიც, ხელმეტიად თავს არ იწუხებენ, რადგან არა აქვთ ძიების სურვილი. ეს მოსწავლეები და სტუდენტები ამთავრებენ რა სასწავლებელს, ამთავრებენ ურთიერთობას წიგნთან და მხოლოდ ინტერნეტის თამაშებით იქცევენ თავს.

ბევრი მიეჩნევა უშრომელად, ან შედარებით იოლი საქმიანობით, თავის გატანას და აღარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან, თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ, უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და

იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაღმა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლოთობა, ქურდობა, მკვლელობა, აღვირახსნილობა... ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია.

ჩვენი შვილები თავიდანვე ძლიერ პიროვნებად უნდა აღვზარდოთ და, პირველ რიგში, ღვთის სიყვარული და იმედი შთავეუნეროთ; იმედი იმისა, რომ თუ სწორად იცხოვრებენ, მარტონი არასოდეს იქნებიან და პრობლემებს უფლის შეწევნით აუცილებლად გადალახავენ.

ამასთან, პატარები უნდა მივაჩვიოთ შერიგებას, წყენის დავიწყებას, მეგობრებისადმი და, საერთოდ, ადამიანისადმი ერთგულებას, მადლიერებას, სხვის დახმარებას, სწორედ იმის გაღებას, რაც თვითონ ყველაზე მეტად უყვარს და სხვისი სიხარულით გახარებას, უნდა მივაჩვიოთ სამართლიანობას, ამტანობას, ტკივილის გაძლებას, რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნას, რა თქმა უნდა, შრომასა და წიგნის კითხვას; ანუ მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა აუცილებელია ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად, რომ საჭიროების შემთხვევაში თავიც დაიცვას და სხვაც, ამასთან, გაარჩიოს, სად არის შავი და სად - თეთრი, რა არის კარგი და რა - ცუდი პირადად მისთვის, მისი ოჯახისათვის, ახლობლებისა და ქვეყნისათვის, რომ თავის შინაგან სამყაროში იგრძნოს სილაღე, თავისუფლება, სიძლიერე და სიყვარულით აღვსილი ამ თვისებების სხვათათვის გამზიარებელი იყოს სიცოცხლის ბოლომდე.

ამ მიზნის მისაღწევად დედ-მამამ პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ და, ამავე დროს, ურთიერთპატივისცემითა და შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ.

ქართველი ქალი ყოველთვის იყო ოჯახის დედა-ბოძი და დღესაც, ემანსიპაციის პირობებში, ისევ მან უნდა შექმნოს მთავარი გამაწონასწორებელი როლის შესრულება ოჯახში და ყველა წევრის ჩაბმა მომავალი თაობის სწორად აღზრდის პროცესში (აქ იგულისხმება ოჯახური საუბრები, საინტერესო თემების განხილვა და სხვა).

სახელმწიფოს ვალდებულებაა, ბავშვები დაიცვას მათე ზეგავლენებისაგან, შესთავაზოს სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და ამასთან სკოლიდანვე შეაჩვიონ პატარები ანალიტიკურ აზროვნებას; უნდა შეიქმნას ფილოსოფიური და ლიტერატურული წრეები, სადაც მოსწავლეები წაითხავენ საინტერესო წიგნებს და გაარჩევენ მათ, დაწერენ თავისუფალ თემებს და იმსჯელებენ სხვადასხვა საკითხზე.

ახალგაზრდებმა და, საერთოდ, ნებისმიერმა პიროვნებამ, ღრმა აზროვნების განსავითარებლად საჭიროა იკითხონ როგორც სასულიერო წიგნები, ისე მსატერული, ფი-

ლოსოფიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურა; ამის გარეშე მათი ხედვის დიაპაზონი ვიწრო იქნება და ვერ გააკეთებენ სწორ არჩევანს.

ისინი უნდა აკონტროლებდნენ თავის ფიქრებს, უნდა იცოდნენ, სად არის ოქროს შუალედი, სად უნდა დაედოს ზღვარი მათს აზროვნებას, რომ უფლისაგან მონიჭებული არჩევანის უფლება და თავისუფლება ბოროტის მსახურებად არ აქციონ. თუ ეს განხორციელდა, მაშინ მშობლებს შეუძლიათ ჩათვალონ თავისი ვალი შვილებისა და სამშობლოს წინაშე აღსრულებულად.

დაახლოებით ასეთია მორწმუნის დამოკიდებულება ბედნიერებისადმი.

ყოველივე ზემოთქმული კი ემსახურება ერთ მიზანს, რომ ჩვენ ვისწავლოთ იმ გზებით საარული, რომელიც ნამდვილ ბედნიერებასა და სიყვარულს გვაზიარებს და რწმენით, ჭეშმარიტებით, სიწმინდით, სიკეთითა და სიხარულით აღგვაკვსებს.

ამ მაღალ არცერთი ეპოქა არ მოიცავდა სრულად, მაგრამ არც ისეთი დრო ყოფილა ოდესმე, რომ სრულად განმარცხული ყოფილიყო იგი ამ წყალობათაგან.

დღესაც, ტექნიკის განვითარებისა და მისი ბატონობის პერიოდში, ამბიციურობის, ცრუ ჰუმანიზმის, ნელ-თბილი რწმენისა და ბოროტთან საიდუმლო გარიგების ხანაში, კვლავ გვემძის აღდგომილი მაცხოვრის იმედისმოძიკეში და განამატკიცებელი ხმა:

„მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“.


მაშ, ვისი მემინოდეს, ან ვისგან შევძრწუნდე?

მართალია, ბოროტი ძალა გამუდმებით გვებრძვის, მაგრამ მასზე განუზომლად ძლიერი და დაუსაბამოა ღმერთი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის და დღესაც

სააღდგომო ტრაპეზზე გვიხმობს: ქართველებს, ოსებს, რუსებს, აფხაზებს, ბერძნებს, იეზიდებს, უდიებს, ასირიელებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უკრაინელებს... როგორც მესამე, ისე მეთერთმეტე უამის ქრისტიანებს.

მაშ, რომელნი ხართ კეთილ მსახურნი და ღმერთისმოყვარენი, იშვებდით კეთილსა ამას და ბრწყინვალესა კრებასა; რომელი არს მონა? კეთილგონიერი, შევედინ სიხარულით სიხარულსა ამას უფლისასა... და ყოველთავე მიიღეთ სიმდიდრე სიტკბოებისა... რამეთუ აღსდგა ქრისტე და დაირღვა ჯოჯოხეთი; აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ემშაქნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს, აღსდგა ქრისტე და არცალა ერთი მკუდართაგანიც არს საფლავსა შინა, აღსდგა ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე, უკუნიით უკუნიამდე, ამინ!

# „მანჩესტერის“ შეხვედრა



მეოცე საუკუნის ბოლოს ერთი შოტლანდიელი გლეხი სახლში ბრუნდებოდა, როცა მოესმა ბავშვის შეშარავი ყვირილი - ბავშვი შევლას ითხოვდა. გლეხი გაიქცა იმ მიმართულებით, საიდანაც ყვირილი ისმოდა და დაინახა ბავშვი, რომელიც ჭაობში იხრჩობოდა. განწირული ბავშვი ცდილობდა ამოსულიყო, მაგრამ ყოველი მოძრაობისას პირიქით, სულ უფრო და უფრო ჭაობის ლაფში იძირებოდა.

გლეხმა სასწრაფოდ მოტეხა გრძელი ტოტი და გაუწოდა მას. ბავშვი მოეჭიდა ტოტს და ამგვარად მოახერხა თავი დაეღწია ჭაობიდან. გლეხმა გამოიყვანა ბავშვი უსაფრთხო ადგილას, რომელიც კარგა დიდხანს ვეღარ იკავებდა ცრემლებს. გლეხმა შესთავაზა ბავშვს - „წამოდი ჩემთან, მოისვენე, გაშირი და გათბი“, მაგრამ ბავშვისაგან უარი მიიღო - „არა, მამა მელოდება, ალბათ ძალიან ნერვიულობს“, უთხრა ბავშვმა, მაღლიერებით შეხედა თვალებში ფერმერს და გაიქცა.

მეორე დღეს ფერმერმა დაინახა, რომ მის სახლს მიაღდა მდიდრული ეტლი, რომელზედაც ჯიშინი ცხენები იყვნენ გამობმული. ეტლიდან გადმოვიდა მდიდრულად ჩაცმული ჯეკტმენი და იკითხა:

- თქვენ გადაარჩინეთ გუშინ ჩემი შვილი?

- დიას! - უპასუხა გლეხმა.
- რამდენი გადავიხადოთ?

- არაფერი, მე მოვიქეცი ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო ნებისმიერი ნორმალური ადამიანი.

- არა, მე არ შემიძლია ეს ასე უბრალოდ დავტოვო, ჩემი შვილი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მითხარით, რამდენიც

გნებავთ - არ ეშვებოდა მდიდარი ჯეკტმენი.

- მე აღარ მინდა ამ თემაზე მეტი საუბარი, კარგად ბრძანდებოდეთ, - უპასუხა გლეხმა და გაბრუნდა, რომ წასულიყო, მაგრამ ამ დროს სახლიდან გამოიქცა პატარა ბიჭი.

- ეს თქვენი შვილია? - იკითხა მდიდარმა სტუმარმა.

- დიას! - ამაყად უპასუხა გლეხმა და ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა.

- მოდი, მაშინ გავაკეთოთ ასე, მე წავიყვან თქვენს შვილს ლონდონში, დავაფინანსებ მის განათლებას. თუ ის ისევე მაღლიერია, როგორც მისი მამა, მაშინ არც მე და არც თქვენ არ ვინანებთ ამ გადაწყვეტილების შესახებ.

გავიდა რამდენიმე წელი, ფერმერის შვილმა დაამთავრა სკოლა, მედიცინის უნივერსიტეტი და მალე მისი სახელი გაიცნო მთელმა მსოფლიომ, როგორც ადამიანი, რომელმაც გამოიგონა პენიცილინი. მას ერქვა ალექსანდრე ფლემინგი.

ომის დაწყების წინ, ერთ-ერთ მდიდრულ კლინიკაში მოათავსეს სწორედ იმ მდიდარი ჯეკტმენის შვილი, ფილტვების ანთების მწვავე დიაგნოზით და როგორ ფიქრობთ რამ გადაარჩინა მისი სიცოცხლე ამჯერად?

დიას პენიცილინმა, რომელიც შექმნა ალექსანდრე ფლემინგმა.

ხოლო მდიდარი ჯეკტმენი, რომელმაც დააფინანსა მისი განათლება, იყო ლენდორფ ჩერჩილი, ხოლო მის შვილს ერქვა უინსტონ ჩერჩილი, რომელიც შემდგომ გახდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი.

სწორედ ამის გამო, ერთხელ უინსტონ ჩერჩილმა თქვა: „შენი გაკეთებული, შენვე დავიბრუნდება“.

ახლავე ავლინება და შეინახე ნიუ-იორკში საქართველოს განეარაღური საკონსულიროს ახალი ტელეფონის ნომერი:

212.922.1722

144 E44th street  
New York, NY 10017



ეს პირველი შემთხვევაა, როცა თხოვნას ვაიუტად არ ვითვალისწინებ. მთხოვენ, ეს საილუმლოდ დავტოვო, მე კი ყველას გასაგონად დაყვირებას ვლამობ.

ჩემმა მკითხველმა კარგად იცის, როგორ ჰობად თუ უძილო ღამეებად გადამექცა ამერიკაში ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლა; დაკარგული საფლავების მოძიება; რკინის ფარდის გამო საგულდაგულოდ მიჩქმალული ჩვენი თანამოქალაქეების წარმატებების აღმოჩენა; იმ უკვე რელიქვიად ქცეული ნივთების შეგროვება, ჩემი ქვეყნის წილს რომ ადასტურებს ამერიკის მშენებლობის საქმეში.

ვკითხულობ 1950-56 წლებში ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთის „ქართული აზრის“ გაცრეცილ ფურცლებს და ფიქრებით იმ ეპოქაში ვინაცვლებ.

ცხადად ვხედავ:

- პრინც მანაბელს, - ჩემი ქვეყნის საამყო დიპლომატს და ამერიკის პირველ პარფიუმერს, ცნობილი „მანაბელის“ სუნამოების მწარმოებელს, ამ ქვეყანაშიც რომ ქართული იერით იკვლევს გზას, მეფე გიორგი მეთორმეტეს სამეფო გვირგვინის მინიატურული ფორმის ქილებში ჩამოსხმული მარად დაუვიწყარი სურნელის პარფიუმერით;

- აგერ თეთრ ცხენებს ვხედავ, საოცრად შეკაზმულებს, სასტუმრო „პენსილვანიის“ წინ დგანან, დარბაზიდან გამოსულ ქართველებს ელოდებიან, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს რომ ზეიმობენ შუაგულ მანკეტენზე, რომ ლონგ აილენდის ტყეებისკენ გააქროლონ სტუმრები, სადაც ალავერდობა ეწყობა;

- ეს კოლია ქვარია, მსოფლიოს ბეჭდაუდებელი ფალავანი, ქუთათურთა ლეგენდა, მრავალი ქართველის მასპინძელი ნიუ-იორკში, 42-ე ქუჩაზე, ჭადრაკის სახლი რომ გაუნსნია და სიბერის წლებს უსამშობლობის დარდში ატარებს;


- ოლო, ბალანჩინი, ქართველი გიორგი ბალანჩივაძე კი ამ დროს აოცებს დედამიწას საბალეტო ფეიერვერკებით, აგერ, „მაკნატუნას“ პრემიერა შედგა...

მე ამ ფიქრთა ლაბირინთებში, მათი ერთმანეთთან საუბარიც მესმის, წუხილიც. ქართული სალოცავის დაარსებაზე მერამდენედ რომ დაიწყებს საუბარი, პარიერების დაღლევაზე რომ დაიბნენ, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში დაღლილები...

მათ აუხდენელ ოცნებად დარჩათ ქართული ეკლესიისთვის მიწის შექმნა, სალოცავის აშენება, შემდეგ გალავანში მათი ძვალთშესალავიც რომ მოიძებნებოდა.

და ჩვენ, ეკონომიური გასაჭირის გამო ჩვენივე ნებით სამშობლოდან გადახვეწილებმა შევძელით ის, რაც ვერ შეძლეს ამ ტიტანებმა, ჩვენგან განსხვავებით იძულებით გაძევებულებმა სამშობლოდან.

ფინსპუკიდან მთაბარული ფოტო



# მათ უნდა ვისწიბღეთ!

დეკანოზ ალექსანდრე თანდლაშვილი-სა და წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის მრევლის მუხლჩაუყრელი შრომა ზუსტად ის მოვლენაა, ემიგრაციის ისტორია გვერდს რომ ვერ აუვლის და ოქროს ასოებით ჩაიწერება.

ეკლესიის შექმნა რომ შევძელით, შემდეგ დავიანახეთ, რომ მისი შენარჩუნება გაცილებით მძიმე ყოფილა. თითქოსდა ერთუზიაშიც მიინავლა და...

ამ დროს წვიმას დანატრული გლეხის სინარულს ჰგავდა ის შემონაწირი, რაც ჩვენმა ეკლესიამ მიიღო სრულიად უბრალო, მშრომელი ცოლ-ქმარისაგან, ჭეშმარიტად ქართული, პატრიოტი ოჯახისაგან - ამ რამოდენიმე თვის წინ.

მოაკლო შვილებს, საკუთარ თავს, შენს მომავალს სიმწრით ნაშოვნი, ხელფას-ხელ-

ფას შეგროვილი ასი ათასი, დახს, ასი ათასი დოლარი, დამეთანხმებით, რომ გმირობაა.

თანაც ისეთი გმირობა, სამაგალითო რომ უნდა იყოს, და გადამდებიც.

## მარინა სანაძე რამაზ ბოციბიძე

- ეს ის სახელებია, კარგად რომ უნდა დავიმანსოვროთ, და ვცნობდეთ კიდევც.

ეს ადამიანები ჩუმად, თავდახრილნი ცხოვრობენ ჩვენს გვერდით, ამ ამბის გასაიღუმლოებაც კი მოითხოვენ, მაგრამ ჩემი ქვეყნის ემიგრაციის ისტორიას ამ მისაბამ გმირობას ნამდვილად ვერ დაუუკარგავდი.

თანაც, ჩემს ფიქრებში უკვე ვხედავ გალაღებულ და ბედნიერ სახეებს იმ დიდი კორიფების, ამერიკულ მიწაში დარდად რომ ჩაყვით ქართული ეკლესიის დაარსება.

## მანუჩარ კაჭანიძე

პოეტ ტიციან ტაბიძეს მეუღლედ ჰყავდა ჩვენი ახლო ნათესავი, ნინო მაყაშვილი, ქართული სილამაზით შეპყვლილი, წარმოსადგევი ქალი. ის და მთელი მისი ოჯახი შინაურულ და მეგობრულ ურთიერთობაში იყო ჩვენს ოჯახთან. ის თითქმის ჩვენი ოჯახის წევრად ითვლებოდა. ასე რომ, ტიციანი (შინაურთათვის ტიტე) ერთ-ერთ ჩვენ სიძედ ითვლებოდა. ჩემთან ყოველთვის კარგ ურთიერთობაში იყო, ცოლისძმას მეძახდა და პატიმრობის დროს (რაც ძალიან ხშირი იყო) ამანათებს და საჭმელს არ მაკლებდა ციხეში.

ერთხელ, 1924 წლის მიწურულს, რაღაც მანქანებით ისევ გადარჩენილი დაზვრეტას, თუმცა კი უნივერსიტეტიდან გარიცხული, როგორც შემძნეული კონტრრევოლუციონერი, უმუშევარი და მთავრობის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი, თავისუფლად დავეხეტებოდი თბილისის ქუჩებში. ამ ხეტილის დროს შევეჩხე ტიტეს, ჩვეულებრივ სუფთად გამოწყობილს, განუმორებელი მიხაკის ყვავილით გულზე. გამიღიმა, მომესალმა. ტკბილი, სასიამოვნო და გულწრფელი იყო მისი ღიმილი. ხელი მკლავში გამიყარა და სვირნობა განავარძეთ. „ჩემო ელიზბარ, ძალიან მიხარია უბედურებისგან შენი გადარჩენა და ჯანმრთელად ყოფნა. ძალიან მინდოდა შენთან შეხვედრა და შემთხვევით რომ არ შენახე, მაინც ვაპირებდი შენს ნახვას. ალბათ იცი, რომ ზევ ნინობაა, ჩემი მეუღლის დეობა. სადილზე მიწვეული მყავს ბევრი მეგობარი, პირველ რიგში – ჩვენი ქართველი მწერლები და პოეტები. შენც უსათუოდ უნდა დაესწრო შენი ბიძაშვილი ნინას დღესასწაულს. იცოდე, გელით!“ პატარა ყოყმანის შემდეგ (ჩაუცმელობის გამო) დავეპაულოდი. „კოსტა ყარალაშვილს გამოუარე და მოდით ჩვენსა ზევ II საათზე“, - დაამთავრა ტიტემ.

დანიშნულ დღეს კოსტას მივადექი, უკვე კინომსახიობს, ჩემს დიდ მეგობარს. რუსთაველს შევეყვებით ყვავილებით ხელში. შემოგვეყარა ცეკვა-სიმღერითა და ოსუნჯობით განთქმული კოსტა კობიაშვილი. „საით? ალბათ საქეფოდ?“ „არა, კოსტა, ჩვენ განათლებულ სახლში ვართ დაპატიუებულნი“, პასუხობს კოსტა. „მეც წამოვალ“. „კაცო, სუნი აილე?! ჩემი დეობა კი არ არის, ნინობაა, ტიციანის ცოლის დეობა. ჩვენ დაპატიუებულნი ვართ“. „მეც მოვიდვარ. მე პატიუი არ მინდა, ტიციანის მეგობარი ვარ“, - იძახის კოსტა. ავკეიდა.

ტიტესთან რომ მივედით, კარი გაიღო და ნინო შემოგვეყვება, გადამეხვია, დაძმურად გადამკოცნა და შინ შეგვიპატიუა. დედაშვილურად ჩამიკრა ბარბარე მაყაშვილმა, ნინოს დედამ. კარებში მომღიმარი სახით მოგვეგება ტიტეც. მოგვესალმა, შეგვიპატიუა. სუფრა გაშლილი დაგვხვდა. უკვე

ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტმა ელიზბარ მაყაშვილმა სიცოცხლის უკანასკნელი 64 წელი საფრანგეთში გაატარა. ის დაიბადა კახეთში, 1905 წელს. 1922-27 წლებში მონაწილეობდა ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართულ პარტიზანულ ბრძოლებსა და არალეგალურ მუშაობაში. 1927 წელს იძულებული გახდა გაქცეულიყო სამშობლოდან. ის სამხრეთ საფრანგეთში დაფუძნდა. იქვე დაქორწინდა და ფრანგი მეუღლისგან ეყოლა ქალიშვილი. პერიოდულად ჩადიოდა პარიზში, რათა მონაწილეობა მიეღო ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის გარდაიცვალა ქალაქ ნიშში, 1991 წლის 6 ივნისს.

ქვემოთ ვთავაზობთ ნაწყვეტს მისი მოგონებებიდან, რომელშიც აღწერილია ტიციან ტაბიძის ოჯახში გამართული ქეფი. მოგონებების ხელნაწერი საქართველოში ბატონ რეზო ნიკოლაძის საშუალებით მოხვდა.

## შესვლადრა მგოსნებთან

მოსულიყვენ სანდრო შანშიაშვილი, პალო იაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი და სხვა პოეტები. ქალიშვილებიც იყვნენ, ერთიმეორეზე მოხდენილი. ყველას მივესალმეთ.

სუფრაზე აუარება სანოვანე და ხვანჭკარა ღვინო დაგვხვდა. ალექსანდრემ (შანშიაშვილმა) მე და კოსტას გადმოგვხვდა და ტიტეს მიუბრუნდა: „კაცო, ტიტე, ამ ალაზნის ველზე გაზრდილ შვილებს რას გვიშვრები? ხვანჭკარა რა ჩვენი საქმეა, კახური დაგვალევინი!“ „ჩემი თავი გენაცვალეთ!“ დაიძახა ტიტემ და მალე მაგდაზე „საეროს“ ბოთლები გაჩნდა. სუფრას შემოვუსხედით. გვერდს გვიმშვენებდნენ მსახიობი ქალები: თ. ჭავჭავაძე, თიკო ღვინიაშვილი და სხვები, რომელთა გვარები აღარ მახსენდება. თითოეულს წერწეტა ტანი და ქართული სილამაზე ამშვენებდა. გვაკლდა პოეტები გრიშაშვილი, გალაკტიონი, მგონი ქუჩიშვილიც, რომლებმაც წერილობით მოულოცეს ნინოს დღესასწაული და მოუბოდიშეს, რომ ვერ დაესწრნენ სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო. დარბაზი იყო დიდი და ნათელი. იქვე, ცალკე მაგიდასთან ისხდნენ დამკვრელებიც ჭიანურით, თარით და დოლით. არც ერთს არ დაევიწყებინა ტიტეს სუფრა. კარზე კაკუნი გაისმა. შემოვიდნენ იუმორისტი თავუნა, „ეშმაკის მათრახის“ ყოფილი რედაქტორი და კოპალი (კოპალაძე). ორივეს კარგად ვიცნობდი მეტყვიდან. ამიტომაც იყო, რომ მძურად გადამკოცნეს. დიდი სიხარული გამიიწვია თავუნას - კომიკური მწერლის და მოსწრებული სიტყვის პატრონის მოსვლამ.

სუფრაზე მყოფებმა მადის მოსასვლელად თითო ჭაჭის არაყი დაველიეთ. ალექსანდრე წამოღდა და თავისი ღინჯი კახური კილოთი სუფრას მიმართა, ძველი ქართული სუფრის წესზე მოითხოვა თამადის დანიშვნა: „პალო, სუფრის თამადად მე პირადად შენ გასახელებ. თუ შენ არ იქ-

ნები სუფრის უფროსი, ყველას ეწყინება და ალბათ შენც“, დაამთავრა ღიმილით სანდრომ. ყველამ ჭიქით ხელში მიულოცა პალოს თამადობა. მას უარი არ უთქვამს, არ განახებულა, უსიტყვოდ იკისრა სუფრის ხელმძღვანელობა. მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა ჭიქით ხელში, მოწიწებით მოიხსენია წმინდა ნინო, ვაზის ჯვრით ქრისტიანობის შემოძრანი საქართველოში, და დალია ნინო ტაბიძის სადღეგრძელო. ლამაზად სტყორცნა, ლექსად და ექსპრომტად. დამკვრელებმა დასცხეს ძველი ქართული მეომართ ტუში, შემდეგ კი კოსტა ყარალაშვილმა კობიაშვილთან ერთად მრავალჭამიერიც შემოსძახა. ბანიც კარგი მისცეს. მე თინა ღვინიაშვილისა და მწერალ კლდიაშვილს შორის მოვხვდი.

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მისდევდა პალოლს მშვენიერი ქართულით, რომელიც თითოეულ სადღეგრძელოს იქვე შეიხზული ექსპრომტით ამთავრებდა. მისი თამადობა დამღლევი არ იყო, პირიქით: სუფთა ქართული სულით იყო გამსჭვალული. ყველანი მოწიწებით ვუვლებდით ყურს. პალოლმ საქართველოს სადღეგრძელო შესვა, თუმცა მტრის ხელში დატანჯულის, მაგრამ მაინც მშვენიერის. ყველას სიამოვნება და აღტაცება შევნიშნე. მხოლოდ კლდიაშვილის თვალები გამოიყურებოდნენ რაღაცნაირი შიშით. „ამას ეშინია“, გავიფიქრე ჩემთვის. თიკოს თითქმის ბავშვობიდან ვიცნობდი. მოგვიხდა კიდეც თელავის თეატრში ერთად გამოსვლა. ხმადაბლა ვბაასობდით და ვიგონებდით წარსულ ბავშვობის წლებს. სიმღერა სიმღერას მოსდევდა. საამოდ ტრიალებდა ჭიანურის, თარის და დოლის ტკბილი ხმები. დიწყო ჩვენი მამა-პაპური ცეკვა დარბაზისული (დღეს ლეკურად წოდებული). მარჯვედ ჩამოუარა წრეს კობიაშვილმა და თიკო გაიწვია საცეკვაოდ. ლამაზი და მოხდენილი იყო მათი ცეკვა და დიდი

ტაშითაც დააჯილდოვეს. სად იყო ცის-ფერყანწელთა და ახლადშემოსული ფუტურისტული, ბევრისთვის გაუგებარი საუბარი! აქ იყო ნამდვილი და შეუდარებელი ქართული სუფრა, მშვენიერი ქართული ენა. ალტაცებით ვუსმენდი პაოლოს თამაღობას და შუშხუნა ექსპრომტებს. არაჩვეულებრივი, ღვთიური ნიჭი მოჩანდა მასში.

სხვათა შორის მაგონდება, რომ სუფრაზე მიწვეულნი იყვნენ ქართველი მოჭიდავეები. ტიცინი ქართული ჭიდაობის დიდი მოყვარული გახლდათ. ორი ფალავანი კუნთიანი მკლავებით დინჯად და დარბაისლურად იჯდა.

დაიწკრიალა დარბაზის კარის ზარმა. ტიტემ კარი გააღო და დაიძახა: „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“ ყველანი კარებს მივაჩერდით. გამოჩნდა უბრალოდ, მაგრამ სუფთად ჩაცმული, უღვაშითა და მოკლე წვერით, ჩვენი სახალხო მგოსანი ეთემ გურჯი. მარცხენა მკლავზე ნაბადი გადაეგლო და მარჯვენა ხელში კალათა ეჭირა. თითქმის ყველანი ფეხზე წამოვდექით. „გაუმარჯოს, გაუმარჯოს!“, ისმოდა ხმები. ეთემ გურჯმა ნაბადი გვერდზე გადააღო და კალათით ხელში სუფრას მიუახლოვდა. წინ პაოლო შეეგება და ძმურად გადააპკოცნა. შემდეგ თავისთან მიიწვია და გვერდით მოისვა. ეთემ გურჯს ამღვრეულ თვალებზე ეტყობოდა, რომ უკვე ცოტა გადაეკრა. ფეხზე წამოდგა, ერთი ჭიქა კახური ურივოდ გადააპკრა და თამაღას სიტყვის ნება სთხოვა. „ბრძანე, ეთემო, ბრძანე“. იმანაც ცოტა აღელვებულმა და პატარა ხრინწით ხმაში დაიწყო. ვამბობ მის სიტყვას დაახლოებით და მოკლედ.

„ძებო, დებო და შვილებო, ჯერ ბოდიშს მოვიხდი დაგვიანებისთვის. შემოსვლისთანავე მსურს შევსვა ჩვენი ტანჯული მამულის სადღეგრძელო. თუმცა ჩვენს თამაღას არ გამოეღევა სადღეგრძელოები, როგორც მერცხალს ჭიკჭიკი, მაგრამ მე, მოხუცებულობაში შესულ უბრალო კაცს, თავი მოვალედ მიმაჩნია, როგორც ქართული ადათი და წესი მოითხოვს, ჯერ იმათი მოგონება ვთქვა, ვინც დღეს აღარ არის, განსაკუთრებით კი - ვინც სამშობლოსთვის დაეცა.“

ეთემმა ტაბახმელაზე ოუნკერთა გმირული ბრძოლა გაიხსენა, გაიხსენა საბურთალოზე დახვრეტილები, წინაპართა ბრძოლა. ბოლოს დღევანდელ დღესასწაულს ნინაობას მიადგა: „ხელცარიელი მოსვლა ამ სახლში ჩვენი ნინოს დღეობაზე წესი არ არის. ამიტომაც მომირთმევია მცირე საჩუქარი“.

კალათიდან ამოალაგა შოთი პური, ხმელი, დამარილებული თევზი, ღოში და სხვა. ბოთლით კახური ღვინოც ამოიღო, ბოლოს კი ხილით შემკული ვაზის ჯვარი. საზოგადოებას ჯვარი გადაწერა და ჯვარსვე



ტიცინა  
ტაბიძე



იეთიმ  
გურჯი



**ტიცინან ტაშვილი  
და ნინო ბაგაშვილი**



**პაოლო  
ბაგაშვილი**

მიაბარა დაზოცილთა სული.

ამან ყველას აღტაცება გამოიწვია, ყვე-  
ლამ მოისურვა ჯვრის ახლოს ნახვა, ზო-  
გი კიდევ მოწიწებით ემთხვია მას. დარბაზ-  
ში „ვაშა“ გაისმა.

„აბა, ნასყიდ, მასახელე!“ - გადასძახა  
ეთემ გურჯმა ერთ-ერთ დამკვერელს. ტკბი-  
ლად ამღერებულ თარს ტირილით აჰყვა  
ჭიანური, მედლოემ დოლიც მიუმარჯვა.  
მშვენიერი და სევდიანი ხმით დაიწყო  
ნასყიდამ:

*რათ მორთულხარ შავად, ჩემო დედაო?  
რათ დამტირი ცხარედ საფლავზედაო?  
მიწაში ვარ, თვალით ვერა გხედავო,  
ქვა და ლოდი მაყარია ზედაო.*

*გახსოვს დედავ, დამხაროდი ხშირად,  
აკვანშიაც ჩამღეროდი ტკბილადა,  
გაიზარდე საქართველოს შვილადა,  
იქნებ შენს ერს გამოადგე ვძირადა.*

*ეხლა მხახე, დედავ, რა ცუდ დღეში ვარ,  
გველ-ბაყყის და ხელიკების ხელში ვარ,  
ვაი, დედავ, რა უბედურ დღეში ვარ,  
მე გახრწნილი და დამძალი ლეში ვარ!*

ბაიათმა რაღაც შეება მოჰფინა ჩემს  
გულს. იმ ქართველ დედას ვნატრობდი,  
რომელმაც თავის ღრმა მწუხარებაში შვი-  
ლის საფლავს მიაგნო. მე ამისი ღირსიც  
არ გამხდა უფალმა. ეთემ გურჯი თვალ-  
ცრემლიანი წამოდგა, დამკვერელებს მიუ-  
ახლოვდა და სათითაოდ გადაჰკოცნა (ფეიქ-  
რობ, ეს ლექსი-მოთქმა ეკუთვნოდა თვით  
ეთემ გურჯს). შემდეგ ვაზის ჯვრით ხელში  
ნინოსკენ გაემართა, მართვა, ერთხელ კიდევ  
დალოცა, დლეობა მიულოცა და მამა-შვი-  
ლურად გადაჰკოცნა. თვალგაბრწყინებუ-  
ლი ნინო მხარზე ეამბორა მას. ეს ჩემთვის  
ენითაუწერელი სურათი იყო. თვალწინ  
დამიდგნენ ჩვენი წინაპრები. ეთემ გურჯმა  
სუფრას თვალი გადაავლო: „არ მოსწყინ-  
დება ქართველს გაზაფხულისპირს ფრინ-  
ველთა ჭიკჭიკი, ბულბულის საამური გა-  
ლობა, მაგრამ რა ვქნა, იძულებული ვარ  
დარბაზი დავეტოვო და ჩემს ქოსს შევეფა-  
რო“, - წარმოთქვა მან, ერთხელ კიდევ გა-  
დაავლო თვალი დარბაზს, - „ვერ ვხედავ  
ჩემს გალაკტიონს, ჩვენს მგოსანთა მეფეს“,  
- დასძინა (დიდი მეგობარი და პატივის-  
მცემელი იყო გალაკტიონის). შემდეგ გამო-  
გვეთხოვა, თავზე კახური ქუდი დაიხურა,  
ნაბადი მოიგდო და წასასვლელად მოემზადა.

დარბაზმა ტაშის ცემით გააცილა. ერ-  
თხანს სიჩუმე ჩამოვარდა. სუფრა კვლავ  
პაოლომ გამოაფხიზლა. კვლავ სადღე-  
რძელოები გაჩაღდა პაოლოს შეასანიშნა-  
ვი ექსპრომტებით. კვლავ მხიარულება  
მოიტანა თავუნას, კოხტას და კოსტას  
მოსწრებულმა სიტყვებმა. შემდეგ ისევ პაო-  
ლო წამოდგა და თავისი სასიამოვნო ხმით  
კვლავ ექსპრომტად წარმოთქვა:

*დე, გაგიჟდეს ჭიანური,  
დე, გაგიჟდეს ჩვენი თარი,*

ვთხოვ და კიდევ იცეკვავებს  
ახალგაზრდა ელიზბარო.

ეს უკვე მე მომძარათავდნენ. დიდ ხანია არ მეცეკვა, მაგრამ ამ ლექსმა სიამოვნების ყრუანტელი მომგვარა. წამოვდექი, წრეს შემოვუარე, ბიძაშვილი ნინოს წინ გაეჩერდი და თავი მოწიწებით დაუკარი. ნინოს არ დაუგვიანებია, ნარნარით გამომეფა საცეკვაოდ. ცეკვის დროს ბურანში ვიყავი. ბოლოს ჩვენი ცეკვა დასრულდა, ერთხელ კიდევ გადავკოცნე ნინო. გაისმა ვაშას ძახილი და ტამის გრიალი. ჩემს ალაგს დაუბრუნდი. უცებ რაღაც უხილავემა ძალამ მომიარა, ფეხზე წამოვხტი და მეც ექსპრომტად შევძახე:

რომ ქართველმა ცეკვა იცის,  
ვერ დაეწამებთ ჩვენ მას ცილსა,  
მოდით, ახლა ცეკვა ვთხოვთ  
თვითონ პავლო იაშვილსა!

კვლავ ვაშა, კვლავ ტამი, „გთხოვთ, ვთხოვთ“, გაისმა ხმები. პაოლო ფეხზე წამოვდგა გაბრწყინებული სახით და მოხდენით მიპასუხა:

ლექსი მტყორცნე მეგობარო,  
ლექსი ტკბილი, თანაც მწვავე,  
ცეკვის ნიჭი არ მქონია,  
მე ლექსით ვარ მოცეკვავე!

დღესასწაული გრძელდებოდა. დაილია თითოეული იქ მყოფის სადღეგრძელო. ყველას შეხვდა პაოლოს ლექსი. ლექსის დამახსოვრება ბავშვობიდანვე მეხერხებოდა, მაგრამ ესხლა ვატყობ, რომ ბევრ რამეში მღალატობს მეხსიერება. ან ვის შეეძლო პაოლოს გაუთავებელი ექსპრომტების ზეპირად დამახსოვრება! მახსენდება კიდევ ერთი მისი ლექსი მიმართული მოჭიდავე ვანო კასპელისადმი:

სამოა ქართველთ ცეკვა,  
ბუნებრივი, არა ძნელი,  
ალბათ ცეკვით ჩვენ დავვატკობს  
მოჭიდავე ეს კასპელი.

დამკვრელებმა ბალადური დაჰკრეს, კასპელმა კუნთიანი მკლავები გაშალა, ბალადი ხელში მოიმარჯვა და ლამაზი ბუქნით შემოუარა წრეს.

ნადიმი გაგრძელდა, ტკბილი და სასიამოვნო. არსად არავითარი პოლემიკა, არავითარი ჭირვეულობა, სუფთად იქნა დაცული ქართული სუფრის ტრადიციები. მოვიდა ჩემი დღეგრძელობის ჯერიც. პაოლო ფეხზე ადგა, დიდი მჭევრმეტყველებით შემაქო, ბევრი რამ თქვა, ბევრი რამ მომიწონა. ცოტა არ იყოს, ეჭვი გამიჩნდა. არა პაოლოს სიტყვების გულწრფელობაში, არამედ საკუთარ თავში. „რა გავაკეთე ისეთი, რომ ამხელა ქება დავიმსახურე? ვცდილობდი მომეხსნა ჩემი ვალი სამშობლოს წინაშე და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ შევძეე“, - ვფიქრობდი ჩემთვის. შემდეგ მიღად ჩემსკენ შემოტრიალებულმა ექსპრომტიც მაჯახა:

რა ძნელი ხარ და რა მკაცრი  
ეკლიანო შენ აღმართო!  
მოდით, ახლო ქართველურად  
მსურს, რომ ხელი ჩამოვართო!

პაოლო ხელგამომშვერილი წამოვიდა ჩემსკენ, მეც შევეგებე, ხელი მხურვალედ ჩამომართვა, გულში ჩამიკრა და ნამდვილად ძმურად გადამკოცნა. ამასაც ტამით შეხვდნენ. კოხტამ წკრიალა ხმით შემოსძახა ჩემი საყვარელი სიმღერა „ვინა სთქვა საქართველოზე, ეგ არის ლომი კვდებაო“. ყველა მოწიწებით და აღფრთოვანებით უსმენდა, ეძინა მხოლოდ ძლიერ დამთვრალ ახალგაზრდა პოეტს, გერონტის. გრძელდებოდა ქეიფი და სიამოვნება. სადილს ვაშაში მოჰყვა. სიტყვა მიეცა თითოეულ სტუმარს, თითოეულმა პოეტმა წარმოთქვა თავისი შეთხზული ლექსი, ერთიმეორეზე უკეთესი. თავუნამ ხალხი გაამხიარულა, როცა წარმოთქვა თუმორისტული ლექსი გრიშაშვილზე (მხოლოდ ნაწილი მახსოვს):

გრიშაშვილმა მთხოვა:

დაწერე რამეო  
და ჩემს საღამოზე  
წარმოთქვი ზგალო.

მე კი ვუპასუხე:

„აბა სად ვიშოვო  
მუზა გასახეთი?  
მუზას მე გასესხებ,  
ნუ სწუხდება მასზე,  
არა გვიან, ძმაო,  
ზგალოვე დილაზე.  
დილით ადრე მუზამ  
ზედი-ზედა მტყორცნა:  
ჩქარა დაწერეო  
კოცნა, კოცნა, კოცნა.  
და მეც კოცნას ვუძღვნი,  
ვინც ლამაზი აქ ზის,  
განა მხოლოდ ჩემის -  
გრიშაშვილის მუზის.

მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა კოტეტიშვილმა. უსურვა თამადას დღეგრძელობა.

შუალამე გადასულიყო. თამადას დღეგრძელობა უკვე ქეიფის დასასრულად ითვლებოდა. „აბა, პაოლო, გვითხარ ერთი შენი სახუმარო ქუთათური!“ პაოლო წამოვდგა და ნამდვილი ქუთათისური კილოთი ლექსად აღწერა ქუთათისის სასაიერო ბალი საღამოთი (ბულვარად წოდებული), იქ მოსივრინე უსაქმო ქალ-ვაჟი და მათი არმიყოფა. მახსოვს მხოლოდ დაბოლოება, რომელშიც ლაპარაკია ერთ სკამზე მყოფი გრძნობით აღვივებულ ვაჟს:

სად მოჩოჩავ, გერასიმო,  
გეიწიე იქით რაცხა,  
ხედავ, ხალხი მიდი-მოდის,  
ეგონება ვინცხას რაცხა.

ნადიმი დამთავრდა. ერთმანეთს გამოვეშვიდობეთ და მე გაუვდექი ჩემი ცარიელი ოთახის გზას. კოხტამ სახლამდე

მიმაცილა. სინათლის აუნთებლად და გაუნხდელად ლოგინზე მივწექი. ეს იყო ჩემი უკანასკნელი სიამოვნება და სიხარული. ჩემდა საუბედუროდ და თან ამაყი გულით კვლავ ჩავები საშიშ მოძრაობაში, სამშობლოს სიყვარულით და პირადი შურისძიებით აღსავსე. აქ უკვე ჩემი დევნა გასწირდა. რაკლი თანდათანობით შევიწროვდა. ჩემს გამო შეავიწროვეს ჩემი მეგობრები. იძულებული გავხდი დამეტოვებინა სამშობლო და გადმოვხვეწილიყავი უცხოეთში.

P. S. როდესაც თავისი მშვენიერი სიტყვების შემდეგ ეთემ გურჯმა ჩვენი სუფრა მოულოდნელად დატოვა, მისი ეს მოქმედება მე ცოტა არ იყოს მეუცხოვა. ძველი ტრადიციების მქონე ქართველი კაცის მიერ უჯეროდ ღვინის დაღვევა მაკვირვებდა, ეს ჩემთვის გაუგებარი იყო და მგონი სხვებზეც ასეთივე შთაბეჭდილება დატოვა. მინდოდა გამერკვია თუ რაში იყო საქმე.

სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ ამ მარტოხელა კაცს, არ ვიცი რა საშუალებით გაუზრდია მიტოვებული ჩვილი, რომლისთვისაც სახელად მალხაზა დაურქმევია. ბავშვი გაზრდილა, ნიჭიერიც გამოდგარა სიმღერაშიც და წერაშიც. შემდეგ კი, საუბედუროდ, არალეგალურ ბრძოლაშიც ჩაბმულა, აქტიური მონაწილეობა მიუღია 1924 წლის აჯანყებაში, დაჭრილა კიდევ მგონი დაბა ვაზიანთან და კომუნისტ ჯალათებს ჩავარდნა ხელში. დიდხანს ეთემმა შვილობილზე არაფერი იცოდა. შემდეგ გაიგო, რომ ჩეკაში ჰყავდათ და რაღაცნაირად შეხვედრა დაუნიშნია ვიღაც ბობოლასთან სწორედ იმ ნინაობის დღეს. აი, რატომ დატოვა იმ დღეს სუფრა. შეხვედრაზე კი მისთვის პირდაპირ მიუხელოდა, რომ მისი საყვარელი მალხაზა უკვე კარგა ხნის დახვრეტილი იყო. ამაზე გულდათუთქულ ეთემს ეს ლექსი დაუწერია:

ჩვენ ღვინოს ვსვამდით,  
არას ვგრძნობდით გაღეშებულნი,  
შენ კი გხვრეტავდა  
გიჟი შულმანი გამხეცებული,  
შენ რომ გხვრეტავდა, მე ვხვრინავდი,  
მეძინა ტკბილად,  
იმ დიდ კალოზე, საბურთალოზე,  
გმარხავდნენ წყვილად.  
და არცა ვნანობ, რაც ჩავივინე,  
ძალად გამხანოთ მე ესხლა თქვენი,  
მაგრამ რა ვქნა, რომ სიცოცხლე მინდა,  
შულმანის ხელით დახვრეტას ველი.  
ეთემი გურჯო, აბა, რას იტყვი,  
თუ რამე გჯერა,  
მანინ ბოლოა ჩვენი დახვრეტა,  
ოხ, ბედისწერა!

ვფიქრობ, ეს სიმღერა მან ჩვენი ქეიფიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა.

**პუბლიკაცია მოამზადა  
ბიძინა მახაშვილმა**

- თქვენს სახლში ყველაზე დიდი ადგილი თეთრ როიალს უჭირავს, რომელსაც, როგორც ამბობენ, ადგილს ხშირად უცვლით. რატომ აკეთებთ ამას?

- ხანდახან მეჩვენება, რომ სახლის სხვადასხვა კუთხეში როიალი უკეთესად ჟღერს. ჩემს როიალს გორგოლაჭები აქვს და ამიტომაც შემოიღია სრულიად მარტომ გადავაადგილო. ასე მგონია, რომ მოძრაობა ჩემს როიალსაც უყვარს, ამას ნამდვილად ვგრძნობ.

- მოძრაობა თქვენი ცხოვრების სტილია. როგორც ჩანს, ბოშური სული გაქვთ, ხშირად იცვლით საცხოვრებელ ადგილს - ცხოვრობდით თბილისში, შემდეგ მოსკოვში გადახვედით, მერე კი იყო ნიუ-იორკი, ბოსტონი, პარიზი...

- ბოშურ სულთან დაკავშირებით მართალი ხართ. იმ ქალაქებს შორის, რომლებიც ჩამოთვალეთ, ბევრი იყო ისეთი, სადაც ნამდვილად ბედნიერი ვიყავი. არასწორია, შენ მოსკოვში ცხოვრობდე, შენი შვილი - სხვა კონტინენტზე, ამიტომაც ხანდახან ადგილის შეცვლა ცხოვრებისგან იყო ნაკარნახევი. ზოგიერთი გადაბარება კი იღბლიან პერიოდებს უკავშირდება. რაღაცებზე უარის თქმაც მომიწია. მაგალითად, როდესაც მომგებანი კონტრაქტი შემოთავაზეს საფრანგეთში, სადაც 2 წელი ოპერა „ბასტილია“ უნდა მეძღერა, უარი ვთქვი.

- ასეთ წინადადებაზე უარი რამ გათქმევინათ?

- ორი წელი ოჯახის გარეშე, სრულიად მარტოს უნდა მეცხოვრა. კარიერისტი არ ვარ, თავბრუდამხვევ წარმატებას და დიდ ფულს არასოდეს გამოვიკიდებოვარ. მომგებიანი კონტრაქტის გამო ოჯახთან ურთიერთობაზე უარს ვერ ვიტყვი. კონსერვატორია წითელ დიპლომზე დავათავრე, მუსიკას ვწერდი, ალბათ სხვა ცხოვრების პირობები რომ ყოფილიყო, კომპოზიტორი ვიქნებოდი. საბჭოთა კავშირი მაშინ დაინგრა, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო. მე, როგორც დედას, ჩემი შვილის მოძაგლზე უნდა მეზრუნა, მის გამოკვებაზე უნდა მეფიქრა. მაშინ თავის პროფესიას ყველა ანებებდა თავს. ჩემი შვილის მამა, ჩემი პირველი მეუღლე (გიორგი კახაბრიშვილი), „პირველი არხის“ მთავარი რეჟისორი იყო. ჩემთვის მიუღებელი იქნებოდა, თუ ის თავის საქმეს მიატოვებდა იმის გამო, რომ მე ვერჩინე.

- გამოდის, რომ ეს ფუნქცია საკუთარ თავზე აიღეთ. ეს ხომ მამაკაცის პრეროგატივაა, სახლში ფული მოიტანოს. ამას თქვენი ქმარი როგორ დათანხმდა?

- რთული სიტუაცია იყო. მე არჩევანის წინაშე ვიდექი. თუ მუსიკას ავირჩევდი და მოსკოვში ან პარიზში წავიდოდი, ეს ჩემი ოჯახის დანგრევას გამოიწვევდა, რადგან ჩემს ქმარს თბილისის დატოვება

თამრიკო გვერდითი მსოფლიოს მოქალაქეს უწოდებენ. ის ძველის ქართულად, რუსულად, იტალიურად, ფრანგულად, ესპანურად, ინგლისურად და ებრაულად. 9 წლის იყო, როდესაც დედამ საბავშვო ანსამბლ „მზიურში“ მიიყვანა. 19 წლისამ სოჭში პირველი გრანპრი მიიღო. მსოფლიო აღიარება კი 1991 წელს ეწვია, როდესაც პარიზში მიშელ ლევრანის გვერდით გამოჩნდა.

ქართველი მომღერალი უცხოელი კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში თავის ცხოვრებას ერთგვარ შეჯამებას უკეთებს და ნაწილს, რომ ოპერას ესტრადა არჩია, ახლა კი რამის შეცვლა უკვე გვიანია.

გთავაზობთ უცხოურ პრესაში დაბეჭდილი ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს.

არ უნდოდა. არანორმალურია, მეუღლეები სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობდნენ. იმ ადამიანების არ მჯერა, რომლებიც ცალცალკე ცხოვრობენ და ამბობენ, ბედნიერი ოჯახი გვაქვსო. რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, მე ყოველთვის დამოუკიდებელი ვიყავი. ქრისტიანის არასოდეს მომითხოვია კლიპის გადაღება ან კონცერტის დაფინანსება. ყველაფერს ჩემით და ჩემი მუსიკით ვაკეთებდი.

- 1991 წელს მიშელ ლევრანთან ერთად საფრანგეთში იმღერეთ, შემდეგ ნიუ იორკში, „კარნეგი ჰოლში“. რატომ დაბრუნდით მოსკოვში? თქვენი ხმის პატრონს ამერიკაში, ალბათ, მეტი პერსპექტივა ვეძნებოდათ.

- ამერიკაში ყოველთვის რაღაც ისე ვერ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. ჩემი რთულად წარმოსათქმელი გვარი მათთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. ამასობაში შეიძლება ხალხს მოსკოვშიც დავევიწყებინე. 5 წლიანი გაურკვევლობის შემდეგ გადავწყვიტე, მოსკოვში დაბრუნებულიყავი და აქცენტი ესტრადაზე გამეკეთებინა. თავიდან ესტრადა არ მინდოდა. ამ ჟანრის ძალიან ბევრი სტანდარტი აქვს, რომელიც გაიძულებს, მას დაემორჩილო. სხვაგვარად უნდა გამოიყურებოდე, გამხდარი უნდა იყო.

- როგორ ჩაჯექით ამ სტანდარტებში?

- ხანდახან ამის გამო სიმღერა სხვანაირადც მიწვევს, ანუ კონცერტის ხასიათიდან და კონცეფციიდან გამომდინარე ვმღერი. ჩემში შინაგანი ბრძოლა ხშირად ყოფილა. რუსეთში ყოველთვის კარგად მიღებდნენ, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, სად იყო ჩემი ადგილი. შესაძლებლობა რომ იყოს, ჩემს ცხოვრებაში ბევრ რამეს შეცვლიდი.

- პირველ რიგში რას შეცვლიდით?

- გულთან ბევრ რამეს არ მივიტანდი და ნაკლებად დავიტანჯებოდი. ვიღაც ჩემი ბედის ხალიჩას რომ ქსოვდეს, ამ საქმეში მეორე დღევსე დაიკარგებოდა.

- მაგრამ ალბათ თქვენი ცხოვრების შანსები რომ გამოვეყენებინათ, შეიძლებოდა დღეს მსოფლიო დონის ოპერის მომღერალი ყოფილიყავით.

- „ვერ ვიტყვი, რომ რამეს ვნანობ“ - ეს სიტყვები მხოლოდ ედიტ ჰაიფს შეეძ

ლო ეთქვა, მე კი ბევრ რამეს ვნანობ. რასაც ბოლო 18 წლის განმავლობაში ვმღერი, შემოქმედებითად დღედად არაფერს მაძლევს.

- როცა პროფესიაში ვერ ახერხებთ, ის იყოთ, ვინც ვინდათ, ეს როგორ აისახება თქვენს ახლობლებთან ურთიერთობაზე?

- როგორ გითხრათ... მაგალითად, დედა თვლის, რომ შესანიშნავი შვილი ვარ. როგორც დედას, თავად მიმჩნია, რომ შვილისთვის არაფერი დამიკლია. პირად ურთიერთობებში კი ეს, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარად აისახება. არ ჩათვალთ, რომ ჭირვეული ქალი ვარ, მე ვარსკვლავური ეგოიზმიც კი არ მაქვს, რომელიც კარიერის გასაკეთებლად არის საჭირო.

- ვისმენთ და ვხვდები, რომ თქვენ გვერდით აუცილებლად უნდა იყოს მამაკაცი, რომელსაც მუსიკა ისევე ყვარება, როგორც თქვენ. რამდენიმე წლის წინ ცოლად გაჰყვით ქორუგს და ამბობდით, რომ ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყავით. იმიტომ ხომ არ დაინგრა თქვენი ბედნიერება, რომ მან თქვენი ცხოვრების სტილი ვერ მიიღო?

- რა თქმა უნდა, ახელია, როდესაც შენ გვერდით სულ სხვა პროფესიის ადამიანი. ვფიქრობ, რომ ჩვენ ბოლომდე ვერ გავუგეთ ერთმანეთს. ამის მიზეზი წესიერად არც ვციცი.

- მართალია, რომ ქმარმა მოვთხოვათ, სცენა დაგეტოვებინათ და უბრალოდ ცოლი და დიასახლისი ყოფილიყავით?

- არა, ის ნორმალური ადამიანი იყო. უბრალოდ რაღაც მომენტში განჩნდა შეგრძნება, რის შემდეგაც ადამიანები ერთად აღარ უნდა იყვნენ. ამის სიტყვებით გადმოცემა გამიჭირდება.

- იქნებ ყველა დიდი არტისტის ხვედრი მარტოობაა?

- შეიძლება. ალბათ ძალიან ცოტა მამაკაცი მოიძებნება, რომელიც ქალს ყველაფერს მისცემს და სამაგიეროს არ მოსთხოვს. იმედი მაქვს, რომ დედამიწის ზურგზე ასეთი ადამიანი მაინც არსებობს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ზუსტად ვიცი, როგორი მამაკაცი არ უნდა იყოს ჩემ გვერდით. სცენაზე მდგომი ქალისათვის ყოველთვის პრობლემაა სიყვარული.

- საკუთარი თავის ძიებაში ხართ?

- გარკვეულწილად, კი. დედა დღემდე მეხმარება, საკუთარ თავში გავერკვე.

## თავრიკო ბვაჩეყიანი:

# ჩემი ბედის ხალხას რომ მსოფდომ, ამ საქმეში დაიკარგებოდით!

- ალბათ იშვიათია ისეთი დედაშვილური ურთიერთობები, თქვენ რომ გაქვთ.

- ჩვენ შორის კონფლიქტი მაშინ იწყება, როდესაც დედა ამბობს - შენ დასვენება გინდა, გვერდით მამაკაცი გჭირდება. ის თვლის, რომ ამის გარეშე ცხოვრება ძალიან გამიჭირდება და არ უნდა, მარტო დამტოვოს. დედაჩემი შინაგანად ყველაზე კარგად მიცნობს. ხშირად უთქვამს, შენ ჩამქრალი ვულკანი ხარო. მართლაც, ყველაფერს ძალიან ემოციურად აღვიქვამ. დედა კი ის ადამიანია, რომელიც ჩემი ემოციების ჩაქრობას ცდილობს.

- სცენაზე ძალიან გულახდილი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებთ. როგორი ხართ რეალურ ცხოვრებაში?

- სცენაზე ყოველთვის სხვა განზომილებაში ვარ. არასოდეს ვიცი, რას ვიმედურებ. ხშირად ისეთი სიმღერები მიმღერია, რომელიც პროგრამაში საერთოდ არ ყოფილა. კონცერტის შემდეგ შინაგანად ისეთი დაცლილი ვარ, რომ სახლში მისული ლაპარაკის უნარს ვკარგავ, თუმცა ის ორი საათი, რომელსაც კონცერტზე ვატარებ, გაცილებით ძლიერია, ვიდრე ჩემი ყოველდღიური ცხოვრება. რეალურ ცხოვრებაში გამორჩეულობა არ მიყვარს და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩემს თავზე ფარდაა ჩამოშვებული, რომელიც გარესამყაროსგან მიცავს. ხანდახან მინდა, ეს ფარდა გავხიო და გავთავისუფლდე.

- სცენაზე ძირითადად ფარჩის კაბები გაცვით, ვიკეთიათ მყვირალა, დიდი ზომის სამკაულები. ჩვეულებრივ დღეებში კი ძალიან მშვიდ ტონებში იცვამთ და თან ძირითადად შავს ირჩევთ.

- ჩემი სიყვარული შავის მიმართ დეპრესიას არ უკავშირდება, პირიქით, შავი ძალას მმატებს. ძალიან ბევრ სამკაულს და ჩანთას მჩუქნიან, მაგრამ მათ ყველას ერთ დიდ სკვირში ვინახავ.

- პარიზში ცხოვრებამ თქვენს გემოვნებაზე რა გავლენა იქონია?

- პარიზში გემოვნებას ქუჩა მკარნახობდა. საოცრება იყო, ქუჩაში გამოვიდოდი თუ არა, მაშინვე ყველგან მესმოდა - მდამ ტამარა. პარიზს ვაღმერთებ! ამ ქალაქში ჩემი მუსიკისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები გავაკეთე. როცა მინდა, ჩემს მუსიკალურ სამყაროში აღმოვჩნდე, პარიზში მივდივარ, თუ მინდა, დავისვენო - თბილისში.



როკის სამანქანო გვირაბი საქართველოს თანამედროვე ისტორიაში შავ ფურცლად შევა, რომელმაც მნიშვნელოვნად დაარღვია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობა.

სოხუმელი სეპარატისტებისგან განსხვავებით, ათწლეულების განმავლობაში ცხინვალსა და ჯავაში მზარდ სეპარატიზმს არ ჰქონდა პირდაპირი დამაკავშირებელი გზა „უფროს ძმასთან“ - რუსეთთან მანამ, სანამ 1986 წელს როკის გვირაბი არ გაიხსნა.

დააკვირდით, ეს სწორედ ის წლებია, როდესაც საბჭოთა კავშირში „პერესტროიკა“ გამოცხადდა და რამდენიმე რესპუბლიკაში დაიწყო აქტიური მოქმედებები თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის.

ბალტიის სამივე რესპუბლიკისგან განსხვავებით, კავკასიის ქედი ერთგვარი ბუნებრივი ზღუდე გახლდათ ჩრდილოელი მეზობლისგან თავის დასაცავად.

მაგრამ რად გინდათ - ამ ზღუდეში ჩვენივე ხელით გავჭერით „ხერული“, „მაგი ხერული“, რომელმაც როკის გვირაბის სახით უდიდესი უარყოფითი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში 1990 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე და დღემდე.

როკის გვირაბის გაჭრის ისტორია მოვაყოლე დამსახურებულ მშენებელს, ბატონ გივი ნიკოლაიშვილს. ის მაშინ თბილგვირაბმშენში მუშაობდა, ხელმძღვანელობდა №15 სამშენებლო რაზმს, რომელსაც ჩრდილოეთიდან გამოჰყავდა გვირაბის ნაწილი.

ბატონმა გივიმ ძალზე საინტერესო ამბები გაგვაცნო. როგორც ირკვევა, კავკასიონზე რუსეთიდან საქართველოსკენ გვირაბის გაყვანის ორი პროექტი არსებობდა. პირველის თანახმად, მამისონის უღელტეხილზე დაახლოებით 7 კმ-იანი გვირაბი უნდა გაეჭრა. აქ უკეთესი ბუნებრივი პირობები იყო, გასასვლელიც - უფრო უსაფრთხო; ამიტომ გვირაბის გაჭრა შედარებით იოლი გახლდათ.

მეორე პროექტის მიხედვით, გვირაბის გაყვანა როკის უღელტეხილზე იყო დაგეგმილი, სადაც რთული ბუნებრივი პირობებია. ზამთარში ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე გვირაბამდე 8 კმ-იან გზაზე 100-ზე მეტი ზევი ჩამოდის.

ლოგიკურად - გვირაბი მამისონის უღელტეხილზე უნდა გაეჭრა, მაგრამ საქმეში პირადი ნაცნობობა ჩაერია. მაშინდელი სკკპ ჩრდილო ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბილარ კაბალოევი თურმე საგანგებოდ შეხვდა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, ასევე ოსი ეროვნების არმიის გენერალ ისა პლიევს და, სავარაუდოდ, ჩრდილოეთით და



სამხრეთით მცხოვრები ოსი ხალხის გასერთიანებლად, სთხოვა, მოსკოვისთვის ერთხა, მამისონის ნაცვლად როკის ვარიანტი დაემტკიცებინათ.

გენერალი პლიევი, რომელიც ომის გმირად ითვლებოდა და კრემლში დიდი ნაცნობობა ჰყავდა, მაშინდელი სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კოსიგინს ეახლა... შედეგად არ დააყოვნა - მოსკოვმა ბრძანება გასცა, გვირაბი გაეჭრათ არა მამისონზე, არამედ როკის უღელტეხილზე.

როკზე სამანქანო გვირაბის გაჭრა ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში იგეგმებოდა. არსებობდა ასევე ოსი ეროვნების ინჟინრის რუსტენ გაგლოევის პროექტი, რომელშიც აღწერილი იყო 5,5 კმ სიგრძის გვირაბის ტექნიკური პარამეტრები. მეტიც, 1930 წელს საქართველოს ტერიტორიიდან დაწყებულიც ყოფილა სამხრეთ პორტალის მშენებლობის მოსაპრობებელი სამუშაოები.

რა შენიღბული ჩანაფიქრი იყო ჩადებულ იქ კავკასიონის ქედზე გვირაბის გაჭრაში და თანაც მინცდამანც როკის უღელტეხილის ქვეშ და არა მამისონზე, მაშინდელი საქართველოს ხელისუფლებაც ხვდებოდა. 1972 წელს საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს ვასილ მუჟანაძეს როკის გვირაბის მშენებლობის საწინააღმდეგო წერილიც გაუგზავნა მოსკოვში, მაგრამ სასურველი შედეგი არ გამოიღო.

„სოიუზლოპროექტმა“ გადაამუშავა რუსტენ გაგლოევის 1920-იანი წლების პროექტი და გასაჭრელი გვირაბის ადგილის გადატანით თავად გვირაბის სიგრძე 5,5კმ-დან 3,6კმ-მდე შეამცირა.

საინტერესო კი ისაა, რომ როკის გვირაბის გაჭრა „თბილგვირაბმშენს“ დაეკავალა, ანუ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საფრთხე - როკის გვირაბი, ძირითადად ისევ ქართველი ინჟინრებისა და მუშების ხელით გაიჭრა!

1975 წელს „თბილგვირაბმშენის“ მე-

13 რაზმმა მუშაობა სამხრეთის მიმართულებიდან, ხოლო 1976 წელს №15 რაზმმა - ჩრდილოეთიდან დაიწყო. მძიმე და შეუწყვეტელი სამუშაოების შედეგად 1983 წელს სამხრეთი და ჩრდილოეთი გვირაბები შეერთდა.

ამასთან დაკავშირებით გივი ნიკოლაიშვილი იხსენებს, - საზეიმო მიტინგზე ჩრდილო ოსეთის წარმომადგენლები ემოციებს არ ერიდებოდნენ და გულწრფელად ლაპარაკობდნენ იმ გულთბილ დამოკიდებულებაზე, რაც ქართველებმა ოსების მიმართ გამოხატეს, არც იმის აღნიშვნა დავიწყებთ, რომ 1725 წელს, კაზაკებისგან შევიწროებულმა მრავალმა ოსმა საქართველოში ჰპოვა თავშესაფარი და მეორე სამშობლო.

მიტინგზე სიტყვით მეც გამოვედი და ვთქვი, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების სურვილის შემთხვევაში გვირაბს შეიძლება დიდი უსიამოვნება გამოეწვია. ამაზე ჩრდილო ოსეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კაბალოევმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, ასეთი რამ არასოდეს მოხდება, რადგან სამხრეთი ოსეთი საქართველოს მიწაზეა.

კიდევ სამი წელი დასჭირდა გვირაბის კეთილმოწყობასა და საექსპლუატაციოდ მომზადებას. როკის გვირაბი ოფიციალურად 1986 წელს გაიხსნა და ჩანს, მაშინვე გახდა მზარდი სეპარატისტული მოძრაობის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი.

უკვე ამყენებულნი გვირაბის თუნდ დროებით მწყობრიდან გამოყვანა, რომ ჩრდილო კავკასიიდან ათასი ჯურის შეიარაღებულ დაქირავებულ პირს ჯავასა და ცხინვალში არ შემოეღწია, ურთულესი ამოცანა აღმოჩნდა.

გივი ნიკოლაიშვილი იხსენებს, რომ 1990 წლის დეკემბრის ბოლოს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს, მას უშიშროებამ გვირაბის აფეთქებაში დახმარება სთხოვა. ცხინვალში ჩასულებმა კი გაარკვიეს, რომ ამ სპეცოპერაციის დამგე-



მაგები ნაკლებად ერკვეოდნენ რეალობაში და საუკეთესო ცემენტით აშენებული გვირაბის აფეთქებას თურმე „ლიმონკებით“ აპირებდნენ. სანამ მათ სპეციალისტები აუხსნიდნენ გვირაბის კონსტრუქციულ თავისებურებებს და უფრო საფუძვლიანად მომზადების აუცილებლობას, ინფორმაცია მოუვიდათ, რომ გვირაბს უკვე ჩრდილო-კავკასიელი „ბოვეიკები“ აკონტროლებდნენ და სამხრეთ პორტალთან უკვე დაცვის პოსტები ჰქონდათ...

მას შემდეგ როკის გვირაბს მუდმივად იცავენ. 2008 წლის აგვისტოს ომამდე კი გვირაბის სამხრეთ პორტალთან განთავსდა რუსული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საზენიტო საშუალებებიც.

მოსკოვში სერიოზულად ეშინოდათ, რომ როკის გვირაბის მწყობრიდან გამოყვანის შემთხვევაში მათი საოკუპაციო ჯარების გადმოსროლას დიდი პრობლემები შეექმნებოდა.

ქართულ მხარეს არავითარი სერიოზული მცდელობა არ ჰქონია, ჩაეკეტა როკის გვირაბი, საიდანაც უწყვეტ ნაკადად შემოდოდა რუსული ჯავშან-კოლონა. გვირაბში რუსული ტანკებისა და ჯავშანქანების გადაადგილების თუნდაც ერთი საათით შეფერხება შეიძლება დამლუპველი გამხდარიყო რუსული ჯავშანტექნიკის ეკიპაჟებისთვის, რადგან გვირაბში დატანებული სავენტილაციო სისტემა არ ფუნქციონირებდა და გამონახოლქვი გაზები მასობრივ ხუთვას გამოიწვევდა.

აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოს ხელისუფლების მალაჩინოსნები აცხადებდნენ, ქართულ ავიაციას არ ჰქონდა შეიარაღებაში ისეთი ბომბები და რაკეტები, რომლებიც როკის გვირაბს აფეთქებდაო.

ამისათვის აუცილებელი არ იყო როკის გვირაბის აფეთქება. ქართულ ავიაციასა და შორსმსროლელ არტილერიას შეეძლოთ „ეზუშავათ“ როკის გვირაბის სამხრეთპორტალიდან გამომავალ გზაზე და უღელტეხილის ფერდობებზე, მათი ჩამოშლის შემდეგ ჯავისა და ცხინვალისკენ მომავალი გზა დროებით მაინც ჩაიკეტებოდა...

ნურც ის გვეგონება, რომ როკის გვირაბი აულებელი ციხესიმაგრეა. თვით გვირაბში არის რამდენიმე სუსტი ადგილი, რომლებიც კარგად მოეხსენებათ სპეციალისტებს. შესაბამისი მოქმედებით სასურველი შედეგის მიღწევაც შეიძლება...

დღეს როკის გვირაბის ჩაკეტვა-არჩაკეტვაზე საუბარი დაგვიანებულია და მწარე რეალობას ნაკლებად შეცვლის.

ზოგიერთს შეიძლება არც მოსწონდეს აზრი გვირაბის აფეთქებისა, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ სწორედ როკის გვირაბმა „ააფეთქა“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა...

**ირაკლი ალადაშვილი**





❖ **ოთარ სეფიაშვილი,**  
საქართველოს ხელოვნების  
დამსახურებული მოღვაწე



# «მეფისტო»

ფილმი, კინონაწარმოები ოდენ მაშინ აღწევს დასასულ მიზანს, ამართლებს თავის არსებობას და დანიშნულებას, როცა მასში ისმის ჭეშმარიტ მხატვარ-შემოქმედისა და მისი თანადროულობის ცოცხალი მაჯის-ცემა, როცა სურათში გამჟღავნებულია ავტორის დროისშვილობის, ხალხისშვილობის წრფელი გრძნობა და მგზნებარება. ასეთი ნაწარმოები - სულერთია, წიგნი-რომანი იქნება ეს, ფერტილო, სიმფონია თუ კინოსურათი - დროის, ეპოქის პირუთვნელ მხატვრულ დოკუმენტადაც წარმოგვიდგება და საჭირობოლო გაუხუნარ ხსოვნად რჩება სამომავლოდაც.

უთუოდ, სწორედ ასეთი ქმნილებებია გერმანელი მწერლის კლაუს მანის რომანი „მეფისტო“ და მის მიხედვით გადაღებული, რეჟისორ იმტეკან საბოს მიერ დადგმული ანტიფაშისტური ფილმიც.

ამთავითვე აღვნიშნავ: სურათმა უკვე ტრიუმფალურად მოიარა მსოფლიოს კინო-ეკრანები, რაც მართლა იშვიათობაა ასეთი რთული, ფსიქოლოგიურად ღრმა, დრამატულად დაძაბული, მეტაფორულ-ფერწერული ნაწარმოების შემთხვევაში.

დღეს სწორედ ამ სურათს ვიხილავთ „ილუზიონში.“ იგი არ არის იოლად აღსაქმელი. ამიტომ წინდაწინ გთხოვთ მისადმი განსაკუთრებულ გულისყურს.

\* \* \*

კლაუს მანის რომანი „მეფისტო“ გამოქვეყნდა 1936 წელს. ფილმი კი, მის მიხედვით, გადაიღეს 45 წლის შემდეგ - 1981-ში. სურათს იმავე წელს კანის მსოფლიო კინოფესტივალზე მიენიჭა „ფიპრესის“ - კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრიზი... მეც იმ 1981-ში ვნახე იგი მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის ეკრანზე, სადაც „მეფისტო“ კონკურსგარეშე იყო წარმოდგენილი და გამოიტყდებით, დღემდე მომყვება ამ თანადროული კინოშედეგით გამოჩვეული მაშინდელი გაოგნება და ჟრუანტელის შეგრძნება. თუმცა, ისიც იყო, რომ იქვე გამიელვა თავში რაღაც „კრამოლურმა“, არსათქმელმა აზრმა, რომლის გამხელაც მაშინ, ალბათ, ჩემი თავისა და ფილმის შემოქმედთა წინაშე ჩადენილი დანაშაული იქნებოდა

კლაუს მანის რომანის გამოქვეყნების მომენტში მკითხველი ადვილად ამოიცნობდა მის პერსონაჟებში თანადროულ რეა-

ლურ პირებს, თუმცა, ავტორი მათ სხვა, გამოგონილი სახელებით ნიღბავდა. წიგნში არ იგრძნობა ე.წ. „დროის დისტანცია.“ იგი იწერებოდა ყოველდღიური სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ცხელ კვალზე; იწერებოდა ავტორისათვის მშობლიური გერმანიის გამო უდიდესი გულისტკივილისა და სირცხვილის გრძნობით, გერმანიისა, რომელსაც პიტლურელი ნაცისტები მართავდნენ. იმაჟამად ამ გრძნობით იყო გათანგული მთელი გერმანული ემიგრაცია. კლაუს მანის, - შვილი დიდი თომას მანისა, - ისევე როგორც მამამისი, გახიზნული იყო სამშობლოდან და ემიგრაციაში ქმნიდა თავის „მეფისტოს“ - ან როგორც თავად უწოდა ქვესათაურში - „ერთი კარიერის ისტორიას.“ წერდა გულსშემონთებული რისხვით, ანტიფაშისტური პათოსით.

ფილმის მთავარ გმირს - ჰენდრი ჰოფგენს, რომელსაც მართლა გამოაგნებლად ასახიერებს ავსტრიელი კლაუს მარია ბრანდაუერი, - ჰყავდა რეალური, ცხოვრებისეული პროტოტიპი - გუსტავ გრიუნდჰენსი, ნიჭიერი, ნაცისტურ გერმანიაში ძალზე პოპულარული მსახიობი - კლაუს მანის მეგობარი, ოდესმე მისი სულიერად მონათესავე, შემდეგ კი ნამდვილი ნათესავიც; იგი კლაუსის სიძე იყო, ქმარი თომას მანის ასულის - ერიკისა... მწერალი მძიმედ განიცდიდა ყოფილი მეგობრისა და თანამოაზრის შინაგან ევოლუციას, რომელმაც საბოლოოდ პატივმოყვარეობამ სძლია რწმენას...

იმჟამინდელ გერმანიაში შეთხზული და გავრცელებული იყო გუსტავ გრიუნდჰენ-

სის „პარადული ბიოგრაფია.“ ანტიფაშისტური კლაუს მანი მას უპირისპირება და პერტროფირებული პატივმოყვარეობით და ევოცენტრიზმით თავ-გულ გამოჭმულ კონფორმისტის ფსიქოლოგიურად მართალ, ბელეტრიზებულ ბიოგრაფიას. წიგნი თანადროულობის სიმძაფრით სუნთქავდა.

ფილმში ლამის მთლიანად არის გადმოტანილი რომანის ფართო და მდიდარი ფაბულა - სიყალბის გაფეტიშება, ტრაგიკული მოვლენები - ეპოქის შემოიღლი სახეიერი. რეჟისორი იმტეკან საბო მხოლოდ ამკვეთრებს რომანის ზოგიერთ მოტივს და ამატებს ფინალურ სცენას, რომლის გამჭოლი აზრაც ისევ თავად წიგნიდან მომდინარეობს. ეკრანიზაციის ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რომანის და, მამასადამე, ფილმის გმირს არ გააჩნია ზნეობრივი საყრდენი და ამდენად, მისი ევოლუცია - გარიგება ფაშისტებთან - მისივე შინაგანი, ფსიქოლოგიური არამდგრადობის კანონზომიერი შედეგია. ჰენდრიკ ჰოფგენის არაკატომოყვარე, ანტიკუმანური ბუნებისათვის ნიშანდობლივია თანდაყოლილი ნიჭითა და შექმნილი პროფესიონალიზმით ავადმყოფური სიამაყე, უსაზღვრო თავმოწონება, ისევე როგორც ნაციზმისათვის - თავგასული, აულაგმავე ეროვნული ამპარტაყნება ან - უფრო უუსტად - საკუთარ რასობრივ უპირატესობაში თავდაჯერება.

\* \* \*

**ციტატა:** „სიხარულიანი შეგრძნება საკუთარი ძლიერების, სხეულისა და კუნთების მოქნილობა, გამარჯვების ზარხონი,

ძღვეის ცოდნა და უნარი, მსმენელთა ათას-ათავიანი ბრბოს დამორჩილება...” ეს რომენ როლანის სიტყვებია და ახლა ასე მგონია, თითქოს დიდ მწერალს თვალწინ ედგა კლაუს მარია ბრანდაუერისეული ჰენდრიკ ჰიოფგენი ფილმიდან „მეფისტო.“ მაგრამ ისინი - მწერალი და მსახიობი - სხვადასხვა დროში აღმოჩნდნენ და გაიმიჯნენ. გენიალური როლანი გარდაიცვალა 1944-ში. სწორედ იმ წელს დაიბადა ბრანდაუერი. მაგრამ თითქოს იმთავითვე ასე ინებაო ბედისწერამ, ისინი ერთხელ მაინც უნდა აღმოჩენილიყვნენ ერთიმეორის გვერდი-გვერდ. თუმცა, ამჯერად მათ აკავშირებდა მესამე სახელი - სიემაწვილიდანვე ჩვენს სსოვნაში ნათლად დარჩენილი - „ჟანკრისტოფი.“ ბრანდაუერმა ზუსტად ისე მოირგო ეს სახეიერი თუ როლი, როგორცაა წარმოდგენა იგი რომენ როლანს. ეს მოხდა 1979-ში, ფრანგი რეჟისორის ფრანსუა ვილიეს მრავალსერიიან ტელეფილმში. მართალია, თავად ფილმი არავის მიუჩნევია კინოსამყაროში მოვლენად, მაგრამ სწორედ მასში გაისმა პირველად ჭეჭა-ჭუხილივით მგრგვინავი

- ბ რ ა ნ დ ა უ ე რ ი !


აქამდე იშვიათად, კანტი-კუნტად თუ გამოჩენილა კინოში. ჟურნალისტებთან შეხვედრებისას, როცა უნდოდა აეხსნა - თუ რარიგ არის თავად მიჯაჭვული თეატრალურ სცენას, იგი ხშირად იმეორებდა „მეფისტოში“ თავისი გმირის - ჰენდრიკ ჰიოფგენის ეფექტურ და ერთდროულადაც, პოლემიკურ ფრაზას - „მე თეატრზე ვარ ჯვარდაწერილი!“ ერთ-ერთ ინტერვიუში კი აცხადებდა: „მე ვიყავი და ვრჩები თეატრალურ მსახიობად. თუმცა იმავდროულად, მე ამ საუკუნის შვილი ვარ და ჩემს ცხოვრებაშიც კუთვნილ ადგილს იკავებს კინო, ტელევიზია, რადიო. მე ამ სფეროებშიც მიხდება ხოლმე გავლა და მათ აკარგზე თვალის შევლება, მაგრამ ყოველთვის ვუბრუნდები სცენას...“

პირველი კინოროლი კი 1972-ში შეასრულა ამერიკელი ლი კეჩინის სურათში ნეოფაშისზმზე - „ზალცბურგულ ბანდაში.“ ხოლო უნგრელ რეჟისორთაგან ანდრამ კოვაჩმა გააცნო იგი პირველად ფართო მაყურებელს ფილმით „ოქტომბრის კვირადღე.“ ეს იყო ომისდროინდელი ქრონიკები, რომელშიც ბრანდაუერი გაიძვერა გერმანელ დიპლომატს ასახიერებდა.

ამათ მოჰყვა ისევ უნგრელი რეჟისორის - იშტვან საბოს „მეფისტო“. (დიახ, არა „მეფისტოფელი“, როგორც საბჭოეთის კინოგაქირავებაში „მონათლეს“ სურათი, არამედ სწორედ „მეფისტო“ - მითოლოგიური, გოეთეს გენიალური ნაწარმოების შემდეგ კი მისი პერსონაჟის სახელის ეს ვარიანტი ირჩია ჯერ კლაუს მანმა თავისი ანტიფაშისტური რომანისათვის, და შესა-




■ „მეფისტო“ 1981



■ „მეფისტო“ 1981



„მეფისტო“ 1981 ■



ბამისად, იშტვან საბომაც თავისი ფილმი-სათვის.)

\* სურათი, ისევე როგორც მისი ლიტერატურული თავწყარო, ეძღვნება „თეატრსა და ადამიანს“ - ზვიადსა და სახელის მოხვეჭით გულუძღებ, ბრმა ვნებათღელვების და ჟინის მოუთოკავ მსახიობს, რომელიც ნაციზმის ჟამს საკუთარ სინდისის ქენჯნას იშოშმინებდა ლამის სასოწარკვეთილი შეძახილით: „მე მხოლოდ და მხოლოდ მსახიობი ვარ,“ „დღი მსახიობი - თეატრზე ვკვარდაწერილი!“

ეს ღარღილია ცთუნებულ სულის, თავიდან ბოლომდე რომ ჩაგვესმის ფილმიდან ქვეცნობიერად. მაგრამ როგორია მისი გამოძახილი ჩვენში?!

და აქვე კიდევ ერთი, შესაძლოა სულაც შემთხვევითი, მაგრამ თავისი იდუმალებით უთუოდ საგულისხმო თანხვედრა ფაქტებისა: გუსტავ გრიუნდჰენსი მანილში გარდაიცვალა სწორედ იმ დღეს, როცა ბრანდაუერმა პირველად შეასრულა როლი შექსპირის პიესაში პროფესიონალურ სცენაზე.

თავისი წინამორბედის უცხოეთში პატივდაუდებლად აღსასრულით გულდათანღრულმა, მან მეორე დღესვე საგანგებოდ მოიძია კლაუს მანის რომანი და სულმოუთქმელად ჩაიკითხა მრავალგვერდიანი წიგნი. „თითები მიცახცახებდა, - ამბობდა იგი შემდეგ, - როცა ვფურცლავდი ამ „ანტიფაშისტური პათოსით“ დაწერილ გრიუნდჰენსის ბიოგრაფიას. იქნებ იმიტომ, რომ ჩემი პერსონაჟი „მეფისტომში“ - ჰიოფგენი, როგორც მსახიობი და მე რალაც მცირედით მაინც ვენათესავებით ერთმანეთს. ისე როგორც მას, მეც მწყურია ვიყო ყველა სათავის საყვარელი და სახელოვანი, დაფასებული, თან მღევლეს წარმატება, აღიარება. ამიტომაც ამ ფილმში თამაში ჩემთვის ერთგვარი თერაპია იყო თითქოს... მაგრამ ჩემთვის ერთნაირად უცხო და მიუღებელია ჰიოფგენის როგორც შეგნება და თვალსაზრისი, ისე მისი მოქმედებანიც. არ შეიძლება, დაუშვებელია, რომ მსახიობი განყენებულად ცხოვრობდეს საზოგადოებაში. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ შენ ადამიანი და მოქალაქე ხარ.“

და როდესაც იმ მომენტიდან თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ მას ტელეფონით დაუკავშირდა რეჟისორი იშტვან საბო და მთავარი როლი შესთავაზა სამომავლოდ ფილმ „მეფისტომში,“ აღტაცებულმა ბრანდაუერმა თავმუშუკავებლად, ლამის ყვირილით ჩასძახა ყურმილში: „ჰო, ჰო, ეს ჩემი როლია, იცოდე - მე შენი კაცი ვარ!“ მოგვიანებით კი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა:

„მე ვიცოდი, რომ - თუნდაც ოცი წლის მერე მაინც - მომეცემოდა შესაძლებლობა ყველაფრის თქმისა, რაც აქამდე თავს იყრიდა ჩემში; ვიცოდი, რომ შევძლებდი

ბევრად უფრო მკვეთრად გამოხატავს, ვიდრე ჩემს მიერ შესრულებულ სხვა როლებში, თუ როგორია ჩემი ყოფა-წუთისოფელი, რისი უნარი შემწევს, რისი კეთება შემძობლია როგორც მსახიობს იმ საზოგადოებაში, რომელშიც მიხდება ცხოვრება...”

და შემოვიდა იგი ამ რთულ, დრამატულად დაძაბულ მეტაფორულ-ფერწერულ-ფსიქოლოგიურ სურათში „თეატრსა და ადამიანზე“ თავისი ნაფიქრალით, განსჯით, თანადროული სინამდვილის მწვავე განცდით, პასუხგაუცემელი შეკითხვებით.

\* \* \*

ფილმის პირველივე ეპიზოდში შევხვდებით ბრანდაუერის პერსონაჟს - ჰენდრიკ ჰოფგენს და გვამახსოვრდება, როგორი დაუოკებელი წადილით და ჯადოქრული ხელოვნებით იცვლის იგი ნიღბებს, როგორ მალავს, არავის უმხელს - თავის თავსაც კი - საკუთარ ნამდვილ სახეს.

... მაყურებლებით გადავსებული თეატრის დარბაზი. დაუცხრომელი ოვაციით ხვდებიან სცენაზე ოპერეტის პრიმადონას ალტაცებული თავყანისმცემლები. კულინსებსმიღმა კი, საეროიმორში, მოსარკულ კედლებში, სადაც შორიდან აღწევს მაყურებლების ყიჟინა და ტაშის გრიალი, ზის შურით აღვსილი, მოქუფრული პროვინციული ჰენდრიკ ჰოფგენი და ამაღმადგებელი ხელებით იხშობს ყურთასმენას, რომ არ გაიფრთხოს, არ დაიჯეროს სხვისი წარმატება. მაგრამ გამოხდება ერთი წუთიც და... იგი საოცარი თავისძვევით იშორებს სახიდან ზაფანგში მოქცეულ ტყიურ მხეცის მანჭვას და ირგებს მოჩვენებითი შემწყნარებლობის ნიღბს...

ჰენდრიკ ჰოფგენი ოდენ ერთხელ იხსენებს თავის პირველ ცოლთან - ბარბარესთან საუბარში სიყმაწვილეში განცდილ ეპიზოდს, როცა მოძღვრულ ბავშვთა გუნდში, სხვებისაგან რომ გამორჩეულიყო, ხმას აუწია და გადავიდა მაღალ ტონებში. იქვე თავს დაადგა მასწავლებელი და მკაცრად უბრძანა: - „დადუმდი!“ სწორედ მაშინდელი იძულებითი დადუმების ტკივილის საზღაურს ითხოვს ახლა ცხოვრებისაგან - აღზევებული ჰოფგენი. ეს საზღაური კი შეიძლება იყოს მარტოდენ წარმატება - აპლოდისმენტები, ეგზალტირებული ბროუს ტაშისგრიალი, ყურს რომ ესალებუნება და მაღამოდ ედება ოდენმე დაკოდილ, მოურჩენელ მის პატივმოყვარეობას...

ფილმის ავტორები ცდილობენ ბრანდაუერის პერსონაჟის სწეულების საწყისის მიგნებას და ამთავითვე დიაგნოსის დასმას... (ჩემს ხსოვნაში კი, სურათის პირველ ხილვისთანავე, რატომღაც ამოტივტივდა ვალაკტიონის - „აქ ნოტრდამთან (სნებიან ფანტაზიის ნახატი)“... თურმე შეიძლება ტადრის სახეიერშიც კი დაინახო და განიცადო „სნებიან ფანტაზიის“ კვალი)...

\* რალა თქმა უნდა, ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტის ძირითადი ტვირთმძიმობა მსახიობს აწევდა მხრებზე. რეჟისორი იმტვან საბო მინდობილია მთავარი როლის შემსრულებელზე, ბრანდაუერი კი თავისი პერსონაჟის სულწაღში ღრმადმწვდომი ხელოვანია. იგი წუთითაც არ არღვევს დისტანციას მაყურებელსა და თავის გმირს შორის, ასე შედის და ხსნის უცნაური სულის ყველა კუთხე-კუნჭულს, - პირველ რიგში, - მის ფარულ შურს დაბადებით რჩეულთა მიმართ და მის საუღღდაღად დამალულ მარტოდმთენილობას საკუთარ კომპლექსებთან.

და რაც შემდგომ ხდება ფილმში: ჰენდრიკ ჰოფგენი შესაშური შეუპოვრობით რომ მიიწევს წარმატების კიბის საფეხურებით მაღლა; ოდენმე უბრალოდ საიმედო ნიჭის ჰამბურგელი არტისტი იმპერიალური ბერლინის ფაგორიტი გახდება, სიამის განცდით გადაეშვება და ჩაიძირება თავყანისმცემელთა აპლოდისმენტების მორეგში; და გულს არ იკარებს, არად მიანია ქვეყნის ავკარგი და ერთთავად პირზე აკერია - „მე მხოლოდ და მხოლოდ მსახიობი ვარ!“

არა-და, კაცმა რომ თქვას, ფილმ „მეფისტოში“ ბრანდაუერის გმირის რეალური, ცხოვრებისეული პროტოტიპი - გუსტავ გრიუნდჰენსი იმჟამინდელ თეატრალურ სცენაზე ლამის ისეთივე გავლენის ფიგურა იყო, რაც ნაცისტურ კინოკრანზე დოკუმენტალისტი ლენი რიფენშტალი, რომელიც თავის პროპაგანდისტულ ფილმებში („ნებისყოფის ტრიუმფი“, „ოლიმპია“) მთელს მრწამსით და ამკარა, დაუფარავი პათოსით ქადაგებდა ფაშისტურ იდეოლოგიას... ბრანდაუერისეულ პერსონაჟში კი არ იგრძნობა და არც ვლინდება რწმენა რისიმე, არის ოდენ როლები, არის ნიღბები და არ კი არის ცოცხალი სახეებით ცხოვრებისეულ რეალიებთან შეხების წადილი.

ბრანდაუერი - ჰენდრიკ ჰოფგენის როლში - იმტვან საბოს უტყუარი რეჟისორული ალღოს დასტური და მართლა ბედნიერი არჩევანია. ისინი ერთი თაობის წარმომადგენლები და თანამოაზრენი არიან. შემთხვევით ან ულოგიკოდ კი არ მომხდარა, ბრანდაუერმა რომ ტელეფონით საუბრისას ჩასმანა რეჟისორს - „იცოდენ, მე შენი კაცი ვარ!“ მათი შემოქმედებისათვის ლამის ერთნაირად დამანასიათებელია: თაობათა და ადამიანთა წინააღმდეგობის დაძლევისა და მათი დიალოგის თემა; იდეალებსა და სინამდვილეს შორის თანაფარდობის მიგნება; ისტორიული მემკვიდრეობის კვლევა და მის სიღრმეებში ჩაძიება - ეს და სხვა საჭირობოროტო პრობლემები თავს იყრიან „მეფისტომიც“ ასოციაციური დრამატურგიის კანონებით აგებულ თხრობაში - უხვი რეალიების, ფსიქოლოგიურად მარ-

თალი და ემოციური დეტალების, ლირიკული ობერტონების მოხმობითაც კი...

და ახლა ასე მგონია, - არა, კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ, - ამ ეკრანული ქმნილებისათვის ასე ბუნებრივი და სისხლ-ხორცეული რომ არ აღმოჩენილიყო კლაუს მარია ბრანდაუერის ნიჭი და ხელოვნება, მას რომ ციმ-ციმ, მისხალ-მისხალ არ შემოეტანა სურათში კლაუს მანის რომანის ჯერაც კვლავინდებურად გავარვარებული პოლიტიკური სუნთქვა; თავისებური გააზრებით არ წარმოესახა ლიტერატურული თავწყაროს გმირის ლამის პირველქმნილი ისტერიები, მისი ბორგვა და წრიალი, და იქვე - სიმშვიდის ყალბი ნიღბები, მისი ბედკრულ ეუღლ ძალღივით ყმული მთვარის შიშველი მშვენიერების წინაშე, ან - თუ გნებავთ, - მისი აღზნება-აღტკინებანი, რომლებმაც „იმდენივე შეროქმედებითი ცეცხლია, რამდენიც შემონთებული პატივმოტვარეობა“ - ფილმი ვერ მიაღწევდა რომანისეულ დულილის წერტილს, ვერ გასძლედა ეკრანზე ორ საათზე მეტხანს, თუ არა ბრანდაუერის პერსონაჟის უკუკანვიით მფეთქავი ტემპერამენტი, მისი ზღვარსგადასული, აულავმავი ლტოლვა ამაოება ამაოებისადმი, დაუოკებელი წადილი - რაც არ უნდა დაუჯდეს - გამოიწვიოს მსმენელ-მაყურებლებში ტაშის გრიალი, აპლოდისმენტები! ეს არის ჰენდრიკ ჰოფგენის სალოცავი ხატი, მისი რელიგია. ამის გარეშე მას სისხლი ეყინება მარღვებში, სული ეხუთება და არ ენაღვლება, არაფრად უღირს ყოფიერების ცოდო-მადლი, ბოროტისა და სიკეთის ურთიერთკენა, ემპასიაც წაუღია ყველაფერი, რაც ხდება ამ საბედისწეროდ ატორტმანებულ ქვეყნებზე - „მე მხოლოდ მსახიობი ვარ!“ - არტისტი, - თეატრზე ჯვარდაწერილი!...

\* სურათის ლაიტთემაა ე.წ. „მეფისტოფელის მოტივი“. მრავალმნიშვნელოვნად არის გათამაშებული ცთუნების, სატანასთან გარიგების, ემპასიასთვის სულის მიყიდვის თემა. მეფისტოფელის სიტყვები - „ყველაფერი შეიძლება იქცეს ჩვეულებად“ - თითქოს ხსნის კიდევ ფილმის მთავარი გმირის სულიერად მსხვერვისა და გადავკარების პროცესს.

იმავდროულად, ფილმში გატარებულია ერთი უბრალო, მაგრამ სამარადჟამო აზრი: არ არსებობს, შეუძლებელია ფაშისტთან „მცირე“, „ცოტა“ კომპრომისი. - ჩაყვები? - ჩავითრევი!

და ჩავესმის ბერტოლტ ბრეჰტისეული გაფრთხილებაც, სადღეისოდაც რომ აქტუალურად ჟღერს: „არ გაბერწებულა საშო, რომელმაც ჩაისახა ურჩხული!“

P.S. 1981-შივე შედგა „მეფისტოს“ ტრიუმფალური სვლა მსოფლიოს კინოკრანებ-

ზე და, ალბათ, არ იქნება გაზვიადება თუ ვიტყვი: არ დარჩენილა იმჟამად კინოსამყაროში არსებული რაიმე მნიშვნელოვანი ჯილდო ან საპატიო წოდება, რომელიც მას არ მოეხვეჭოს. სხვათაშორის, ასეთი უხვი ნადავლი პირველი არ ყოფილა იშტვან საბოს შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მაგონდება: ერთმა ჟურნალისტმა გამოთვალა - რაც კი გადაუღია „მეფისტომდე“ იშტვან საბოს, თითქმის ყველა სურათი სხვადასხვა პრესტიჟული ჯილდოთი აღნიშნულა საერთაშორისო კინოფორუმებზე. მათ შორის - კანში, ბერლინში, მოსკოვში... მაშინ ჟურნალისტმა იშტვან საბოს „მსოფლიო კინოფესტივალების ბედის ნებიერი“ შეარქვა.

ეს გამოთქმა შევასხენე საბოს ერთხელ პირად საუბარში. მან, ცოტა შემცბარმა, გამომცდელად გამომხედა ჟღალ წარბ-წამწამ ქვეშ დაკვირვებით მზირალი თვალებით და თითქოს მე კი არ მპასუხობდა, უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა: „ჯერ სადაა მაგ თქმის დასტური?!“ პაუზის მერე კი განაგრძო: „არა-და, ალღო თუ არ მღალატობს, შორს არ უნდა იყოს მისი ახლომის ჯერი... შევსწრებივართ ოდესმე ცხოვრებაში მოვლენათა ასეთი უღმობელი სისწრაფით განვითარებას, შინაური თუ საგარეო ამბების დღეცისმარე ცვალებადობას, რომელთა შედეგის წინასწარ ამოცნობა შეუძლებელია... ვაცალოთ, მოსახდენი მოხდება... მე კი, ერთად ერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ ღმერთმა არ ინებოს იმის გამეორება რაც იყო...“

ეს საუბარი შედგა თბილისში, სასტუმრო „ივერიაში“ - 1970-იანი წლების შუაზნანს, საბჭოთა კავშირში გამართულ „უნგრული კინოს კვირეულზე.“ მაშინ, იმ „კვირეულზე“ მართლა შემძრა თავისი გაბეჯული ჟღერადობით რეჟისორ კაროი მაკის ფილმმა (მგონი „სიყვარული“ თუ „ქალის სიყვარული“ ერქვა), რომელშიც ძალუმად ისმოდა ჩვენში ტაბუირებული ისტორიული მოვლენის - უნგრეთში 1956 წლის ოქტომბერ-ნოემბრის კონტრრევოლუციის დამარცხების სეკლიანი განწყობილება... გაოცებული ვიყავი, ვერ ამეხსნა, როგორ მოხდა ასეთი - ჩვენში მკაცრად ათვალწუნებული რეჟისორ მიკლოშ იანჩოს ფილმების მხარისამხმელი სურათის საბჭოეთში შემოტანა? როდესაც ამის გამო ჩამოვუგდე სიტყვა, იშტვან საბომ დუმილი არჩია, ხმა არ გაუღია არც თავისი ვეტერანი კოლეგის, არცა მისი ფილმის გამო. არა-და, რაღაც გუმანით ვხვდებოდი, რომ „ბედის ნებიერი“ იშტვან საბოს სულწიაღშიც მნიშვნელოვანი ძვრები ხდებოდა. ამ ვარაუდის დასტურად გაისმა იშტვან საბოს და კლაუს მარია ბრანდაუერის „მეფისტო.“

1982-ში კი, ალბათ, არ დარჩენილა მსოფლიოში რომელიმე ჟურნალი და გაზეთი, რომელშიც არ დაბეჭდილა სენსაცი-



ური ფოტოსურათი: სიამაყით სახეგაბადრულ საბოს და ბრანდაუერს ხელში უჭირავთ დღევანდელ კინოსამყაროში ყველაზე პრესტიჟული ჯილდო - ამერიკის კინოაკადემიის „ოსკარი“... სულ ცოტა ხანში პრესაში გამოჩნდა ფოტო - იშტვან საბო დონატელოს „დავითის“ პატარა ოქროცურვილი ქანდაკით ხელში, - ტრადიციულად - რომში რომ ანიჭებენ წლის საუკეთესო საზღვარგარეთულ ფილმს... იქვე გამოქვეყნდა ისევ რომში გადაღებული სამახსოვრო სურათი - ბრანდაუერი დონატელოს „დავითის“ ისეთივე ქანდაკით - „მეფისტოში“ მთავარი როლის საუკეთესო შესრულებისათვის...

სხვა რა ღირსება უნდა ენატრა რეჟისორსა თუ მსახიობს - ოკეანის გაღმა და ევროპის შუაგულ „მარადიულ ქალაქში“ ქუხდა მათი სახელები. საბო და ბრანდაუერი არაერთ ქვეყანაში აღიარეს წლის ყველაზე გამოჩენილ კინოხელოვანებად. ევროპაში კი, მეტადრე ე.წ. „კინოკლუბებში“ კიდევ დიდხანს არ დამცხრალა „მეფისტოს“ საჯარო განხილვები. იყო ფილმის ღრმა ანალიზის წადილი, მის მხატვრულ და ფსიქოლოგიურ ქვეტექსტებში წვლიობსაკენ სწრაფვა, ცხარე კამათი, განსხვავებულ შეხედულებათა შეჯახება. ჩვენში კი, სამწუხაროდ, არც ფილმისა და არც მის ირგვლივ ენებათაღელვის გამო არაფერი იწერებოდა, თუცადა, თავად სურათი საბჭოეთის მთელ სივრცეზეც პოპულარული იყო და ჰყავდა ფართო მაყურებელი... და აი, მოგვიანებით გაზეთ „სოვეტსკაია კულ-

ტურაში“ მოულოდნელად წავაწყვი მოკლე რეპორტაჟს ავსტრიაში - ბრანდაუერის სამშობლოში - ტელევიზიაში „მეფისტოს“ საჯარო განხილვიდან. საგაზეთო რეპორტაჟის ავტორი აცხადებდა, რომ ტელეგაცემა გადაზრდილა მწვავე პოლემიკაში თანადროულ საზოგადოებაში ხელოვანის ადგილსა და მოწოდებაზე... კამათში მონაწილეობდნენ ხელოვნათმცოდნეი, ჟურნალისტები, კინოს მოღვაწენი, მათ შორის - ცნობილი გერმანელი დრამატურგი როლფ ჰოპტეი და თავად კლაუს მარია ბრანდაუერი. სწორედ ისინი აღუდგნენ წინ ზოგზოვი მოკამათის აშკარა მცდელობას - ფილმი აღექვით და განეხილათ ანტიკომუნიზმის რაკურსში; აცხადებდნენ: ბრმა და სმენადანშული უნდა იყო, რომ არ დაინახო და ცხადლივ არ იგრძნო ამ ფილმში, ისევე როგორც კლაუს მანის რომანში, ჭარბი ანტიფაშისტური პათოსი...

მე კი, გამოგიტყდებით, ამ რეპორტაჟის წაკითხვისას, ისევ მეცხდა მოსკოვში, 1981-ში, საერთაშორისო კინოფესტივალზე „მეფისტოს“ პირველ ხილვით ჩემში გაჩენილი ეჭვი თუ იმჟამად არსაბეჭდილი აზრი: თურმე სულაც არ ყოფილა დაუშვებელი და გამორიცხული იშტვან საბოს და კლაუს მარია ბრანდაუერის ნახელქმნარი შედეგის ასეთ „კრამოლურ“ რაკურსში წარმოდგენა და ინტერპრეტირება. ამ თვალსაზრისის გამო (სულ ცოდივლო!) არც მაშინ, 1981-ში, არც შემდეგ - ფილმის „ილუზიონში“ ჩვენების წინ საუბარში - 1984-ის სექტემბერში, სიტყვა არ დამცდენია.



# გინვევთ სამუშაოდ ლიმუზინ-სერვისში

**ჩვენ არ ვიქვევით უუჭ დაპირებებს!  
ჩვენ ვესმარებთ  
დიდი თანხის გააქვევუვავევას**

- @ პიხადი სესხები;
- @ კხედიტ-იენიონის სესხები;
- @ ავტომატიყხი გამოქვევითვა პიხადი ხახჟების;
- @ ძღიეხი ბხენდი;
- @ მონაძიღეობა მაღადი კღასის საბხეზიღენტო სეხვისში კვადიფიციყხი მძღღღებისათვის

**წინასწარი ინტერვიუ არ არის აუციღღებელი!**

**გვავგვივით: 522 W 37th St, New York, NY 10018; [www.LimousineinNewyork.com](http://www.LimousineinNewyork.com)**

- ჩვენ ვოვეხვარავით ვახანის უახანასა და ფინანსიკავაში კრადიტ-ისტორიის ვიუსაღავაღ;
- ავტოვოვიღი უნდა იყოს 2010 წღღის ზავოთ, თუკი სავუთხარით გსურთ ვუშავოვა;
- გავიწავთ ღახვარავას ტი-ელ-სის ვიღავაშიც;
- 7.5% ინტარკასი მხიკა ვიკვეღაღ უნათანთან.

**212.629.8833**    ვიღი ext 3224  
ფაღიქსი ext 3009



# ფაფუქრობანია

## ზეგზაურება ნისლში



თურქულიდან ნათარგმნი პირველი წიგნი - გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მიერ 1967 წელს გამოცემული სუათ დერვიშის „ფოსფორიანი ჯეკრიე“ 11-12 წლისამ წავიკითხე და რა თქმა უნდა, ბევრი ვერაფერი გავიგე. მასწავლებელს სრულ უიმედობასა და სასწავლო კვლევაში ჩაძირული ქვეყნის სურათი, რომელიც კითხვის დროს წარმომიდგა თვალწინ. ეს ძალიან უბედური ადამიანების სამყარო იყო, რომლებსაც არჩევანი არ ჰქონდათ. მეჩვენებოდა, რომ მწერალი განგებ კი არ ამუქებდა იმ სოციალურ ფონს, რომელზეც დრამა უნდა გამთლიანდებოდა, არა, ის თურქეთს ისე აღწერდა, როგორც ის სინამდვილეში გახლდათ. დიდი ხნის მანძილზე სწორედ სუათ დერვიშის მიერ აღწერილი ბნელი, უიმედობით მოცული, მუდმივი საფრთხეებით გაწამებული ქვეყანა მახსენდებოდა, როცა ვინმე თურქეთს ახსენებდა. ეს იყო ადგილი, სადაც ცხოვრება არ მიწოდდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ არც მომინდებოდა.

დღეს სტამბოლი ორპან ფაშუქის მკითხველებისთვის ნამდვილი მქეპა: ერთხელ მაინც უნდა წახვიდე და მიილოცო. შეუძლებელია ამ მწერლის წიგნები გიყვარდეს და მისი ქალაქის, მისი ქვეყნის მიმართ გულგრილი დარჩე. მკითხველებს, რომლებიც გატაცებით კითხულობენ ყველაზე ცნობილი თურქი მწერლის რომანებს, სტამბოლი წარმოსახვაშივე უცოცხლდებათ: უხნები, ქუჩები, შენობები, ხიდები და უძრავი სხვა რამ, რისგანაც ქალაქის განუყოფელი სახე იქმნება. ისინი ორპან ფაშუქის საწინააღმდეგო ლექსებში ნახსენებ დასავლელ მოგზაურებს ჰგვანან, ძველ დროში სამხრეთის მხრიდან რომ მიადგებოდნენ ხოლმე ქალაქს და ნისლიდან მოულოდნელად წამომართული სტამბოლის პეიზაჟებით ტკბებოდნენ. სწორედ ასე წამომართება მწერლის ქალაქი მკითხველის თვალწინ და კითხვის დასრულებისას უკვე მისიკაა, მთელი თავისი ევროპულ-აზიური მშვენიერებით და სურნელით.

რა თქმა უნდა, ეს სხვა სტამბოლია და კარგად იცი, რომ წარმოსახვაში გაცოცხლებული ქალაქი ნამდვილს არ დაემთხვევა, მაგრამ მაინც ჯოჯოხეთს გვერა მწერლის, რომელმაც დაგარწმუნა: მისი სამყარო შენი სამყაროცაა, იმიტომ, რომ ორივეს ერთნაირი სევდა ვიდრე მთელს გულს.

ორპან ფაშუქი არაერთ ინტერვიუში აღიარებს, რომ ყოველთვის გულს უკლავდა პერიფერიაში, ჩაკეტილ კულტურულ გარემოში ცხოვრების განცდა, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს გულგრილობა მისი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს, თურქული კულტურის, თურქი მწერლების მიმართ. ფრანკურტის წიგნის ბაზრობაზე პირველად მოხვედრილი ახალგაზრდა ავტორი მეტად დათრგუნა გამოცემული წიგ-

ნების სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ, მიუხედავად იმისა, რომ იმ წელს „თეთრი ციხისმაგარის“ გერმანულ თარგმანს კრიტიკოსები კეთილგანწყობით შეხვდნენ. განა იოლი არ იყო, რომ მისი ხმა სამუდამოდ ჩაკარგულიყო ამ ვეება სივრცეში? „გადავდიოდი დარბაზიდან დარბაზში, სართულიდან სართულზე, შენობიდან შენობაში, თვალს მიხარებდა ფერად-ფერადი წიგნების უამრავი წყება მთელი მსოფლიოდან, მაცხებდა მათი მრავალფეროვნება, როცა ვფურცლავდი. ამავე დროს კი ვხვდებოდი, რა რთული უნდა ყოფილიყო, რომ ჩემი ხმა ვინმესთვის გამეგონებინა, საკუთარი კვალი დაეტოვებინა, თავი დამერწმუნებინა, რომ ადამიანები სხვებისგან გამოდარდებდნენ“, - აღიარა მწერალმა წიგნის შემდეგ, 2008 წლის 14 ოქტომბერს, როცა ფრანკურტის წიგნის ბაზრობის გახსნისას სიტყვას წარმოთქვამდა. იმ წელს ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსით თურქეთი სარგებლობდა, რაც თურქული ლიტერატურით მსოფლიოს საგამომცემლო ბიზნესისა და მკითხველთა ფართო წრის დაინტერესებას ერთმნიშვნელოვნად გულისხმობდა. ორპან ფაშუქმა არა მხოლოდ მთელი მსოფლიო მიახვდა თანამედროვე თურქეთისკენ, არამედ მკითხველს გზა გაუხსნა სხვა თურქი მწერლებისკენ, ევროპულ-აზიურ ტრადიციებს შორის ამოზრდილი, მდიდარი თურქული ლიტერატურისკენ.

დიდი ხნის მანძილზე არ ვიცოდი, რომ სუათ დერვიში ქალი იყო - წარბშეკრულ, ღრმად ჩაფიქრებულ კაცად წარმომედგინა. ქართველ მკითხველს ამა თუ იმ თურქი მწერლის გაცნობის ბედნიერება მანამდე ჰქონდა, მაგრამ ორპან ფაშუქთან ერთად მან თურქეთი, როგორც ერთდროულად ნაცნობი და უცნობი ქვეყანა, თავიდან აღმოაჩინა.

### ჩხვილი ბიჭი

ორპან ფაშუქის პირველი წიგნი, რომელიც ქართულად ითარგმნა, კინოსცენარი „ფარული სახე“ გახლდათ. ის თამარ ალფენიძემ გასული საუკუნის ბოლოს თარგმნა, თუმცა მხოლოდ 2008 წელს გამოსცა გამომცემლობა „ელფამ“ თურქეთის კულტურის სამინისტროსთან არსებული სააგენტოს დახმარებით. ამავე წელს გამოვიდა ქეთევან ტომარაძის ნათარგმნი „თეთრი ციხისმაგარი“ (გამომცემლობა „ინტელექტი“). მომდევნო წლებში მწერლის სხვა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნებიც ითარგმნა და გამოიცა: „ჯეკლეტ ბეი და მისი ჯაჟიშვილები“ (მთარგმნელი: ნანა ჯანაშია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2009), „მე წითელი მქეპა“ (მთარგმნელი: ლია ჩლაიძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2010), „უმანკობის მუხუმი“ (მთარგმნელი: ეკატერინე ახვლედიანი,

გამომცემლობა „დიოგენე“, 2011), „თოვლი“ (მთარგმნელი: ნანა ჯანაშია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011), „სტამბოლი - მოგონებები და ქალაქი“ (მთარგმნელი: თამარ ალფენიძე, გამომცემლობა „დიოგენე“, 2012), „მღუმარე სახლი“ (მთარგმნელი: ლია ჩლაიძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012). უახლოეს მომავალში „დიოგენე“ გამოსცემს თამარ ალფენიძის ნათარგმნ ორპან ფაშუქის კიდევ ერთ რომანს „ახალი ცხოვრება“, ასევე - ესეების კრებულს „სხვა ფერი“, რომელსაც ხათუნა ბასილაშვილი თარგმნის და წიგნს რომანის ხელოვნების შესახებ, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ციკლს წარმოადგენს (მთარგმნელი: ია ბერსენაძე). ბოლო ორი წიგნი ინგლისური ენიდან ითარგმნება. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა კი ორპან ფაშუქის „მაგი წიგნის“ გამოცემას აპირებს, რომელსაც ისევ ნანა ჯანაშია თარგმნის.

ორპან ფაშუქი ერთდროით თანამედროვე მწერალია, რომლის ყველა წიგნიც ქართულად ნათარგმნია (ან ახლა ითარგმნება). გამომცემლობების ამგვარი მინდობება კი მხოლოდ ერთზე მიანიშნებს: ქართველ მკითხველს მისი წიგნები მოსწონს, შესაბამისად, ისინი სხვა, არანაკლებ ცნობილი მწერლების წიგნებზე უკეთესად იყიდება. გამომცემლობა „დიოგენეს“ იმ წიგნის გამოცემის უფლებაც კი აქვს მოპოვებული, რომელიც ფაშუქს ჯერ არ დაუწერია.

რატომ მოსწონს ქართველ მკითხველს ასე ძალიან ორპან ფაშუქი? გამომცემელი ბაკურ სულაკაური თვლის, რომ ეს, დიდწილად, ნობელის პრემიის დამსახურებაა, რომელიც მწერალმა ლიტერატურის დარგში 2006 წელს მიიღო: „მოღაშია. ადვილი ასახსენელი არ არის, რატომ. პირველი: მართლა კარგი მწერალია. მეორე: თემები საინტერესოა მკითხველისთვის. თან ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა: რომ არ დაინტერესებულყო პოლიტიკური პრობლემებით, ნობელის პრემიას ვერ მიიღებდა. ნობელის პრემია რომ არ მიეღო, ინგლისურად თავიდან არ თარგმნიდნენ და ინგლისურად ასეთი მასშტაბით რომ არ იყოს ნათარგმნი, ასეთი პოპულარულიც ვერ იქნებოდა. უცებ განდა პოპულარული მიველ მსოფლიოში და რაც მთელ მსოფლიოშია პოპულარული, ჩვენთანაც მამინვე პოპულარული ხდება“.

გამომცემელი თამარ ლეპანიძე დარწმუნებულია, რომ ორპან ფაშუქის წიგნების წაკითხვა დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს და მათ სწორედ ამიტომ კითხულობენ დიდი ხალისით საქართველოში: „ფაშუქი რთულად არ წერს. ქართველ მკითხველს კი კითხვა უჭირს - ვერ არჩევს ლიტერატურას, როგორც ასეთს. დაღვილი ლუკმები უყვარს. გარდა ამისა, ყოფითი კულტურა გასაგებია მკითხველისთვის. აღწერილ გა-

რემოსთან და სიტუაციებთან მას დისტანცია არ აქვს. ისიც უნდა ითქვას, რომ ფაქტი კარგად ხატავს პერსონაჟს - მისი ყველა პერსონაჟი ცოცხალია“.

თურქეთისა და საქართველოს წარსულში ხშირია არა უბრალოდ გადაკვეთის წერტილები, არამედ ეს თითქმის საერთო ისტორიაა საუკუნეების მანძილზე. ასეთი სიახლოვე და ერთად ცხოვრების გამოცდილება შესაძლოა თურქი მწერლით დიდი გატაცების ერთ-ერთი მიზეზიც იყოს. თურქულ-ქართული ყოფითი რეალობები მსგავსია. მსგავსია კომპლექსებიც, რომლებსაც პერიფერიაში ცხოვრების განცდა აჩენს. ფილოსოფოსი გიგა ზედანია რადიოგადაცემაში „წიგნები“ აღნიშნავს, რომ ფაქტის კითხვისას მისთვის გამაოგნებელია ეს ფაქტი: მიუხედავად ორასი წლის განმავლობაში სხვა კულტურის - რუსულ-სლავური კულტურის - ბატონობის ქვეშ ყოფნისა, ბევრი შრე შევინარჩუნეთ, რომლებიც დღევანდელ თურქულ საზოგადოებასთან გვაახლოებს, თუმცა პირდაპირი კონტაქტი ძალიან დიდი ხანია, არ გვქონია. ეს არის რაღაც დავიწყებული განსხვავებაც და ამავე დროს განცდა, რომ ტყუპისცალები, რომლებიც დაბადებიდან დაშორეს, ერთმანეთს ხვდებიან - მათ შორის მსგავსებაც თვალმისაცემია და განსხვავებაც.

ორჰან ფაშუქი ქართველი მკითხველისთვის ბევრად უფრო ახლობელი და გასაგები აღმოჩნდა, ვიდრე თუნდაც პოლ ოსტერი, რომლის ნიუ-იორკიც შორეულ და მიუწვდომელ მეტროპოლისად რჩება. სტამბოლი აქვია - ნამდვილიც და გამოგონილიც - ხელის გაწვდენაზე. როგორც ჩემი მეგობარი ამბობს, ფაშუქი ჩვენი ბიჭია და მისი შეყვარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეს უნდა იყოს. ჩემი აზრით, მთელი საიდუმლო ეს არის.

## მედიუმები

ყოველთვის ძვეროდა, რომ წიგნის კითხვა, როგორც ყოველ ჯერზე განსხვავებული გამოცდილების მიღება, მკითხველს ცვლიდა. თუ წიგნი, რომელსაც კითხულობ, გცვლის, რა სახის ზემოქმედებას ახდენს წიგნი, რომელსაც თარგმნი? მე-16 საუკუნის თურქი ილუსტრატორების მსგავსად, მთარგმნელის იდეალი ინდივიდუალობის დაკარგვას გულისხმობს. მისი ხელოვნება ნათარგმნ წიგნში ბოლომდე გაქრობის ხელოვნებაა. იდეალურ შემთხვევაში, თარგმნის პროცესი ვერ გცვლის, რადგან არ არსებობს ის, ვინც უნდა შეცვალოს. სანაცვლოდ, იოლად შესაძენე ანაბეჭდებს ტოვებს - თითქმის ფოსფორიანს - შენს მსოფლმხედველობაში, მეტყველებაში, კანზე. ამიტომაც დავიწყე მწერლის ხმის, მისი თითების ანაბეჭდების ძეგლა მთარგმნელებში - თითქმის ისე, როგორც „შავი წიგნის“

პერსონაჟი - გალიფი იწყებს საყვარელი რუიას კვალის ძებნას ყველაფერში, რასაც ის შეხვდება.

ორჰან ფაშუქის ქართველი მთარგმნელები წინა ქვეთავში უკვე ვახსენე. აი, რა მომწერა თამარ აღფენიძემ: „რომ კითხულობ, გგონია, რომ, იცო, სათიკენ მიდინარ და მოულოდნელად სხვაგან აღმოჩნდები. მაგალითად, „ახალი ცხოვრება“ ასე იწყება: ერთ დღეს წიგნი წავიკითხე, რომელმაც მთელი ჩემი სიცოცხლე შეცვალა. შემდეგ ორ-სამ გვერდზე ჰყვება, რაზე იყო წიგნი და რა შეიცვალა მასში წაკითხვის შემდეგ. კითხულობ და ფიქრობ, ეს ყველაფერი ახლა თუ მითხრა, მერე რაღას აპირებს, მთელი წიგნი რაზე უნდა მელაპარაკოსო, და ესაა სწორედ ის, რაც გითრევს და მიზეზი, რატომაც მოგწონს მწერალი. როცა უნდა, ხელოვნებაშიცოდნესავით ლაპარაკობს ფერწერაზე, კალიგრაფიაზე, ხელოვნებაზე, ზოგადად; როცა უნდა, ლიტერატურათმცოდნესავით საუბრობს ლიტერატურის დანიშნულებაზე; როცა უნდა, სიყვარულზე ისე გიყვება, თითქოს დღეს შეუყვარდა 21 წლისას თავდავიწყებით და პირველად ცხოვრებაში; როცა უნდა, სარკასტულად გადმოგცემს ცხოვრებისეულ სიბრძნეს და იცის, რომ ეს სარკასში მასში იმ შიშის და ნაკლის მანიშნებელია, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანად წარმოადგენს; როცა უნდა, ისტორიკოსივით გაცნობს ქვეყნის ისტორიის იმ ძირითად ასპექტებს, რომლებიც აუცილებლად მიგანიშნებს იმაზე, თუ რა აღმოჩნდა მისი საზოგადოების ასეთად ჩამოყალიბების მიზეზი. ფაქტობრივად, ხელის გულზე გიღებს ყველაფერს, რის შესწავლასაც დიდი დრო მოინდომა, და არ გლღობს“.

ღია ჩლაიძემ კიდევ ერთი თურქი მწერალი გამაცნო, რომელიც 70-იან წლებში უთარგმნია და მაშინ 40-ათასიანი ტირაჟითაც გამოცემულა - დრამატურგი ჰალდუნ თანერი. საბედნიეროდ, მისი პიესების ხელახალ გამოცემას მალე გაეცნობა ქართველი მკითხველი. ორჰან ფაშუქის წიგნებით ქართული საზოგადოების დაინტერესების მიზეზები კი ასე ამიხსნა: „ძალიან კარგი მწერალია, თუმცა ნობელის პრემიამაც ითამაშა დიდი როლი. ხშირად ხდება ხოლმე, რომ მკითხველები ფეხის ხმას ჰყვებიან. ფაშუქი უდავოდ დიდი მწერალია და ამას იმსახურებს. ღირსებაა ის ენა, რომლითაც წერს. ეს განსაკუთრებით ჩანს „წითელ წიგნში“, რომელიც ძალიან ლამაზი ენით დაწერილი წიგნია. ჩვენ თურქ მწერლებს ცუდად ვიცნობთ. კომუნისტების დროს მხოლოდ სოციალური შინაარსის ნაწარმოებები თარგმნებოდა, იმაზე დაწერილი წიგნები, თუ როგორი გაჭირვებულები და უბედურები არიან. ამ დროს ჰყავდათ ნამდვილი მწერლები, რომლებ-

საც არ ვიცნობდით. თუნდაც ჰალდუნ თანერი, უდიდესი ევროპული განათლებით. მოულოდნელობის ეფექტმა დიდი როლი შეასრულა: ფაშუქის წიგნებით უცებ აღმოვაჩინეთ არა მარტო თურქული ლიტერატურა, არამედ თურქეთი“.

ნანა ჯანაშია სუთი დერვიშის „ფოსფორიანი ჯვერიეს“ მთარგმნელიცაა, თუმცა მასთან საუბრისას ამ რომანზე ხმა არ ამომილია. რასაკვირველია, ფაშუქომანიის მიზეზების გარკვევა ვცადეთ: „მთავარი მიზეზი ნობელის პრემიაა. ამის შემდეგ გაჩნდა ასეთი დიდი ინტერესი. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად მწერალი ძალიან კარგია. რაც უფრო მეტს ვთარგმნი, მით უფრო მეტად ვიჯერებ ამას. წერს ისეთ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენი მკითხველისთვის ახლობელია. გასათვალისწინებელია ისტორიული კავშირები ჩვენს ქვეყნებს შორის. ნამდვილად ბევრი საერთო გვაქვს. ფაშუქის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ყველაფერი ითარგმნება, რაც კი დაუწერია. საბედნიეროდ, თურქოლოგიის ძირძველი სკოლა საქართველოში. თურქი მწერლები ყოველთვის ითარგმნებოდა. ჩვენთან რომ ასეთი ძლიერი სკოლა არ ყოფილიყო, რასაკვირველია, ფაშუქით მკითხველის ასეთი დაინტერესებაც არ იქნებოდა“.

ქეთევან ტომარაძე: „ორჰან ფაშუქის შემოქმედებისადმი გამორჩეული ინტერესი სწორედ მის გარეგნულ გულწრფელობასა და იმ „აღიარებით ჩვენებებში“ უნდა ვეძიოთ, რომლებსაც მწერალი მიმართავს, და რაც ასე ორიგინალურად ერწყმის მის ნაწერებში განფენილ მისტიკას. ეს ყველაფერი არასოდეს არის ხელოვნური, ნამალადევი და არა მარტო უზთიერ განწყობას ქმნის, ფიქრისკენ წუბიბებს მკითხველს. ფაშუქი ისეთ თემებსა და იდეებს ირჩევს, რომლებიც ზოგჯერ შოკისმომგვრელ ზემოქმედებას ახდენს წიგნის მოყვარულ, მწერლობაში კარგად გათვითცნობიერებულ მკითხველზეც კი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრისა და გადაკვეთის ადგილი, სტამბოლი მწერლისთვის მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად, ან თუნდაც გეოპოლიტიკური გნებათაღელვის ობიექტად როდი მოიაზრება. ის მთელი არსებით გრძნობს ორი ცივილიზაციის შეხვედრისა და მღვდარე თანხმობის ქლაქს. ეს ფაშუქის უმთავრესი ღირსებაა, სიმდიდრე და უპირატესობაა, რომლის მეშვეობითაც ქმნის საკუთარ საზროვნო ველს, განუმეორებელ სამყაროს. მწერალი სიღრმისეულად იცნობს ევროპულ და აზიურ კულტურებს, ტრადიციებს, მათ ნაკლსა და ღირსებებს, და უმთავრესს და საუკეთესოს ითავისებს, რაც სინთეზირების პროცესში ფასდაუდებელ სამსახურს უწევს. ფაშუქი საუკეთესო მთხრობელია: ოსტატურად ათავისუფლებს ნაწერს მორალისტური ტენ-



დენციებისგან და ქმნის ჭეშმარიტ მხატვრულ ტექსტს, ნამდვილ ლიტერატურას, რომელიც ძალდაუტანებლად შემოდის შენში და სამუდამოდ რჩება“.

მიმოწერის დასაწყისში ქეთევან ტომარაძემ მირჩია, ფაშუქომანიის მიზეზების ძიებისას, პირველ რიგში, მკითხველების აზრი გამეგო. ამას აქამდეც ვაკეთებდი: ორჰან ფაშუქის წიგნების კვალს ჩემს ყველა მეგობარსა და ნაცნობში ვეძებდი. მთარგმნელებს კი მართლაც დიდი სიამოვნებით ვუსმინე და მათი წერილებიც სიამოვნებით ვიკითხე. მომეჩვენა, რომ ფლუორესცენციული ნათებებიც შეგინებენ.

**სტამბოლის კატები**

ქართულ ბლოგებზე ბევრს წერენ ორჰან ფაშუქზე, ძალიან ბევრსაც კი. საკუთარი მოსაზრებების გაზიარების მოთხოვნილება განსაკუთრებით მათ უჩნდებათ, მწერლის წიგნებს სულმოუთქმელად რომ კითხულობენ და პირველივე შესაძლებლობისთანავე გასულ წელს განსწილნი მუზეუმის მონახულებას რომ აპირებენ. რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნას თუ არ ჩავთვლით, რომლებიც პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებას და ცოტა არ იყოს, გაწვილილ სიუჟეტებს უკავშირდება, ბლოგერები ორჰან ფაშუქის რომანებით აღფრთოვანებული მკითხველების დიდ ჯგუფს წარმოადგენენ.

„მივიკვლევთ გზას ფაშუქის ლაბირინთში და უკვე ეჭვიც კი გვეპარება - გვინდა თუ არა საერთოდ გასასვლელის პოვნა. იქნებ სამუდამოდ აქ დარჩენა გვირჩევნია, აღმოსავლეთის სურნელით გაჟღერებით ფურცლებში, სადაც მხატვრის საწუკარი ოცნება თვალის სინათლის დაკარგვაა, რათა სამყარო ალაპის თვალთ დაინახოს; სადაც მკვლევლობა მხოლოდ სრულყოფისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული ნაბიჯია; სადაც სიყვარული ისეთი ტკბილია, როგორც შექიჟრეს სახელი და ისეთი გიზგიზა, როგორც ხმელი ხისგან დანთებული კოცონი“, - წერს ბლოგერი მთლი ბლუმი.

ახალგაზრდა ორჰანს კი ეშინოდა, რომ

მისი ხმა სხვა მწერლების ხმებში იოლად ჩაიკარგებოდა. ზოგიერთისთვის ეს ხმა ყველაზე მკაფიოდ სტამბოლში, ჩუქურჯუემას უბანში ისმის: „ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ თავი ქესქინების ნამდვილ ოჯახში მეგონა. ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ ამ საწოლთან რამდენიმე წუთი ვიჯექი და მეგონა, რომ სულ ცოტა ხნის წინ იქ ჩემი უფროსი მეგობარი, ქემალ ბეი იწვა, რომელმაც სიკვდილის წინ მითხრა: თამაზანუმ, მინდა, ყველამ იცოდეს, რომ უბედნიერესი ცხოვრება გავიარე“.

ერთ-ერთ ბლოგზე ასეთ მიმართვასაც გადავწყვიდი: „ორჰან-ბეი, რა აუცილებელი იყო ისეთი რადიკალური ნაბიჯი, როგორიც სომხების გენოციდის აღიარებაა? ეს ხომ პრინციპის საკითხია თითოეული თურქისთვის! მაგრამ ეს იყო კიდევ ერთი ბიძგი, რომლითაც თქვენ თურქეთის საზღვრებს გასცდით და საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინეთ. არ ვიცი, გათვალეთ თუ არა. ფაქტი ერთია: თურქი ერის საიამყე უნდა ყოფილიყავით და ახლა თქვენს ხსენებაზე თანამემამულეები უხერხულად იმშუშნებიან. თუმცა ეს ვერაფერს გაკლებთ ჩემს თვალში, რადგან არ იტყუებით!“.

მუზეუმები არ მიყვარს - ექსპონატები, რომლებსაც ხელით ვერ ვეხები, დაუკმაყოფილებლობის განცდას მიტოვებს და თითოეულ ჯერზე იმასაც ვგრძნობ, რომ თვალთვლებისთვის განსაზღვრული დრო არასდროს არის საკმარისი. ამიტომაც არ მიმიწევს გული ჩუქურჯუემას მუზეუმისკენ.

ყველაზე ძალიან სტამბოლის კატები მაინტერესებს - ამბობენ, რომ იქ მართლაც უამრავი კატა და ეს ამ ქალაქის კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს. ამ დღეებში ბევრს ვფიქრობდი ამ კატებზე, რომლებიც გადარბიან და გადმობრიან სტამბოლის ქუჩებიდან ორჰან ფაშუქის წიგნებში და წიგნებიდან სტამბოლის ქუჩებში. ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ ხდება რაღაც უბრალო და ყოველდღიური - ძალიან პირადი, როცა მოგონებდ იქცევა; როგორ შეუძლიათ მოგონებებს საკუთარი ცხოვრებით იცხოვრონ და საბოლოოდ,

გაქციონ იმად, ვინც ხარ; როგორ შეიძლება წერო საკუთარ თავზე, ოჯახზე, ქალაქსა და ქვეყანაზე ისე, რომ მოვლენების შუაგულშიც იყო და თან დამკვირვებელიც იყო; როგორ შეიძლება მკითხველს შენი წარმოსახვითი მუზეუმი ისე მოატარო, რომ თითოეული ექსპონატის ხელში ალების და დიდხანს თვალიერების განცდა დაიჩვენოს.

ბლოგი რომ მქონდეს, ამაზე დავწერდი. და რაღაც პირადიც...

„შორეული ენებიდან ნათარგმნი ყველა ავტორი აღმოჩენილა ამ სიტუაციაში: რომანიტი ზუსტად იმ პოეზიაზე საუბრობს, რომელსაც თავის ცხოვრებაში ხედავს, ან იმ ჩრდილებზე, რომლებიც პირად ცხოვრებას უზნელებს, კრიტიკოსები და მკითხველები კი მის წიგნებს კითხულობენ, როგორც ქვეყნის პოეზიისა თუ ჩრდილების გამოხატულებას. რომანიტის თვით ყველაზე პირად წარმოდგენებსა და შემოქმედებით თავისებურებებს მთელი ერისთვის დამახასიათებლად აღიქვამენ - ამ ერის სახედაც კი“, - ამბობს ორჰან ფაშუქი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარმოქმულ სიტყვაში. ეს გალიზიანება, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ მისგან მუდმივად განსაზღვრული როლის თამაშს მოითხოვენ, როცა მისი წიგნები 60 ენაზეა ნათარგმნი და მთელ მსოფლიოში გაფანტული, როცა სამყაროს ხმებში მისი ხმა ასე მკაფიოდ ისმის.

პოპულარობას თავისი საზღაური აქვს და უმრავლეს შემთხვევაში, ეს საკუთარი თავის ნაწილობრივ ან სრულად გაწირვაა. ამბობენ, რომ ბლოგ წლებში ორჰან ფაშუქი სწორედ ორჰან ფაშუქს თამაშობს, რაც მეტისმეტად თვალშისაცემია. შესაბამისად, მისი ნაბიჯები სულ უფრო იოლად პროგნოზირებადი ხდება.

მიუხედავად ყველაფრისა, მე ვიცი, რა მომწონს მის წიგნებში: სწორედ ის პირადი, რაც ხან ძალიან ახლოს არის პოეზიასთან და ხან ჩრდილივით ეფერება ყველაფერს, რასაც მწერლის ხელი ეხება.

**ირმა ტაყვილიძე**

# ყველა მშობრანტის სათაშემო

დილა იწყება დაღლილი სხეულითა და სხეულზე მეტად აჩქარებული გულისცემით.

ისინი ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი... იმაზე მეტნი, ვიდრე ოდესმე ყოფილან... არიან საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში, ამერიკაში... არიან რუსეთშიც... არიან ყველგან, სადაც კი ფეხი გაუწვდათ, ხელი მიუწვდათ და გულმა გაუწია... სადაც კი ვილატ ეგულებოდით თავიანთ თვისტომიდან; არიან ალაღბელზე წასულები და ბედისა და ბედისწერას ბრმად აყოლილები...

არიან ყველგან და „ყოფნა-არყოფნის“ ფილოსოფიას ყოველდღიურად, რეალურად „ეხებებიან“ ხელით - ხეხავენ უნიტაზებს, ცვლიან „პამპერსებს“, ცლიან ღამის ქოთნებს... ასუფთავებენ ოთახებს, ეზოებს, ქუჩებს... აშენებენ სახლებს, სძინავთ ხარაჩოებზე... სძინავთ იქაური შრომითა და აქაური ფიქრით გადადილობებს... სძინავთ, მაგრამ „ყოფნა-არყოფნის“ ფილოსოფიის მსგავსად, არც მათ ძილ-ბურანში ყოფნას ჰქვია ძილი...

დილა იწყება დაღლილი სხეულითა და სხეულზე მეტად აჩქარებული გულისცემით... იწყება შიშით - ქალბატონს „რალაც“ არ მოეწონება, ბატონს დღესაც „ხელი წაუცდება“, ბატონიშვილს კერძი არ მოეწონება, პოლიციელს თვალში არ მოუვა...

ჯოჯოხეთს ჯოჯოხეთი ემატება, აქაურ დარდს იქაური დარდი ცვლის, იქაურს აქაური, კედლის მოშლილი საათივით წიკწიკებს და ჩერდება გონება - პროცენტის გადახდა გვიანდება, ბავშვის სწავლის ფული გასაგზავნია, დედის წამლის საყიდელია, მამის ორმოცი გადასახდელი...

ისინი ბევრნი არიან, გასაოცრად ბევრნი... მტკივნეულად ბევრნი... ამ ტკივილს დახეთქილ ხელისგულებზე იგროვებენ, ფულად ერთეულად აქცევენ და მერე იმ ხელისგულებს უგზავნიან, რომელთა შეხება და მოფერება ყველაზე მეტად ენატრებათ... მიზეზი ყველას სხვადასხვა აქვს, მიზანი - ყველას ერთი.

ოცნებაც საზიარო აქვთ, სამშობლოც და სურვილიც შინ დაბრუნების... დედის მიერ ძილისწინ წაკითხული ზღაპრის მსგავსად ცხოვრებაში არც ერთ მათგანს არ დახვედრია გზისგასაყარზე წარწერა: „ამ გზით თუ წახვალ, ის გელის, იმ გზით თუ წახვალ - ისო...“ არ ეწერა, მაგრამ იმედით ხომ ის „უხილავი თანამგზავრია“

## რედაქციისაგან:

არ შეიძლება ელგა ფოლადიშვილს არ იცნობდეს კარგი მკითხველი, - ეს ის ავტორია, თუკი ოდეს მისი ნაწერი წაგიკითხავს, ადვილად რომ ვერ დაივიწყებ.


საერთოდ, ჟურნალისტიკას ამ ეპოქაში, ჩვენდა საუბედუროდ, მოაშორეს მხატვრული ღირებულებები, სიტყვის სიღრმეც სადაც გაქრა.

აი, ელგას ნაწერს რომ კითხულობ, იმდენად დატვირთულია მისი ყოველი სიტყვა ემოციებით, ტკივილითაც, რომ გული ფეთქვას უმატებს და თვალზე ცრემლიც თავისთავად მოდის.

მეამაყება, რომ ელგა ჩემი მეგობარია, და მის ამ წერილსაც ყოველგვარი ნებართვის გარეშე ვბეჭდავ.

უიმედობის ჟამსაც, საკუთარი აჩრდილივით თან რომ გდევს, მით უფრო თუკი სხეულით უცხო მიწაზე დგახარ და ფიქრით მშობლიურზე „დაბიჯებ“...

იმედი ყველას ჰქონდა, იმედი იმისა, რომ რაც არ უნდა შორს და დიდიხნით წასულიყო,



რაც არ უნდა დიდი ხიფათი და ფათერაკით შეხვედროდა ამ გზაზე, რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო განსაცდელი, რაც არ უნდა არეოდა გზა-კვალი და ლაბირინთში ჩაკარგულიყო, ბოლოს იმავე გზით ოდესმე ისევ

შინ დაბრუნდებოდა. ზოგი დაბრუნდა და ზოგი ვერა...

ბავშვები დედის გარეშე გაიზარდნენ... ქალები უცხო ქვეყანაში, უცხო ოჯახებში, უცხო ბავშვებს უვლიან, დაჰყავთ სკოლებში, ბაღებში, უმზადებენ სადილს და ვახშამს და სიცხინანებს ღამესაც უთენებენ დვიძლი მშობელივით...

სანაცვლოდ მათ შვილებს, საქართველოში დედის გარეშე დარჩენილ შვილებს, აქვთ ფერადი ტანსაცმელი, ფუმფულა სათამაშოები და კალორიული საკვები... მაგრამ ცხოვრებას, როცა მას შავ-თეთრად, ანუ - დედასთან ერთად და დედის გარეშე ყოფნის ფერებში ხედავ - ფერადი ტანსაცმლით ვერ „გაიფერებ“...

ვერც ერთი ფუმფულა სათამაშო ვერ მოგცემს იმ სითბოს დედის, თუნდაც გაუხეშებულ ხელისგულებს რომ აქვთ... და არც ამქვეყნადაც არსებობს იმაზე კალორიული საკვები სხეულისათვის, ვიდრე სულისთვის დედა-შვილობის მდელია.

მშობლები შვილების დაუტირებლად წავიდნენ ამ ქვეყნიდან... და ვინ იცის, რამდენმა დედამ დახუჭა უკანასკნელად თვალები მარტოობაში სწორედ იმ დროს, როცა მისი შვილი უცხო ქვეყნის, უცხო მოხუცს დოლბანდაკრული დაწყლულულ სხეულს უწმენდა...

ვინ იცის, რამდენ მამას ეჭირა სული კბილით იმის მოლოდინში, რომ ადრე თუ გვიან კარს მისი შვილი შემოაღებდა და ამ ქვეყნიდან ისე წავიდოდა, კუბოს ამწევიც ეყოლებოდა, საფლავის გამჭვრელიც და ჭიქის წამქვევიც...

ისინი ბევრნი არიან, გასაოცრად და



მტკივნეულად ბევრნი... ნათესავებისთვის სამუდამოდ თუ არა, დროებით მინც დაკარგულები, მეგობრებისთვის გაუცხოვებულები, ოჯახის წევრებისთვის ფულისა და დარდის ერთდროულად მომტანები... საარჩევნო ბიულეტენისთვის გაუქმებულები და სტატისტიკისთვის შავ გრაფაში ჩასმულები...

მაგრამ ვინ არიან ისინი საკუთარი თავისა და ქვეყნისათვის? ლუკმა პურს „ზგარაკად“ შეწირულები? მთვარიანში ძუ მღვლებივით საშოვარზე გასულები, თუ ცალუდელა ლაბა ხარები, მთელი ოჯახის სიმძიმეს რომ მიათრევენ გაუკვლავში...

სად იწყება და სად მთავრდება მათი სისუსტე და სიძლიერე? სად არის ჩიხი და სად გამოსავალი? იქნებ იქ, საკუთარ „მეს“, მეზე უფრო ძვირფასის „გამრავლებულ მეს“, ანუ „ჩვენს“ რომ შესწირავ...

იქნებ სწორედ ესაა მათი სისუსტეცა და სიძლიერეც, გაურკვეველ მომავალში მტკიცედ რომ აბიჯებენ და აწმყოში დარჩენილებს მომავლამდე საგზალს აწვდიან...

იქნებ სწორედ ისაა „ჩიხი“, როცა ცარიელი ვარცლის ანაბრად დარჩენილ დედაბერს ჰგავს მთელი ოჯახი და ცხადია, რომ ვიღაც უნდა „გაიწიროს“... და „გამოსავალიც“ იქნებ სწორედ ისაა, როცა იტყვი, რომ - „მე წავალ“...

მაგრამ ვინ არიან ისინი საკუთარი თავისთვის? საკუთარ თავში დაკარგულები და გზაბნეულები, თავისუფლება ჩამორთმეულები, შეურაცხყოფილები, შრომისგან დაქანცულები, დარდისგან დანაცრულები, მუდამდე ოჯახსა და ახლობლებს დანატრებულები, სევდიანი მხერთა და წყლია-

ნი თვალებით გაურკვეველი მომავლისკენ მზირალები, სადაც კალენდარი ზანტად და სწრაფად შლის ფურცლებს... სადაც წელიწადის ოთხი დროს ნაცვლად, მხოლოდ ორი „დრო“ არსებობს - იქ ყოფნის და აქ დაბრუნების...

ვინ არიან ისინი საკუთარი ქვეყნისთვის? გერები, რომელთათვისაც ავმა დედინაცვალმა ხმელი ლუკმაც ვერ გაიმეტა? რომელსაც მუდამდე სახრეს ურტყამდა და დიდი ურდულით ურაზავდა თბილი კერიაში შემაველ კარს?

ვინა არიან ისინი, თავიანთი ქვეყნისთვის - 21-ე საუკუნის „მამლუქები“, მაქმნებიანი წინსაფრებითა და რეზინის ხელთათმანებით თუ „ამაოების“ დიდ ბაზარზე გროშებად გაყიდული „მონები“? ნუთუ ამქვეყნად მათი წილი მიწა და ჰაერი, მათი წილი სარჩო და საბადებელი, მათი წილი სითბო და სიყვარული, მათი წილი ერთგულება და საკეთებელი ასე ძნელად მოსაპოვებელი და მოსაძებნი იყო...

ვინ არიან ისინი, თავიანთი ქვეყნისთვის? დაკარგული თაობები, უზო-უკვლოდ გაბნეული გენოფონდი... რეალური და პოტენციური დედები... ფესვებს მოწყვეტილი შვილები...

როდის და როგორ შეძლებს ეს არშემდგარი სახელმწიფო იმ ადამიანების არშემდგარ ქვეყანაში დაბრუნებას? ან თუ შეძლებს რითი? სიტყვიერი, ცრუ დაპირებებით თუ ცათამბჯენებით, მოასვალტებული გზებითა და მუდმივი ელექტროენერგიით? დაბრუნებულებს დახვდებათ კი აქ ის გარემო „შინ დაბრუნების“ განცდას რომ

ქმნის?

ისინი ბევრნი არიან, გასაოცრად ბევრნი... ყოველი წუთი და საათი, ყოველი დღე და თვე ფულად ერთეულში გადაკყავთ... ისინი არ ცხოვრობენ, ისინი ცოცხლობენ და ამ სიცოცხლესაც ზუსტად ის „ეკვივალენტი“ აქვს, რამდენადაც მათი შრომა ფასობს...

იმან სახლი იყიდა, იმან მანქანა, ვიღაც წარმატებულად გათხოვდა, ვიღაცას გაუმართლა... იმან მოქალაქეობა მიიღო, იმან შრომის უფლება, იმან მწვანე ბარათი... ვიღაცა მეზობლის ამბავს ყვება, ვიღაცა ნათესავის, ვიღაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყურმოკრულს...

მოკლედ, მოგებას და შენაძენს ყველა თვლის, აქაც და იქაც... მაგრამ არც იქ და არც აქ, არაეინ თვლის „დანაკარგს“, რადგან ის ფულად ერთეულში არ ითვლება. დანაკარგი კი დიდია, განახევრებულ სიცოცხლემდე დასული...

ისინი ბევრნი არიან, მტკივნეულად ბევრნი... ყველას ვიღაცა გვაკლია... ზოგს ყველა ერთად... და ხშირად, ძალიან ხშირად, არც ეს ცა, არც ეს მზე და არც ეს მიწა არ გვერგება, რადგან მათ გარეშე მოდის ზამთარიცა და შემოდგომაც, მათ გარეშე მოდის გაზაფხული... მათ გარეშე იზრდებიან შვილები, მათ გარეშე ბერდებიან მეგობრები და მათ გარეშე კვდებიან მშობლები...

**ელგა ფოლადიშვილი**

P.s. ტკივილებს უნდა ერქვას „სახელი“, ტკივილებს, რომელსაც გულთან ახლოს ვგრძნობთ - ჩვენც და ისინიც...

## პირველი დღე

დღის 5 საათზე გემის ძრავები გაჩერდა. 37 დღის შემდეგ გემზე პირველად დაისადგურა სიჩუმე.

ჩვენ ამერიკაში ვიყავით.

მე წამოვდექი, იატაკზე მწოლიარე მგზავრებს გადავალაჯე და ილუმინატორს მივაღექე, მაგრამ წყლისა და ნისლის გარდა ვერაფერი დავინახე. ჩვენ ღუზას ვუშვებდით რომელიღაც კუნძულის მახლობლად. ჩავიცვი და გემბანზე ავედი.

და აი, აქედან დაიწყო ჩემი ტანჯვა-წამება. გემი ბერძნული იყო, მე ტრიუმფის მგზავრი გახლდით და ამიტომ ვერ კიდევ შუა გზაზე შემომეხარჯა მთელი ფული. უფულოდ კი ნაპირზე არ გადამიშვებდნენ.

ჩემი ექვსკაციანი კაიუტის ერთ-ერთი მგზავრი, თურქი ჰასანი, ფეხდაფეხ ამომყვა გემბანზე.

- აკი გარიგებდი ჭკუას, - მომხალა მან, როგორც კი მომიახლოვდა, - აი, უკვე ამერიკაში ვართ და ფული კი არა გაქვს, რომ ნაპირზე გადახვიდე. შენ უკანვე დაგაბრუნებენ. უფულოდ ვინ შეგიშვებს ამერიკაში? ვაი, სირცხვილო! შენ ადვილას ნამდვილად თავს მოვიკლავდი!

ჰასანი გიბრალტარიდან მოყოლებული მხოლოდ დამარილებულ ზეთისხილსა და მლაშე ყველზე გადადიოდა. მას აცოფებდა პატარა ხის შამფურზე ჩამოცმული მწვანეები, რომლებსაც გემბანის სტიჟურდს ვატოვებინებდი ზოლზე.

გემიდან ხილით ჩავედით დიდ დარბაზში. მგზავრები ფოტოსურათებით ხელში აქეთ-იქით აწყდებოდნენ და დამხვდურებში თავიანთი ნათესავების ამოცნობას ცდილობდნენ. ინსპექტორები მაგიდებს უსხდნენ და ჩამოსულებს საბუთებს უსინჯავდნენ.

კარი გაიღო და დარბაზში ვიღაც ახალგაზრდა შემოვიდა. მას ხელში ერთი მეორეზე დაწყობილი უბრალო ზოლიანი ნაჭ-



## რედაქტორისაგან:

გიორგი და ზელენ პანაშვილების „უკველადი შეიძლება მოხდეს“ ავტობიოგრაფიული ნოველების კრებულია.

იგი ინგლისურ ენაზე დაიწერა და პირველად 70 წლის წინათ, 1944 წელს გამოიცა. დღემდე ამ წიგნის 20-მილიონამდე ეგზემპლარი გაუიდული, ჩვიდმეტჯერ გამოიცა ამერიკაში, ითარგმნა იტალიურ, ფრანგულ, ნორვეგიულ, დანიურ ენებზე. გადაღებულია ამავე სახელწოდების ფილმდაც ზოლიურდში.

წიგნი გვიხატავს 1930-იანი წლების ქართველი ემიგრანტის ცხოვრებას და ამავე დროს გლეხის თვალთ დანახულ ამერიკას.

ანთოლოგიაში, მსოფლიოს 50 საუკეთესო წიგნს შორის, რომელშიც უკველადი უკეთ აისახა ამერიკა - ჯეკ ლონდონის, ფიცჯონალდის, სელინჯერის და ჰემინგუეის გვერდით შესვრებით ამ წიგნსაც.

რისაგან შეკერილი „ხინკალა“ ქულები ეჭირა. პირველად იგი ფანჯარასთან გაჩერებულ კრაველის ბოხონთან მოხუცთან მივიდა, შემდეგ - როემი მდგომ კახაკთან, ბოლოს მე მომადგა.

- ერთი შენ ქუდს შეხედოს კაცმა, - მითხრა მან რუსულად, - შენ რა, მთელი სიცოცხლე ხამად გინდა დარჩე? ჰმ, კრაველის ქუდი! ხომ არ გგონია, შეერთებულ შტატებში შენს გარდა ვინმეს ესუროს ბეწვის ქუდი? აგერ, შეხედე ინსპექტორს, ექიმს, კაპიტანს, ეგეთი ქულები ახურავთ? რა თქმა უნდა, არა!

მე არაფერი ვუპასუხე.

- იცი, რას გეტყვი? მეც ოდესღაც ხამად ვიყავი ამ ქვეყანაში და შენ რომ გიყურებ, გული მიკვდება. არ მინდა, ვინმე ჩავარდეს იმ დღეში, მე რომ ვიყავი. აი, ჩემი კეპები. ნახე, რა ძვირფასი ზოლიანი ნაჭერია! ასეთ კეპებს ხომ მემანქანები, მღებავები და მალაროელები ატარებენ, - ბიჭმა ქუდი თითზე დაატრიალა, - ნუ გეშინია, ეს ნამდვილი ამერიკული სტილია. ამ ქუდს რომ დაიხურავ, ყველას ამერიკის მოქალაქე ეგონები. მე ვარ ამის თავდები. იცი, თანახმა ვარ, ჩემი კეპი მაგ დაქუჩილ კრაველის ბოხონში გავიცვალო, პირდაპირ გავიცვალო. სართად ერთი პენიც არ მინდა.

უნდა გითხრათ, რომ კრაველის ქუდი ზედ გამოგზავრების წინ შევიძინე და ჯერ სულ ახალთახალი გახლდათ. იგი მშვენიერი ვერცხლისფერი კრაველისაგან იყო შეკერილი. საქართველოში რომ მეცხოვრა, ალბათ, მთელი სიცოცხლე მეყოფოდა, მაგრამ...

- იცი, რა, - მითხრა ქულების გამყიდველმა, - მინდა საშუალოდ დაგამასოვრდეს, რომ ამერიკაში ჩამოსვლის დღესვე ფული გააკეთე. დოლარს გიმატებ. მოვჩრით?

მე ბოხონი მოვიხადე და კეპი დავიხურე. კეპი პატარა მომივიდა, ძლივს მიფარავდა კინკრინოს, მაგრამ ამერიკაში ამერიკულად უნდა ჩაიცვა და თანაც რა სასიამოვნოა, როცა გემოვნებით იცვამ! ასე ჩავივდე ხელში პირველი დოლარი.

სირიელი ისააკი გრძელ სკამზე იჯდა, იაფფასიან სიგარეტს აბოლბდა და ჩვენს ვაჭრობას თვალს ადევნებდა. ისააკი ჩემს კაიუტაში ცხოვრობდა და ამიტომ კარგად იცოდა, რა ავლადიების პატრონიც ვიყავი. ქულების გამყიდველი შემდეგ მუშტარს რომ მიადგა, ისააკმა საბაჟოს ინსპექტორისაგან თავის დაძვრენის კარგი ხერხი მასწავლა.

ეს მართლაც შესანიშნავი ხერხი აღმოჩნდა: სანამ ინსპექტორი ჩემს პასპორტსა და ვიზას სინჯავდა, მე უკვე მოვემზადე თავდაცვისათვის.

- გხვდებიან თუ არა მეგობრები? - მკითხა მან, - გაქვს თუ არა ფული, რომ თავი გაიტანო ამერიკაში.

მე მწვანე ამერიკული დოლარების მსხვილი დასტა ამოვიღე, 10 და 20 დოლარის მონეტების მოზრდილი, რეზინით შეკრული დასტა.

- ო ქეი, გაიარეთ, - მითხრა ინსპექტორმა და საბუთებზე ბეჭედი დამირტყა.

ბარგი ავიღე და გარეთ გავიდი. ფულის დასტა კი ისააკის მეგობარს არაპულეოპულოსს დავუბრუნე. იგი, ახლა ალბათ სხვას მიაქირავებდა ამ დასტას. არაპულეოპულოსი სულ ერთ დოლარს იღებდა ამ ფულის თხოვებაში. თითქმის მუქითა, არა?

გარეთა ბაქანზე ოსი ზურაბეგი დავინახე. ზურაბეგიც ტრიუმით ჩამოვიდა ამერიკაში, მაგრამ განა პირველად - იგი ამერიკის მოქალაქე იყო და სათანადო საბუთებიც ჰქონდა ამის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, „გასპადინ“ ბუფფალო ბი-

ლის მეგობარიც გახლდათ. ზურაბევი პირველად 20 წლის წინათ ეწვია ამერიკას. მაშინ იგი ცირკის მოჯირითე იყო, შემდეგ კი მთავარი მზარეული გახდა. მას რამდენიმეჯერ დავეროვებინა ფული და ცოლის საშოვნელად წასულიყო სამშობლოში, მაგრამ დღემდე ვერავინ ემოვნა.

- რაო, ნაპირზე გადასვლის უფლება არ მოგცეს? - მკითხა ზურაბეგმა.

- როგორ არა, მაგრამ ფული არა მაქვს, რომ იმ გემში ჩავვდე და ნაპირს მივადგე (მომცრო გემი თუხთუხით დაცურავდა კუნძულსა და ნაპირს შუა და საშვიანი მგზავრები გადაჰყავდა). იქნებ გადამეცურა, მაგრამ ბარგს რა მოუვხერხო? სულ ცოტა. ორი გზა უნდა გავაკეთო.

- აი, შე ვირისთავო, - მითხრა ზურაბეგმა, - ეს ხომ ამერიკაა. გემი უფასოა. იგი ჩემ მთავრობას ეკუთვნის. ჩვენ მუქთად გადაგვიყვანენ. წავედით.

ასე მოვხვდით ნაპირზე.

ნაპირზე კი: ქუჩები, ხალხი, ხმაური. სახეები და კვლავ სახეები. ქოთქოთი, ჯიჯილინი, ყვრილი, მაგრამ ყველაზე მეტი - ფუსფუსი და მოძრაობა: წინ და უკან, უკან და წინ, თვალები ამიჭრელდა.

ასე გავიარეთ რამდენიმე კვარტალი. აქ ჩვენი საბუთები გამასხენდა, ამოვიღე, ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და ურნაში ჩავყარე. „ამის შემდეგ ვეღარავინ დამიმტკიცებს, რომ ამერიკის მოქალაქე არა ვარ“, - გავიფიქრე და ზურაბეგს მივუბრუნდი: ახლა რა უნდა გქნათ-მეთქი.

- სამუშაო უნდა ვიშოვოთ. ეგ უკვე ჩემზე იყოსო, - მიპასუხა მან.

ორივე მუშების დამქირავებელ სააგენტოსაკენ გავემართეთ. საბედნიეროდ, აგენტმა რუსული იცოდა. მან ზურაბეგი მაშინვე რუსულ რესტორანში გააგზავნა შეფ-მზარეულად.

- ახლა თქვენს მეგობარს მივხედოთ. აბა, რისი გაკეთება შეგიძლიათ? - მკითხა აგენტმა.

- მე ტყავის ლამაზად გამოყვანის ოსტატი ვარ. განსაკუთრებით კარგად ვიცი ძველებური მათრახის ტარის კეთება.

- ღმერთო ჩემო, - ამოიხვნემა აგენტმა, - ეს ხომ შეერთებული შტატებია, აქ ცხენებს რა უნდა, ავტომობილებია. სხვა რა შეგიძლია?

საბედნიეროდ, მამაჩემი წინდახედული კაცი იყო და ორი ხელობა შემასწავლა. იფიქრა, ერთი უმტყუნებს, მეორეთი გაიტანს თავსო.

- მე მახვილების კეთებაც ვიცი, მოკლე და გრძელი მახვილების, სევადითა და უსევადით. სანადირო დანების დამზადებაც - უბრალო გინდა თუ მოხატული, წროთა, ალესვა, პირის აწყობა, - ვუთხარი აგენტს და ჩემოდნიდან ქარგლობის მოწმობა ამოვიღე.

- ო, ღმერთო, მათრახებისა და ხმლის



# ყველაფერი შეიძლება მოხდეს

## ბიორბი და ჰელენ პაპაშვილები



ოსტატი, - ამოიხვნემა აგენტმა და ზურაბეგს მიუბრუნდა: - ჯობს შენთან წაიყვანო და ჭურჭელი არეცხინო, - რესტორანში ყოველთვის აკლიათ ხოლმე ჭურჭლის მრეცხავები.

ჩვენ მიწის ქვეშ ჩავედით, მატარებელში ჩავსხედით და რამდენიმე გვირაბი გავიქროლეთ. ამ გვირაბებმა სამხედრო გზის გვირაბები მომაგონა, სადაც უზარმაზარი დამურები ბუდობენ, ოღონდ აქაურობა უფრო უარესად ყარდა.

რესტორანი შესახვევში მდებარეობდა. „ხაზეიკამ“ ძალიან ტკბილად მიგვიღო:

- შენ საჩაიდან მასსოვხარ, - უთხრა მან ზურაბეგს, - მოხარული ვარ, რომ ჩემთან იმსახურებო. მგონი, „ბირაშკების“ ოსტატი ხართ, არა?

- ყველაფრისა, მადამ, ყველაფრისა, - თავმოძმონედ უპასუხა ზურაბეგმა, - ერთმა ჩემმა მეგობარმა, ბუფალო ბილმა, ერთ ჯერზე 30 ცალი ღვეზელი გერეცხა. ეს ჩემი მეგობარია. ჭურჭელს გარეცხავს.

რესტორნის პატრონს თავი დაუკარი. სამზარეულო პატარა და ჩახუთული იყო. აქ ყველაფერი ღორის შიგანივით იყო გაქონილი. ზურაბეგმა დანები ამოალაგა, მზარეულის ქუდი დაიხურა, შინაურულად დატრიალდა სამზარეულოში და მარჯვედ შეუდგა მწვანის დაჭრას.

- შენ კი ამათ დარეცხავ, - მითხრა დიასახლისმა, - ოთხი საათისთვის უნდა მოასწრო, მაგიდა შეგვიკვეთეს.

მე ერთი ლანგარი ჭიქები უნდა დამერეცხა, თანაც რა ჭიქები: მუცლიანები,

მაღალფენიანები, ერთი ციციქები, თითოში თითო ყლუბი თუ ჩაეტეოდა. პირველი მაშინვე ჩამატყდა ხელში, მეორეც თვალსა და ხელს შუა გამიქრა. რვა, როგორც იქნა, გავრეცხე, მეთორმეტე თავიდანვე გაზარული იყო; მეთორმეტე თასის კიდეს მოხვდა, ერთი დაიწკარუნა და გათავდა.

მე, ალბათ, დღესაც იქ ვიმუშავებდი, მაგრამ სწორედ იმ წუთას, როცა პირველი ლანგარი სარკლიდან დარბაზში უნდა გადამეწოდებინა, ფეხებში რესტორნის კაბამ გამიბრინა.

როცა ნამსხვრევების ასვება დავამთავრე, ზურაბეგს მივუბრუნდი:

- ახლა პური ვჭამოთ, უკვე შუადღეა. აგე, მუშტრებიც მიირთმევენ. მათ ცქერაში მალა გამეხსნა. მწვადი შეწვი, კიტრი დაჭერი, ერთი კარგად ვისიამოვნოთ ამ ახალ ქვეყანაში.

- ეს რესტორანია, - მიპასუხა ზურაბეგმა, - საქართველოს სამხედრო გზის პირას მიეყოფილი დუქანი არ გეგონოს, სადაც სტუმრები და შინაურები ერთ სუფრაზე ქეიფობენ. ეს რესტორანია და თავისი წესები და კანონები აქვს. მუშტრები რომ გამოიღვიან, მაშინ უნდა დავნაყრდეთ ნასუფრალით. აბა, ისევ ჭიქებს მიხედვით, თუ ძმა ხარ, აღარ შეძარცხვინო.

მე ერთი ჩარევი არაჟანი ვიპოვე, რესტორნის უკან, ხეივანში გავედი და პურს შევატანე. ამას ერთი ქილა ხიზილალაც დავაყოლე. ხიზილალა ძალიან მლაშე გამოდგა. ალბათ, საექსპორტოდ თუ იყო დამზადებული.

„ხაზეიკამ“ მომავნო. ფეხზე წამოვდექი.

- მიირთვით არაჟანი, გეთაყვათ, მიირთვით, - მითხრა მან, - დაამთავრეთ, დაამთავრეთ. ოღონდ შემდეგ იქნებ წასულიყავით ჩემგან. სადმე შორს წასულიყავით. ნუ კი გეწყინებათ, მაგრამ ჭიქები და ხიზილალა ძალიან ძვირად მიღირს. შენი მეგობრის წყენინებასაც ვერ იტყვი. ძალიან მჭირდება კარგი მზარეული. რომ შეგემლოს ჩუმად წასვლა, უცებ რომ გაუჩინარდე, მე 5 დოლარს მოვცემ.

- ჯერ არაფერი გამიკეთებია და ფულიც არ მერგება თქვენგან, რაც არის, არის. რესტორანი ჩემი ბედი არ ყოფილა. წავალ, ზურაბეგს არ ვემშვიდობები, თქვენ უთხარით შემდეგ.

„ხაზეიკამ“ ქული და რაღაც ქალაღში შეხვეული გამომიტანა. ხეივანს დავყვევი და ქუჩაში გავედი. ვიარე, ვიარე, ფეხის გულები ამეწვა სიარულით, კისერი მეტკინა აქეთ-იქით ყურებით, მაგრამ მაინც მივდიოდი და მივდიოდი. უკვე მეორე დღე მეგონა.

შევეცადე ინგლისურად გამოვლაპარაკებოდი გამვლელს. „რა საათი“, - ვკითხე, მაგრამ არავინ გამომპასუხებია. ესე იგი, ვერ გამიგეს-მეთქი, ვიფიქრე და ახლა

სხვანაირად შევებრუნე სიტყვა, - „რამდენი საათია“, - მივმართე ვიღაც გამვლელს. მან თავის მაჯაზე მიმიითთა, - ხუთის ნახევარი იყო.

რა საოცარი ქვეყანაა! თუ მონილომბე, უცებ ისწავლი კაცი ინგლისურს.

ბარკში შევედი, ჩრდილი მოვანხე, ფეხზე გავიხადე და წამოვწექი. გავხსენი „ხაზეიკას“ გამოტანებული შეკვრა. პური და ძეხვი აღმოჩნდა შიგ. ახალ ქვეყანაში ცხოვრების დასაწყებად ხუთცენტისანი ნიკელის ფულიც მოეყოლებინა.

რა ვქნა, როგორ მოვიქცე? - სანამ ამა-



ზე ვფიქრობდი, ჩამეძინა კიდევ.

ვიღაცამ გამომაღვიძა. თავზე პოლიციელი მადგა და რაღაცას მეუბნებოდა. მე თავი გავაქნიე, ვერაფერი გავიგე-მეთქი, ვანიშნე. პოლიციელმა ხელები, ფეხები, თვალები და თავი მოიშველია (იგი ძალიან მაგონებდა თბილისში ნანახ თოჯინას) და, როგორც იყო, მიმხვედრა, რომ ბალახზე წამოწოლა აკრძალულია. თუ გინდათ, სკამზე დაბრძანდითო. სკამები უფასოა, ყველას შეუძლია დაჯდესო. აი, როგორი ქვეყანა ყოფილა!

მაგრამ დაწოლა არც ისეთი იოლი აღმოჩნდა. სკამებზე, ყოველი ორი ფუტის დაშორებით, რკინის სახელურები დაემაგრებინათ. შეძრომა არ გინდოდა?! ჯერ ცალი ფეხი შევყავი, შემდეგ მეორეც მივაყოლე და დავწექი. მაგრამ გვერდი ვეღარ ვიცვალე. თანაც, როგორც არ უნდა დავწოლილიყავი, რკინა ნიკაპზე მეზღინებოდა. კარგა ხანს ვიფიქრე, თუ როგორ მოვქცეულიყავი. მერე წავედი, ჩემი ხუთცენტისანი მიწის თხილი ვიყიდე და ციყვებს დავუყარე.

პარკის ირგვლივ აღმართულ კოშკებში სინათლის ანთება დაიწყო. უკვე დაბნულა. მე შარავნის მახლობლად, ფერდობზე ავედი. აქ კლდის ქვეშ პატარა ქვიშნარი ვიპოვე. შამფური გავთალე, ხის ტოტებით კოცონი გავაჩაღე, ძეხვი შევიწვი და პურს

შევატანე. მალე, ისევ მომშივდა. პიჯაკი დავახვიე, თავქვემ ამოვიდე (ასე ომში ვაკეთებდი ხოლმე) და დავიძინე.

დამალა ამერიკამ და ამიტომ კარგა ხანს მეძინა. უკვე შუალამე იქნებოდა, რომ შექმა თვალი მომჭრა. ჩემს ქვევით, შარავნაზე მსუბუქი მანქანა მოთახთახებდა. შუქი მისი წინა ნათურებიდან მოდიოდა. რომ გამისწორდა, ერთი ამოხსროლნა და დადგა. მანქანიდან კაცი გადმოვიდა. მთელი საათის განმავლობაში ჯახირობდა, ხსნიდა რა ხურავდა კაპოტს, უკაკუნებდა მანქანას რაღაც იარაღებს, მაგრამ ვერაფერი გავწყვი. მე ფერდობზე ჩავკოცნიე და გზაზე გავედი, ომში თვითმფრინავებთან მქონდა საქმე და ავტომანქანაც ხომ თითქმის იგივეა, რა თქმა უნდა, თუ ფრთებს არ მივიღებთ მხედველობაში. წვლანდელი პოლიციელის მსგავსად, ხელებით, ფეხებით, თავით მივახვედრე, - მომცი იარაღები, აბა, ერთი მე ვცდი-მეთქი. მან იარაღები მომცა და თვითონ გზისპირა სკამზე ჩამოჯდა.

შევაძოქე სანთლები, გამანაწილებელი, გრავნილა, დავხედე ბენზინის მიმწოდებელ მილს, მაგნეტოს. შემდეგ მანქანის დაქოქვა მოვიხდომე. ვატრიალე, ვატრიალე, კინლამ გული ამომეარდა, მაგრამ ავტომობილი სდუმდა. გავცეცხლდი და ლანძღვა-გინება დავუწყე მანქანას. რა არ ვუწოდე - მთის დევის შვილი, ქვაბულის ეშმაკის ეტლი, დავარისხე იგი შავრქიანი თხის სახელით და, როცა ქართულად აღარაფერი დამჩნა, რუსულზე გადავედი, რომ ბოლომდე მომეოხებინა გული. შემდეგ ერთი გემოზე ჩავცხე რადიატორში წიხლი. ავტომანქანა ძველი იყო, T მოდელისა. მან ერთი დაიფრუტუნა, ვერხვით აცახცახდა და ამუშავდა. მანქანის პატრონი ჩემთან მოიჭრა. მიცინოდა, ხელს მართმედა, რაღაცას მეუბნებოდა, რაღაცას მეკითხებოდა. მაგრამ აქ პოლისმენის მეთოდი არ გამოგვადგა - მართო ენსტები არა კმაროდა. უცებ ჩემი ლექსიკონი გამახსენდა - ინგლისურ-რუსული და რუსულ-ინგლისური. ხალაათის ჯიბიდან ამოვიღე და მანქანის პატრონს მივაწოდე. მან ლექსიკონი სინათლეზე დაიჭირა და ფურცვლა დაუწყო. „მუშაობ“? - მკითხა და ინგლისურ სიტყვაზე მიმიითთა. მის გასწვრივ დაწერილი რუსულ სიტყვას დავხედე და თავი გავაქნიე. „ბინა?“ - მაჩვენა მან მეორე სიტყვა.

კვლავ უარით ვუპასუხე. გამოვართვი ლექსიკონი, „გემი“ და „დღეს“ მოვძებნე და ვაჩვენე.

„წამოდი“, - მაჩვენა ლექსიკონში, - „უიღ მი“, - მითხრა და თითი მკერდზე მიიღო, „ჭამა“, „ძილი“, „სამსახური“, - შემდეგ კარგა ხანს იქექებოდა ლექსიკონში - „სამსახური ხვალ“. - „ავტომობილები?“ - ვკითხე მე, ჩვენ ხომ ქართულად „ავტომობილს“ ვიტყვოდით.



„ავტომობილები”, - დამიდასტურა და ძალზე ნასიამოვნები დარჩა, რომ ერთი საერთო სიტყვა მაინც აღმოგვაჩნდა.

მანქანაში ჩავსხედით, მრავალი მილი გავიარეთ, მრავალი ქუჩა, რომელთა ორსავე მხარეს სახლები იყო ჩამწყრივებული. ბოლოს მის სახლს მივალწვიეთ. შევედით, კარგა ბლომად ვსვით და ვჭამეთ, საბედნიეროდ, ჭამა-სმას, როგორც მოგვხსენებთ, ენის ცოდნა არ უნდა. შემდეგ მისმა ცოლმა ოთახი მომიჩინა და დავწვიეთ. ძილის წინ ვვიქრობდი: „აი, მთელი დღეა ვცხოვრობ ამერიკაში და სწორედ ისე ყოფილა, როგორც ამბობდნენ, - ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, მართლაც, ყველაფერი შეიძლება მოხდეს”.

უკვე ოცი წელია ვცხოვრობ ამერიკაში და აქაურებაზე დღემდე ამ აზრისა ვარ.

### დიახ, თქვენო უმთხველოება!

ექვსი თვის ჩასულიც არ ვიყავი ამერიკაში, რომ კინაღამ ციხეში ამოვყავი თავი. ეს ამბავი ასე მოხდა:

ის პირველი ექვსი თვე ნიუ-იორკში გავატარე. კვირები უსაზღვროდ გრძელად მეჩვენებოდა. არც დღესასწაულები იყო და არც ქეიფები, რომ ცოტათი მაინც გავხალისებულყავი. მოვიდოდა შაბათი და კონკრეტით 12 ან დიდი-დიდი 14 დოლარს მომცემდნენ ხოლმე. ჩამოსვლის დღეს რომ კაცს შევხვდი ცენტრალურ პარკში, იმან დაპირება შეასრულა და სამუშაო მომცა გარაჟში. მაგრამ ორი თვის შემდეგ სიდღერი გაუხდა ავად, გარაჟი მიაკეტა და ოჯახიანად სოფელში გადასახლდა. ჩემი ჩიქორული ინგლისურით ძალიან გამძინელდა ახალი სამუშაოს შოვნა.

ცოტა ხანს აბრეშუმის ფაბრიკაში ვიმუშავე, შემდეგ ქანდაკების ჩამოსხმელ სახელოსნოში გადავედი. თაბაშირისაგან ვასხამდით ულაზათო ქანდაკებებს. ამ სახელოსნოს მანამ შევრჩი, სანამ მთავარმა მოქანდაკემ აქლემის ჩამოსხმა არ დამავალა. ეს აქლემი უფრო ძროხას წააგავდა. მე არ ვიკადრე ასეთი მახინჯი ცხოველის ჩამოსხმა და აქა-იქ შევასწორე, რომ აქლემის რამდენიმე ნიშან-თვისება მაინც მიმეცა.

როცა მოქანდაკემ ჩემი ნამუშევარი ნახა, გაცეცხლდა და ის სკოლები ჩამომთავალა, სადაც ესწავლა - ლონდონის, პარიზის, დრეზდენის (დარწმუნებული ვარ, ამ ქალაქებში აქლემის ჭაჭანებაც არ იყო). და კვლავ უმუშევარი დავრჩი.

შემდეგ ოთახების მოხატვაზე ვიმუშავე, მაგრამ მე და ჩემი უფროსი როგორღაც ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. მერე ერთი ქართველი ვნახე (იმ დროს სულ ორისამი თუ ვიქნებოდით ნიუ-იორკში), რომელიც ტანსაცმლის საწმენდ სახელოსნოში მუშაობდა. ამ ქართველმა თანამუშევრ

ამიყვანა. საშინელი სამუშაო იყო. ტანსაცმელს ბენზინში ვრეცხავდით, რომ ლაქები ამოსულიყო. ბენზინი ტუნიში მირტყამდა, ყელში ჩადიოდა და ყურებიდან გამოდიოდა. მთელი კვირა ბენზინით ვიყავი გაჟღენთილი.

რაც უნდა ჯოჯოხეთური კვირა გვექონოდა, დასვენების დღეს მაინც შესანიშნავად ვატარებდით, რადგან ყველა მთელი დღით მივდიოდით ვანკოთლანდის პარკში. ეს ხეებითა და ყვავილებით სავსე პარკი ქალაქგარეთ იყო... იქ შეგვეძლო ცეცხლი გავეჩაღებინა, ბატკნის მწვალები შეგვეწვა, მთელი დღე გვესიერა, სამუშაოზე არ გვეუქმებოდა და ერთი დღის განმავლობაში მაინც დავმტკბარიყავით ადამიანური ცხოვრებით.

კვირადღებით, დილის ექვსი საათიდან, მეტროს ვაგონებში უკვე ტევა აღარ იყო ხოლმე. ვის არ შეხვდებოდით აქ - რუსებს, ბერძნებს, სომხებს - მიჰყავდათ მოხუცები და ჩვილები, მიჰქონდათ დოქები, დასაკეცი სკამები, ნახშირიანი ტოპრაკები, ჰამაკები, სამოვრები, საუზნით სავსე კალათები და ფარდავები. ყველა ამოჩემებული ადგილისაკენ მიემუხრებოდა. იქ ჩაის გააწყოდნენ, საუზმეს ამოალაგებდნენ და სატრობდნენ, ნეტა გვიან დაღამდესო.

ის დაუვიწყარი კვირა დღე, როცა უბედურება შემემთხვა, გაზაფხულის მიწურული იყო. კამკამა დღე იდგა, მოწმენდილ ცაზე აქა-იქ ღრუბლის თეთრი ქულები დაცურავდა. სწორედ რომ, ფათერაკების შესაფერი დღე გახლდათ.

იმ დღეს პირველად მეცვა ამერიკაში შექმნილი კოსტუმი, მეწამულ ზოლიანი ჰალსტუხის მეკეთა და ცხვირსახოციც ჰალსტუხის შესაფერი მქონდა. თავზე ჭილის ქუდი მეხურა, სწორედ ისეთი, იანკი დუდლი რომ ატარებდა. თავს ბედნიერად ვგრძნობდი და, ცოტა არ იყოს, ვიჯგემებოდი კიდევ.

ხუთ-ექვს ახალგაზრდასთან ერთად პარკში ვსეირნობდი. ერთი ნაცნობი ოჯახიდან მეორეში გადავდიოდით. აქ თითო ჭიქა ლინოს გადავკრავდით, იქ ნამცხვარს წავატებდით ხოლმე. ერთგან ბუფალოდან ახალჩამოსული ბიძა გავაცავნეს, მეორეგან - ჰაერზე პირველად გამოყვანილი ჩვილი ვინახულიყო...

პარკის ბოლოს გვინდოდა გავსულიყავით და მყოფლო ბილიკს დავადექით. გზად ლამაზი ხე შემოგვხვდა. თეთრად გადაპნტილიყო, გვერნებოდა, აქაფებულიყო. ინგლისელები ძაღლის ხეს ეტყვიან.

- ყვავილები, ყვავილები, - აღრიალდა ერთი რუსი, სახელად კირილე, - დაველევ, თაიგულს გავაკეთებ და ჩემ მეგობარ ქალს მივართმევ.

ამ კირილეს არ ვიცნობდით, სადღაც გზაში მოგვეტმანსა.

კირილეს სხვებმაც აუბეს მხარი.

- დაველივო! დაველივოთ ყვავილები, თაიგულებად შევკრათ და მეგობარ ქალს მივართვათ.

- ხე რატომ უნდა გავაფუჭოთ, - ვუთხარი მე, - ცოტა ტუნი გაანძრეთ. თუ გინდათ ლამაზ ქალს დაუმეგობრდეთ, თხოვეთ სასეირნოდ გამოგყვით, უთხარით, შესანიშნავ რაღაცას გაჩვენებთ, სახლისოდნა თაიგულს, თაიგულს, რომელიც პირდაპირ მიწიდან იზრდება-თქო, იშვიათი სანახავია-თქო. თუ ასე იხამთ, ძალიან ადვილად დაუახლოვდებით სეირნობის დროს და უკან რომ დაბრუნდებით, იქნება ნაყინის საჭმელადაც შემოგყვით.

არა, არავინ გამიგონა. მაინცდამაინც ხე უნდა დაემტვრიათ. მგლებივით მიესიენ და ნაწილ-ნაწილ დაუწყეს გლეჯა. ხტოდნენ, კონწილობდნენ, ვინ უფრო დიდ ტოტს მოტენსო! ლამის ცუდად გავხდი.

- ჩემდა თავად, - ვუთხარი მათ, - მომერიდებოდა ქალისათვის მუქთად ნაშოვნი, მოპარული ყვავილების მირთმევა! ვიყიდდი. აი, ეს იქნებოდა პატივისცემა, თუ არადა, სულ არ მივართმევდი.

უცბა, კირილე, რომელსაც უკვე ყველაზე დიდი თაიგული შეეკრა, ხის კენწეროდან ძირს ჩამოცოცდა და მითხრა:

- ფესსაცმლის ზონარი უნდა შევიკრა, ეს თაიგული ერთი წუთით დამიჭირე, მალე დაებრუნდები.

მეც დაუვჭირე და იმავე წუთს ჩემ გვერდით პოლიციელი გაჩნდა.

- კარგია, კარგი! - თქვა მან, - ეს ხომ საზოგადო ქონების განადგურებაა.

გვარზე გამოგვიკითხა და პატარ-პატარა ქალაღრე ჩამოწერა.

- რასა შერება? - ვკითხე სერგეის.

- უწყებებს გვაძლევს!

- უწყებებს?

- ჰო, სასამართლოში უნდა წარვსდგეთ.

- დაპატიმრებული ვართ?

- თითქმის, თუ ჯარიმას გადავიხდით საქმე მიჩუმიდება, მაგრამ თუ თავის არიდებას მოვინდომებთ და უწყებებს გადავყვით, მოგვინახვენ და ციხეში გამოგვამწყვდევენ.

- რა გვარი ხარ, ძმობილო? - მკითხა პოლიციელმა.

შევეცადე დამეჯერებინა, რომ ტოტები მე არ დამიმტვრევენა. ეს თაიგული სხვამ დამაჭერინა-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა. მითხრა - ნუ მეღავეები, თორემ აქვე დაგაპატიმრებო.

კვლავ დაუწყე ახსნა-განმარტება:

- აი, ბიჭები დამიმოწმებენ, რომ მე არ მომიწყვეტია, სხვა იყო-მეთქი, - მაგრამ არც იმათ დაუჯერა, - ნუ ამართლებთო, - უთხრა.

სწორედ არ მიხლოდა იმ პოლიციელს ვგანებოდი: ისეთი ეჭვიანი ვყოფილიყავი, რომ ყველა მატყუარა მგონებოდა. აბა, რა

გემო აქვს ისეთ ცხოვრებას, თუკი ვერა-ვის ენდობი.

ასე რომ, ჩემთვისაც გამოწერა უწყება და წავიდა. ის ახალგაზრდა, აი, ის კირი-ლე კი აღარ გამოჩნდა – ჯერ კიდევ არ მოეთავებინა ფენსაცმლის შეკვრა.

- საშინელი საქმე დაგვემართა, - ვთქვი მე.  
- არაფერია, - გაიცინა სერგეიმ.  
- არაფერი? მთელი ცხოვრება სამშობ-ლოში გაგატარე და არაფერს გადაგვირეგარ. ახლა სულ ექვსი თვის ჩამოსული ვარ ამერიკაში და უკვე გაიძვერა დამერქვა. ეს არაფერია? მამანქმმა რომ გაივოს ეს საშინელი ამბავი? რომ გაივოს ჩემი დაპა-ტიმრება, სოფელი რას იტყვის? პირველი ადამიანი, რომელიც კობიანთკარიდან ამერი-კის შეერთებულ შტატებში წავიდა და რისთვის? იმისთვის, რომ ტუსადი გამხდ-არიყო.

- მომხდევ, - მითხრა სერგეიმ, - შენ არც კი დაგჭირდება სასამართლოში წასვლა. ფული გაგზავნე და თავი დამნაშავედ სცანი.

- კი, მაგრამ, რომ არა ვარ?  
- თქვი, ვარ-თქო, დროს მოივებ!  
- მაშინ პოლიციელი სწორი ყოფილა, რომ არავის უჯერებს, თუკი ჯერ იტყვიან, არაფერი დამიშავებიაო, მერე უკუღმა შე-აბრუნებენ, დავაშავო.

- თუ თავს დამნაშავედ არა სცნობ, სა-სამართლოს წინაშე უნდა წარსდგე, საქმე უნდა გაარჩიონ.

- ჰოდა, წარსდგები კიდევ!  
- ერთი დღის ხელფასს დაჰკარგავ!  
- დავკარგო!

- პოლიციელი რომ ვნახოთ და კიდევ ერთხელ მოველაპარაკოთ? – შემოგვთავა-ზა არკადიმ.

- არაფერი გამოვა, თქვა სერგეიმ, - პი-რადად მე სასამართლოში თავს დამნაშა-ვედ ვცნობ. გიორგი ივანეს ძეს კი მხოლოდ ერთით შეგვიძლია დავენდართო. უკან, ნიუ-იორკში დავბრუნდეთ და ფიქსერი ვინა-ხულოთ:

- რას ნიშნავს ვიქსერი, - ვკითხე მე, ვიქსერი მეღია უნდა იყოს, არა?

- „ფ“. ფიქსერი ადამიანია. ხალხი ფულს აძლევს საქმეების მოსაწესრიგებ-ლად. სხვადასხვაგვარი ნებართვის შოვნა შეუძლია, გადასახადის ბლანკებს ავსებს, ტრანსპორტის ბილეთებს აუქმებს. ვთქვით, ლიცენზიაზე უარი ვითხრეს - ფიქსერს ფულს აძლევ და იგი რაღაცა მანქანებით მოვიხერხებს.

- ჰოდა, მეღია ყოფილა!  
- მეღია ვიქსერია, - განმობრტა სერგეიმ,  
- სიტყვები თავ-თავის ადგილას უნდა ჩაილაგო თავში. ყველაფერს ერთმანეთში ურევ. ფიქსერს დიდი ნაცნობობა და გავლენა აქვს.

წავედით ფიქსერთან. მას დიდი ოთახი ეჭირა, ვითომდა, დიდი კაცი ვარო, მაგრამ

იატაკი ხელოვნური მარმარილოს ჰქონ-და. თუნუქის ტორშერები მოქოქოვილი იყო, ფანერის მაგიდაზე ქალაღის ვარდუ-ბით სავსე უზარმაზარი ფილა იდგა.

ნეტა კედლის პანელები ურთხელისაა?  
- ხელით მოვინჯე, - არა, ფანერა ყოფილა.

- ამ ოთახით თუ ვიმსჯელებთ, მე მგონი, ფიქსერი ნამდვილი ადამიანი არც უნდა იყოს, - ვუთხარი ბიჭებს. - ალბათ, თივით გატენილი ფიტულია და ენის მაგივრად პატეფონი უდევს პირში.

- ხმა გაიწყვიტე, თორემ ორჯერ მოგი-წევს ციხეში წასვლა.

- აბა, რით შემიძლია დაგეხმართო, ბი-ჭებო, - გვკითხა ფიქსერმა. - შეგემთხვათ რამე?

მე უწყება გაუწოდე.  
- პოლიციასთან გაქვთ უთანხმოება?

- ფიქსერმა თავი გადააქნია. - პოლიცი-ასთან დავა სასუშარო საქმე არ არის. თქვენ უეჭველად უცხოელი იქნებით, არა?  
- კი, აქ უცხო ვარ!

- კარგი. ჰონორარს წინასწარ ვიღებ. ჩვეულებრივ ამ დოლარს. შენ ხუთს დაგ-ჯერდება. მერე მოიფიქროთ, რისი გაკე-თება შეგვიძლია.

ფიქსერს ფული ჩავუთვალე.  
- ახლა მიაბეთ.

ჩემი მეურვე დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს.

ფიქსერი ჩაფიქრდა. რაღაც ქალღდე-ბი გადაათვალიერა. ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა, კვლავ ფიქრებს მიეცა და ბოლოს განაცხადა:

- იცით რას გეტყვით? შენ ხვალ სა-სამართლოში წახვალ და თავს დამნაშა-ვედ სცნობ. ეს ერთადერთი გამოსავალია. რაღაც ორ დოლარს გადაიხდი და საქმე მორჩება. გარდა ამისა, მე მთელ ჩემ ნაცნო-ბობას დავიხმარ საქმის მოსაგვარებლად.

- მომიხსინეთ, - ვუთხარი ფიქსერს, - თუნდაც ბორკილების მოუხსნელად ჩამო-მასწრონ, იმას ვერ დავიბრალებ, რაც არ ჩამიდენია.

ასე გათავდა ეს ამბავი. ფიქსერი მეტით ვერაფრით დაგვეხმარა და ძალიანაც გაგ-ვიბრაზდა.

სერგეიმ თქვა:

- რა იქნება მოხუცი მისტერ კოენი გვენახა, რა ხანია, ამერიკაში ცხოვრობს და იქნებ რაიმე მოიფიქროსო.

- აი, რა, - გვითხრა მისტერ კოენმა, როცა ჩვენი ნაამბობი მოისმინა, - ფიქსერ-მიქსერს მოეშვით და მე დამიჯერეთ. უკვე 47 წელია, რაც ამერიკის სრულყოფილი-ანი მოქალაქე ვარ. თვით პრეზიდენტმა ჰეისმა მომიწერა ხელი. წადი სასამარ-თლოში. როცა პირველ კითხვას მოგცე-მენ, უთხარი – არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსება-თქო.

- არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსე-

ბავ! რას ნიშნავს „თქვენო ღირსება“?

- მოსამართლეს. ამერიკაში ყველა მო-სამართლეს ასე მიმართავენ.

- არა ვარ დამნაშავე, თქვენო ღირსე-ბავ. მერე?

- მერე ადექი და შენი ამბავი მოუყვი. - ჩემი დამტყვეული ენით?

- მონიღომე და კარგად გამოვივა. იქნებ მოსამართლემ მოგიხსინოს და შეეცადოს გაგიგოს. რა თქმა უნდა, შეიძლება უხეი-რო მოსამართლე შეგხედეს, ან ძალიან დაღლილი იყოს და ყურადღებით არ მო-გექცეს, ანდა უცხოელებს არ თანაუგრძობ-დეს, მაგრამ ასეთები ჩვენში თითზე ჩამო-სათვლეულია. თუ მაინცდამაინც ცული მოსა-მართლე შეგხვდა, გადაიხადე ჯარიმა, დავას ნუ დაუწყებ. ოღონდ ამერიკას ნუ შეიძუ-ლებ. მაშინვე მოდი და შემატყობინე.

- რას გააკეთებ?  
- როგორ თუ რას, რა თქმა უნდა, შავ კენჭს ჩავუდებ მომავალ არჩევნებზე. თუ წესიერად არ მოიქცევა, მეტს აღარ ავირ-ჩევთ.

მეორე დილას სასამართლოში მივედი. ჯერ სხვების სახელები წაიკითხეს: იგო-რი! არკადი! სერგეი! ფილიპე! – აღიარა დანაშაული, აღიარა, აღიარა. ჯარიმის ფუ-ლი ყველას გამოეგზავნა.

აი, მეც გამომიძახეს. რაღაცას მეკით-ხებოდნენ, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გა-ვიგე. ველავადი. ჩემი ინგლისური ჩიტი-ვით გაფრენილიყო. როგორ მიმართე მოსა-მართლესო? თქვენო კეთილსინდისიერე-ბავ! არა. თქვენო უმაღლესობავ! არა! ეს რუსულია. თქვენო... კიდევ რაღაცა მკითხეს, მე უნდა მეპასუხა. მხნეობა მოვიკრიბე და ვიყვირე

- დამნაშავე არა ვარ, თქვენო უმწიკ-ვლოება!

სასამართლოში ერთი ვაი-უმველელები ატყდა. მთელი დარბაზი ახარხარდა. მოსა-მართლემ ჩაქუჩი დააბრახუნა – ბახ! ბახ! ბახ! სახე მამლის ბიბილოსავით გაუწით-ლდა. ნეტა რა ჩავიდინე? ეჭვი არ მეპა-რებოდა, რომ ახლავე სინე-სინეში გამაგ-ზავნიდნენ და ყველაზე ღრმა ჯურღმულ-ში ჩამაგდებდნენ, მაგრამ მოსამართლე ჯერ დარბაზს მიუბრუნდა, სიტყვა „უმწიკლო-ების“ გამო ასეთი სიცილის ატეხა სასა-მართლოს შეურაცხყოფას ნიშნავსო.

- ახალგაზრდავ, - მომიბრუნდა მოსა-მართლე, როცა დარბაზი კარგად შეაზურა, - სასამართლოს მიმართეთ „სერ“.

- კარგით, სერ!  
- როგორც ვხედავ, თავს დამნაშავედ არა სცნობთ, ხომ ასეა?

- დიახ, სერ, არა ვარ დამნაშავე!

- ეს ოფიცერი კი ამბობს, რომ თქვენ და თქვენმა მეგობრებმა დაარღვიეთ მუნიცი-პალიტეტის ბრძანებულება - თურმე ხეს აფუჭებდით, ტოტებს ამტყვევდით.

- დიას, სერ, სხვები ამტკრევენ, მე არა!

- რაიმე დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ?

- არა, სერ. ჩემთან მეგობრები იყვნენ, მაგრამ დღეს ვერ შესძლეს მოსვლა. ყველამ დამნაშავედ სცნო თავი და ჯარიმა გამოგზავნა. ასე უფრო იაფად გამოვიდნენ – ერთი დღის ხელფასი შეინარჩუნეს.

- რატომ შენც აგრე არ მოიქეცი?

- იმიტომ, რომ, თუ დამნაშავე ვარ, ვაღიარებ ხოლმე, მაგრამ როცა არა ვარ, ვერავინ მაიძულებს დავიბრალო. გინდა ვითქვამს დამნაშავე ვარო, როცა არა ხარ, და გინდა ვითქვამს, არა ვარო, როცა ხარ! სულერთია, ორივეჯერ სტყუიხარ!

- დიას, სწორია. რამდენი ხანია, რაც შეერთებულ შტატებში იმყოფებით?

- ექვსი თვე.

- აქ ნასამართლობა გაქვთ?

- არა, სერ.

- იქ, სამშობლოში ხომ არაფერში გარეულხართ? ვინმეს ხომ არ დასწმინხართ თავს. ხომ არავინ მოგიკლავთ?

- დიას, სერ მომიკლავს!

- რამდენი?

- უამრავი. მარტო პირველ წელს ვითვლიდი, მერე შევწყვიტე.

- ეგ სად ხდებოდა?

- ომში. მე სნაიპერი ვარ. ჩემი მოვალეობა იყო მომეკლა ყველა გერმანელი, რომელსაც დავინახავდი. იშვიათად, ბულგარელებიც მხვდებოდნენ, მაგრამ იმ საწყლებს მაინცდამაინც არ ეხალისებოდათ სანგრძობად თავის ამოყოფა.

- გასაგებია, მაგას არ გეკითხებოდი. ჯარში კი არა, მანამდე ხომ არავინ დაგიშავებიათ, ხომ არავისთვის გაგირტყამთ?

- დიას, სერ, ერთხელ!

- რა ერთხელ?

- ერთ კაცს კბილები ჩავუმტვრიე, ორი-ოლე კბილი!

- რატომ?

- წავასწარი, რომ ჩემ ძალს მოწამლულ სორცს აჭმევდა.

- გასაგებია. მეტი არაფერი ჩავიდენიათ?

- არა, სერ.

- ნამდვილად?

- დიას, სერ.

- თქვენ ნამდვილად დაინახეთ, რომ ეს კაცი ხეს ამტკრევედა? – ჰკითხა მისმა უმწიკვლოებამ პოლიციელს.

- არა, სერ. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ დანარჩენები გამოტყდნენ. ეგეც იმათთან იყო და ხელში ყვაილების თაიგული ეჭირა.

- ოფიცერო, მე მწამს, რომ ეს კაცი გულწრფელი ადამიანია. თქვენ, ალბათ, შეცდით. საქმე წარმოებით ისაობა!

- და მისი უმწიკვლოება, დიდი ამერიკელი მოსამართლე, ჩემსკენ გადმოიხარა და,

იცით, რა მითხრა, მე უბირს, უენოს, ექვსი თვის ჩასულ გამოუცდელ უცხოელს?

- ახლაგაზრდავ, მე მსურს ხელი ჩამოგართვათო, - და მართლაც, ჩამომართვა. მთელი დარბაზი გვიყურებდა.

### უზრდელი პაცი

ნიუ-იორკის ცემენტს ვეღარ ვიტანდი. ქუჩებში მთელ სივრცეზე დიდძალი ცემენტი იყო დაფენილი. უფრო მეტი გორებად იყო აღმართული გზის ორივე მხარეს. თავი ქეისთაიდან სარდაფში მეგონა. გარდა ამისა, ისიც მაწუხებდა, რომ ქვეყნად, ალბათ, მავთულით შემოუღობავი არც ერთი ხე, ბალახი და ყვაილი არ იყო დარჩენილი. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახლოს არ გავკარებოდი მათ.

სხვაგან კი სად წავსულიყავი. უზურში არაფერი მქონდა. მაგრამ აი, ერთხელ, როდესაც სამსახურიდან მეტროთი ვბრუნდებოდი შინ, ორი კაცის საუბარი შემომესმა. რამდენადაც მიგზვდი, ერთი მათგანი ახლახან დაბრუნებულიყო დასავლეთიდან, მაღალი მთების გადაღმა მდებარე ქალაქიდან. ეს ტყიანი მხარე თურმე ამერიკის კიდე იყო. ორი დიდი მდინარე ღრიალით და ზავით უერთდებოდა ერთმანეთს და შემდეგ მეგობრულად აგრძელებდა გზას. მართალი ვითხრათ, ცნობის წაღობა წამძლია და მივაყურადე. იქ, თურმე, მრავალი სლაივი ცხოვრობდა. ყველანაირი საშუალო ყელთამდე იყო და ფასსაც კარგს იძლეოდნენ. სულ არ მინანია, რომ ორიოდე მილით გაცვდი ჩემს გაჩერებას. სამაგიეროდ, გარკვევით გავიგონე იმ ქალაქის სახელი.

და აი, შაბათს, როგორც კი ხელფასი მივიღე, სადგურში წავიქედი და იმ შესანიშნავი ქალაქის ბილეთი ვიყიდე. ეს პიტსბურგი იყო, პენსილვანიის შტატის ქალაქი. როცა ჩავიქედი, სიმართლე უნდა ვთქვა, იგი ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდი.

მაგრამ წუწუნის უფლება არ მქონდა. ახი იყო ჩემზე – ყური არ უნდა დამეგლო უცხო ხალხის საუბრისათვის. რაც იყო, იყო. გულხელდაკრეფილი ხომ არ ვიქნებოდი. საშუალოს ძებნა დავიწყე. ორ თვეს ვიხეტიალე ქუჩებში. ბოლოს წებოს ქარხანაში გამოვინახე ადგილი, მაგრამ იქაურობას მხოლოდ სამ დღეს შევრჩი. უფროსი სხაპასხუპით ლაპარაკობდა და ვერაფერს ვუგებდი. სამსახურიდან პირდაპირ შინ გავბრდი, რათა კიდე რაიმე შემეძინა ჩემი „სიტყვების წიგნიდან“, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა ოდესმე დაწვრილი ამ კაცს. მას უკვე მთელი საუკუნით გაეწვრო ჩემთვის.

შაბათს მომცეს ჩემი ექვსი დოლარი და მითხრეს, რომ, თუ ოდესმე უკეთ ისწავლი ინგლისურს, დაბრუნდი და ამავე ადგილ-

ზე მივიღებო. დიდი შეღავათია, არა? და აი, კვლავ ქუჩაში აღმოვჩნდი. ხან ერთი, ხან მეორე ფაბრიკის კართან ავიტუხებოდი ხოლმე. ერთხელ, ხეტიალის დროს, რომელიღაც სადალაქოს მივადექი. დალაქი უკრაინელი იყო. თუმცა, მაშინ არც რუსული ვიცოდი ხეირიანად, მაგრამ ინგლისურზე მეტად მაინც გამეგებოდა. ასე რომ, შევეძლით გამოვლაპარაკებოდი ერთმანეთს.

- მუშაობ? – მკითხა მან.

- არა-მეთქი! – ვუპასუხე.

- გინდა მუშაობა?

- რაკი ჭამა მინდა, მუშაობაც უნდა მინდოდეს.

- საღამოს 9 საათზე მოდი, შენი ჩემოდანიც მოიტანე. იქნებ ადგილი გიშოვნო.

- რა ადგილია?

- კარგი ადგილია. აი, მოხვალ და ნახავ.

ცხრა საათზე სადალაქოში მივბრუნდი. ძვირფას აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი ბრვე კაცი სავარძელში იჯდა და 25 ცენტთან სივარეტს აბოლობდა, ორი კაცი კი ფეხსაცმელებს უპირიალებდა მას.

- კიდევ კარგი, რომ რვაფეხა არაა, - ვუთხარი დალაქს რუსულად, - მაშინ ხომ მთელი არმია დასჭირდებოდა გასაპრიანლებლად.

- ხმა ჩაიწყვიტე, - რუსულადვე დამიბრუნა დალაქმა, - მისტერ ბლეკ, - მიმართა იმ კაცს ინგლისურად, - აი ის კაცი, მე რომ ვითხარით. ძალიან უნდა მუშაობა.

- კარგი მუშაა?

- დიას, სერ, მაგარი მუშაა.

- საიმედო თუა!

- დიას, სერ, სულ რამდენიმე თვის ჩამოსულია ამერიკაში.

მისტერ ბლეკი ახლა მე მომიბრუნდა და მკითხა, ინგლისურად თუ ლაპარაკობთ. „რომ ვიცერო, ვლაპარაკობ-მეთქი და ეს ადგილიც დავკარგო, არ ივარგებს, ჯობს ამთავითვე იცოდეს ყველაფერი“, - გავიფიქრე და თავი გავაქნიე, - არ ვლაპარაკობ-მეთქი.

- ძალიან კარგი, ძალიან კარგი, - მისტერ ბლეკმა ხელები მოიფშვნიტა და ისე შემომხედა, თითქოს საშობაო გოჭი ვყოფილიყავი და აქნას მიპირებდა.

მოდი და გაიკე: ზოგან მოსწონთ, რომ ინგლისური იცი, ზოგან კი – არა. აი, როგორაა საქმე ამერიკაში.

- ერთი ჰკითხე, შეუძლია თუ არა, დღესვე წამოვიდეს? - უთხრა ბლეკმა დალაქს. დალაქმა რუსულად გადმოძეკა ბლეკის კითხვა.

თავი დაუქნიე და ჩემოდანზე ვანიშნე. როგორც კი მისტერ ბლეკი გაპარსეს და უხვად ასხურეს ოდგეკოლონი, ჩვენ მის მანქანაში შევიკვერით და დავიძარით.

თორმეტცილინდრიანი კადილაკის მო-

ტორი ისე უხმოდ მუშაობდა, რომ, ეტყობოდა, საგანგებო შეკვეთით იყო დამზადებული.

აქა-იქ ჩვენ შევჩერდით და ნახევარ დუქინამდე ხალხი წამოვიყვანეთ - ორი ჩინელი, ერთი ყრუ-მუნჯი ბიჭი, ერთი მექსიკელი და ერთი ცხინური გერმანელი. სულ ისეთები შევიყარებით, იტყვით, მოხეტიალე ცირკის ხალხიაო.

გზას ბოლო არ უჩანდა. დალაქმა აკი თქვა, შორი გზა მოგელითო, და ასეც გამოდგა. ცოტა თვალი მოვატყუე. გათენებისას გამოძლეობა და წინ ქარხნის ძილები, დიდი სახლები და ანთებული ბრძმელები დავინახე. მისტერ ბლეკმა მანქანა შეაჩერა და სამჯერ დააჭყვირა. შემდეგ ადგილიდან მოვწყდით, 70 მილის სიჩქარით დავეშვით დაღმართზე და ქარხნის ღია ჭიშკარში შევკარდით. ჭიშკარი მამინვე მოგაკატეტეს.

მანქანიდან გადმოვედით. გვიჩვენეს, სად უნდა გვებანავა.

ვილაცა კაცმა ყავა და ფუნთუშები მოგვტანა და შემდეგ სამუშაოზე დაგვაცენა. მეორემ სამუშაო იარაღები მომაჩვენა ხელით. ახლა უკვე შემკეთებელ ხელოსნად ვითვლებოდი. ძალიან კარგი. ამასაც ვცდი.

დავიწყე საამქროში მიყრილ-მოყრილი მანქანების შეკეთება. გავიდა რამდენიმე საათი. ერთი კაცი მომიახლოვდა, დამთავრებული სამუშაო შემომოწმა და რამდენჯერმე დამიკანტურა თავი. ეს ნიშნავდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა.

გულმა მიგრძნო, რომ კარგ ადგილზე მოვხვდი. სამუშაოს თავს მივაკლავ. საღამოობით ვიმეცადინებ, გაკვეთილებზე ვივლი. ადრე მოვალ სამუშაოზე და გვიან წავალ. შემდეგ დამაწინაურებენ. უკვე ვხედავდი ჩემს დიად მომავალს: 30 ცენტან სივარას ვეწევი და ძვირფას კოსტუმში გამოწყობილი დავდივარ, მაგრამ ორ კაცს კი არ გავაწმენდინებ ფეხსაცმელებს. ეს ხომ ყოყლოჩინობა იქნება. შუადღის საყვირმა იმ დროს მომიხსწრო, როცა ვფიქრობდი, პაკარდში დავაბანოდი ფული, თუ კაღილაკში-მეთქი.

ეს ჩემი პირველი დღე იყო და, რა თქმა უნდა, საუზმე თან არ მქონდა. ის იყო ქარხნის ღუქის მოძებნა დავაპირე, მიწოდდა ღვეხელი, ბისკვიტი, გაზიანი წყალი და შემწვარი ხორცი მყიდა, მაგრამ დავინახე, რომ ყველა ერთი მეორის მიყოლებით გადიოდა ერთ-ერთ კარში და მეც მათ ავედევნე.

დიდი გაწყობილი მაგიდები, თხლად დაჭრილი შემწვარი შაშხი, პური, კარტოფილი, ჭყინტი ლობიო, მოხარბული სიმინდი, კარაქის მოზრდილი ოთკუთხედი ნაჭრები... მიირთვი, რამდენიც გენებოს! მუყუყი, მწნილი! სწორედ რომ ადღგომის სუფრა გეგონებოდა. მაგრამ სუფრას ხალხის უც-

ნაური კრებული ამშვენებდა - ნამდვილი ერთა ლიგა იყო. ცალ მხარეს ჰოლანდიელი მეჯღა, მეორე მხარეს კი - ვილაც საყურეებიანი კაცი, მგონი, სიცლიელი, ცოტა მომორებით მჯღომი, ნამდვილად სირიელი იყო.

ვისადილეთ. შემდეგ მოვიდა ღვეხელი. ყავა და ნაყინი. კვლავ აღრიალდა საყვირი. ჩვენ ოთახიდან გამოვედით. კარში ფული ამოვიღე, საჭმელში გადავიხდი მეთქი. მაგრამ არ გამომართვეს და ისევ შევიჩინა. ვიფიქრე, ხელფასიდან დამიკავებენ-მეთქი. კარგია! ყოველდღე აქ ვისადილებ.

სამუშაო დამთავრდა და იმ კაცთან ერთად მომიხდა გამოსვლა, რომელიც სირიელად შევიცანი. როგორც მივხვდი, გახეთილი ქალაქების საცეცხლურში შეკეთება ევალებოდა. უცნაური სამუშაო - ჭუჭყიანი და კვამლიანი. მე ორიოდე სიტყვით გამოველაპარაკე მას. იგი ბერიუთელი იყო, მაგრამ უცხვირაბრო და სიტყვაძირი კაცი გამოდგა. კვითხე - სადა ცხოვრობ, იქნებ შენს დიასახლისს ჩემთვისაც მოეტა ოთახი-მეთქი.

- საცხოვრებლად? - გაიკვირვა მან, - რას ამბობ? ჩვენ აქვე ვათევთ დამეს.
- ფაბრიკაში?
- რასაკვირველია!
- აქვე ვივანშმებთ ხოლმე?
- რა თქმა უნდა.
- რატომ?
- პასუხი არ გამცა.

ვანშობა მოვიდა, მოიტანეს ორი დიუმის სისქის ბიფშტექსები, შემწვარი კარტოფილი, მწვანე მუნჯი, სტაფილო, საღაათა, ნამცხვარი, ხილი, შემდეგ დიდი ყუთით სივარები ჩამოატარეს.

- სხვები სადლა ჭამენ? - ვკითხე სირიელს გამოსვლისას.

ვფიქრობდი, იქნებ ვინმე გამომლაპარაკებელი მენახა, სხვა სასადილო ოთახში რომ მოვხვედრილიყავი. პირდაპირ ცუდად ვხდებოდი, როცა ჭამის დროს ვერავის ვესაუბრებოდი.

- ვინ სხვები?
- სხვა მუშები.
- მეტი არავინაა.
- შენ რა, იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ამ ვევერთელა ფაბრიკას ჩვენ, ორასიოდე კაცი ვამუშავებთ? აქ ათასებია საჭირო.

პასუხს ვეღარ მოვუცადე. სასადილოს გამგემ მანიშნა, უკან გამომეყვიო. მან საწოლებით სავსე დიდ ოთახში შემეყვანა, საწოლი მომიჩინა. საწოლები ლამაზად იყო გაწყობილი. ქათქათა ზეწრები, თბილი საბნები. მე დაწოლისთანავე დამეძინა, სიზმარში კი ვფიქრობდი, ამერიკა მართლაც შესანიშნავი ქვეყანაა-მეთქი.

გათენდა მეორე დღე. ორჯერ გაიხრინა სანიტარულმა მანქანამ ეზოში. პირ-

ველად ორი ახალგაზრდა გამოიტანეს მანქანიდან და მედპუნქტში შეიტანეს, მეორედ - სამი. ისინი თავიდან ფეხამდე გასისხლიანებული იყვნენ. რას იზამ, სამში სამუშაო ჰქონიათ, ჩემი ბედი, რომ შემკეთებელი ოსტატი ვარ!

ბოლოს დადგა შაბათი. დავინახე, მუშები რომელიმე ფანჯარასთან მიქუჩებულ იყვნენ და მეც უკან მივუდექი, ხელფასის დღე იყო. კონვერტი მომცეს. კონვერტში კი, ღმერთო დიდებულო, 42 დოლარი ნაღდი ფული იდო! ჭამისა და ღამის გათევისათვის არაფერი დავაკავებინათ. ეს კომპანიის ხარჯზე ყოფილა. 7 ცენტანალი დოლარი თითოეულ ნამუშევარ დღეში.

ისე გამიხარდა, რომ სული კბილით მეჭირა, სანამ ქალაქში წავიდოდი და ფულს დავხარჯავდი. ის სირიელი მოვინახე და ვუთხარი: „გინდა ქალაქში გავისიეროთ? ერთ ბოთლ ღვინოს ვკისრულობ. ცოტა ვისამოვინოთ-მეთქი“.

- რას ამბობ! - მიპასუხა სირიელმა, - სრულ ჭკუაზე ხარ?

ეჰ, ყველაფერს მივხვდი. ასეთი ხალხი ადრეც შემხვედრია. ისინი ჭიქა ღვინოს არ დაეილევნენ. ემინიათ, რომ მიელი ბოთლის ჩამოდგმა არ მოუხდეთ. ფულის გიჟი ყოფილა. ბედნიერებას ვუსურვებ. დე, იქამდე იცოცხლოს, რომ თავის გემოზე მოიხმაროს დანაზოგი. თუმცა, ჩვეულებრივ ასე არ ხდება ხოლმე.

დავიწყე ხეტიალი, რომ ვინმე სხვა მეპოვა. კლუბის ოთახში, რომელიც მშვენივრად მოეწყო ჩვენთვის კომპანიას, ბანქოს ორ მოთამაშეს წავაწყდი. ისინი „დურაკობანას“ თამაშობდნენ. „დურაკობანა“ რუსული თამაშა და ამიტომ გადავწყვიტე გამოვლაპარაკებოდი.

მოთამაშებმა რაღაც დამტვრეულ ენაზე მიპასუხეს. ისინი ფინეთიდან, ლატვიიდან თუ სადღაც იმ მხრიდან უნდა ყოფილიყვნენ. როგორც საუბრიდან მივხვდი, რუსული ჯარში ესწავლათ და ჩემსავით უხეიროდ იცოდნენ. უნდა ითქვას, უკეთეს მენახებებს ვეძებდი, მაგრამ რაღას ვიზამდი, მაინც დავპატიჟე. მათ ისევე იუარეს, როგორც სირიელმა. „შენ რა, ტვინი არა გაქვს თავში? შენც სანიტარული მანქანით ხომ არ გინდა დაბრუნება?!“ რა დაემართა ამ ხალხს, მე გავგიჟდი თუ ესენი! - აი, რა, ბიჭებო! ერთი უბრალო კითხვა მინდა მოგცეთ. გინდათ თუ არა გარეთ გამოსვლა და ერთი ბოთლი ღვინის დალევვა ჩემს ხარჯზე?

- გარეთ მოგკლავენ, - მითხრა ფინელმა, - უკან უთავოდ მოგიხდება მოსვლა!
- ვინ მომკლავს?
- გაფიცულები, - მიპასუხა მან ინგლისურად, - გარეთ გაფიცულებია.
- კარგი. იყვნენ გაფიცულები, მაგრამ მე რატომ უნდა მომკლან?

- გაფიცული იმას ჰქვია, - განმიმარტა მან, - ვინც წინათ აქ მუშაობდა და ახლა აღარ მუშაობს.

- კი მაგრამ, მე რას მერჩიან? ისინი წავიდნენ, მე მოვედი. ხალხი ყოველდღე იცვლის სამუშაოს!

- სულ კი არ წასულან. მარტო იმიტომ შეწყვეტეს მუშაობა, რომ უფროსის მიცემული ფული არ ყოფნიდათ.

- აშენება ხომ არ უნდოდათ? ასეთი სამუშაოს დატოვება შეიძლება? რას იშოვიან უკეთესს! როსტობიფი, მუქი თამბაქო, სუფთა ლოგინი და 7 დოლარი. პირადად მე სინარულით ვიმუშავებდი აქ კიდევ ერთ წელიწადს.

- მათ არც ამდენს აძლევდნენ, - არც აჭმევდნენ და არც აწვევდნენ. მარტო ორ დოლარნახევარს აძლევდნენ დღეში. ისინი კი სამ დოლარს მოითხოვდნენ.

- მე კი შვიდი დოლარი ვუჯვლები უფროსს, რატომ არ აძლევენ მათ სამ დოლარს დღეში? ვერ ყოფილა კარგი ბიზნესმენი.

- უფროსი შვიდ დოლარს მანამ მოცემს, სანამ გაფიცულები ლოდინით არ დაიღლებიან და კვლავ ორ ნახევარ დოლარად არ დაიწყებენ მუშაობას. ან იქნებ ორ დოლარსა და ოცდახუთ ცენტსაც დაჯერდნენ, - მაშინ ჩვენი უფროსი სხვაგან წაგვიყვანს.

- სად სხვაგან?  
- სადაც სხვა გაფიცვა იქნება.  
- ეს ჩვენი უფროსი რომელია? ის კაცი, ჩვენ რომ მოგვიყვანა? მისტერ ბლეკი?  
- ჰო, ისაა.

მე ჩავეფიქრდი.  
- ისინი კვლავ თამაშობდნენ: ტყავ - ჩამოვარდა ტუზი, ტყავ - ვალეტი.  
- ბოდიში, რომ ხელს ვიშლით, - მივმართე მათ რამდენიმე წუთის შემდეგ, - მაგრამ, იქნებ განსოვდეთ, როგორ ითქმის ის სიტყვა რუსულად? - გაფიცული.

- ზაბასტოფიკი? აჰა! ზაბასტოფიკი! ახლა კი გამასწავლა. ჩემმა მეგობარმა არსენამ, იქ, სამშობლოში, კარგად იცოდა გაზეთიდან ამბების ამოკითხვა. იგი ყველა საყურადღებო შემთხვევას მიაბობდა ხოლმე. გასაგებია! ზაბასტოფიკი!

- ეს ადგილი არ მომწონს, - ვთქვი მე, - ახლავე მივდივარ აქედან. მაგრამ ის სად არის? მისტერ ბლეკის ოთახი?  
- მთავარ შენობაში.  
- საწყობების გვერდით?  
- არა, იმის იქით, აგურის სახლი.

ეზო გადავჭერი და კიბეზე ავედი. „დააკაუნეთ“ - ეწერა კარზე. მეც დავაკაუნე. - შემოდით!

ეს მისტერ ბლეკის ხმა იყო. იგი იჯდა, ფეხები მაგიდაზე შეეწყო, პირში კბილის საჩხრეკი ჰქონდა გაჩრილი.

- მე მივდივარ, - მივმართე ბლეკს, -



ოლონდ ჯერ ქალაქი უნდა მომცეთ, რომელშიც ეწერება, რომ არ ვიცოდი თუ ვქურდობდი.

- აა, ეს შენ ბრძანდება? - მისტერ ბლეკმა ჯვარისი ყურზე ჩამოიღო, - მე კი მეგონა, ინგლისური არ იცოდი. კარგი გამძვრალი ყოფილხარ.

- ამდენი კი ვიცი, - ვუპასუხე მე, - ისეთი ქალაქი მომიცი, სადაც ნათქვამი იქნება, რომ აქ შემთხვევით მოვხვდი, რომ არ ვიცოდი, თუ ვქურდობდი. აი, შემდეგ კი წავალ. აქ საკამათო რა არის?

- კარგია! აი, თქვე ტილიანო ჩამოთრეულეზო. ყველანი ერთნაირები ხართ. ათიოდე დოლარს მოიგდებთ ხელში და ქვეყანა თქვენი გგონიათ!

- ჩამოთრეული, გამძვრალი, ტილიანი! უკაცრავად, მაგრამ თქვენი ხნის კაცი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს. დამიწერე ქალაქი და წავალ.

- აი, შე გამოთავყვანებულ ნაბიჭვარო! - მისტერ ბლეკი სავარძლიდან წამოსტა. - არაფერსაც არ დაგიწერ. წადი, წაეთრიე, თორემ აქედან გისვრი, - მან მაგიდაზე მუშტების ბრახუნი დაიწყო, - არ გესმის? გაეთრიე!

გვერდითა ოთახის კარი გაიღო და იქედან მალალი, გამხდარი, ჭაღარა კაცი გამოვიდა, მისტერ ბლეკმა მუშტების ბრახუნი შეწყვიტა და კრავივით უწყინარი განხდა: „რას მიბრძანებთ სერ? დიახ, სერ“. აჰა! ეს, ალბათ, ყველას უფროსია, - გავიფიქრე მე.

- რას ნიშნავს ყოველივე ეს?! - უფროსი ალუბლის კურკებივით ისროდა სიტყვებს. - მე მგონი, იცი, რომ აქ მაწანწალები არ უნდა შემოუსვა.

მე უკვე აღარ შემქმლო ამდენი ლანძღვა-გინების ატანა.

- ნუ მეძახით მაწანწალას. ეს წუთია ამასვე ვუუბნებოდი თქვენს მეგობარს, მისტერ ბლეკს. თქვენ, მით უმეტეს, დროული კაცი ხართ და მეტი უნდა გესმოდეთ. ლანძღვა-გინება?! ეს ხომ ლაწირაკების

საქმეა. თქვენ კაცი ხართ და კაცურად მოიქეცით!

- მომასწორეთ ეს კაცი!

მისტერ ბლეკმა ქალაქის წერა დაიწყო.

- ეს კი იცოდეთ, - უფროსმა თავისი გრძელი თითი ჩემსკენ გამოიშვირა, - პირადად მე ვიზრუნებ, რომ თქვენი სახელი შეერთებული შტატების ყველა საწარმოს შავ სიაში მოექცეს.

- მილიონობით ადამიანს, ალბათ, არც კი გაუგონია თქვენი სახელი და ეგ შავი სიაც ფეხებზე კიდათ. ისინი მომცემენ სამუშაოს.

- ამასაც ვნახეთ!

მისტერ ბლეკმა წერა დაამთავრა.

- აჰა, შენი ქალაქი, ოლონდ, როცა ალაყაფის კარს გაცდები და გაფიცულები ნაწლავებს დაგაყრევინებენ, მე ნუ დამემღურები! შენ ნახე სანიტარული მანქანით მოყვანილი ხალხი? როგორ ფიქრობ, სამართლიანად მოექცნენ მათ?

- თუ ვინმეს, ცოლს, ფულს, სახლს, ბავშვებს მოვტაცებ, - ვუპასუხე მე, - მაშინ მას უფლება ექნება ყოველნაირად შემომალოს ხელი.

- კმარა, წაეთრიე! - გაცოფდა ბოსი, - კიდევ ერთი სიტყვა და ქარხნის მცველებს დავუძახებ. მათ იციან შენისთანების მოვლა!


- არ მიყვარს, როცა მაშინებენ, - გავბრაზდი მე, - ახლა უკვე მეხნელება წასვლა, ეს გაქცევის ემგანება, მაგ სიტყვებზე ბოდიში მოინაღეთ. აი, მაშინ წავალ და ბარი-ბარში ვიქნებით.

- იცი, რას გიზამენ მცველები?!

- რას, მომკლავენ? ომის დროს ყოველდღე ვხედავდი, რომ ჩემზე უკეთესი ბიჭები ეცემოდნენ და აღარ ღებოდნენ. ერთხელ დაბადებული, ერთხელ მოკვდება - დღეს თუ ხვალ, რა ბედენაა.

მისტერ ბლეკი ტელეფონის მილს დასწვდა, მაგრამ მე მოველოდი ამას. ტელეფონს ხელი ვტაცე და მაგიდაზე დავდე.

**ბაზრძემევა  
შემდეგ ნომერში**



„მამა მოვიდა,  
საწოლზე ჩამომიჯდა,  
საბანი გადამხადა და  
**ამპუტირებულ**  
ფეხზე მაკოცა“

„1938 წელს, ტრავმის შემდეგ ფეხი მომკვეთეს. საავადმყოფოში ვიწექი. სათუ-  
ოდ იყო ჩემი საქმე, ეგრეთ წოდებული  
ჰაეროვანი განგრენა დამემართა. პროფესო-  
რი ჭეიშვილი მაღვა თავზე. ამ დროს  
გაიღო კარი და მამაჩემი შემოვიდა. დედა  
მისკენ გაქანდა: - ახლავე, წადიო. ვაითუ,  
ვინმეს ეცნო და მთავრობისთვის შეეტყო-  
ბინებინა. მამა მოვიდა, საწოლზე ჩამომიჯდა,  
საბანი გადამხდა და ამპუტირებულ ფეხზე  
მაკოცა...“

მითხრა: მთავარია, კაცი იყო! დედამ  
ძლივს გააგლო. ფანჯრის ახლოს ვიწექი  
და იქიდან დავინახე, ქუჩაში შავი „ემდინი“  
იღვა... მამა ძალით შეტენეს მანქანაში.  
ათ წუთში ჩეკისტები დაგვადგნენ თავს.  
დედას ჰკითხეს, - თქვენი მეუღლე იყო  
აქო? არაო. ერთი მე ჩამომიჯდა.

- ბიჭიკო, მამაშენი იყო აქ? - მკითხა.  
პროფესორი ჭეიშვილი მიუბრუნდა: -  
გთხოვთ, ბავშვს თავი დაანებოთ. კრიზი-  
სულ მდგომარეობაშია. აქ უცხო არავინ  
ყოფილაო.


ბოდიში მოიხადეს და წავიდნენ. დედა  
პროფესორ ჭეიშვილს მივარდა მაღლობის  
გადასახდელად, არავითარი მაღლობაო...  
მაინც დაიტოვა სათქმელი - არაფერი და-  
მინახავსო. ეს იმ დროს გმირობა იყო“.

ჯერ კიდევ პატარას თავისი ავტორი-  
ტეტი ჰქონდა თბილისში: „ომის დროა.  
მარიკა დაბადების დღეზე იყო და შინ  
გვიან ბრუნდებოდა. დახვდნენ... ყჩალობა  
იყო, პალტოს ხდიდნენ, აბა, ფული ვის  
ჰქონდა!.. დაიწყო მარიკამ განხდა. უცებ  
გაიგონა, ერთი ეუბნება მეორეს, - ეს გიგას  
და არ არისო!? ეტყობა, ან ჩემი კლასელი  
იყო, ან ვიღაც ვერელი ბიჭი, რომელიც  
გაცნობდა. გამოუშვეს. მოვარდა შინ მარიკა  
- მოგკლავ, ეს რა ხალხში გაქვს საქმეო...  
არაფერი საქმე არ მქონდა, მაგრამ მიცნობ-  
დნენ და რა ვქნა“, - ჰყვებოდა ხალისით...

გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე  
საუბარი ალბათ უსასრულოდ შეიძლება...  
თუმცა მისი შემოქმედება სათავეს მისივე  
ცხოვრებიდან იღებს და იმ განცდებით  
არის გამდიდრებული, რაც სრულიად  
ახალგაზრდამ თავის თავზე გამოცადა...  
„1951 წელი იყო. ინსტიტუტში მქონდა  
გაკვეთილი. ტელეფონთან დამიძახა ქალბა-  
ტონმა გოგუცამ - თანამშრომელმა. დედა  
მირეკავდა: ვახტანგი და თინიკო (ევგენი  
მიქელაძის შვილები) წაიყვანესო. მაშინ  
იმ ბავშვებსაც ასახლებდნენ, ვისაც მშო-  
ბელი დაპატიმრებული ჰყავდა, თან ნათე-  
სავეები უცხოეთში ცხოვრობდნენ. დედამ  
მითხრა: - ნავთილის საღებურში არიან  
და რაღაცის მიტანა და გადაცემა შეიძ-  
ლებო. ქალბატონი გოგუცა ურთიერთდამ-  
ხმარე სალაროსაც განავებდა. ვთხოვე ფუ-  
ლი. 3.000 მანეთი გამომიტანა. წავედი  
ნავთილში. ბავშვები სატვირთო ვაგო-

ბევრს არ ვიცნობდი მისნაირი გაუტყეხელი სულის ადამიანს... მიუ-  
ხედავად იმისა, რომ 11 წლისამ უკვე ცხოვრების უძძიმესი დარტყმა  
მიიღო - ტრავმის შედეგად ფეხი დაკარგა, წუთითაც არ დამორჩილე-  
ბია ბედს... სწორედ ისე, როგორც ალბათ პირველად საავადმყოფოდან  
გამოსულმა თავის თავს სძლია და თანატოლთა გვერდით დგომა არ  
შეწყვიტა, მერეც, მთელი სიცოცხლის მანძილზე მტკიცედ იღვა იქ,  
სადაც სწამდა, რომ უნდა მდგარიყო...

მის ცხოვრებაში ბავშვობის დროინდელმა მოგონებამ ბევრი რამ  
განსახლვრა. გიგა ლორთქიფანიძე ასე ჰყვებოდა იმ დრამატულ ეპიზოდს:



ნებში შეეყარათ. თინა და ვახტანგი ძალიან  
პატარები იყვნენ. წასაყვანად რომ მისუ-  
ლან, თინას უტერია, - ვერ წამოვალ, საკონ-  
ტროლო მაქვსო...

ვეყარი სახელებს. უცებ საქონლის თა-  
ვის გამოსაყოფიდან ვახტანგს ვხედავ. მა-  
ნიშნებს, - ჩუმალო. ხომ არ გავაყდა ეს  
ბავშვი-მეთქი. იმან: ნუ ყვირი, თინიკო ტირო-  
და და ახლა ჩაეძინაო. უკვე კაცი იყო!  
მივაწოდე ფული. აიღო. ყველაზე შემზა-  
რავი ის იყო, რომ ვედარ ვუძღვებდით ამ  
საშინელების ყურებას! მატარებელი რომ  
დაიძრა, ატყდა ყვირილი, ტირილი, ხალხი  
პალტოებს იხდიდა, ვაგონში ტენიდა... წაიყ-  
ვანეს ყაზახეთში“

შემთხვევით ხომ არაფერი ხდება ამქვეყ-  
ნად... არც ის იყო შემთხვევითი, რომ ორ-  
მა დიდმა მწერალმა თავისი ნაწარმოებე-  
ბის ხელნაწილები მას წააკითხა: „სასწა-  
ული იყო, როცა ჩემმა უბნელმა, ნოდარ  
დუმბაძემ „მე ბებია, ილიკო და ილარიო-  
ნის“ (მაშინ „სოფლელი ბიჭი“ ერქვა)  
ხელნაწერი მომცა. მთელი ღამე ვკითხუ-  
ლობდი. ხან ვხარხარებდი, ხან ვტიროდი.  
ქეთინო ცოლად ახალი მოყვანილი მყავდა.  
იმან და დედაჩემმა იფიქრეს, გავაყდაო...

გადაწვევით, დამეღვა სპექტაკლი. მისი  
ყველა ნაწარმოები მაქვს დადგმული... ჩემი  
მწერალი ვიპოვე!

ასევე მომცა ჭაბუა ამირეჯიბმა „დათა  
თუთაშხიას“ ხელნაწერი“...

სპექტაკლმა „მე ბებია ილიკო და ილა-  
რიონი“ და კინოფილმმა „დათა თუთაშხი-  
ამ“ უდიდესი პოპულარობა მოუტანა...  
ბუნებრივად გამიჩნდა კითხვა და ერთხე-  
ლაც ვკითხე: პოლიტიკის სიახლოვეს საერ-  
თოდ რა გინდობდათ-მეთქი... პოლიტიკას  
ჩემთვის თანამდებობა არ მოუცია და კეთი-  
ლდღეობა... ჩემთვის ყოველთვის მთავარი  
იყო საქართველო და მისი კულტურა...  
მაგრამ ხასიათს ვერაფერი მოუხერხა, ბავ-  
შვობიდანვე მებრძოლი და შემტევი იყო,  
უსამართლობას უნდა დაპირისპირებოდა...  
პოლიტიკაში კი უსამართლობა, მოგესხე-  
ნებათ, ყოველთვის იყო...

გიგა ლორთქიფანიძეს არაჩვეულებრივი  
იუმორის გრძობა ჰქონდა, ცხოვრება ხუმ-  
რობით სამად დაყო: ახალგაზრდობა, შუა-  
ხანი და „რა კარგად გამოიყურებით“, ანუ  
კიდევ ცოცხალი ხართო... ახლა მესამე  
ეტაპზე ვარ და ყველა მეუბნება, რა კარგად  
გამოიყურებით... არადა, მართლა კარგად  
გამოიყურებოდა, როგორც გარეგნობით, ისე  
პროფესიონალური თვალსაზრისითაც. 80  
წლის იუბილეს სამი სპექტაკლით („წა-  
თეს წითელი წაღები“, „ლამანჩილი“, „ქეთო  
და კოტე“) შეხვდა... ასე ძალიან იშვია-  
თად ხდება ხოლმე ცხოვრებაში...

სულით ძლიერი იყო, მაგრამ მას მერე,  
რაც უამრავი ადამიანი დაკარგა, რაც მეგობ-  
რები გარდაეცვალა, გულსისტემის ვერ  
მალავდა: - ვზივარ მინ და ვფიქრობ, ვის  
დავურეკო... ის აღარ არის... ისიც გარდა-  
იცვალა... ასეთ დროს ძალიან მიჭირს, ძა-  
ლიან განვიცდი, რომ ჩემი თაობა წავიდა  
შპშეო...

ძალიან სამწუხაროა, რომ ბატონი გიგაც  
წავიდა... თუმცა, როგორც ერთხელ ბატონმა  
თამაზ ჭილაძემ ბრძანა, ცხოვრება და ადა-  
მიანები კი არ მიდიან, პირიქით, მოდიან  
და ჩვენთან რჩებიან, როგორც ყველაზე  
ძვირფასი საუნჯე...

ლელა ზიყაშვილი

... ჩემი ბიჭობიდან მოყოლებული, სულ მახსოვს მისი სახე - დაძარღვული, დაძაბული, აზარტით და შთაგონებით სავსე. თვალები ყურადღებით უცქერდნენ მოწინააღმდეგე გუნდის კარებს, რომ პირველივე შესაძლო მომენტში ძლიერი, ზუსტი დარტყმით საოცარი გოლი გაეტანა იქ - გულშემატკივრების, ნიძავადღებულების და ფეხბურთზე ბოდვაატენილი პატარა ბიჭების ხარბი თვალებით შეჭმულ მოწინააღმდეგის კარში...

ასეთი მახსოვს იგი... და არა მარტო მე, ჩემი თაობის ყველა ბიჭს და უფროსი თაობის ადამიანებსაც. ის კი არადა, მან უამრავ „სალადაო“ ფრაზას და ანეგდოტს დაულო საფუძველი „იუმორის ქალაქად“ წოდებულ ქუთაისში:

- რავა დინამოზე დაკოსებული ქანდაკებასავით გაჩიკინებულხარო!

- რაია, ბიჭო, რა დინამოს სტადიონის ქანდაკება-ფეხბურთელისავით მიყურებო!

... არადა, იდეა ეს ყმაწვილი პატიოსნად „დინამოს“ სტადიონის შესასვლელთან, კვარცხლბეკზე, წინ ბურთი ელო, მიექნია ფეხი და თითქოს ზუსტად იმ მომენტს ელოდა უამრავი ხალხის გასახარებლად...

მომენტს ელოდა... იმ ბედნიერ მომენტს, რომელზედაც დასაწყისშივე მოგახსენებდით...

ამ მომენტის ლოდინმა ენაკვიმატების ქალაქში საქლიკო თემატიკას ახალი წახნაგები შესძინა. თითქოსდა, შეუმჩნევლად ამ ფეხბურთელის არსი უიღბლობის, არგამართლების, წამოწვებული საქმის ჩაფუშვის და აუხდენელი ოცნების მეტაფორად იქცა. სახელიც კი შეარქვეს - „ნევე-ზუჩი კოსტაია“.

„რავარც კოსტაია ვერ დაარტყამს იმ ბურთს, ისე ვერ ჩააბარებ მისაღებს წლეულსო“ - ეუბნებოდნენ ქალაქელები მოუშვადებელ აბითურიენტს.

„საქმე თუ არ გაქვს, წადი და კოსტაიას ეთამაშე ფეხბურთიო!“ - დაუცაცხანებდნენ ზოგს.

„მაგასთან ღვინის დაღვევას, მთელი დღე კოსტაიასთან და მის ბურთთან დგომა გერჩიოსო“ - ამბობდნენ ცუდი სიმთვრალის მქონე მოქალაქეები.

ერთმა განსაკუთრებით ენაკვიმატმა კი (და თუ არ მეშლება, ვე ზუმარა ვაჟა ჭყონია იყო), ერთ უნიკალ ფეხბურთელზე ასე თქვა: ერთი მაგას არ შეუვლია კარებში გოლი და მეორე ნევეზუჩი კოსტაიასო!

ბიძაჩემმა, ვაჟ ბიძაზე არანაკლებ სუსხიანი ენის პატრონმა, ოთარიმ (ქანდარია), ეს ნათქვამი რომ გაახმოვანა, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და სხვასთან ერთად მეც გულთანად გამეცინა.

გადიოდა დრო. რატომღაც ძალიან ხშირად მაგონდებოდა ვაჟა ჭყონიას ეს „აფორიზმი“ და ყოველ გასხენებაზე უფრო და

უფრო მეტად მნესტრავდა. რა თქმა უნდა, ჩვენი სახელების იდენტურობის გამო არა, არამედ რაღაც უფრო დიდის, მნიშვნელოვანის, ზოგადსაკაცობრიოს და ყოველი ჩვენთავანის ცხოვრებაში გარდაუვალის გამო. ვგრძნობდი, რომ მაწუხებდა ეს თემა.

წელი წელს მისდევდა, ვიზრდებოდი, რაღაც სიღრმეებსაც ვეუფლებოდი, მაგრამ ამასთან ერთად ერთ დროს ენამოსწრებული ხალხის მიერ ჩემს ქვეცნობიერებაში უნებლიედ ჩადებული თესლიც ღვივდებოდა და იზრდებოდა, სანამ მთლიანად არ მოედო მთელს ჩემს არსებას.

იდეა და ელოდა... ვაჟა-ფშაველას უამრავი ნოველა უჩუქნია კაცობრიობისთვის მცნარებზე, ცხოველებზე, ფესვებზე, ათასნაირ, - თითქოსდა შეუმჩნეველ და უსულო არსებებზე, - მაგრამ მათი ყოფა, ბედი და მომავალი თვით ზენაარისგან იყო განსაზღვრული, გაწერილი და გაწონასწორებული!

ვიდექი, ვუყურებდი და ვერ გადამეწვივებოდა, ვაჟასეული პერსონაჟის რომელი კატეგორიისთვის მიმეკუთვნებინა იგი - უიღბლო კოსტაია, რომელიც დროთა მდინარების შემდეგ ჯერ კონსტანტინედ, მერე ბიძია კონსტანტინედ და საბოლოოდ კოწია ბაბუად მოინათლებოდა ალბათ „მხიარულ ქალაქში“.

მკლავდა იმის გაფიქრება, რომ ერთი ვაჟას უსუსურ არსებათა მიმართ სათუთ, ცრემლნარევი თანაგრძობას - დაუნდობელი ლახვარებით აპობდა მეორე, ლაზღანდარა ვაჟას სარკასტული ირონია კატეგორიამიუკუთვნებელი ამ რკინა-ბეტონის კონსტრუქციის დაუდგენელი ფუნქციის და უაზრო არსებობის შესახებ.

ბიძაჩემის სახლი ახლოს იყო ამ ქანდაკებასთან. ჰოდა მეც, სანამ იმ ქალაქში ვცხოვრობდი, ხშირად მივლიოდი და თვალეებში შევყურებდი მას. შევყურებდი და ვგრძნობდი ტლანქ მარადისობად დაღვრილ იმ თანდათანობით მეტამორფოზებს, მის ნახტომად შეკუმშულ დაძარღვულ სხეულს ნელ-ნელა რომ ეუფლებოდა.

ავდრის დროსაც ხშირად დავკვირვებოვარ. შემიძნევიდა, რომ კოკისპირული წვიმისას ამ ნამუშევრის ერთადერთი მშრალი დეტალი ისევე და ისევე ბურთი იყო. არაფრად ვაგდებდი მისი შემქმნელების ჩანაფიქრს, ფიგურის თავისებურებებს, მისი ბურთისადმი დახრის კუთხეს და სხვა ტექნიკურ აბაღუბდას და აშკარად, ცხადი თვალთ ვხედავდი, წვიმაში, თოვლსა და ქარში როგორ გადაფარებოდა მთელი თავისი სხეულით სანუკვარ ბურთს ილაჯგაწვევტილი ფეხბურთელი, რომლისთვისაც ეს რკინა-ბეტონის სფერო, რომელიც ვერც ერთი კარისაკენ ვერასდროს ვერ გაფრინდებოდა, იმედისა და მომავლის ოცნება თუ ნუგეში გამხდარიყო.

დავდიოდი და ვაკვირდებოდი. თითქოს



ისტობარს არ იტყვდა. იდეა ასე, ყანხასავით ცალ ფეხზე დამდგარი, გაჰყურებდა შორეთს და ელოდა იმ დიად წამს - ჭეშმარიტების მომენტად რომ მოვიხსენიებოდა ხოლმე ჩვენ - ჰომოსაპიენსები.

იდეა და ელოდა.

... ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი. ვინ იცის, იქნებ პიგმალიონის მსგავსად შთაებრა მისთვის სული. იქნებ, სამართლიან განგებას დიდი გამოცდის შემდეგ ბრიყვი პინოქოსის მსგავსად ნამდვილი ადამიანის სხეულით დაეჯილდობებინა იგი, რამეთუ ეს ზოგადსაკაცობრიო ფრაზა - „ელოდე და იმედი იქონიე!“ ყველაზე დიდი გამოცდა და განსაცდელია ყველა მოძლოდინე არსებისათვის - სულიერისთვისაც, და ერთი შეხედვით, უსულოსთვის...

მერე კი ნელ-ნელა დაეტყო დაღლა. ჯერ ფერები გაუფერმკრთალდა და გაუუფერულდა. შემდეგ თითქოს დაძარღვული სახე გაუპრიალდა, წაეშალა მოძლოდინე გამომეტყველება და ის მებრძოლი, მოიერიში გრიმასაც ჩაუქრა. ამის მერე თვალეებიც უაზრო და არაფრის მთქმელი ნიღბის ნახვრეტებად იქცნენ. მხერა წაერთვა და მის ნაცვლად თვალეების ბუდეებიდან ორი წვეტიანი ფირფიტა ამოიზარდა... იგი თვალდათვალ ჰკარგავდა ფორმას: დნებოდა, მცირდებოდა, მჩატდებოდა, უფერულდებოდა; მაგრამ ისევე და ისევე თავს ევლებოდა კომპოზიციის უმთავრეს ღერძს - ფეხბურთელის ერთადერთ ფარს, მახვილს, სიყვარულს და იმედს - სანუკვარ ბურთს.

იფარავდა უამინდობისგან, იფარავდა იავარქმისისგან და იმედი ჰქონდა, რომ ერთ დღეს, როცა მჭედლები კვრის შემოკვრავდნენ და მიჯაჭვული ამირანის გაწვევებამდე მისულ ჯაჭვს გაამთილებდნენ, მისი დაუძლურებული სხეული ერთს აიფოფრებოდა, ღრმად ამოისუნთქავდა, გაგლეჯდა კონსტრუქციის ჯაჭვებს, ომახიანი ყიჟინით შეიჭრებოდა ხალხით გაჭვდილი სტადიონის მინდორზე და აბობოქრებული გულშემატკივრების ოვაციების თანხლებით თავის ერთადერთ და უკანასკნელ, ნანატრ გოლს ჩაახვევდა გაოგნებული მეტოქის კარის ბაღეში.



დროთა განმავლობაში, რაც უფრო ღრმად წავედი ადამიანური არსის სიღრმეებისაკენ, მივხვდი, რატომ განვიციდილი „ნევე-ზუჩი კოსტაიას“ ისტორიას ასე მძაფრად. ის ხომ პარალელური მეტაფორა იყო ჩვენი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი მომენტებისთვის. ყველას ცხოვრებაში დავორებულა ერთი ან რამდენიმე ასეთი ბურთი, რომელთა სანატრელი მიზნისკენ გასატყორცნად ბევრი ოფლი და ცრემლი გვიღვრია უამრავ ჩვენთაგანს, თუმცა ზოგჯერ უშედეგოდ, მაგრამ მაინც დიდი მონღო-მებით.

სტოიციზმით სამართლიანად აღვსილებს კმაყოფილების გრძობა გაგვჩენია თუნდაც იმის გამო, რომ ეს შანსი იყო და არარეალიზებულობის უკმარისობა არ გვქონია. რჩეულებს ცხოვრება უხვად ასაჩუქრებს უამრავი ასეთი ბედნიერი მომენტით და ისინიც თავმოშეწონენ ხარჯავენ ბედისგან მოძღვნილ ამ ლიმიტირებულ შესაძლებლობას, თუმცა არ დაფიქრებულან იმაზე, რომ ბუნებაში ყველაფერი თვლადი რაოდენობისაა და ამ სიუხვის საპირისპიროდ ზოგიერთი, - დემურთისა და ბუნების წინაშე მასავით თანაბარი სხვა ადამიანი, - ვერაფრით გამხდარა ამ შანსის ღირსი ერთჯერაც კი - ისე როგორც „ნევეზუჩი კოსტაია“!

... ოცი წელი გავიდა ჩემი და ჩემი სეხნიის ბოლო შეხვედრიდან. სხვა ქალაქში გადაბარებულს ათასწაირმა პრობლემამ ჩამახუტა თავისი უხეში ტორსი. მათთან შედარებით ის რალაც, კომუნისტების დროინდელი ქანდაკი უფრო არაარსებითად მომეჩვენა და სადღაც, ჩემი გონების რომელიღაც ფარულ კუნჭულში დაბინავდა. თუმცა წარმატების გზაზე გაბიჯების ყოველი მცდელობისას დროდადრო ამომიტივტივებოდა ხოლმე.

და ერთხელ, როცა ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მეგობარი მესტუმრა დიდ ქალაქში, გაშლილ სუფრასთან ღიმილით გავიხსენეთ ბავშვობა, ორ-ორი ქვით გაკეთებული საფეხბურთო კარებებიანი მოედანი და „დინამოს“ სტადიონის წინ მდგარი იდიოტური ქანდაკება, რომლის წინ თურმე მე (როგორც ბავშვობის მეგობარმა დაუფარავი ირონიით მომიყვა), შემემლო საათობით ვმდგარიყავი და თვალვდაუნამხამებლად, პირდაღებულს მეცქირა მისი სულელური სიფათისთვის.

და აი, რეზიუმეც, ან ეპილოგი, ან ფინალი, ან ფარდა, ან დასასრული, ან „ფინიტა ლა კომედია“... როგორც გენებოთ.

ჩვენ ერთმანეთს წლების განმავლობაში თვალვხედავდით. ვდარდობდით, განვიციდიდით, იმედს ვაძლევდით ერთმანეთს და ვგრძნობდით ყველაფერს. მე - ჩვეულებრივი ადამიანი და ის - ვილაციის მიერ ორიოდ კაპიკის გასაკეთებლად შე-

თითხნილი საეჭვო გემოვნების ქანდაკება.

წვიმაში, ქარში, თოვლში, სიცხეში - ვფიქრობდით ერთმანეთზე და ვნატრობდით ერთმანეთის გარსში განსხეულებას. ის, გოლის გატანას ადამიანად რეინკარნაციისთვის ნატრობდა, მე კი... ნეტავ რატომ მტკიოდა, მაგრამ რატომ მშურდა მისი ბედის? შეიძლება იმიტომ, რომ ვილაც ჩემნაირ მეოცნებეს ღიღხანს, პირდაღებულს ეცქირა ჩემთვის, ეამაყა ჩემით და ეფიქრა, რომ ზოგჯერ პიგმალიონიც ქცეულა ადამიანად და სულელი პინოქიოც.

თუმცა არ მღირსებოდა იმ ბურთის დარტყმა და გატანა, მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში თვალწინ მექნებოდა ჩემი შანსი, ჩემი მიზანი და არსი ჩემი ყოფიერებისა, რომელიც



ვილაც მოქანდაკეებმა კომპოზიციის სიცხოველისთვის თამამად დამიდგეს წინ, გადაამფარეს მას და ამით თავისდაუნებურად შეთხზეს ჩემი მარადიული ლოდინის პრელუდია, რამეთუ...

ჩვენთან სასწაულები არ ხდება. იქ, აბსოლუტის სამყაროში კი, რამდენიც გნებავთ!...

**P.S.:** მეგობრის სახლისკენ მიმავალს, თვალი წამცდა ყოფილი „დინამოს“ სტადიონის უკვე სოლომ-გომორად ქცეული ტერიტორიისკენ. შევეცადე წარმომედგინა, ჩემს ახალგაზრდობაში სად იდგა ის - იმ ფეხბურთელის ქანდაკება და თქვენ წარმოიდგინეთ, ვიპოვე კიდევ!

ერთმანეთში აზელილი, უამრავ ვადაგასულ ქაოსში ძლივს ამოვიცანი დიდებული პოსტამენტი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ საკმაოდ კარგად შენახული ბურთილა შემორჩენიდა.

ფეხის წაღების ქალაქის ცენტრამდე და ქალაქის მერიასთან ძველ ნაცნობს შევხვდი. მისი ნალაპარაკვიდან დავასკენი, რომ ჩვეულებრივი, რიგითი ჩინოვნიკობიდან დროთა განმავლობაში ქალაქის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ადამიანად ქცეულიყო. გავიხსენეთ ახალგაზრდობა და იმ ქანდაკების ფრავმენტზეც ვუამბე ორიოდ სიტყვით.

- იცი, რა? - მეუბნება, - ჩვენ იმ სტადიონის ადღვენას ვაპირეთ. პროექტი უკვე მზადაა. თანხებსაც გვაძლევს სახელმწიფო, მალე დავცხებთ და გავაცოცხლებთ!

- მერედა ის ფეხბურთელი? - აღვლევბულმა ვკითხე, - ის ხომ საერთოდ დაიფშნა? მთელი კომპოზიციისგან მარტო ბურთია დარჩენილი!

- ბურთი ბურთადვე დარჩება, - მშვიდად განმიმარტა მან, - უბრალოდ ფეხბურთელს გამოძერწავენ სხვას. ძველი ბურთი და ახალი ფეხბურთელი! ჰა, როგორია? ეს თავისებური ხილი იქნება ჩვენი ბავშვობის დროებასთან გადებული. სახელი კი თუ გინდა შენ შეურჩიე!

აღარ გვინდა ის კომუნისტების დროინდელი „კოსტაია“! იქნები მისი ნათლია? კარგა ხანი, ალბათ, მიყურა თვალვგამტერებულს და თავის საქმეებზე წავიდა. რომ გამოვერკვიე, აღარ იდგა ჩემს ვკერდით.

...ეჰ, რა მნიშვნელობა აქვს სახელს. ამქვეყნად ყველაფერი თავისი ღერძის ირვკლივ ბრუნავს. ყველაფერი მეორდება, გრძელდება, ან ტრანსფორმირდება. მოვა დრო და სულ სხვა ფეხბურთელი დაიკავებს „ნევეზუჩი კოსტაიას“ ადგილს, მერე სხვა; მერე ისევ სხვა და ასე, მარადიულად.

ბურთი კი იყო, არის და იქნება მუდამ, რადგან არასდროს კვდება ლტოლვა, ოცნება, მიზანი და ვით ხელიხელსაგომანებელ ობოლ მარგალიტს, მუდამ უფრთხილდებიან, ეფერებიან, მფარველობენ იმ იმედსა თუ არარეალიზებულ შესაძლებლობას, რომლის სანუკვარ მიზნისაკენ გატყორცნას ასე ვნატრობთ და ვინატრებთ ყოველი ჩვენთაგანი მანამ, სანამ მზე არ ჩავკვრობია და „ნევეზუჩი კოსტაიასავით“ სილად და ფერფლად არ ვქცეულვართ...

ქსიოთველი,  
ლიმონისა  
**არა**  
აღნობრეთ!

- ბენ ვეიდერთან ვაგზავნილმა ერთმა პატარა წერილმა თქვენი ცხოვრება ძალიანად შეცვალა. გვეუბნება, რომ რევოლუციური ეპოქის განსაკუთრებული ინტერესი ოდესმე ასეთივე განსაკუთრებულ წარმატებას მოვიტანდა?

- სრულიად მოულოდნელად, საქართველოდან 14 წლის წინ ვაგვგზავნენ. ბავშვობიდან საქართველოს ისტორიით ვიყავი გატაცებული, შემდეგ რევოლუციურმა ეპოქამ დამაინტერესა, კარგად მახსოვს ის დღე - 11-12 წლის ვიქნებოდი, თამარ მეფის გამაზირზე მივსეირნობდი და წიგნების მაღაზიაში შევიარე (იმ დროს მარჯვენა მხარეს იყო ერთი პატარა, მაგრამ ძალიან კარგი წიგნების მაღაზია) სადაც აღმოვაჩინე ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის, მანფრედის წიგნი ნაპოლეონზე. კარგად დაწერილი წიგნია და დიდი როლი ითამაშა ნაპოლეონის ეპოქაში ჩემი ინტერესების გაღვივებაში. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ნაპოლეონზე მოვიძიე თითქმის ყველა რუსული და ქართულენოვანი ლიტერატურა და მალე სახლში საკმაოდ მოზრდილი ბიბლიოთეკაც შევქმენი.

16 წლის ასაკში ვადავწყვიტე ნაპოლეონის ბიოგრაფიის დაწერა და 300 გვერდამდე დავწერე კიდევ. (ახლა რომ გადავხედავ ხოლმე, მეცინება) ისტორიით გატაცების მიუხედავად, არასოდეს მეფინა, რომ სერიოზულად გავყვებოდი ისტორიულ მეცნიერებას. უნივერსიტეტში ჩაბარებაზე რომ დადგა საქმე, საერთაშორისო სამართალი ავირჩიე, ჩავაბარე თსუ-ში და ადამიანთა უფლებების საკითხებზე ვმუშაობდი. საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობისას ჩემი პირველი წიგნი გამოვეცე და ამჟამინის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე და სწორედ ამ განხრით მინდოდა მუშაობის გაგრძელება.

მაგრამ შემდეგ მეტად მოულოდნელი ამბავი შემემთხვა. ინტერნეტით დავუკავშირდი ნაპოლეონის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბენ ვეიდერს, რომელსაც ახლად გამოცემული ჰქონდა წიგნი წმ. ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის გადასახლება და გარდაცვალებაზე. წერილით ვაგვცანი მას და ვუთხარი, რომ ვწერდი ერთი პატარა, ბედკრული ქვეყნიდან, - რომ მინტერესებდა ნაპოლეონი და მისი წიგნის შექმნა მსურდა. ჩემდა მოულოდნელად, თვითონ გამომეპასუხა და წიგნების ერთი ყუთი გამომიგზავნა, მათ შორის თავისი ნაბეჭდები. უზომოდ გახარებული ვიყავი, დაუყოვნებლივ ჩავუჯექი წიგნებს და ცოტა ხანში ვეიდერის წიგნზე რეცენზია დავეწერე (ახალგაზრდა და კანდიდი ვიყავი, თორემ 20 წლის ასაკში რის მცოდნე ვიქნებოდი) და ერთ-ერთ უცხოურ გამოცემაში ვაგვგზავნე. ჩემდა მოულოდნელად, მოეწონათ და გამოაქვეყნეს. ვეიდერმა წაი-

ბავშვობიდან ისტორიამ გაიტაცა... 16 წლის ასაკში წერს საფრანგეთის იმპერატორის ბიოგრაფიას. ნაპოლეონის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბენ ვეიდერს „პატარა წერილით“ უკავშირდება, ხოლო შემდეგ, როგორც თავად ამბობს, „კანდიდი ახალგაზრდა“ ვეიდერის წიგნზე რეცენზიას ერთ-ერთ უცხოურ გამოცემაშიც აქვეყნებს... პასუხები და შეთავაზებები მოულოდნელია. ემშვიდობება სამშობლოს... ამ დღის შემდეგ კი 14 წელი გადის...

ქართველი ისტორიკოსი **ალექსანდრე მიქაბერიძე** უკვე დიდი ხანია მოღვაწეობს ამერიკაში. მან ნაპოლეონის ცხოვრებაზე და ნაპოლეონის ომებზე მნიშვნელოვანი წიგნები გამოცა, რომლებსაც ამერიკის უნივერსიტეტებში ნაპოლეონის ეპოქის კურსების სწავლებისას იყენებენ. ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსი ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. ის პირველი ინგლისურენოვანი ქართული ისტორიული ლექსიკონის ავტორია, რომელიც აშშ-ში გამოცა. საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთა საბჭოს წევრი და ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორი, - ეს ალექსანდრეს წარმატებების არასრული ჩამონათვალია.

კითხა ეს სტატია და მისგან მივიღე წერილი, რომელშიც ჩემს ზოგიერთ შენიშვნას პასუხობდა. ერთმანეთში მიმოწერა ვაგაჩაღეთ. ალბათ, მოვეწონე, ვინაიდან მალე დამაბატიჟა ნაპოლეონის მიერ სირია-პალესტინაში ლაშქრობის 200 წლის აღსანიშნავად ისრაელში მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაზე.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ამ პერიოდში (1997-1998) რა ეკონომიკური ვითარება იყო საქართველოში, ისრაელში წასვლაზე კი არა, ყოველდღიურ გასაჭირზე ფიქრში ვიყავით. საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელფასებს რამდენიმე თვის დაგვიანებით ვგაძლევდნენ ხოლმე და რასაც ვგაძლევდნენ ისიც კაპიკები იყო. მოკლედ, მიწვევით ვეიდერს, რომ ვერ შევძლებდი ჩასვლას. მან გამომიკითხა, რაში იყო პრობლემა და შემდეგ შემომთავაზა მგზავრობის ყველა ხარჯი დაეფარა, რათა ჩავსულიყავი ისრაელში. ასეთ შემთავაზებაზე არავინ იტყოდა უარს. ასე მოხვდი 1999 წლის ზაფხულს ისრაელში, სადაც თელ-ავივის უნივერსიტეტში მოკლე მოხსენებით გამოვედი და ბევრი საერთაშორისო მკვლევარი აკვიცანი, მათ შორის ამერიკელი ისტორიკოსები ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სადაც, როგორც აღმოვაჩინე, არსებობს ნაპოლეონისა და საფრანგეთის რევოლუციის ინსტიტუტი. ამ ხალხს იმდენად მოვეწონე, რომ შემომთავაზეს ჩავსულიყავი აშშ-ში და კვლევითი სამუშაო დამეწყო ინსტიტუტში. მგზავრობის, სწავლების და მუშაობის ყველა ხარჯს ინსტიტუტი ფარავდა. ასეთ შესაძლებლობას ხელიდან ვინ გაუშვებს და 2000 წლის 15 აგვისტოს (ნაპოლეონის დაბადების დღეზე) სამშობლოს გამოვემშვიდობე და უცხო

მიწა-წყლისკენ ავიღე გეზი. მას შემდეგ ავრ აქ ემოღვაწეობ და გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიე.

- წლის საუკეთესო წიგნისთვის ნაპოლეონის საერთაშორისო საზოგადოების ლიტერატურული პრიზი დაიმსახურეთ. არადა, ნაპოლეონის შესახებ ნახევარ მილიონზე მეტი წიგნია დაწერილი. რამ განსაზღვრა თქვენი აღიარება, რა თქვით ახალი? და კიდევ, მართლა ღირს თუ არა თქვენი წიგნები 300 დოლარამდე?

- არ ვიცი, რომელ წიგნებზე მეკითხებით, მაგრამ გამოცემლობებთან ურთიერთობაში არ მახსოვს რომელიმეს ასეთი მაღალი ფასი დაედოს, თუმცა ჩემი ორი ენციკლოპედია, ისლამური სამყაროს სამხედრო ისტორიაზე და სამხედრო დანაშაულებების ისტორიაზე, 200 დოლარამდე ღირს.

ჩემი სპეციალობა რევოლუციური ეპოქა და ნაპოლეონზე დაწერილი წლის საუკეთესო წიგნის პრემია ორჯერ მოვიპოვე, ერთი ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის ოფიცერთა კორპუსზე დაწერილი წიგნისათვის, ხოლო მეორეჯერ ბოროდინოსთან ბრძოლაზე დაწერილ წიგნისთვის.

თქვენ მართალი ბრძანდებით, რომ ნაპოლეონზე ასობით ათასი წიგნია დაწერილი, ის ერთ-ერთ ყველაზე კარგად შესწავილულ ისტორიულ პიროვნებას წარმოადგენს. ამდენად საჭიროა ახლებური მიდგომა. მე ძალიან გამიმართლა იმაში, რომ ნაპოლეონის ომებზე არსებული წიგნების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ ფრანგულ და ინგლისურ წყაროებს ეყრდნობა და ამდენად, მოვლენებს, თუ პიროვნებებს ცალსახად წარმოაჩენს. წარმოიდგინეთ მაკ-



■ ნაპოლეონი



ალექს მიხაბერიძე



■ კადრი სი-საენის არხის გადაცევიდან

აბასის საქართველოში შემოსევა რომ მხოლოდ ირანულ წყაროებზე იყო აღწერილი, ბუნებრივია, ბევრი რამ დაფარული იქნება. იგივე ვითარებაა ნაპოლეონის ომებშიც და დიდი ხანია არსებობდა ნაპოლეონის კამპანიების შესწავლისას ახალი წყაროების გამოყენების საჭიროება. სწორედ ამას ვემსახურები მე. მაგალითად ახლახან დავასრულე სამტომეული რუსეთში ნაპოლეონის ლაშქრობაზე. ბუნებრივია, ამ საკითხზე ასობით ნაბუთევი არსებობს, მაგრამ თითქმის ყველა ფრანგული თვალთახედვითაა დაწერილი. მე კი რუსული, პოლონური, თუ გერმანული მხრიდან ვაფასებ და ბევრ სიახლეს წარმოვაჩინე. მაგალითად, დასავლეთში დიდი ხანი მიაჩნდათ, რომ ბერეზინას ბრძოლა, სადაც ნაპოლეონმა მოახერხა რუსების ალყის გარღვევა და რუსეთის თავის დაღწევა, ნაპოლეონის ბრწყინვალე გეგმის შედეგი იყო. 2007 წელს დავინტერესდი ამ საკითხით და სამი წელი ვიკვლევდი რუსული, პოლონური, პოლანდიური და გერმანული საარქივო და პირველადი (მემუარები, წერილები, ა.შ) წყაროების საფუძველზე და 2010 წელს გამოვეცი წიგნი, რომელშიც დეტალურად ავხსენი, რომ ბერეზინას ბრძოლა ნაპოლეონის ჩანაფიქრი არ იყო, არამედ რამდენიმე ფაქტორის, მათ შორის რუსული ჯარის მხედართმთავრების უსუსურობის შედეგი იყო.

სწორედ ასეთი მიდგომა განასხვავებს ჩემს წიგნებს ჩემი წინამობედებისაგან.

- თქვენ ამბობთ, რომ ისტორიამ ბავშვობიდან გაგიტაცათ. თქვენი წიგნების ერთ-ერთი მთავარი ადრესატი - ნაპოლეონი კი ამბობს, რომ „ისტორია ზღაპარია“... საფრანგეთის მმართველს ასევე თავისებური შეხედულებები აქვს რევოლუციისაზეც... იზიარებთ მის მოსაზრებებს?

- ნაპოლეონს აქვს გამონათქვამი, რომ „ისტორია არის იმ სიცრუეთა ერთიანობა, რომელზედაც ხალხი შეთანხმდა“. გარკვეულწილად, ნაპოლეონი მართალია, ვინაიდან საზოგადოებაში ბევრი ისტორიული მითი, თუ ტყუილი არსებობს. ეს ეროვნულ ისტორიასაც შეეხება. მაგრამ პროფესიონალი ისტორიკოსების მოღვაწეობა - არქივებში მუშაობა, მასალების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება, კრიტიკული მიდგომა, ა.შ. - დიდი როლს უნდა ასრულებდეს „ისტორიული ზღაპრების“ გაბათილების საქმეში.

- ქართულ ენაზე თუ აპირებთ ნაპოლეონზე წიგნის გამოცემას?

- დიახ, ვაპირებ და პირველი ნაბიჯი გადავდგი კიდეც. 2012 წელს, ჩემს მეგობართან, ახალგაზრდა ისტორიკოსთან, ნიკა ხოფერიასთან ერთად, გამოვეცი ნაპოლეონის პირადი მცველის, მამლუქი რუსტამის მემუარები. ასევე ნიკასთან თანამშრომ-

ლობით, ვასრულებ მუშაობას ახალ წიგნზე, რომელიც ნაპოლეონის მარშლებს შეეხება. გეგმაში მაქვს ქართულ ენაზე ნაპოლეონზე ვრცელი წიგნი დავწერო, მაგრამ ეს სამომავლო საქმეა, ვინაიდან ამ მომენტში რამდენიმე ინგლისურენოვან ხელნაწერზე ვმუშაობ.

- შეგიძლიათ, რომ ჩვენს მკითხველს ხელმოწერილი, თუნდაც პატარა, მაგრამ საინტერესო ისტორია უამბოთ ნაპოლეონის ცხოვრებიდან?

- ნაპოლეონის სამხედრო მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი, მაგრამ მისი პირადი ცხოვრება - ნაკლებად. მკითხველმა შეიძლება არ იცოდეს მისი ხასიათის ზოგიერთი თვისება. ნაპოლეონი მცივანა იყო და უყვარდა ძალიან ცხელ წყალში ბანაობა და ხშირად ორ საათზე მეტ ხანს ატარებდა აბაზანაში. საშინლად ვერ იტანდა კატებს და ცხოვრების ბოლომდე ჰქონდა ღია კარების შიში.

ნაპოლეონს უყვარდა თამაში, მაგრამ ვერ იტანდა წაგებას და ხშირად იტყუებოდა. ჭადრაკის თამაშის დროს ხშირად ცდილობდა „მოკლული“ ფიგურების დაფაზე ჩუმ-ჩუმად დაბრუნებას. სამხედრო ნიჭის მიუხედავად, ნაპოლეონი სუსტად თამაშობდა ჭადრაკს. 1809 წელს, ავსტრიელების დამარცხების შემდეგ, ნაპოლეონი ქალაქ ვენაში შონბრუნის სასახლეში, ავსტრიელი მექანიკოს იოჰან მელცერის საჭადრაკო ავტომატს სახელად თურქი („თურკ“) ეთამაშა. საჭადრაკო ავტომატი უნგრელი ბარონ ვოლფჰან ფონ კემპელენის მიერ იყო შექმნილი და შედგებოდა ადამიანის სიმაღლის და თურქულ ტანსაცმელში გამოწყობილი მექანიკური თოჯინისგან, რომელსაც წინ დიდი ყუთი ედგა ზემოდან ჭადრაკის დაფით. თამაშის დაწყებამდე ავტორი გამოადებდა ყუთს და მაყურებელს სანთლის შუქზე აჩვენებდა შიგნითა მექანიზმს, შემდეგ დახურავდა და მექანიზმს გასაღების მეშვეობით ააშუშავებდა. ნაპოლეონიც დაინტერესდა ამ ავტომატით და რამდენიმე პარტია ეთამაშა. თამაშის დროს ნაპოლეონმა რამდენჯერმე სცადა, მოეტყუებინა „თურქი“. ავტომატმა თავდაპირველად შეუსწორა ნაპოლეონს უკანონო სვლები, მაგრამ იმპერატორმა კიდევ ერთხელ რომ სცადა მოტყუება, გაწვიმებული „თურქმა“ საერთოდ წართვა ფიგურა. ნაპოლეონმა რამდენიმე პარტია ითამაშა, მაგრამ ყველა წააგო. მან ისე დაასრულა სიცოცხლე, ვერ გაიგო, რომ სინამდვილეში ყუთში ძალუღალად იჯდა ერთი ტანმომცრო, მაგრამ ძლიერი მოჭადრაკე იოჰან ალგაიერი, რომელსაც სარკეების მეშვეობით შეეძლო დაფის დანახვა და მექანიკური ხელის მეშვეობით ფიგურებს ამობრავებდა.

- თქვენი სამეცნიერო კვლევებიდან რო-

სამი წელი ვიკვლევდი რუსულ, პოლონურ, კოლანდიურ და გერმანულ საარქივო წყაროებს და დეტალურად ავხსენი, რომ ბერეზინას ბრძოლა ნაპოლეონის ჩანაფიქრი არ იყო, არამედ რამდენიმე ფაქტორის, მათ შორის რუსული ჯარის მხედართმთავრების უსუსურობის შედეგი იყო.

მელს გამოარჩევდით?

- ახლახან დავასრულე სამტომეული ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობაზე, რომელშიც რუსულ და ფრანგულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ახლებულად წარმოვანინე ბევრი მოვლენა. თითქმის ათი წელია ვმუშაობდი ამ სამტომეულზე და პირველმა ორმა ტომმა - ბოროდინოს და ბერეზინას ბრძოლებზე ძალიან კარგი გამოხმაურება მიიღო; ბოროდინოს ბრძოლაზე წიგნმა წლის საუკეთესო წიგნის პრემია აც მოიპოვა. ორ კვირამდე გამოვა მესამე ტომი, რომელიც 1812 წელს მოსკოვში დატრიალებულ მოვლენებს ასახავს და საარქივო მასალებზე და 200-ზე მეტ მემუარზე დაყრდნობით დავწერე. იმედი მაქვს, რომ მასაც კარგი გამოხმაურება ექნება.

კიდევ ერთ ნაშრომს ვახსენებ: მართალია დიდი არ არის, მაგრამ ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანია. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობ აშშ-ს უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებთან, მათ შორის უმაღლეს სამხედრო აკადემიასთან (ვესტ პოინტი) და უმაღლეს საზღვაო სამხედრო კოლეჯთან (ნოუპორტში). ლექციებს ვუკითხავ ამერიკელ ოფიცრებს. მარშან ამერიკის უმაღლესმა სამხედრო აკადემიამ გადაწყვიტა სამხედრო ისტორიაზე ახალი სახელმძღვანელო შეექმნა, რომელიც წამყვანი სამხედრო ისტორიკოსების მიერ იქნებოდა დაწერილი და თანამედროვე ტექნოლოგიებით (ანიმაციური რუკები, ქრონოლოგიები, სურათები, ვიდეოები, აუდიო ჩანაწერები და ა.შ.) იქნებოდა აღჭურვილი. ბუნებრივია, წიგნი ელექტრონულ ფორმატში იქნებოდა და თითოეულ კადეტს ექნებოდა ატვირთული. მოკლედ, ჩემმა გასაკვირად, აკადემიის მიერ შერჩეულ ისტორიკოსთა შორის მეც ავლომჩნდი და ნაპოლეონის ომების ისტორიაზე დავწერე თავი. წიგნი უკვე დასრულებულია და მეორე სემესტრია, გამოიყენება ვესტ პოინტში. წიგნის მომზადებისას ვესტ პოინტში მომიწია რამდენჯერმე ჩასვლა, რათა კადეტებს გავსაუბროდი და გაეგო, როგორ უდგებოდნენ სასწავლო პროცესს. მასსოვს ერთ-ერთი სემინარის დაწყებისას ოთახში

შემოსულ კადეტებს შორის ქართველი კადეტიც დავინახე და უზომოდ გახარებული დავრჩი ამ ნიჭიერი ახალგაზრდა ოფიცრის გაცნობით.

- ამჟამად რა პროექტზე მუშაობთ?

- ამჟამად რამდენიმე წიგნზე ვმუშაობ.

7 წლის წინ გამოვეცი პირველი ინგლისურენოვანი ლექსიკონი საქართველოს ისტორიაზე, რომელშიც 800-მდე სტატია შევიტანე. მარშან გამოცემულმა მთხოვა კიდევ უფრო განმეგრცო ეს ლექსიკონი და თითქმის დასრულებული მაქვს სამუშაო, ლექსიკონი უკანასკნელი 10 წლის მოვლენებსაც ასახავს და უკვე 900 სტატიას მოიცავს.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა კი ამჟამად ნაპოლეონის ომების ახალი ისტორიის შექმნაა. მართალია ამ საკითხზე ასეულობით წიგნია დაწერილი, მაგრამ ყველა ვეროპაზე აკეთებს აქცენტს და ნაპოლეონის ძირითად კამპანიებზე ამახვილებს ყურადღებას. მე კი გადავწყვიტე ნაპოლეონის ომების, როგორც გლობალური ფენომენის გამოკვლევა. ამ მიზნით დაინტერესდა რამდენიმე წამყვანი ამერიკული და ბრიტანული გამოცემლობა, მაგრამ საბოლოოდ ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობაზე გადავკეთე არჩევანი და ამჟამად მისთვის ვამზადებ ნაშუშევარს. დაახლოებით მესამედი მაქვს მზად. წიგნში მიმოვიხილავ, მსოფლიო მასშტაბით რა ზეგავლენა იქონიეს ნაპოლეონის ომებმა, მათ შორის საქართველოზეც ვსაუბრობ.

- რა გენატრებათ ყველაზე მეტად?

- ოჯახი და მეგობრები... ეს განსაკუთრებით მარშან ზაფხულს ვიგრძენი, როდესაც აძლენი წლის შემდეგ შეგეძლია საქართველოში ჩამოსვლა და ძველებურად ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად მოვილხინე.

- დიდი ხანია, ამერიკაში ცხოვრობთ - პირადი ცხოვრებით და კარიერით კმაყოფილი, რაც ძალიან სასიხარულოა. ალბათ, აქ უადვილო იქნება კითხვა - როდის აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას? თქვენმა შვილებმა ქართული თუ იციან?


- ამერიკაში უკვე 14 წელია ვმოდგავი და მუშაობას ისე გადავეყვი, რომ საქართველოში ჩამოსვლა მხოლოდ მარშან შეგეძლია. სამი კვირა გავატარე და ბევრი ადგილი მოვიხსნე, ძალიან ბევრი რამ შეცვლილი დამხვდა. სამშობლოში დაბრუნებას ვაპირებ, მაგრამ ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, კონკრეტულად როდის მოხდება ეს. ორი ბიჭი მყავს - ლუკა და სერგი. ზაფხულობით ბებია-ბაბუასთან ვუშვებ, ასე რომ, ქართული იციან. სხვათაშორის, ბებია-ბაბუებმა ორთავეს ჩოხა-ახალუხი შეუკერეს და გასული შობა-ახალი წელი ხანჯლების ტრიალში აღნიშნეს.

ეთიპ მონასელიძე

ორიგინალური ის მწერალი როდია, სხვა მწერლებს რომ არ ჰგავს, არამედ ის, ვის მიბადევასაც ვერავენ ასერხებს!

შატობრიანი

ნიკოლოზ ქობულაძე - 80



# მწერალი

## ნიკოლოზ ქობულაძე

- სცენარი, როგორც მიღებული იყო, მოსკოვში დამტკიცდა. „რწყოლი და ჭიანჭველას“ სცენარი რომ გავეგზავნა, იმასაც უპოვიდნენ მიზეზს და შეასწორებდნენ. ასე რომ, მსგავსი დაბრკოლებების გადალახვა ჩვენთვის დიდ სიახლეს არ წარმოადგენდა. მსახიობების შერჩევის პროცესშიც აქტიურად ვიყავი ჩაბმული, ეს საქმე თანამდებობრივადაც მევალებოდა და მორალურადაც. სხვათა შორის, ზოგიერთ რეჟისორს არ სიამოვნებდა, როდესაც სცენარის ავტორი გადაღებებს ესწრება, ელდარ შენგელაია კი ამ მხრივ განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა, ავტორთან თანამშრომლობა შეუძლია და გამოსდის კიდევ, რასაც დიდად ვაფასებ.

გადასაღებ მოედანზე იმპროვიზებულ გარემოში უხდებოდათ მუშაობა, ბატონი რეზო თურმე დეკორაციების უკან, ექსპრომტად წერდა ხოლმე დიალოგებს. სწორედ იმ დიალოგებსა და ფრთიან ფრაზებზე ცქეულ გამოთქმებს, ლამის რომ გაგვიზეპირებია და ყოველდღიურ საუბარშიც ხშირად ვიყენებთ:

„გივი, ჩვენ ვართ, გივი!“, „როდიდან როდემდე აქვს დალოდების საათები?“, „ყუფარაძეს რომ არ დაერეკა, მაგრამ დარეკა და...“, „თუ იცით, იგავ-არაკებს მიიღებს? არა, მაგრამ უარს არ გეტყვიო!“, „ბოდიში, თქვენზე მითხრეს, ლიფტში გაიჭედო და მართალია?“, „დაანებეთ ჩემს ცოლს თავი!“, „გამაგებინეთ, მე აქ ვარ თუ იქ?“, „ამოკლავს ეს ორი სათაური!“

\* \* \*

ამბობენ, ზოგჯერ ქვეყნის ისტორიაში ისეთი დრო დგება, პათოსით დანგრეული სწორედ სატირამ უნდა აღადგინოს, გადამწყვეტი როლი კი ამ საქმეში მწერლებმა და რეჟისორებმა შეასრულონ. ამ მხრივ რეზო ჭეიშვილი მართლაც გამორჩეულია - შემოქმედებითი ცხოვრება სწორედ ადამიანების ნაკლოვანებათა მხილვას შეაღია.

დღეს ბატონი რეზო ჩემი რესპონდენტია. იგი მშვიდად, აუჩქარებლად საუბრობს. როდესაც ხუმრობს, დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით ენთება თვალები. დიქტოფონის პარალელურად, ხელითაც შემოძლია ჩავინიშნო პასუხები. სიმართლე გითხრათ, დიქტოფონისკენ ვახედვა, შემოწმება, უხერხულობასაც მიქმნის - სრულიად განსხვავებულ განზომილებაში გადავინაცვლეო. თქვენდა სამწუხაროდ, უნდა გაგაფრთხილოთ, რომ შეხვედრის მხოლოდ მცირედი ნაწილის გადმოცემას შევძლებ, ვინაიდან ჩვეულებრივი სიტყვები, ერთი წერილი, თუნდაც ჟანრობრივად მრავალფეროვანი, საკმარისი არ იქნება. რეალობის ილუზია რომ შექმნა, ახალი ტექნოლოგიები, თქვენ კი - ბინოკულარული მხედველობა დაგჭირდებათ. თუმცა არ დაფრთხეთ, სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად რეზო ჭეიშვი-

1973 წელს იტალიელმა რეჟისორმა ფედერიკო ფელინიმ „ამარკორდი“ გადაიღო. ფილმისთვის სცენარი იტალიელმა მწერალმა ტონინო გუერამ დაწერა. მას შემდეგ საზოგადოებაში ხშირად კამათობდნენ, „ამარკორდში“ გუერა „მეტი იყო“ თუ ფელინი? სცენარის ავტორმა კამათს წერტილი დაუსვა, როდესაც განაცხადა, რომ „ამარკორდს“ გუერა ფურცელზე, ფელინი კი ეკრანის ტილოზე წერდაო.

ათი წლის შემდეგ რეზო ჭეიშვილმა „ცისფერი მთების“ მიხედვით შექმნა სცენარი ამავე სახელწოდების ფილმისთვის, რომელიც ელდარ შენგელაიამ გადაიღო. „ამარკორდის“ მსგავსად „ცისფერი მთების“ კლასიკურ შედევრად იქცა. მარტივი მიზეზის გამო - ავტორებმა (მწერალმა და რეჟისორმა) კარგად ნაცნობი გარემო ორიგინალური ხერხით წარმოგვიდგინეს: ჩვეული ახლებურად შეფუთეს, ახალი კი ყოფით ფერებში დახატეს. გარდა ამისა, ერთმა ფურცელს, მეორემ კი ეკრანს თავისი უნიკალური ხელწერა დაატყო - საბოლოოდ კი ქრესტომათიული ეპიზოდებით გაჯერებული ნაწარმოები მივიღეთ.

გავლილი წლების მიუხედავად „ცისფერი მთების“ ხშირად გვახსენებს თავს (სხვათა შორის, „ამარკორდიც“ დაუვიწყარია პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით - ერთ-ერთ იტალიურ დიალექტზე ნიშნავს - „მე მასსოვს“). ჩვენი ყოფის აუტანელი ირონია საშუალებას არ გვაძლევს „ცისფერ მთებში“ დასმული პრობლემები უგულებელვყოთ. კვლავ ამოვიცნობთ საკუთარ თავს პერსონაჟების ზერეულე საუბარსა თუ ქაოტურ საქციელში, მიუხედავად იმისა, რომ ნანგეგმვის ქვეშ მოყოლის საფრთხე მუდამ თან დაგვლევს, უარს ვერ ვამბობთ ძვალსა და რბილში მაქვსადარ ნაკლსა თუ ცდუნებებზე. „გაიტანეთ, გაიტანეთ გრენლანდია!!!“ - რამდენი მახილის ნიშანიც არ უნდა დავსვათ, რაგინდ ხმამაღლა არ უნდა ვიყვიროთ, „ცისფერი მთები“ დღემდე რელევანტურია.

შესაძლოა მწერალის შემოქმედებაზე საუბარს მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმებით არ უნდა ვიწყებდე, მაგრამ ბატონი რეზოს მოთხრობები, რომანები და ფილმები განუყოფელია, მათი ერთიანობა კი ყველასგან გამორჩეულ, ორიგინალურ, ძნელად მისაბამ - საფირმო სტილს განაპირობებს.

1961-1992 წლებში რეზო ჭეიშვილი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რედაქტორად, სასცენარო კოლეგიისა თუ შემოქმედებითი გართიანების წევრად, ასევე ერთ-ერთ ხელმძღვანელად მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთი სრული თუ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი დაწერა, მათ შორის: „ექსპრეს-ინფორმაცია“, „ყვარყვარე“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ბზინანთი“, „ზღვის მეგობარი“, „ავტობიორტრეტი“, „ფელია“, „გამოაღეთ ფანჯრები“, „გათენების წინ“, „ჭიდაობას რა უნდა“ და სხვა. თუმცა „ცისფერ მთებზე“ მუშაობა განსაკუთრებულად დაამახსოვრდა:

ლის წიგნების წაკითხვა და ფილმების ნახვა დაგეხმარებათ, ზოგს თავიდან, ზოგს ხელმეორედ ან ვინ მოთვლის, მერამდენედ.

საუბარს ქუთაისის ვაჟთა მერვე საშუალო სკოლის გახსენებით ვიწყებთ:

\* \* \*

- დღესაც არ ვიცი, რატომ მოვხვდი მაგ სკოლაში, სახლიდან შორს იყო და დიდ მანძილს გავდიოდი ფეხით. სკოლის ეზოდან რიონამდე კიბე ჩადიოდა, ცელქი ვიყავი, გაკვეთილებიდან ხშირად ვიპარებოდი საბანაოდ, რა თქმა უნდა, ბიჭებთან ერთად, ქალის მდინარეში ბანაობა მიუღებელი საქციელი იყო. ისიც მახსოვს, საკლასო ოთახის ფანჯრებიდან რომ ვუყურებდით ალპინისტივით როგორ ავიდა ერთი კაცი ეკლესიის გუმბათზე და ჯვარი გადახერხა. ეს ის დრო იყო, ეკლესიები საწყობებად რომ ჰქონდათ ქვეული, მოქმედ ტაძრებში კი სიარული იკრძალებოდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა, ჩემს ყოფილ სკოლაში ეპისკოპოსის რეზიდენციაა განთავსებული. ბაგრატი ტაძარში წირვა-ლოცვა აღდგა, რაც ძალიან მახარებს და

ტურისტები კიბით ავა თუ ლიფტით დასათვალიერებლად, ეს მეორეხარისხოვანია. მომწონს ჩვენს ხალხს პატრიარქის პატივისცემა და რიდი რომ აქვს. პატრიარქი ბავშვებს რომ ნათლავს და ქართველები მრავლდებიან, ეს საქმეც ძალიან მაიმედებს.

ვაჟთა მერვე სკოლა ებრაელების უბანში მდებარეობდა, სკოლის მახლობლად ორი სინაგოგა ახლაც დგას, თუმცა, დღესდღეისობით, აკლდამებზე გამოციებულია. საბჭოთა კავშირის დამხრის შემდეგ ბევრმა ებრაელმა დატოვა ქუთაისი.

- ებრაელების წასვლით დიდი დანაკლისი განიცადა ჩვენმა ქალაქმა, მათ თავი-სებური კოლორიტი შემოჰქონდათ, იუმორით გამორჩეოდნენ, ტრადიციებიც საინტერესო ჰქონდათ. მახსოვს, დასაკლავი ქათმები ხანამთან მიჰყავდათ, სახლში არავითარ შემთხვევაში არ დაკლავდნენ, ცნობისმოყვარე ბავშვი ვიყავი და გადაღმიდან, უჩუმრად ვაკვირდებოდი, ხანამი თავს კი არ წააცლიდა ქათამს, ყელს გამოჭრიდა და სანამ ის სისხლისგან არ დაიცლებო-

და, ხელს არ ახლებდა. საიდან მოდის ეს ტრადიცია, ღმერთმა იცის. ახლა ცოლის შერთვას აღარ იკითხავთ? წინასწარ დათქვამდნენ ვინ ვისთვის უნდა შეერთოთ, განსაკუთრებული რიტუალები ჰქონდათ. ჩემს მოთხრობებში „ქარების დაბრუნება“, „მუსიკა ქარში“ და სხვა მოთხრობებში ებრაულ ადათ-წესზე არაერთხელ დამიწერია.

1954 წელს რეზო ჭეიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სწორედ სტუდენტობის წლებში შედგა მისი ლიტერატურული დებიუტი:

- ტარიელ კვანჭილაშვილმა და ნოდარ ჩხეიძემ მოთხრობები მომიწონეს, ოთხი აარჩიეს და „პირველი სხვიის“ რედაქტორს, ბესო ჟღენტს მიუტანეს, თან შეთანხმდნენ, ბესოს არაფერი ვუთხრათ, არ შევუქოთ, თორემ არ დაბეჭდავს; არც ვაძაგოთ, რომ არ გვისაყვედუროს, თუ არ ვარგოდა, რას მოგქონდათო. მოკლედ, უსიტყვოდ გადასცეს. იმედი ჰქონდათ, თუ ხმას არ ამოიღებდნენ, ორს მაინც დაბეჭდავდა. დილით, უნივერსიტეტში მოსულ რედაქტორს უთქვამს, ოთხივე გავა მომავალ ნომერშიო. რა თქმა უნდა, გაუკვირდათ, თუმცა უფრო მეტად გაუხარდათ.

სტუდენტობის დასასრული 60-იანი წლების დასაწყისს დაემთხვა. კარდინალური ცვლილებების, საინტერესო აღმოჩენების, მოღურა ტრენდების, მოკლედ რომ ვთქვათ, კულტურულ-სოციალური რევოლუციის ხანა იდგა. სსრკ-ის საზღვრებში მართალია ნელი ტემპითა და მცირე დროით, მაგრამ მაინც აღწევდა სახლზე:

- აღწევდა ვერობიდან რუსეთში, მოსკოვიდან და პეტერბურგიდან საქართველოში. 60-იანები გარდატეხის წლები იყო, რომელთან შეგუებაც უფროს თობას, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა, მათ ახალგაზრდების სითამამე და სილაღე აღიზიანებდათ. მაგნიტოფონები გაჩნდა, ახლებური მუსიკა შემოვიდა, მერე თანდათან გზებაც გაიხსნა. სხვადასხვა დაჯგუფებები იქმნებოდა: იყვნენ „სტილიაგები“, ჩემო ბატონო, „სპორტსმენები“, „ლოთები“ თავისთავად „ლიტერატორებიც“ ვიყავით.

1962 წელს რეზო ჭეიშვილის სადებიუტო წიგნი „ბზიანეთი“ საქართველოს სსრ ბავშვთა და ახალგაზრდული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა. მასში თერთმეტი მოთხრობა გაერთიანდა. წიგნის მხატვარი გრაფიკოსი და კინოს მხატვარი დიმიტრი ერისთავი იყო.

ბატონი რეზო წიგნების კარადიდან ფრთხილად იღებს „ბზიანეთს“ და გულდაწყვეტით აღნიშნავს, რომ ერთადერთი ეგ-

■ „ბზიანეთი“  
1968



ზემპლარი დარჩა, ყდას დასცქერის და სიამაყით დასძენს, რომ დიმა ერისთავმა დახატა - დიახ, დახატა! 60-იანი წლების ქართული, ურბანული მხატვრობის უნიკალური ნიმუშია, ნამდვილი ბზიანეთია.

გსმენიათ ბზიანეთზე? მწერლის გამოგონილი ქუჩის სახელი ჟღერადობით ბზას გვაგონებს, წარმოსახვაში კი მზით გაჩახჩახებული ადგილი იხატება. სინამდვილეში რაზეა საუბარი? მოვასხენებთ, რომ საფირმო სტილი ამ შემთხვევაშიც დაცულია - ჭეიშვილისეული მოთხრობა და სცენარი ჰარმონიულ ერთიანობას ქმნის:

„ბზიანეთი ქალაქის მთავარი ქუჩის ერთ-ერთ შესახვევს ჰქვია. მოკლე ქუჩა დასაწყისიდან ორასი ნაბიჯის შემდეგ თავდება. ამ ქუჩაში ავდარშიც სიმყუდროვეა, რადგან გზა ვიწროა, სახლები მაღალი და ქარი მის ნებისად ვეღარ დათარეშობს. ამ დროს ისევ ბზიანეთზე სიარული გერჩიოთ. კედელთან კი ძალიან ახლოს ნუ მიდგებით, თორემ სასურავის ღვარსადენის გახვერტილი ღარიდან ჩამოვარდნილი წყლის წვეთი შეიძლება პირდაპირ საყელოში ჩაგივარდეთ“.

ერთი მოსმენით მარტივსა და სადა წინადადებებს მძაფრი ექსპრესია ახლავს, მხრებში თავის ჩარგვა გვინდება, თითქოს, წვიმის მძიმე წვეთმა კისერი აგვიწვა. ფილმი განცდებს კიდევ უფრო მეტად ამძაფრებს, ავტორის სათქმელს რეჟისორლიანა ელიავას ვიზუალური ხერხები განაგრძობს და ასრულებს.

„ბზიანეთი“ 1968 წელს გადაღებული 20-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. ფილმში, ისევე როგორც მოთხრობაში, კვირაში ორჯერ, დარსა თუ ავდარში, სხვადასხვა ასაკის მამაკაცები

ბზიანეთის ქუჩაზე არსებულ კლუბში იკრიბებიან, ქართულ სიმღერებს მღერაან, გულში კი გუნდის ხელმძღვანელს შესტრფიან. მოთხრობის მიხედვით გუნდის ხელმძღვანელი „ტანადი, ლამაზი ქალი ჩაცმულია სადად, სამუშაოდ და ერთი შეხედვით, მაინც გამოძწვევად... კოფთაშემონასკვულ მალალ მკერდქვეშ იჯვარედინებს ხელებს და ფიქრობს“. ფილმში გუნდის ხელმძღვანელის როლს მსახიობი ლია ელიავა ასრულებს. მისი პარტნიორები იპოლიტე ხვიჩია, თენგიზ არჩვაძე, გივი ბერიკაშვილი, იოსებ ხანიძრავა და აბესალომ ლორია არიან. კომპოზიტორ სერგო ფვანას მუსიკალური გაჯორმება ცალკე აღნიშვნის ღირსია.

1969 წელს, კიევში, „ბზიანეთმა“ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და უკრაინის ტელეფილმების X დათვალიერების დიპლომი დაიმსახურა რეჟისორული დებიუტისთვის, 1970 წელს, მოსკოვში - კინემატოგრაფისტთა საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის კინოფესტივალის პრიზი.

რადგან საუბარი ჯილდოებს შეეხო, აქვე შეგახსენებთ, რომ 1984 წელს „ცისფერ მიებს“ (სცენარისტს, დამდგმელ რეჟისორს, ოპერატორს) საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემი მიენიჭა, რომელსაც დღესდღეობით ბატონი რეზო „იმპერიის პრემიას“ უწოდებს. სიამაყით აღნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს ჯილდოს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიას. ყველაზე მეტად კი 2012 წელს ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მიღებული „საბა“ გახარება. 2013 წლის ზაფხულში, საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე რეზო ჭეიშვი-



ლი მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვისაც დააჯილდოვეს.

ორიგინალურობით გამოჩენილი ჯილდოა „ბელქის ფოთოლი“, რომელიც ბატონ რეზოს ეგრეთ წოდებულ „სიმონეთურ შეხვედრებზე“ გადასცეს. ორფურცლიანი სიგელი სადა და მინიატურულია. პირველ გვერდზე დავით კლდიაშვილის სიტყვები დაუბეჭდავთ: „სინამდვილე, მხოლოდ სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“. მეორე გვერდზე კი, ცალხაზიან რვეულს რომ მოგაგონებთ, ლამაზი კალიგრაფიით დაუწერიათ: ცნობილ ქართველ მწერალს, ფილმის „სამანიშვილის დედინაცვალის“ სცენარის თანაავტორს, რეალიზმის პრინციპების ერთგულ შემოქმედს, რეზო ჭეიშვილს“.

\* \* \*

1987 წლიდან რეზო ჭეიშვილი მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა და აღმანახ „განთიადს“ გამოსცემდა. მალე აღმანახი (სხვათა შორის, კრემლის ნებართვით) ჟურნალად გადაკეთდა. პარალელურად (1987-1992წწ), რუსთაველის საზოგადოებას თავმჯდომარეობდა, დაარსა საზოგადოებრივ-პუბლიცისტური გაზეთი „მოწამეთა“ და ჟურნალი „მწვანეყვავილა“. 1992 წელს, საქართველოს მწერალთა ყრილობაზე რეზო ჭეიშვილი მწერალთა კავშირის მდივნად, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს. 2000 წლიდან კი საქართველოს მწერალთა ფონდის თავმჯდომარედ დაინიშნა.

1997-98 წლებში ბატონი რეზო, როგორც დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის აკადემიურ თეატრს ედგა სათავეში, თუმცა ამ გადასახედიდან ფიქრობს, რომ თეატრის ხელმძღვანელობა მისი მოწოდება არასდროს ყოფილა:

- თეატრის მსახიობი, ცოტა არ იყოს, გამოუცნობია, დაუკმაყოფილებელია, ამბიციურიც. მიაჩნია, რომ მისი შრომა და ნიჭი სათანადოდ არ ფასდება, ყოველთვის მეტი უნდა. მალე წამოვედი, იქ მუშაობა ჩემი მოწოდება არ ყოფილა.

სამაგიეროდ, როგორც მაყურებელს, ძალიან უყვარს თეატრი, რასაც გიორგი შავგულიძეზე საუბრის დროს ემოციურად ამტკიცებდა:

- მისი მონაწილეობით არცერთი დადგმა არ გამოძიოვებია მარჯანიშვილში თუ ქუთაისში, გასტროლებზე რომ ჩამოდიოდნენ. ბევრი ნაცნობი თუ მეგობარი ძალით წამიყვანია სპექტაკლზე და ახლა რომ იხსენებენ, მაღლიერები არიან. გიორგი შავგულიძე უნიჭიერესი მსახიობი იყო. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ როცა ვმუშაობდი და მსახიობებს ვარჩევდით, ყველა რეჟისორი ერთსა და იმავეს გაიძახოდა, აი, ამ როლზე შავგულიძე იქნებოდა

ზედგამოჭრილი, ახლა გიორგი რომ ცოცხალი იყოს, მაგას დავამტკიცებდითო. ანუ ყველა როლს მოუნდებოდა. ტრაგიკულად დაიღუპა, პლენანოვზე ტრამვაი დაეჯახა, მძლოლი იძახდა, ამაზე მეტი რა უნდა მომისაჯოთ, შავგულიძე მოვკალიო. წელს, თბილისის დღესასწაულზე, საჯარო ბიბლიოთეკაში გიორგი შავგულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოფენაზე მიმიწვიეს. „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“ - ასე ჰქვია გამოფენას.

ბატონ რეზოს ხმა ებზარება.

კრემლს იწმენდს.

„მოგონებანი ფერმკრთალდება და ნაზდება დასასრულისკენ. დასასრულის შეგრძნება დასაწყისთან გაახლოებს უჩვეულოდ. დასაწყისი და დასასრული კი თანაბარი აჩქარებით მისწრაფან ერთმანეთისკენ სიცოცხლის ერთ მონაკვეთში“ - ვიხსენებ ნაწყვეტს მისი მოთხრობიდან „მუსიკა ქარში“. წიგნების კარადას ვათვალისწინებ, მოგონებებში წასულს არ ვაწუხებ.

მალე გვერდით მიდგება:

- ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების კითხვა მიყვარს, ეს კი „ქართული სამართლის ძეგლები“, ისიღორე დოლიძის შვიდტომეული, ხშირად გადმოვიღებ ხოლმე, ვკითხულობ და ვათვალისწინებ. საყვარელი წიგნები უცხოელი ავტორებისა „აივენ-პო“ და „წითელი და შავი“, ჩემო ბატონო, ქართველებიდან კი დავით კლდიაშვილი და აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ ყველაზე ნაღდი.

აქ, თაროებზე, ბატონი რეზოს წიგნებიც მრავალადა: მოთხრობების კრებულები, ნოველები თუ რომანები: „ვაიმე ჩემო ვწახო“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „კრინის სასკომი“, „დალი“, „ყაჩაღები“, „კუდიანი ვარსკვლავი“, „წიფობისთვე“, „მესამე გზა“, „ციფერი მთები“, სხვადასხვა დროს გამოცემული რჩეულები, ტომეულები, რომლებიც მრავალათასიანი ტირაჟით გამოდიოდა და მწიარად, თუმცა მაინც, უცხო ენებზეც ითარგმნებოდა. ვფიქრობ, ამ მხრივ მეტი ყურადღება კულტურის სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გამოიჩინონ, გაითვალისწინონ ჩემთვის უჩვეულო და თვალმისაცემი ფაქტი.

\* \* \*

„ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურა ასაზრდოებს საზოგადოებას. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა ვადაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე-და-ღღე საზოგადოება აკლდება“, - როდესაც ილია ჭავჭავაძე „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელ ყოფას“ აღწერდა, 1886 წელი იდგა. არ იყო ინტერნეტ-ტექნოლოგიები, სოციალური ქსელები, თუმცა, რა შორს წავედი, არც ტელევიზორი ჰქონდათ. ანუ ყველაფერი, რასაც ჩვენ

დღეს კითხვისადმი გულგრილობის მიზეზებად მივიჩნევთ, ფიზიკურად არ არსებობდა.

- არ გამოვსწორდით, ხასიათში გვიზის ზერელება, სიზარმაცე, ზედაპირულობა, ვცდილობთ იოლად, იუმორით და სიცილ-ხარხარით გავიდეთ ფონს, სერიოზულობა გვაკლია და ჩვენი ბავშვებიც, მომავალი თაობა ასეთ გარემოში იზრდება.

„ტყუილსა და მართალს ხალხი მშვენივრად ასხვავებს ერთმანეთისგან: ადამიანები ზოგჯერ დაუჯერებელს იჯერებენ, მთქმელს პირში ეთანხმებიან, გონებაში მაინც სხვას ფიქრობენ და თვალზეში უნდობლობის სხივი უკრთით“. ეს კვლავ „მუსიკა ქარში“, ბატონი რეზოს ხელით, რემინგტონის საბეჭდო მანქანაზე აკრეფილი ერთ-ერთი მოთხრობა. მასში სეკდა და გულისწყვეტა ერევა ერთმანეთს. რა გამოვასწორებს? როდის ვისწავლით, როგორ და საით მივმართოთ შინაგანი ენერგია? წლებიანდელი ქართული ენისა და ლიტერატურის მეცხრე კლასის სახელმძღვანელოში ბატონი რეზოს მოთხრობა „ნობელი“ შეიტანეს. კიდევ ერთი რიგიანი მაგალითია ქართველი კაცის უთავგობლობისა:

ამბავი ავტორის გამოგონილ, ნაქერალას სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე გაშენებულ სოფელ ბუნწუთში ვითარდება. შესავალ ნაწილში ნობელის შესახებ გვიამბობს მწერალი - როგორ შესწირა მეცნიერმა მთელი ცხოვრება ასაფეთქებელი ნივთიერებების შესწავლას, უმდიდრეს ადამიანად იქცა, გარდაცვალების შემდეგ ანდრძი დატოვა, ფონდი დააარსა და ამრიგად მისი სახელი „სამუდამოდ დაუკავშირა ჰუმანიზმის, პროგრესის და მშვიდობის საქმეს“. მაგრამ რა მოუტანა დინამიტმა ბუნწუთს? საით მიმართეს ბუნწუთელებმა საკუთარი შესაძლებლობები? თითქოს „ლოკალურ, არაოფიციალურ ომებში იღებენ დღესაც მონაწილეობასო“, დაიარებიან „უნელთითოდ“, არ გვეგონოთ, მაღაროებში მიიღეს ტრამპები - მათი სისუსტე აფეთქებაა. „დინამიტს აფეთქებდნენ ნაძლევეზე, პურმარილზე და ზოგჯერ სულ არაფრის გამოც“. მაგრამ „აფეთქებენო“ რომ ვამბობ, ამასაც დაზუსტება სჭირდება, კი არ აფეთქებენ, იფეთქებენ შორიასლოს და ზოგჯერ ფეხებშიც კი“. ახლომანხლო ლეკო-მდინარეში თეგზი გაწყვეტეს, ტყეში მაჩვის სახსენებელი, ახლა სხედან და ჩვიან, „გადასხვაფერდა ბუნებაო“! კომიკური სიტუაციაა, ისეთივე კომიკური, როგორც ნობელის პრიზზე ნომინირებული პუტინი. ბატონი რეზოს აზრიც მაინტერესებს ამის თაობაზე, „ჰუმანიზმის, პროგრესის და მშვიდობის საქმეს“ დისკრედიტაციის საფრთხე ხომ არ ემუქრება?

- პუტინს თუ მისცეს, ჩეკისტს და „კავებს“ პოლკოვნიკს ნობელი, სამარცხვინო იქნება! რას ქვია პუტინის აძლევენ!

საუბრის დასაწყისში ნახსენები, მოსკოვში დასამტკიცებლად გაგზავნილი სცენარები, კრემლის ნებართვა ქართული აღმანახის ჟურნალად გადაკეთებაზე - წარსულის მტკივნეული საკითხები მოსვენებას არ მძღვეს, დღევანდელიაბსთან პარალელს ვავლებ, ჩემი რესპონდენტიც აღელვებულია ნობელის პრიზთან დაკავშირებული უსამართლობის გამო. მოკლედ რომ ვთქვათ, საკმარისი მიზეზები გვაქვს „ღამის სტუმრების“ გასახსენებლად. ვიხსენებთ და ახლა მეტი სიმძაფრით ვგრძობ ტკივილი-სა თუ წყენის შედეგად დაგროვილ გამოცდილებას, რეზო ჭვიშვილის მოთხრობაში ვულკანური ლავასავით რომ აღწევს ქალაქის ზედაპირზე:

„მსმელი რუსი კახას ჰგავს, თუ მოსწრო გამოფინდება, ყველაფერი ისტორიას ჩაბარდება მეორედ მოსვლაზე. „კანონიც“ რომ იყოს გამოძინებული, სასმელის საყვედური არ დასცდება. გაისწორებს პალსტუსს, შეისხურებს (თუ გადარჩა) ოდეკალონს და ისე გამოცხადდება საზოგადოებაში, სიცოცხლეში არ დაელიოს რა თითქოს. პირიქითა ვართ ჩვენ: ზის სამსახურში ნაბახუსევი ქართველი, ოხრავს და თხრობს, სად დალია, ჯერ იქ მოვიკალი თავი, მერე იქ მოვთავლი, დაწყდით სმითო და სხვა... ჩვენი სმის წესი სხვანაირია, აკადემურ-რიტუალურია ერთგვარად, ცალკე შესწავლისა და განალიზების ღირსიც კია“.

- ჩვენი სუფრა და ქეიფი მართლაც მისაბაძია. რუსებმა ბევრი რამ გადაიღეს ჩვენგან. როგორ გამოუვიდათ, ეგ სხვა საკითხია. თუმცა ჩვენც ბევრი რამ დავივიწყეთ. მაგალითად, სასმელის დაძალება. ვინ მოთვლის, თამაღობის ღრის რამდენი ადამიანი დამიხრჩვია, ახლა ასეთი საქციელი მიუღებელია. პო და, სუფრამაც პეწი დაკარგა. ჰქონდა მაგ საქმეს თავის ხიბლი, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ კი არ გამოვიგონეთ, ლიტერატურაშია დამალები საწყისები, ვაჟასთან, „ჩხიკვათა ქორწილში“, წრეწუნას რომ აძალებენ, განა ცული ადვილია? ეს ტრადიცია ძველთაგანვე მოგვსდევდა. საუცხოო თამადა ყოფილა რაფიელ ერისთავი, დამალების დიდოსტატი. პეტრე უმიკაშვილი ვერ სვამდა და ერთხელ რაფიელს უთქვამს, არ დააძალოთ მაგას, შეეშინო, მხოლოდ ულვაში აუწიეთო. შეხედეს და იმას ულვაშიც არა ჰქონდა, რას აუწევდნენ. კარგი თამადა იყო თემურ ჩირგაძე, „ცისფერ მთებში“ დირექტორის როლს რომ თამაშობს, სუფრას ხატავდა.

„ქართველს შეუძლია სასლი გაურემონტებელი დარჩეს, მარანი კი „უმაღლესად გამოაწყოს“. ესეც „ღამის სტუმრებიდან“ ამოკრეფილი მარგალიტია. მოთხრობა „ქართული ნოველა (დიალოგი წითელ ფერში)“ კი ნამდვილი ენციკლოპედიაა: სრულ-

ყოფილი წარმოდგენა შეგვექმნებათ დამალები ფენომენზე, გაარკვევთ, ხის სასმისი ერთიანად დალევს სჯობს თუ „ჭიქებში გადასხმით“, ღვინოს ნელა სმა თუ „ყლოურვა“ უხდება, როგორ შეავსოთ ჭიქა, სადამდე დაუტოვოთ სატუჩე და მერე ჩატოვოთ თუ არა სასმელი სასმისში. „როცა გეუბნებიან, შენი წინაპრები სახელოვანი მსმელები იყვნენ, კი არ უნდა გაბრიყვდე, მაგრამ არც პირი შეკრა თავისმომჭრელად“. მამაშვილის დიალოგს პრაქტიკული მაგალითებიც ახლავს: „მამაკაცი საწოლში ზევით ჩოჩდება, შარვლიანი ხელს განზე წევს და შვილს აჩვენებს, როგორ უნდა მიიტანოს სასმისი პირთან“.

\* \* \*

ტრადიციები დღესაც გრძელდება. მით უმეტეს, რომ ლიდერი კვლავ მშვენიერ ფორმაშია და კაპიტნის თანამდებობას დარბაისლურად უძღვება.

„კაპიტანი ზედა სადღურზე გვიბარებს!“ - ჩამოურეკავენ ხოლმე ბიჭები ერთმანეთს, შეიკრიბებიან და გზას დაადგებიან.

არ იფიქროთ, რომელიმე მოთხრობის ნაწყვეტად არ ფილმის პასაჟს გასხენებდეთ, ამჯერად ნამდვილ ამბავს ვიამბობთ: კაპიტანი რეზო ჭვიშვილი გახლავთ, როგორც თავად ამბობს, „პარახოდი რო პარახოდა, იმასაც სჭირდება კაპიტანი“ და „ტყის საძმოს“ ხომ არ დატოვებდნენ კაპიტნის გარეშე? „ტყის საძმო“ კი უკვე თხუთმეტი წელია არსებობს და მასში ბატონი რეზოს მეგობრები გაერთიანებულან. კოდექსიც შეუქმნათ - „ტყის კოდექსი“, რომლის მიხედვითაც კაპიტნის ბრძანება კანონია. ტყის საძმოს მოსამართლედ შალვა კვარაცხელია დაუნიშნავთ.

- თხუთმეტი წლის წინ, იანვრის დასაწყისში, ტყეში გავისეირნეთ. ისეთი კარგი დარი იდგა, ჩრდილს ვეძებდით. მაშინ დავთქვით, ყოველი იანვრის მეორე შაბათ დღეს, როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, ტყეში გავიდეთ, ყოველგვარი კომფორტის გარეშე და ვიპურმარილოთ. დათქმულს პირნათლად ვასრულებთ, წელს მეთხუთმეტედ შევიკრიბებით. ცეცხლს დავანთებთ და გათენებადვე ვიქეფებთ. ამ ღონისძიებას მოკლედ „პურტყე“ ქვია, ანუ პურის ჭამა ტყეში. „პურტყე“, როგორც წესი, თავგადასავლების გარეშე არ ჩაივლის, ერთხელ დავიკარგეთ კიდეც, გზა აგვებნა და ტყის მცველმა გადაგვარჩინა. იმდენი ვიხეტიალე, ჩემმა მეგობარმა, თორნიკე ერისთავმა, ფეხსაცმელები დაკარგა, გამხნევებდი, ექსტრემალურ პირობებში არაფერი მოგივა, არ იდარდო-შეთქი და ასეც მოხდა, არ გაცივდა, გადარჩა. ერთხელ დილაადრიან, მონადირეები გადაგვეყვარნენ და დავაფრთხეთ. გაკვირვებულები გარბოდნენ.

საფირმო სტილი დაცულია - ცხოვრება მოთხრობებსა და ფილმებს ჰგავს,

ზღვარი გამქრალა. ანეკდოტური სიტუაციები, გამარჯვებული გმირები, სახალწლო მამხალბეებით იელვებენ ჩვენ თვალწინ. გვარ-სახელების წაკითხვაც კმარა, ისტერიკული სიცილი რომ ავიტყდეს: გრიშა ნემსაძე („ლოკა პაჩოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები“), დომენტი მელქაძე, ვარდენ კუჭუხიძე („ნობელი“), კომპოზიტორი ჩირიბერიძე, „მიწების განაწილებაში“ კი გვარ-სახელების სრული აპოთეოზია.

პერსონაჟების გალერეა წარმოუდგენლად მრავალფეროვანია: სამთილო თალიკოს კრაოტზე დაცემას პოლზე დაეცმა ურჩენია და ამის თაობაზე უტყუარი არგუმენტები აქვს, ახალგაზრდა ლიტერატორი თვლის, რომ ცხოვრება გლეჯაა, შეუპოვარი გემის კაპიტანი ალექსანდრე მერცხლეს დიდი ქომაგია, თუმცა, საბოლოოდ, ყველას ერთი კითხვა აერთიანებს:

„- რა ვართ ადამიანები?“

- არაფერი, ბატონო, რავა გეკადრებათ!“

პასუხი მარტივია.

\* \* \*

წამოსვლის წინ სურათებს ვარჩევთ. დახარისხებულია: ზოგიერთი ეპოქალურია, ზოგიც გულიანად გაგაცინებს, სევდასაც მოგვგრის, სუკეთესოები კი მუღლის, მარინა ვერულაშვილის გადაღებულია. თავადაც ამაყია, მოსწონს, მოფერებით არჩევს და უყვარს. მთავარი ხომ მას დაუნახავს და აღუბეჭდავს.

ჩვენ კი პრაქტიკულ საქმეებზე ვიწყებთ ფიქრს: დავასკანერებთ, დაზიპულებს ინტერნეტმისამართზე ავტვირთავთ, ფოტოშოპში დავამუშავებთ. 60-70-80-90-10-იანების - მთელი ეპოქის სათქმელს ერთ ფოტოსურათში მოვაქცევთ. არჩევა გამწვანდება.

ბატონი რეზო მაგიდასთან ზის, ქარვის კრიალოსანს ისვამს ქუთუთოებზე, მეზმარებაო, მეუბნება - ალბათ უკეთ დანახვაში. ვემშვიდობები და ვფიქრობ, რომ აღარ დავიწუნებ ჟურნალისტის პროფესიას, ვინაიდან სწორედ ასეთი წუთებისთვის ღირს ჟურნალისტობა, როდესაც ვერასოდეს გაიმეტებ რესპონდენტის ხმის ჩანაწერს წასაშლელად და მომავალში მეტი პასუხისმგებლობით გამოიყენებ სიტყვებს: „მწერალი“, „პროზაიკოსი“, „ხელოვანი“.

P.S. „ამარკორდი“ სხვაგვარადაც შეგვიძლია ვთარგმნოთ (რადგან მასში სამი იტალიური სიტყვის ფუძე გაერთიანებულია: მწარე, სიყვარული და ძაფი): „მწარე სიყვარულის ძაფები, ავტორს წარსულთან რომ აკავშირებს“.

რეზო ჭვიშვილის ნაწარმოებები, აკაკისა და დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების მსგავსად სიყვარულის ძაფებით იმერეთთან გვაკავშირებს, გვაკავშირებს სამუდამოდ, ვინაიდან მათ მაგიური ძალა აქვთ - მკითხველს სამუდამოდ ამასწავლებენ თავს.

მასპა ლლოკონი

**ნაპარიკაპი:**

**ნიუ-იორკში:**

164 Brighton 11 St.  
Brooklyn NY 11235  
Tel: 718-934-1700  
Alt: 347-500-5037

**ნიუ-ჯერსიში:**

84 Harmor Drive,  
Jersey City, NJ 07305  
Tel: 201-333-5555

**ოჰაიოში:**

9333 Reading Road  
Reading, OH 45215  
513-322-5102

**პენსილვანიაში:**

13050 Busteton Ave  
Philadelphia, PA 19116  
215-710-0322

**სამხრეთკალიფორნია:**

მთავარი ოფისი:  
წინამძღვრიშვილის 158  
თბილისი, 2-506833

**საბურთალო:**

აკურის ქუჩა 13,  
2-945853

**გლდანი:**

ვეკუა. 10-1  
2-654122

**რუსთავში:**

მეგობრობის ქ.2  
2-57157

**ქუთაისში:**

ალმაშენებლის 136  
577-181846

**ბათუმში:**

საბაჟოს ქ. 4  
04222 225508

**ზესტაფონში:**

სტაროსელკის ქ. 25  
492-250332

**გორში:**

ცხინვალის გზა 8  
0370227049

**თელავში:**

ბახტრიონის ქ. 3  
350273130

**მარნეულში:**

რუსთაველის ქ.1  
357-222712

[www.barami.us](http://www.barami.us)

[www.baramicar.com](http://www.baramicar.com)

Facebook: baramilogistix

**ყურადღება!**

ნიუ-ჯერსის სათაო  
ოფისის ახალი მისამართია:

84 Harbor Drive  
Jersey City, NJ 07305

**გველა მომსახურება  
ერთ ადგილას,  
მომსახურების  
ფართო არჩევანი:**



**Barami**  
LOGISTICS

**ავტომეცხიდევი**

დაგეხმარებით ავტომობილის ყიდვასა  
და გაყიდვაში საქართველოსა და ამერიკაში;

**ბადაზიდევი**

ავტომობილის შიდა გადაზიდვები  
ამერიკასა და კანადაში;  
საზღვაო ტრანსპორტირება საქართველოსა  
და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში;

**საჰაერო (საამანათო) ტრანსპორტირება**

სახლიდან სახლამდე\* - 2.95\$ პაუნტი;  
ჩვენს ოფისში მოტანილი - 2.75\$ პაუნტი;  
გთავაზობთ მომსახურებას კომერციულ ტვირთებზეც;

**საზღვაო ბადაზიდევი**

ოფისში მოტანილი ავეჯის და რეგულარული ტვირთის  
გადაზიდვა - პაუნტი 91 ცენტად ფოთის პორტამდე.  
გთავაზობთ ადგილიდან წამოღების და სახლში მიტანის  
მომსახურებასაც ზოგიერთი შტატის ფარგლებში  
დამატებით ფასად.

**ინტერნეტ-მონიტორინგი:**

ტვირთის სტატუსი და მრავალი ინფორმაცია  
ჩვენს ვებ-გვერდზე: [www.barami.us](http://www.barami.us)

ბედისშეიძლება  
ანტიკონსერვატი



დავან  
ბარძანოვანი  
ლისბანისი

პოლიტიკურ ზონას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საბჭოთა ზონას, თავისი არისტოკრატია ჰყავდა: მზარეული, მეკუჭნავე, ბიბლიოთეკარი, ცეცხლფარეში, მეაბანოე, პარიკმახერი, ბარაკის მორიგე, კინომექანიკოსი, კურიერი და ა.შ. ამაზე წერდნენ სოლჟენიცინი, გინზბურგი, შალამოვი და სხვა ავტორები, რომლებიც სასწაულებრივად გადაურჩნენ გულაგს. თუკი ძველ დროში, ბრეჟნევის ეპოქამდე, როდესაც გულაგის ნახევარზე მეტ მოსახლეობას 58-ე მუხლით გასამართლებულები შეადგენდნენ, ამ არისტოკრატული თანამდებობაზე მხოლოდ ჩვეულებრივი კრიმინალები, მარქსისტულ-ლენინისტური თეორიის საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი რომ ვიხმაროთ, ე.წ. „სოციალურად ახლობლები“ (მკვლელები, ქურდები, მძარცველები და ა.შ.) ხვდებოდნენ, ახალ დროში, როდესაც მსოფლიო ზეწოლით პოლიტიკური პატიმრები სანახევროდ აღიარეს და მათ ცალკე ბანაკები გაუხსნეს (სულ 4 მთელ საბჭოთა კავშირში, 3 პერში და ერთი მთლიანად), ახალ არისტოკრატას ჯამაშეები, სამხედრო დამნაშავეები და სამშობლოს მოღალატეები შეადგენდნენ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ სისხლის სამართლის კოდექსის ძველი, 58-ე მუხლის მექვიდრე ახალი 70-ე (საქართველოს სსრ 71-ე) მუხლით იყავი გასამართლებული, პარიკმახეობა ან ბიბლიოთეკარობა არ შეგეძლო, თუნდაც მანამდე სსრკ-ს საუკეთესო პარიკმახერი ან დიდი ბიბლიოთეკის დირექტორი ყოფილიყავი.

ბუნებრივია, ბარაშევოშიც გვყავდნენ „არისტოკრატები“ (ძველ დროში მათ უპატივცემულებად, „პრიდურკებად“ მოიხსენიებდნენ და ჟორა ხომიზური ახალ დროშიც მხოლოდ ამ ტერმინით აღიარებდა მათ სტატუსს): ბიბლიოთეკარი ანდერსონი, მზარეულები მაქსიმოვიჩი და პეტროვ უფროსი, პარიკმახერი კუნარუკი, ცეცხლფარეშები საარი და მუზიკაივინუსი, მეაბანოე და კინომექანიკოსი (შეთავსებით) ლისმანისი, მეკუჭნავე ლეიკუსი, ბარაკის მორიგე კრაინიკი და სხვ.

ლატვიელ ნაციონალისტსა და სოციალ-დემოკრატს, 1980 წლის ნოემბერში დაპატიმრებულ დაინის ლისმანისს ლატვიის უზენაესი სასამართლოს დასჯილ სესიაზე 12 წელი ჰქონდა მისჯილი „სამშობლოს“ (ანუ საბჭოთა კავშირის) ღალატისთვის. იმ ქვეყნის ღალატისთვის, რომელშიც იგი არ დაბადებულა, რომელიც ოკუპანტად და მოძალადედ მიანდა და რომლის წინააღმდეგაც იარაღით ხელში ბრძოლა არც უფიქრია, უბრალოდ, ლატვიის ოკუპაციის შემდეგ იატაკქვეშეთში გადასული იმ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, რომლის სათავე

ოფისი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იყო განთავსებული.

დაინის ლისმანისი საკმაოდ პიკანტურ გარემოებებში გავიცანი. ზონაში ჩასვლისთანავე მე და დათოს ორი სასიხარულო ამბავი დაგვახვედრეს, სადილი და აბანო. სადილს პირველი მთვრალი და აბანოში გამაგზავნეს. ზონური „აბანო“ საინტერესო დაწესებულება აღმოჩნდა: ხანგრძლივი ეტაპის შემდეგ „თავისუფალი“ საბონი რომ დავინახე და განარბულმა (ჰიგინა თავისუფლების განუყოფელი ნაწილია, აბანოში არ „ზინარ“ ანუ თავს პატიმრად არ გრძობ) კარგად გავისახე თავი, აღმოვაჩინე, რომ ონკანში წყალი აღარ მოდიოდა. აბანოში არავინ იყო, რომ დამხმარებოდა. ჩვეულებრივ აბანო მხოლოდ შაბათობით იყო, ხოლო ჩვენ ხუთშაბათს ჩავედი, სიცხე იყო და ცხელი წყალი არც გვჭირდებოდა, მაგრამ წყალი ზოგადად გჭირდება, თუ აბანოში ტანის დაბანას აპირებ. რა გზა მქონდა, რაღაც ნაჭერი შემოვიხვიე წელზე და გარეთ გამოვედი შველის სათხონელად. პირველივე კაცი გავაჩერე და დახმარება ვთხოვე. მანაც ამიხსნა, რომ ონკანში წყალი არ უნდა იყოს (დაიხს!), რომ წყალი არის წინა ოთახში, ე.წ. „პრედბანნიკში“ დიდ კასრში დაგროვილი და იქიდან უნდა მოვიმარაგო ტაშტში და მერე მოძირო ვედროსხელა ხისგან დამზადებული წყლის სახაპავით, რომელსაც ჰქვია „შიაკა“, ერთი ხელით უნდა ვისხა თავზე და მეორეთი სხვა ოპერაციები განვახორციელო. მაინცაღამინც მოსახერხებელი არ იყო, მაგრამ საოცნებო სისუფთავის შერქმევა ყველაფერს აღემატებოდა.

კაცი, რომელმაც დახმარება გამიწია და აბანოზე ძალიან სასაცილო ანეკდოტის მოყოლაც მოასწრო შესამჩნევი ლატვიური აქცენტით, ხმოვნების დაგრძელებით და ხან პირველ და ხან მეორე მორაზე (გრძელი მარცვლის მოკლე ნაწილზე) მკვეთრი დინამიკური მახეილის დასმით, სანამ მე დიდ კასრსა და წყალს ვეძებდი, იყო დაინის ლისმანისი, სამშობლოს მოღალატე, სოციალ-დემოკრატ, მეაბანოე, კინომექანიკოსი, ჩრდილოური ტიპი, ჭეშმარიტი არიელი და შესანიშნავი მეოჯახე - როგორც თვითონ ამატებდა ხოლმე თავის დახასიათებას სახელგანთქმული საბჭოთა ჩეკისტის მწერლის, მისივე წიგნის მიხედვით რეჟისორ ლიონოვას მიერ გადაღებული ყველაზე პოპულარული საბჭოთა სერიალის, „გაზაფხულის 17 გაელვების“ სცენარის ავტორის, ოულიან სემიონოვის მიხრობელივით, როდესაც ამ უკანასკნელის სახელით გესტაპოელი და აბვერელი პერსონაჟების პორტრეტებიანი ფორმულარის ფონზე შესანიშნავი ტემბრის მქონე საბჭოთა მსახიობი ეფემ კოპელიანი მოკლე ანეკტას

კითხულობდა.

დაინის ლისმანისი მუდმივად კარგ ხასიათზე იყო. არავინ იცის, როგორ ახერხებდა ამას პოლიტიკურ ბანაკში, მაგრამ ფაქტია, რომ ახერხებდა: მოღუშული და უხასიათო არავის უნახავს. გარდა იმისა, რომ თვითონ იყო კარგ გუნება-განწყობაზე, თავის ირგვლივაც ასეთ მსუბუქ და მხიარულ გარემოს ქმნიდა. ჟორას მიანდა, რომ ეს მხოლოდ დასავლელი ადამიანის „საგარეო იერი“ იყო, რაფიკა თვლიდა, რომ ზედაპირული კაცი იყო (ხუმრობით მეუბნებოდა, ასე ხაზგასმით ევროპული გარეგნობა რომ არ ჰქონდეს, ეჭვი შემეპარებოდა, ლისმანიშვილი, ლისმანიძე ან ლისმანაური ზომ არ არისო), ჯონის „ჭკუამხიარულად“ მიანდა, გენრისა „უმიმამართოდ ბედნიერს“ უწოდებდა, ბორია მანილოვიჩი ყველა ბალტიელივით „ბუნებრივ“ და მსუბუქ ანტი-სემიტად სახავდა, ხოლო მის სრულ ანტი-პოდს, გაუცინარ მიმა პოლიაკოვს მრავალგზის უთქვამს, დაინისთან „ბოლომდე“ დალევა საინტერესო იქნებოდაო, იანკოვი როგორც დემოკრატიისთვის საერთო-საკავშირო ბრძოლის უარყოფელი ეჭვის თვალით უყურებდა, თუმცა „ფაუსტზე“ საუბარს მასთან არ გაუბოლოა (გოეთე ლისმანისის ღმერთი იყო, გერმანული, რა თქმა უნდა, წყალივით იცოდა და კარგა მოზრდილ ციტატებს „ურტყამდა“ „ფაუსტიდან“; ხუმრობდა, - გოეთე მამა-ღმერთია, შილერი სულიწმინდა და თომას მანი ძეო). უკრაინელები გაუბოლდნენ ლისმანისს, მისი მუდმივი ღიმილი დამცინავად ეჩვენებოდათ და რუსებისადმი დაუფარავ ზიზში ანტისლავურ გამოხტომას ხედავდნენ (მათი საერთო აზრით, რუსების ანუ „მოსკალების“ ზიზლი მართო კივის რუსეთის ერთადერთი კანონიერი შთამომავლების, ჭეშმარიტი უკრაინელების საქმე იყო).

ჩვენი ზონის ებრაელებისგან განსხვავებით, რომლებიც შაბათობით ყველა ტიპის საქმიანობას გაუბოლდნენ - გრიმა ფელდმანი, მაგალითად, პირში წეკოს თვითნაკეთი სიგარეტით (კვირის წინა დღეებში შაბათის მარავს იმზადებდა) და ასანთით ხელში წამოგეწეოდა, ვთხოვე, მომიკიდევო - დაინისის ზეობის დღე სწორედ შაბათს დგებოდა. შაბათს მისი ორმაგი ბატონობა მყარდებოდა, თავისუფლების ორ კუნძულზე - აბანოსა და კლუბ-სასადილოში, სადაც იგი „ახალი“ ფილმის დემონსტრირებას ახდენდა (ზონაში შემოტანილი ფილმი სინამდვილეში თითქმის არასოდეს იყო ახალი, ფილმი ჩვენს პოლიტიკურ გამოსწორებასა და აღზრდას ემსახურებოდა, ამიტომ იდეურად იყო გამართული და, როგორც წესი, ეხებოდა ან ამხანაგ ლენინს, ან ამხანაგ სტალინს, ან ორივე ამ ამხანაგს ან ამ ამხანაგების ერთგულ სხვა ამხანაგებს, მაგალითად რკინის ფელიქსს, უცხო

ენების მცოდნე ფრუნზეს ან სულაც საკავშირო „სტაროსტა“ კალინინს).

არ ვიცი - რატომ, მაგრამ კინოს ხალხთან (ხშირ შემთხვევაში, სრულიად შემთხვევით) ახლობლობა ბედმა მარგუნა, ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მეგობარი კინომცოდნეა (რა თქმა უნდა, არა შემთხვევით; სხვათა შორის, საქართველოში ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, ვინ იგულისხმება); მე მოულოდნელად გადაყრივარ თბილისში ქუთაისის ქუჩაზე რობერტ რედფორდს (ერთი გამაგებინა, იქ რა უნდოდა, მანქანის ნაწილს ხომ არ ეძებდა?); ანუ შემთხვევითად აღმოვაჩინე ვინაა ბიბლიოთეკართა წვეულებაზე, როგორც შემდეგ გაირკვა, ჩემი მასპინძლის, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის მამინდელი დირექტორის მეგობარს, ქართული კულტურისა და, განსაკუთრებით, კულინარიის დამფასებელს ან ჟიურარდოს, რომელსაც ხაჭაპურზე მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველი ლექცია წავუკითხე (მას სოვდა, რომ მანამდე, ელდარ რიაზანოვის გადაცემაში ლეგენდარულმა ფრანგმა მსახიობმა ხაჭაპური რომ ახსენა, საბჭოთა რეჟისორს რატომღაც ხასიათი წაუხდა); მოსკოვში, სასტუმრო „როსიას“ დერეფანში კინოფესტივალზე გამარჯვებულ იტალიელ რეჟისორ ეტორე სკოლას და ჟიურის წევრ ჯინა ლოლობრიჯიდას, რომელიც უკვე ასაკში იყო, მაგრამ მნახველებს მაინც ადვილზე ყინავდა გორგონა მეღუზასავით; მოსკოვი-თბილისის რეისზე დავემზავრებოვარ და დასვენების საშუალება არ მიმიცია ლილია ფედოსევა-შუქმინასთვის, რომელსაც თავხედურად ვუხსნიდი შუქმინის პროზაული შემოქმედების თავისებურებებს; ტაშკენტი-მოსკოვის მატარებლის საერთაშორისო კუპეში „დურაკა“ მითამამია უკვე „შტირილიც“ ვიანჩესლავ ტიხონოვთან; სანტა მონიკაში ლიფტში შევეჯახებოვარ „დაუხატავ“ და დაღლილ შერონ სტოუნს, რომელიც „პოლანდისთვის საკმარისი იყო“ (ასე უბასუხა სსრკ-ს პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა, მიხაილ გორბაჩოვმა პოლანდიელი ჟურნალისტის შეკითხვას, - განიარაღების შემდეგ რამდენი ბირთვული ქობინი დაგრჩათო); სიგარეტი მომიწევია ანტონიო ბანდერასთან ერთად „უორნერ ბრახერის“ სტუდიის შესასვლელში და ისეთი ქათინაური მითქვამს ქეთრინ ზეტაჯონისთვის, რომელმაც გადასაღებ ფილმში თავის პარტნიორს მოაკითხა, რომ კინაღამ საფრთხე იყო ან მაიკლ დუგლასს მოვეკალი ან სახელგანთქმული ამერიკელი „სექსუალ ჰარასმენტის“ მუხლისთვის გამოძეკრა ხელი, ბანდერას რომ არ განემარტა, კავკასიელი კავკასიელია (ერთი „კავკასიელი“ თეთრი რასის წარმომადგენელს ნიშნავს და ბანდერასმა ამიტომ იხმარა ორმაგი კავკასიელის ტერმინი) და

ლამაზი ქალისთვის ქათინაური მაგისთვის გამარჯობის ანუ თქვენბური „ჰაის“ ტოლფასიაო.

ამ სატრაბასო ამბებიდან მხოლოდ ჯინა ლოლობრიჯიდა და ვიანჩესლავ ტიხონოვი შეადგენდნენ ჩემს სიძლიერეს პოლიტიკურ ბანაკში მოხვედრამდე, ყველა სხვა შეხვედრა შემდგომში მოხდა. ლისმანისს, რა თქმა უნდა, ულამაზეს ჯინაზე ჩამოკვდე სიტყვა (რუსი მხვერავის, ისაევის, იმავე შტირილიცის როლის შემსრულებელ ტიხონოვთან სამეზავრო-სამატარებლო ახლობლობით ტრაბახი არ იქნებოდა სწორი ტონი პატიოსან ლატვიელ ნაციონალისტთან საუბრისას). ლისმანისი კინოს ნამდვილი პარტიზანი იყო, მაშინ არ ვიცოდით სიტყვა, რომელიც ახლა იოლად აღწერს დაინისის მდგომარეობას, ლატვიელი სოციალ-დემოკრატი კინოს და, განსაკუთრებით, იტალიური კინოს ნამდვილი ფანი იყო. როგორც კი ჯინა ლოლობრიჯიდა ვუხსენე, ლისმანისი აღელდა.

- იცი თუ არა, ჩემო ქართველო მეგობარო, რომ ლოლობრიჯიდა ყველაზე ამერიკული იტალიელი მსახიობია, სოფი ლორენზე მეტადაც კი? ლოლობრიჯიდა ყველაზე დიდი სახელი იყო ორმოცდაათიანი წლებისა და სამოციანის დასაწყისის იტალიურ კინოში, თუმცა რა იტალიურ, მსოფლიო კინოში! და იცი, რა პერიოდი იყო ეს იტალიური კინოსთვის? იცი, რომ მას უთამაშა ისეთი გიგანტების მხარდამხარ, როგორებიც იყვნენ ბერტ ლანკასტერი, იულ ბრინერი, ფრენკ სინატრა, სერ ალექ ვინეი?

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მსგავსი სილამაზის ქალი პირადად, ასე ვთქვათ, „ცხოვრებაში“ არასოდეს მინახავს, - განაცხადე მე და მათასევე დავიწყე მოყოლა, თუ როგორ შეეკრნენ იტალიელების მთელ ხმაურთან დელეგაციას მოსკოვის სასტუმრო „როსიის“ დერეფანში 1975 წელს, როდესაც ჯინა ლოლობრიჯიდა უკვე 48 წლისა იყო.

- იცი თუ არა, ჩემო ლეევან (მასველით პირველ ე-ზე), რომ 1947 წელს ჯინამ მონაწილეობა მიიღო „მის იტალიის“ სილამაზის კონკურსში?

- არა, ეს არ ვიცოდი, მაგრამ წარმომიდგენია, რა ტრიუმფით გაიმარჯვებდა, მაშინ ხომ 20 წლისა იქნებოდა?!

- ვერ გაიმარჯვა! დაახ, ვერ გაიმარჯვა! სხვამ გაიმარჯვა, ლუჩია ბოზემ (ჯუზეპე დე სანტისის „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ხეების ქვეშ“, ხუან ანტონიო ბარდემის „ველოსიპედისტის სიკვდილი“) და მეორეზე ჯანა მარია კანალე გავიდა (ამას, სხვათა შორის, ავა გარდნებს ადარებდნენ), ლოლობრიჯიდა მხოლოდ მესამე იყო! დაუჯერე ახლა სილამაზის კონკურსებს! ლუჩია ბოზე ჩემი და შენი დასაწუ-

ნი ქალი არ იყო, მაგრამ ჯინა?!

ლისმანისი კინოს, ბუნებრივია, კინომექანიკოსის ვიზუალიზაციის უყურებდა და ხანდახან მოულოდნელ და ხმამაღალ კომენტარებსაც აკეთებდა, რის გამოც პატიმარ-მაყურებელთა ერთი ნაწილი აღფრთოვანდებოდა ხოლმე, ხოლო მეორე ნაწილი გვარიანად ხალისობდა. მაგალითად, საბჭოთა პროპაგანდისტული შედეგის, „დამელოდეს“ დემონსტრირებისას, რომელშიც ქალის მთავარ როლს კონსტანტინე სიმონოვის მეუღლე, ვალენტინა სეროვა ასრულებდა, მსახიობი ქალის პირველი გამოჩენისთანავე ლისმანისმა ფილმის დემონსტრირება შეაჩერა და ხმამაღალი კომენტარი გააკეთა:

- თქვენ წინაშეა საბჭოთა კინოს მერლინ მონროდ წოდებული ქერათმიანი ლამაზი ვალენტინა ვასილის ასული სეროვა, რუსეთის ეკრანის ოცდაათიან-ორმოციანი წლების სექს-სიმბოლო, სტალინის უსაყვარლესი მსახიობი, რომელსაც მსოფლიოს ხალხთა ბელადი და კინოს დიდი მეგობარი ჩკალოვის მეუღლესთან ერთად გვერდით დაისვენადა ხოლმე წვეულებებზე, რადგან ეს ქალბატონი საბჭოთა კავშირის გმირის, ექსპანსიის ომში თავგამოჩენილი პილოტის, ანატოლი სეროვის ქვრივი იყო. შემდგომში არამზადა (პაპაიანო, არ გეწყინოს!) კონსტანტინე სიმონოვის ცოლი იყო, რასაც ხელი არ შეუშლია ქერათმიანი მზეთუნახავისთვის, რომანი გაეზა მამინდელ გენერალ და მომავალ მარშალ კონსტანტინე კონსტანტინეს ძე როკოსოვსკისთან, ისეთი რომანი, რომ ამხანაგ სტალინს ერთ-ერთ მიღებაზე უკითხავს გენერალ კ. კ. როკოსოვსკისთვის, - ხომ არ იცია, ამხანაგო როკოსოვსკი, ვისი ცოლია მსახიობი ვალენტინა სეროვა; როკოსოვსკის ამოუღერდავს, - პოეტ სიმონოვისო, - და ამხანაგ ბელადს უთქვამს, - მეც ასე ვიცოდით. ამის შემდეგ მომავალი მარშალი თავის გულის სატრფოს აღარ გაჰკარებია. მსახიობი ქალი გალოთდა და გარდაიცვალა მარტობაში 1975 წელს, სამხრეთელმა და „თბილმა“ სიმონოვმა კისლოვოდსკი დასვენება არ შეწყვიტა და მხოლოდ ვარდების გამოვხანით დაკმაყოფილდა. საბჭოთა კინოს ლეგენდა უკანასკნელ გზაზე სამიოდე კაცმა გააცოლა, მათ შორის - ქლიმიშვილმა, მარია სიმონოვამ. ასე რომ, ამხანაგ სტალინს ქერათმიანი ლამაზმანები იტაცებდა, განსხვავებით მისი თანამემამულე, ამჟამად კლუბ სასადილოს დარბაზში მყოფი ლეევან ბერძენიშვილისგან, რომელსაც გაუგებარი პრეტენზიები აქვს ქერათმიანების მიმართ. განვარდობთ ფილმის ჩვენება, გმადლობთ ყურადღებისთვის, მეგობრებო.

ლისმანისი, როგორც წესი, საშინელ კომენტარებს აკეთებდა ისეთი უკვდავი

საბჭოთა შედეგების, როგორებიც იყო „შეიარაღებული კაცი“, „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“ და ლენინიანას სხვა საბჭოთა კლასიკად ქცეული ფილმების დემონსტრირებისას, მაგრამ ეს კომენტარები ხაზგასმით ლატვიურ ენაზე კეთდებოდა და ლისმანის ყოველთვის შეეძლო ეთქვა ლენინის როლის შემსრულებელი მსახიობების ოსტატობაზე ვაკეთებ კომენტარებსო. ხანდახან ლისმანის ქართველებიც ეხმაურებოდნენ დარბაზიდან ქართულ ენაზე წარმოთქმული კომენტარებით, რომელშიც ფიგურირებდა ისეთი უწყინარი შეფასებები, როგორიც იყო „გაჩერე წარი“, „არამზადა“, „დამპალი“, „ტვირთვაინული“ და სხვ. ამ მხრივ არც სომხები ჩამოგვრჩებოდნენ და ერთი-ორ ლამაზ შეფასებას ისროდნენ უკვდავი გრიგოლ ნარეკაციის ენაზე. ასე რომ, ლისმანისთან ერთად საბჭოთა პროპაგანდის საამაყო შედეგების, ე.წ. მხატვრული ფილმების დემონსტრირება ხალისიანად მიმდინარეობდა.

ერთხელ წარმოუდგენელი რამ მოხდა: შპათის კინოჩვენებაზე ნამდვილი კინო მოიტანეს, ინგმარ ბერგმანის „შემოდგომის სონატა“ ინგრიდ ბერგმანისა და ლივ ულმანის მონაწილეობით. ჩემი აზრით, ბარაშეგოს არაზონურ კინოთეატრში აჩვენეს მაყურებელს, რომელსაც იგი აქტიურად არ მოეწონა და სასჯელის სახით შემოვივადეს ბანაკში - ესეც თქვენი საყვარელი დასავლეთი და მისი გაუგებარი შედეგით. დედა-შვილის დრამატულ ურთიერთობებზე გადაღებული, საკმაოდ რთული და სივრცეში ჩაკეტილი ფილმი პატიმრებს მაინცდამაინც არ მოეწონათ, მაგრამ ლისმანის ხშირად აჩერებდა ჩვენებას და ინგმარ ბერგმანის ოცი ფილმის უცვლელი ოპერატორის, სვენ ნიკვისტის ოსტატობაზე ამხვეილებდა ჩვენს ყურადღებას. ლისმანის ნამდვილი მხატვარი იყო, ისეთ დეტალებს ხედავდა, რომ სახელგანთქმული ნიუკვისტი სიამოვნებით აიყვანდა თანოპერატორად თუ არა, მთავარი ოპერატორის ასისტენტად მინც, თანაც, დარწმუნებული ვარ, საკმაოდ ცივი და მუდმივად მელანქოლიური, ტოკიოში დაბადებული და კანადაში აღზრდილი ნორვეგიელი ლივ ულმანის გამხიარულებასაც კი შეძლებდა თავიანი უთვალავი ანეკდოტითა და ხალიხიანი მოთხრობით.

ერთხელ ისეთი პატივი გვცეს, რომ, რომელიღაც მხატვრული ფილმის გარდა, ე.წ. ჟურნალიც მოგვაწოდეს. ლისმანისმა წინასწარ გაგვაფრთხილა, - ეს კინო არ არის, ჟურნალია, კინო კიდევ იქნებაო. „ჟურნალად“ დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადიოდა, რომელშიც (არ დაგავიწყდეთ, ეს ყველაფერი პერესტროიკისა და გაქანებული საჯაროობის ეპოქაში ხდებდა) ნაჩვენები იყო უნიკალური კადრები,



რომელსაც ათწლეულობით უმაღლესდნენ მთელ მსოფლიოს როგორც საბჭოთა კომუნისტები, ისე დასავლელი დემოკრატები. მოკლედ, დოკუმენტურ ფილმში ნაჩვენები იყო, თუ როგორ გადასცეს ინგლისელებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა კავშირს მათ საოკუპაციო ზონაში მოხვედრილი ტყვეები. ლისმანისი სწრაფად გაერკვა სიტუაციაში და გამოაცხადა, - ვისაც სუსტი გული გაქვთ, დარბაზიდან გადით, ისე ვატყობ, სამინელი კადრები გველოდებო. ამ კომენტარმა ადვილს მიაჯაჯვა ისინიც, ვინც ჟურნალის გამოტოვებას და წეკოს მოსაწევად გარეთ გასვლას აპირებდა (კლუბ-სასადილო მართლა კლუბი კი არ იყო, რომ იქ მოწვევის ნებართვა მიეცათ ვინმესთვის).

ეკრანზე გამოჩნდა ძალიან მაღალი ხიდი, რომლიდანაც მდინარის ხეობამდე, სულ ცოტა, ასი მეტრი მაინც იქნებოდა. ძალიან შორიდან იყო გადაღებული და თითქმის არაფერი ჩანდა, მაგრამ როგორც კი კადრის დაახლოება დაიწყო, გამოჩნდა რაღაც წერტილები, რომლებიც ხიდიდან ქვემოთ მიექანებოდნენ. როდესაც კადრი კიდევ უფრო ახლოს მოვიდა, ცხადი გახდა, რომ ეს წერტილები ადამიანებია, ადამიანები, რომლებიც საკუთარი ნებით ხტებიან მდინარეში და თავს იკლავენ.

კლუბ-სასადილოს მრავლისმნახველ ეკრანზე ხიდიდან ღრმა ხეობაში ხტებოდნენ საბჭოთა ტყვეები, მათ შორის ქალები და ბავშვებიც, ოღონდ კი „თავისიანების“ ხელში არ მოხვედრილიყვნენ; ძირითადი მასა უკან დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ უკან მიბრუნებულებს ინგლისელები ცეცხლს უხსნიდნენ და ადვილზე ხოცავდნენ: ხიდზე სამინელი ტრაგედია ტრიალებდა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ომის

დამთავრებიდან რამდენიმე თვეში უკვე სისხლმონატრებულ სიკვდილს ნამდვილი კალო ჰქონდა გამართული - ბრიტანელთა საოკუპაციო ზონაში მოხვედრილ საბჭოთა ტყვეებს წინ გულავი და მასში სიკვდილი ელოდებოდათ, უკან - მოკავშირეების ტყვეით სიკვდილი და ქვემოთ, ღრმა ხეობაში - მიწაზე დახეთქებამდე ჰაერში სიკვდილი. ამ ფონზე გამოჩნდა ერთი პატარა კაცი, რომელიც ხელგაწეული გარბოდა რუსებისკენ. კამერამ იგი საგანგებოდ მსხვილი პლანით აიღო: პატარა კაცი გახარებული გარბის თავისიანებისკენ, ხელებს უცნაურად იქნევს და რაღაცას იძახის.

უეცრად კლუბ-სასადილო არაადამიანურმა ღრიალმა შეძრა:

- არაა! არაა! ლისმანის, გაჩერე კინო, ლისმანის, გაჩერე!

დაბნეულმა ლისმანისმა მართლა „გაჩერა კინო“ და ჩვენმა თანაზონელმა ტიმიმა, პატარა კაცმა, რომელსაც მანამდე არასოდეს არაფერზე ხმა არ ამოუღია, არადა ნამდვილი საოპერო ბარიტონი აღმოჩნდა, ეკრანზე გაჩერებულ გამოსახულებას მიმართა:

- საით გარბისხარ, იდიოტო! ეს ხომ მე ვარ, ბიჭებო! ეს ხომ მე ვარ, სახლში მოვრბივარ ორმოცი წელი გულავში ამოსახარჩობად!

ეკრანიდან მას და ყველას ახალგაზრდა ტიმინი გვიყურებდა, გაღიბებულს არ ესმოდა, რა ერჩოდა მას ორმოცი წლის შემდეგ მისი საკუთარი, გულავში გატანჯული არსება. ლისმანისმა პროექტორი გამორთო, ამასობაში ხმა გავარდა, ტიმიანია ეკრანზეო და მთელი ზონა კლუბ-სასადილოში შემოვარდა, მათ შორის იყვნენ - ზონის უფროსი მაიორი შალინი, დეპენკა სურაიკინი, აღმზრდელიობითი სამუშაოების ხელმძღვანელი ლეიტენანტი არაპოვი, ზედამხედველები ტრიფონოვი, კისელიოვი და ტრიმაზკინი და უკლებლივ ყველა პატიმარი, არცაღი დუდკინიც კი, რომელიც, თუ ბერლინის აღებაზე და რაიხსტაგზე დროშის აღმართვაზე არ იყო კინო, სხვა ფილმებს არასოდეს არ სწყალობდა.

- ლისმანის, მოიტა ტიმიანი, - ბრძანა შალინიმა და ლისმანისმა თავიდან გაუშვა ფილმი ზუსტად იმ ადგილიდან, როდესაც ხიდზე გაჩერებულ მასს გამოეყო პატარა წერტილი, მერე ეს წერტილი ნელ-ნელა გადიოდა და უტყუარ ტიმიანად იქცა. მობოდა და მობოდა გახარებული ტიმიანი, მობოდა თავისი მონატრებული სამშობლოსაკენ, ოცდახუთწლიანი განაჩენისკენ, რომელსაც კიდევ ოცი უკვე გულავში დაემატა, მობოდა, რადგან ეგონა, რომ ბოლოს და ბოლოს გენერალ ვლასოვის არმიამი სამსახურს აპატიებდნენ და რუსულად მაინც დაელაპარაკებოდნენ. ზონის ხელმძღვანელობამ ტიმიანი იოლად ამოიცნო და შალინიდან დაწყებული ტრიფონოვით

დამთავრებული, ყველას ჰომეროსული ხარ-  
ხარი აუტყდა, მათ ზოგიერთი პატიმარიც  
აჰყვა. კარგი სანახავი იყო კლუბ-სასადი-  
ლო, სადაც მაყურებელთა ერთი ნაწილი  
გულზე სკდებოდა და მეორე ნაწილი გუ-  
ლიანად იცინოდა. საცოდავმა ტიმიმმა  
ჯერ სხვებივით გაცინება სცადა, არ გამო-  
უვიდა, მერე უეცრად გული წაუვიდა და  
სამხრეთ კავკასიის ქრისტიან ხალხთა  
ფედერაციის წევრებმა, ქართველებმა და  
ლომხებმა გარეთ გამოვიყვანეთ, სადაც ადგი-  
ლორივმა ესკულაპუსმა, არიოდან ანდერ-  
სონმა სასწრაფოდ მოიყვანა გონზე თავი-  
სი სახელგანთქმული ნოუჰაუთი, რომელ-  
შიც არასაიდუმლო ინგრედიენტებიდან  
მრავალპარლავსა და პიტნის ნაყენი შედი-  
ოდა, ხოლო საიდუმლო ინგრედიენტების  
შემადგენლობას საბჭოთა პოლივიტამინე-  
ბის ავტორი საგულდაგულოდ მალავდა.

- ესეც ჩვენი სასიქადულო უინსტონ  
ჩერჩილი! - წამოიძახა ჟორა ზომიზურმა,  
- კი წერდა ამაზე ალექსანდრ ისაევჩი,  
მაგრამ მე მაინც გადაჭარბებული კრიტიკა  
მეგონა.

- უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩი-  
ლი, - შეუსწორა ყოვლისმცოდნე ვადიმ  
იანკოვმა, - ნობელის პრემიის ლაურეატი  
1953 წელს, სხვათა შორის, ლიტერატურის  
დარგში.

- სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ  
ჩერჩილი, - ბოლომდე მიიყვანა საქმე მიშა  
პოლიაკოვმა, - მეოცე საუკუნის ყველაზე  
დიდი დემოკრატი, ყველა დროის ბუმბე-  
რაზე პოლიტიკოსი (სხვათა შორის, გამოხ-  
დება ხანი და 2002 წელს ბი-ბი-სი-ის  
მიერ ჩატარებული საფუძვლიანი გამოკით-  
ხვით, თანამემამულეები მას ისტორიაში  
ყველაზე დიდ ბრიტანულად მიიჩნევენ, შექ-  
სპირსა და ნიუტონზე მნიშვნელოვან ინგ-  
ლისელად ჩათვლიან).

- არა, ბიჭებო, მაგ დროს ჩერჩილი  
პრემიერი აღარ იყო, კლემენტ რიჩარდ  
ეტლი იყო, ლეიბორისტებმა ხომ სენსაცი-  
ურად გაიმარჯვეს 1945 წლის არჩევნებში,  
- გადაწყვიტა მსოფლიო ლეგენდის გადარ-  
ჩენა ბორია მანილოვიჩმა.

- კი მაგრამ, ჩემო ბორია, გადაწყვეტი-  
ლება ბრიტანულ ზონაში მოხვედრილი  
საბჭოთა ტყვეების რუსეთისთვის გადაცე-  
მის შესახებ სწორედ ჩერჩილის პრემიე-  
რობისას, 1945 წლის თებერვალში, იალტის  
კონფერენციასზე მიიღეს, - შეახსენა თანა-  
ქალაქელს მწარე სიმართლე მიშა პოლია-  
კოვმა, - ასე რომ, ამ თითქმის ორი მილი-  
ონი ტიმიინსაირის ტრაგედიაზე უწიგნურ,  
უხეშ, ბოროტ და მუტრუკ მია ჯოსთან  
ერთად ნობელიანტი პუტკუნა კეთილი  
მია ჩერჩილი, არანაკლებ კეთილი მია სემი,  
უკაცრავად, სიმპათიური ფრანკლინ დელანო  
რუზველტი და კეთილშობილი დემოკრატი-  
ული და კაცთმოყვარე დასავლეთი აგებენ

პასუხს.

- თვითონაც რომ ჩაჯდებიან, შემდეგ  
მიხვდებიან ყველაფერს, - სოლჟენიცინის  
წინასწარმეტყველება გაახსენა გულბრე-  
ვილო დასავლეთს ჟორამ.

- პარიზზე რომ წითელ დროშას აუფ-  
რიალებენ, - გაიძუტა მსოფლიო დედაქლა-  
ქი ბორიამ.

- მაგათ თავისი დროშის ბოლო ფერი  
წითელიც ეყოფათ, ძალიან ეფერებიან კო-  
მუნისტებს, - დაუწუნა კომუნისტებისადმი  
ტოლერანტული საქციელი ფრანგებს იან-  
კოვმა.

- არა ქანან, თუ ომის დროს კაცურად  
მარტო კათოლიკური ეკლესია და კომუნის-  
ტები იქცეოდნენ? - დავიცავი ბავშვობი-  
დან ყველაზე საყვარელი ფრანგები.

- ეკლესია აირჩიონ, - მოითხოვა იან-  
კოვმა.

კლუბ-სასადილოდან ლისმანისი გამო-  
ვიდა და განაცხადა:

- დღევანდელმა კინოჟურნალმა, მისმა  
პოლიტიკურ ზონაში შემოღწევამ, რასაც  
ბატონი პოლიაკოვი საყოველთაო რუსული  
„ბარდაგით“ ხსნის, ხოლო მე სულ სხვა  
რამ მეჩვენება, დამარწმუნა, რომ საბჭოთა  
კომუნისტებს მაქსიმუმ სამი-ოთხი წელი  
დარჩენიათ. ამ იდიოტებს, შალინს და შე-  
მაღგენლობას რა აცინებთ, ვერ გამოვი-  
გა, მალე ერთმანეთის ყარაულობა მოუწვეთ  
ბარაშეგოში. ჯერ საბჭოთა კავშირი დაიშ-  
ლება, მერე მთელი მსოფლიოს კომუნისტუ-  
რი მოძრაობა, ყველა კომუნისტური პარტია  
გაუქმდება მთელ მსოფლიოში, ყველას ხომ  
კრემლი აჭმევს და ინახავს.

- აპოკალიპტური სურათია, - სიამოვ-  
ნება ვერ დამალა მსოფლიო კომუნისტე-  
ბის მოსალოდნელი ტრაგედიით იანკოვმა,  
- ინდოეთის სამი კომუნისტური პარტიი-  
დან სამივე გაუქმდება!

- ჩინეთს, ჩრდილოეთ კორეას და კუბას  
არაფერი ეშუქება, შემდეგ ათასწლეულსაც  
კომუნიზმით შეხვდებიან, - იწინასწარმეტ-  
ყველა ჟორამ, - მაგრამ საფრანგეთის და,  
განსაკუთრებით, იტალიის კომპარტიებს  
გაქრობა ეშუქებათ, მალე აღარც „ლ უმა-  
ნიტი“ გამოვა და არც „უნიტა“.

- „მორინგ სტარი“ არ დაგავიწყდეს,  
ჩემო ჟორა, „ბრავდისა“ და „ჟერმინ ჟიბა-  
ოს“ შემდეგ შესამე განეთია მსოფლიოში,  
- ჩაწილდა ინგლისელი კომუნისტი ამხა-  
ნაგები დღის გემრის, ტიმიინის ხათრით  
ვადიმ იანკოვმა.

შემდეგ შაბათს ლისმანისმა აბანოში  
საგულდაგულოდ გამოგვიცხადა: დღევანდ-  
ელი ფილმი არავინ გამოტოვოს, ერთაშად  
ორ ყველაზე უფრო სანახაობრივად მომ-  
გებიან თემაზე, ომზე და სიყვარულზეო  
და ახალი ფილმის სათაურიც გაგვანდო:  
„სამხედრო-საველე რომანი“.

ფილმის დემონსტრირება დაიწყო თუ

არა, კინოს ნამდვილ მოყვარულებს პირვე-  
ლი კითხვის ნიშანი გაგვიჩნდა: გაირკვა,  
რომ ფილმი ოდესის კინოსტუდიაში იყო  
გადაღებული. პესიმიზტების აზრით, ოდესის  
კინოსტუდია ნიშნავდა, რომ ფილმი არ  
ვარგოდა, ხოლო ოპტიმიზტების აზრით,  
ოდესის კინოსტუდიაში ისეთი რამის გაა-  
რება შეიძლებოდა, რასაც მოსკოვსა და  
ლენინგრადში ვერ გააპარებდნენ. არც რე-  
ჟისორ ტოლოროვსკის გვარმა გვითხრა  
რაიმე არსებითი. მართალია, ლისმანისმა  
მოგვაწოდა ინფორმაცია, „საქალაქო რომანი-  
სი“ აქვს გადაღებული და მსახიობად  
უთამაშა 1970 წელს გადაღებულ მარლენ  
ხუციევის „შედევრში“ „იყო მაისის თვე“  
(უფროსი ლეიტენანტი იაკოვენკო). სხვათა  
შორის, ქართველებო, ლევან, ჟორა და ჯო-  
ნი, თქვენი თანამემამულეა, ხუციშვილია  
გვარად, დედაც ქართველი ჰყავდა გვარად  
უთენელიშვილი, მარლენი კიდევ კომუნის-  
ტმა მამამ დაარქვა, რომელიც თვითონ  
რეპრესიებმა შეიწირეს.

მარტივი სიუჟეტია (შესამჩნევია, რომ  
საოცრად ჰგავს „საქალაქო რომანის“  
სიუჟეტს, ეტყობა, რაღაც პირადი იყო ამ  
სიუჟეტში რეჟისორისთვის): იყო ომი და  
ომმა ერთმანეთს შეახვედრა ახალგაზრდები,  
ალექსანდრე და ლუბა. უყვარდათ ერთმა-  
ნეთი, მაგრამ ომმა გაჰყარა. ომის შემდეგ  
კაცის ბედი კარგად მოეწყო, საყვარელი  
სამუშაო აქვს, ჰყავს ოჯახი. ქალის ბედი  
სხვაგვარად წარიმართა. ერთ მშენიერ  
დღეს დიდ ქალაქ მოსკოვში ალექსანდრმა  
ნაცნობი ხმა გაიგონა, შემობრუნდა და  
თავისი დაკარგული ლუბა დაინახა, ოღონდ  
სულ სხვანაირი - ღვეხელის გამყიდველი,  
გაუხეშებული და გაუზრდელბული. და  
იწყებს ალექსანდრე ბრძოლას ლუბას გადა-  
სარჩენად, ადამიანში ადამიანის საპოვნელად,  
რაც ისეთ ანდერმად დაუტოვა თვედორე  
დოსტოევსკიმ რუსებს, რომ წყველას უფრო  
ჰგავს.

ლუბას პირველი გამოჩენისთანავე ლის-  
მანისმა კომენტარი გააკეთა, - შეხედეთ,  
რა ტალანტია, ნატალია ანდრეიჩენკო ამ  
ფილმში მხოლოდ 27 წლისაა და ამ  
კადრში, სულ ცოტა, ორმოცდაათი წლის  
ქალს არ ჰგავს?

მანილოვიჩი გაგიჟდა. გაგიჟდა ანდრეი-  
ჩენკოზე. არა, გულგრილი არც არავინ  
დარჩენილა, მაგრამ ბორია მანილოვიჩი  
ამკარად „გადართა“ (იმავე წელს, ანდრე-  
იჩენკო ოსკაროსან მსახიობ და რეჟისორ  
მაქსიმილიან შელს რომ გაჰყვა ცოლად,  
ბორიამ ამოიოხრა, - ჩემს ორივე ცოლს  
გავაყოლებდი მაქსიმილიანს, ოღონდ ნატამა  
ჩემთვის დაეთმო). ვამშვიდებდით, - რად  
გინდა ანდრეიჩენკო, აგერ ცენზორ განი-  
ჩენკოს ვითმობს ჯონიო, - მაგრამ ვერ  
წყნარდებოდა.

ლისმანისი მოვიდა და მითხრა:



- სიმართლე არავის სიაშინებს, სიმართლე რომ ვთქვა, მანილოვიჩი ისედაც ანტიემიგრაციულ მთვლით და ახლა პირდაპირ როზენბერგად მომნათლავს. სიმართლე კი ისაა, რომ მაგ ქალბატონის ქმარმა, მაქსიმილიან შელმა, ავსტრიელმა თუ შვეიცარიელმა, თუ ორივემ ერთად, 1961 წელს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ოსკარი იმიტომ დაიმსახურა, რომ სტენლი კრამერის ფილმ „ნიურნბერგის პროცესში“ ნაცისტი დამნაშავეების ადვოკატის როლი შეასრულა ბრწყინვალედ. იცის ეს მანილოვიჩმა, იცის რა გადახრები აქვს მის საყვარელ ნატამას?

- მაქსიმილიან შელი ავსტრიის ანშლუსის შემდეგ შვეიცარიაში გაიქცა, მთელს მის ოჯახს ნაცისტები ეზიზღებოდათ, მისმა დამ მაგ ნიადგზე აურია კიდევაც, - გამოვესარჩლე ოსკაროსან მსახიობს მე.

- თვითონ რომ ნაცისტი არაა და პირიქითაა, ეგ კი ვიცი, მაგრამ ნაცისტების ადვოკატის როლის ოსტატურად შესრულებას მანილოვიჩი არ აპატიებს. უთხარი ეს ფაქტი, იქნებ ნატამა გულიდან ამოგადებინოთ და ოჯახში წერილი გაგაგზავნინოთ, - ლისმანისი, როგორც „შესანიშნავი მეოჯახე“, მართლაც მუდმივად ზრუნავდა ყველა ოჯახის მთლიანობაზე.

ბორიას რომ ვუთხარი, - მაქსიმილიან შელს ოსკარი ნაცისტების ადვოკატის როლის ოსტატურად შესრულებისთვის მიუღიათ, - გაეცინა და მითხრა, - ზომ ვიცი, ამ ამბავს ლისმანისი მოგიყვებოდა, მაგის მეტმა ვინ იცის ასე წვრილად კინოს ამბები ჩვენს ბანაკშიო. გადაეცი, ბორია მანილოვიჩის საშველი არ არის, ანდრეი ჩენკოზე 12 ლექსი აქვს დაწერილი, მათ შორის სამი სონეტი, ორი ბალადა და ერთი მადრიგალი. რაც შეეხება სიყვარულს, ნამდვილი თუ გამოგონილი ფაშისტის ხელში ჩავარდნილი საბრალო რუსის ქალი კიდევ უფრო უყვარს-თქო.

კინოს საკმაოდ იშვიათი სტუმარი ვარ, ბოლო ხანებში კინოში მხოლოდ ამერიკაში დავდივარ და საუკეთესო ადგილს ვიკავებ, როგორც წესი, ცარიელ კინოდარბაზებში. გაუთავებელი სარეკლამო რეკლემების შემდეგ ფილმის დემონსტრირება რომ იწყება, სულ მგონია, რომ უკნიდან ლისმანისის მხიარულ და ენერგიულ ხმას გავიკონებ:

- ყურადღებით შეხედეთ, რა ოპერატორული ნამუშევარია, მაურო ფიორე ნამდვილი გენიოსია, უკანა ფონზე რა ფერები გაშალა! სხვათა შორის, ჯეიმს კემერონი თექვსმეტი წელი მუშაობდა „ავატარზე“, პირველი ოთხმოცკვერდიანი სცენარი 1994 წელს დაწერა. ქართველებო კლუბსასადლოში, იმ კომპიუტერულ ანიმატორებს შორის, რომელთაც ეს სასწაული შექმნეს, ქართველი კაციც ვერა!



მაიკლ რეიგანს მანკეტენის სანაპირო, კალიფორნიის შტატი 1971 წლის ივნისი.

ძვირფასო მაიკ,

წერილს თან მოჰყვება ის, რაც ადრე ვახსენე. ალბათ, შემძლო, ამაზე შეგჩერებულყავი, თუმცა ეს არ მსურს.

შეიძლება გსმენია ცინიკური ზუმრობები „უიღბლო ქორწინების“ შესახებ. ალბათ, ეს შენთვის არავის უთქვამს, მაგრამ მინდა ვითხრა, რომ განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. დღეს შენ ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილში შეაბიჯე და იგი ზუსტად ისეთი იქნება, როგორცაა შენ შექმნი.

ზოგიერთი მამაკაცი ფიქრობს, რომ საკუთარ ძლიერებას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იგრძნობს, როცა ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს და არაფერზე შეიკავებს თავს, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მის ცოლს გული არ ეტკინება იმის გამო, რასაც ვერასდროს გაიგებს.

არად, სიმართლე ბევრად ღრმაა, ვიდრე ასეთი ადამიანები ფიქრობენ. ცოლმა ყველაფერი იცის, პერანგზე ნაპოვნი პომადის კვალისა და იმის მიზეზის გაგების გარეშე კი, თუ რატომ დაბრუნდა მისი ქმარი დილის 3 საათზე სახლში და ამ ცოდნასთან ერთად იკარგება ურთიერთობის სიღამაზეც.

ცხოვრებაში ერთი უპირობო წესი არსებობს - რასაც დასთეს, იმას მოიქი. კაცი, რომელიც ქორწინებაში იმის ნახევარს ღებს, რაც შეუძლია, ამაზე მეტს არც უნდა ელოდეს.

ღარწმუნებული ვარ, იქნება წამები, როდესაც ისევ შეხვდები ვინმე მოზიზველს, ძველი დრო გაგახსენდება და დაგანტერესებს, შეგწევს თუ არა ძალა, მოზიზველო საპირისპირო სქესი, მაგრამ, შეილო, მსურს გაგიმხილო, თუ რა

მშვენიერი გამოწვევაა, დაუმტკიცო შენი ძლიერება მხოლოდ ერთ ქალს შენი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე.

ყველას შეუძლია იყოს ხეპრე და ლალატით გააგრძელოს ცხოვრება. ამას დიდი ადამიანობა არ სჭირდება. ნამდვილი კაცობა კი ისაა, რომ დარჩე მიშხიდველი ქალისთვის, რომელსაც უყვარხარ - ადამიანისთვის, რომელსაც შენი ზვინვაც კი სმენია, უნახიხარ პირგაუპარსავი, უზრუნია შენზე, როდესაც ცუდად იყავი და ურეცხია შენი ბინძური საცვლები. მოიქეცი ასე. აგრძობინე მას სითბო და კვლავ გაიგებ მშვენიერი მუსიკის ხმას.

კაცს, რომელსაც ნამდვილად უყვარს ქალი, არასოდეს სურს, დამცირებულად აგრძობინოს მას თავი. როდესაც მდივან ქალს ესალმები, ანდა გოგონას, რომელსაც ორივენი იცნობთ, შენი ცოლი არ უნდა გრძობდეს თავს დამცირებულად იმაზე ფიქრით, რომ შეიძლება ეს ის გოგონაა, ვის გამოც გვიან ღამით დაბრუნდი სახლში. როდესაც შენი ცოლი ასეთ გოგონს თვალვებში შეხედავს, უნდა ელიმუბოდეს იმის გაანალიზებით, რომ ეს ის ქალია, რომელსაც მის გამო უთხარი უარი.

მაიკ, შენ სხვებზე უკეთ იცი, რას ნიშნავს სახლი, სადაც უბედური ადამიანები ცხოვრობენ და რა შეუძლია მოუტანოს ამან სხვებს.

დღეს შენ გაქვს შანსი, მიიღო სწორი გადაწყვეტილება. გასწოვდეს, არ არსებობს კაცისთვის იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც დღის დასასრულს სახლის კარს უახლოვდება და იცის, რომ მის უკან ქალია, რომელიც მისი ნაბიჯების ხმის გაგონებას ელოდება.

**სიყვარულით, მამა**

P.S. პრობლემები არასოდეს შეგხვდება, თუკი დღეში ერთხელ მაინც იტყვი - „მე შენ მიყვარხარ“



# ჩვენს მუშაობას აქვით მერს ზომერსუპილი

მსხვილი პარკოზული ვენების მკურნალობის  
უახლოესი და ყველაზე უაღვიანო მეთოდი

*ახუნიის*

2177 65th st.  
Brooklyn, NY 11204  
1-718-238-1555

ტკივილის გარეშე!  
ნაწიბურების გარეშე!  
ნარკოზის გარეშე!

**თქვა ქინკა სოთხილი**

**VEIN & LASER CENTER**



წრვეანრერი სეზონის მთავაიი ქონისძიება  
ღებენღაჯუღი მოქღეჯუღი ღებენღაჯუღ კაჯენეპი-პოღუი  
14 ივნისს, შაბათს, სალამოს 7 სართუბა

კოცხალ  
ბენღთან  
ერთაღ  
ახალი  
პროღრამიი

# საზაფსულა ღიიბეპი

ბიღეიბი  
\$40- \$200

# თაქსი კი ბვარღენიიიი

STERN AUDITORIUM/ PARELMAN STAGE at CARNEGIE HALL

საბიღეიიო სალარო: 57-ი ქუჩა & მეშვიღი ავენიუბა

[www.carnegiehall.org](http://www.carnegiehall.org); Call: 212-247-7800

Since  2005

# NATAKHTARI

ნატახტარი  
FIZZY DRINK



ყველგან,  
ბსუკლოანში,  
საგზაო  
ცენტრ  
გადატყნაში

უკვე  
კოლხუკის  
პროდუქტი

ნატახტარის  
ღრმონათი გინდა?